

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

ქეთევან ქოჩაშვილი

მფლობელობა, როგორც საკუთრების  
პრეზუმფციის საფუძველი

(შედარებითსამართლებრივი კვლევა)

სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ლადო ჭანტურია  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის  
სრული პროფესორი

თბილისი 2012

## სარჩევი

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებანი . . . . .	6
შესავალი . . . . .	7
თავი I მფლობელობისა და საკუთრების, როგორც ფაქტისა და უფლების ურთიერთკავშირი . . . . .	11
1. მფლობელობა – საკუთრების პირველსაწყისი . . . . .	11
2. იმანენტური უფლება, როგორც მფლობელობის წარმოშობის წყარო . . . . .	12
3. უფლება-მოვალეობის ევოლუცია ინდივიდუალურისა და საზოგადოს შეპირისპირებით . . . . .	13
4. სამართალი, როგორც სოციალური წესრიგის არსებობის გარანტი . . . . .	15
5. ფაქტობრივი ფლობის უფლებრივ ფლობად გარდაქმნა . . . . .	16
5.1. კუთვნილების ცნობიერების წარმოშობა მოძრავ და უძრავ ნივთებთან დაკავშირებით . . . . .	17
5.2. საზოგადო მიწის მისაკუთრების პროცესი რომისა და ქართული სამართლის ისტორიის გათვალისწინებით . . . . .	19
6. სოციალურ-იურიდიულ ტერმინებში ასახული მფლობელობისა და საკუთრების ურთიერთკავშირი . . . . .	21
თავი II მფლობელობა რომის სამართალში . . . . .	23
1. მფლობელობის ცნება მფლობელობის სუბიექტთან და ობიექტთან კავშირში . . . . .	24
1.1. მფლობელობის ნებითი ელემენტი – animus possessionis სუბიექტთან დამოკიდებულებით . . . . .	24
1.2. მატერიალური ელემენტი (corpus possessionis) ობიექტთან დაკავშირებით . . . . .	25
1.2.1. მფლობელობის ობიექტი—ბრუნვაუნარიანი ნივთი . . . . .	25
1.2.2. უსხეულო ნივთების მფლობელობა . . . . .	26
2. მფლობელობის წარმოშობა და შეწყვეტა . . . . .	27
2.1. პირველადი წარმოშობა . . . . .	27
2.2. ნაწარმოები საშუალება. . . . .	28
2.3. მფლობელობის დაფუძნება წარმომადგენლის მეშვეობით. . . . .	28
2.4. მფლობელობის შეწყვეტა . . . . .	29
3. მფლობელობის ინტერდიქტული დაცვა . . . . .	29
3.1. პრეტორის განკარგულება – სოციალური მშვიდობის დაცვის საშუალება . . . . .	29
3.2. მფლობელობითი ინტერდიქტის ბუნება და სახეები . . . . .	30
4. პეტიტორული პროცესის არსი . . . . .	31
4.1. პოსესორული დაცვის დროებითი შედეგი . . . . .	31
4.2. სავინდიკაციო სარჩელის პირველადი ფორმა . . . . .	32
4.3. კეთილსინდისიერება და არაკეთილსინდისიერება საკუთრების პირისპირ . . . . .	32
5. მფლობელობითი ხანდაზმულობა (მნიშვნელობა და პირობები) . . . . .	34
6. პრეტორული სარჩელის წარმოშობა და მისი თავისებურება . . . . .	35
6.1. უნივერსალური ბუნების მქონე სამართლის აუცილებლობა . . . . .	35
6.2. რეფორმატორი სამართლის გარდაქმნის გზაზე . . . . .	36
6.3. პრეტორის ხელოვნური კონსტრუქციები . . . . .	37

7. მჭერთა სამართლებრივი მდგომარეობა . . . . .	38
7.1 ბრუნვის მოთხოვნებით განპირობებული მფლობელთა გაფართოებული წრე . . . . .	38
7.2. კვაზი მფლობელთა დაცვა. . . . .	39
თავი III მფლობელობა ფეოდალურ სამართალში. . . . .	41
1. არ არის მიწა სენიორის გარეშე . . . . .	41
1.1 სამისდღეში მფლობელობიდან მემკვიდრეობით მფლობელობამდე . . . . .	41
1.2. ვასალის განკარგვის უფლებამოსილების შეზღუდვები . . . . .	43
1.3. გლეხის, როგორც ფაქტობრივი მფლობელის უფლებრივი მდგომარეობა . . . . .	45
2. დანაწევრებული საკუთრება . . . . .	46
2.1. კერძო და საჯარო საწყისების თანაფარდობა ფეოდალურ საკუთრებაში . . . . .	46
2.2. გლოსატორების პრობლემა. . . . .	47
3. მფლობელობითი დაცვის არსი და მიზეზები ფეოდალურ სამართალში . . . . .	48
3.1. ზოგადი მიმოხილვა . . . . .	48
3.2. მფლობელობითი დაცვის თავისებურებანი ძველ ქართულ სამართალში. . . . .	49
4. ვინდიკაციის შეზღუდვის წესის წარმოშობა . . . . .	52
5. საკუთრების წარმოშობა „სიგრძოთა ჟამთაითა“ გზით . . . . .	53
6. მფლობელობა რევოლუციამდე რუსულ სამართალში . . . . .	54
6.1. კოდიფიკაციის იდეის მარცხი . . . . .	55
6.2. მფლობელობის არსი. . . . .	56
6.3. პოსესორული დაცვა – ადმინისტრაციული ხელისუფლების პრეროგატივა . . . . .	57
6.4. კეთილსინდისიერი მფლობელის თვისობრივად განსხვავებული მდგომარეობა ვინდიკაციისას . . . . .	58
6.5. ვინდიკაციის შეზღუდვის წესი–სამოქალაქო ბრუნვის სიმყარისა და კეთილსინდისიერების დაცვის ბერკეტი . . . . .	59
6.6. შექმნილი ხანდაზმულობის ინსტიტუტი „რუსეთის იმპერიის კანონთა სრულ კრებულში“ . . . . .	60
თავი IV მფლობელობა ფაქტი და უფლება (მფლობელობის საბჭოთასამართლებრივი კონცეფციის კრიტიკული ანალიზი) . . . . .	62
1. პიროვნებისგან გაუცხოებული სამართალი . . . . .	62
1.1. კოლექტივიზმი ინდივიდუალიზმის ნაცვლად – სოციალისტური სახელმწიფოს იდეა . . . . .	62
1.2. საკუთრების ინსტრუმენტალიზება საკუთრების პოზიტივისტური კონცეფციის კვალდაკვალ . . . . .	63
2. მფლობელობა – ფაქტი თუ უფლებრივი კატეგორია? . . . . .	65
3. მესაკუთრე მფლობელთა სამართლებრივი მდგომარეობა . . . . .	66
3.1. პირადი საკუთრების სამომხმარებლო ხასიათი. . . . .	67
3.2. სახელმწიფო საკუთრების სამართლებრივი წესრიგი ოპერატიული მართვისა და სრული სამეურნეო გამგებლობის უფლებათა საფუძველზე . . . . .	67
4. იცნობდა თუ არა საბჭოთა სამართალი მფლობელობით დაცვას?. . . . .	69
5. საკუთრების დაცვის თავისებურებანი საბჭოთა სამართალში . . . . .	70
5.1 სავინდიკაციო სარჩელის შინაარსი . . . . .	70

5.2. ვინდიკაციის შეზღუდვის წესის მოქმედების ფარგლები . . . . .	71
5.3. უკანონო მფლობელთა უფლებრივი მდგომარეობა . . . . .	72
6. მფლობელობაზე დაფუძნებული საკუთრების შექმნის პირველადი საშუალებების არსი . . . . .	73
თავი V მფლობელობა კონტინენტური ევროპის სამართლის ფარგლებში . . . . .	76
1. მფლობელობის ცნება . . . . .	76
1.1. მფლობელობის ელემენტები . . . . .	76
1.2. მფლობელობის სუბიექტური და ობიექტური თეორიები . . . . .	79
1.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმა – სუბიექტური და ობიექტური თეორიების მოდერნიზებული ერთიანობა . . . . .	81
1.4. მჭერის სამართლებრივი ფიგურა . . . . .	82
1.5. ორმაგი მფლობელობა – რომის სამართლის ტრადიციიდან გადახვევა . . . . .	83
1.5.1. გერმანული ცივილისტიკის მიგნება . . . . .	83
1.5.2. ორმაგი მფლობელობა და თანამფლობელობა . . . . .	84
2. კერძო სამართლებრივი საწყისები საკუთრების უფლებაში . . . . .	85
2.1. საკუთრება – აბსოლუტური ხელისუფლება ნივთზე . . . . .	85
2.2. საკუთრების უფლების შინაარსი. . . . .	87
. . . . .	87
2.2.1. ცნების მიზანშეწონილობა . . . . .	87
2.2.2 საკუთრების უფლების შინაარსის ელემენტები . . . . .	88
. . . . .	88
2.2.3. ტრადის შექმნის მიზეზები . . . . .	89
2.2.4. უარი ტრიადაზე პოზიტიური სამართლის არჩევანი . . . . .	89
3. მფლობელობის მნიშვნელობა საკუთრების პირველადი საშუალებებით შექმნისას (ოკუპაციო, ნაპოვარი, განძი, შექმნითი ხანდაზმულობა) . . . . .	93
3.1. ოკუპაციო (უპატრონო ნივთის დაუფლება) . . . . .	94
3.2. განძი . . . . .	95
3.3. ნაპოვარი . . . . .	95
3.4. შექმნითი ხანდაზმულობა . . . . .	96
3.4.1. მფლობელობითი ხანდაზმულობის მოქმედების ფარგლები . . . . .	96
3.4.2. შექმნითი ხანდაზმულობის მნიშვნელობა სამოქალაქო ბრუნვისთვის . . . . .	97
3.4.3. შექმნითი ხანდაზმულობის პირობები . . . . .	98
3.4.3.1. მფლობელობის ობიექტი – ბრუნვაუნარიანი ნივთი; . . . . .	98
3.4.3.2. კეთილსინდისიერი მფლობელობა; . . . . .	99
3.4.3.3. საკუთრად ფლობის განზრახვა; . . . . .	101
3.4.3.4. უწყვეტი მფლობელობა კანონით დადგენილ ვადებში . . . . .	101
3.4.3.4.1. უწყვეტობის არსი . . . . .	101
3.4.3.4.2. შექმნითი ხანდაზმულობის ვადები და მათი გამოთვლის წესი. . . . .	102
4. Traditio-ნივთის გადაცემა, როგორც მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების შექმნის ნაწარმოები გზა . . . . .	103
4.1. მფლობელობის ელემენტი კონსენსუალურ სისტემაში . . . . .	103
4.2. ტრადიციის სისტემის არსი . . . . .	105
4.3. ტრადიციის სისტემა, ერთი მხრივ, აბსტრაქციისა და, მეორე მხრივ, კაუზალურ სისტემებთან თანაარსებობაში . . . . .	106

4.3.1. აბსტრაქციის სისტემის არსი . . . . .	106
ა) ვალდებულებითსამართლებრივი (მაგვალდებულებელი, კაუზალური) გარიგება; . . . . .	106
ბ) სანივთო ხელშეკრულება (განკარგვითი, აბსტრაქტული გარიგება); . . . . .	107
გ) ნივთის გადაცემა; . . . . .	107
4.3.2. ტიტულუსისა და მოდუსის ერთიანობა . . . . .	108
4.3.3. აბსტრაქტულ და კაუზალურ გარიგებათა შორის არსობრივი სხვაობა . . . . .	109
4.4. გადაცემის სამართლებრივი ბუნება . . . . .	110
4.4.1. უფლების გარეგნული შეცნობის უზრუნველყოფა . . . . .	110
4.4.2. Traditio - გარიგება თუ ფაქტობრივი მოქმედება . . . . .	111
4.4.3. გადაცემის ძირითადი ფორმა და სუროგატები . . . . .	112
5. საკუთრებისა და მფლობელობის ურთიერთდამოკიდებულება საკუთრების დაცვის პროცესში . . . . .	113
5.1. საკუთრების სანივთოსამართლებრივი დაცვის საშუალებების ზოგადი დახასიათება . . . . .	114
5.2. სავინდიკაციო სარჩელის განხორციელების წინაპირობები . . . . .	115
5.2.1. მატერიალურსამართლებრივი გარემოებები . . . . .	115
5.2.2. სავინდიკაციო მოთხოვნა ხანდაზმულობასთან კავშირში . . . . .	116
5.3. ნეგატორული სარჩელის არსი . . . . .	117
5.4. მოპასუხის უტიტულო მფლობელობა – ვინდიკაციის უცილობელი პირობა . . . . .	118
5.4.1. მფლობელობის არამართლზომიერება, როგორც ნორმატიული შეფასება . . . . .	118
5.4.2. კეთილსინდისიერებისა და მართლზომიერების ცნებათა ურთიერთმიმართება . . . . .	118
5.4.3. კეთილსინდისიერება სინამდვილის სუბიექტური შეფასების სივრცეში . . . . .	120
5.5. მესაკუთრისა და არამართლზომიერ მფლობელთა ურთიერთმოთხოვნები ვინდიკაციისას . . . . .	122
5.5.1. ნივთისა და ნაყოფის დაბრუნების ვალდებულება . . . . .	122
5.5.2. გაწეული ხარჯების სამართლებრივი შეფასება. . . . .	123
5.6. ვინდიკაციის შეზღუდვის წესი – გერმანული ჩვეულებითი სამართლის მიღწევა . . . . .	124
5.6.1. რომაული აქსიომის უარყოფა . . . . .	124
5.6.2. ვინდიკაციის შეზღუდვის წესის მოქმედების სივრცე . . . . .	125
5.6.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დანაწესი ვინდიკაციის შეზღუდვის წესის შესახებ. . . . .	126
5.7. თეორიები ვინდიკაციის შეზღუდვის წესის შესახებ . . . . .	127
5.7.1. „მესაკუთრის ბრალის“ თეორია; . . . . .	127
5.7.2. „მოჩვენებითი უფლების“ თეორია . . . . .	127
5.7.3. „ნაკლები ბოროტების“ თეორია . . . . .	128
5.8. სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოება, როგორც სოციალური სიკეთე საკუთრების უფლების პირისპირ . . . . .	128
5.8.1. ვინდიკაციის შეზღუდვით საკუთრების უფლების დამცრობა. . . . .	128
5.8.2. მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია–კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვის ბერკეტი . . . . .	130
5.8.3. განსაკუთრებული ბრუნვაუნარიანობის მქონე ნივთები . . . . .	130

ვინდიკაციის შეზღუდვის წესის მოქმედების არეალში . . . . .	
5.8.4. რეგისტრაციის მონაცემთა სისწორისა და სანდოობის პრეზუმფცია შემძენის ინტერესთა უზრუნველსაყოფად . . . . .	132
6. მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია უკანონო მფლობე- ლობიდან ნივთის გამოთხოვისას . . . . .	134
6.1. მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის არსი . . . . .	134
6.2. სანივთო და ვალდებულებითი სარჩელების შინაარსი . . . . .	136
6.3. სავინდიკაციო და სახელშეკრულებო სარჩელი . . . . .	136
6.4. სავინდიკაციო და დელიქტური სარჩელი . . . . .	137
6.5. სავინდიკაციო და კონდიქციური სარჩელი . . . . .	138
6.5.1. Actio condictio – სამართლიანობის პრინციპის განსხეულება . .	138
6.5.2. პარალელები სავინდიკაციო და კონდიქციურ სარჩელთა შორის . . . . .	139
6.5.3. კონდიქციური ვალდებულების სახეები . . . . .	141
6.6. ბათილი გარიგება – უსაფუძვლო გამდიდრების კერძო შემ- თხვევა . . . . .	143
6.6.1. ბათილობის მიზეზები და შედეგები . . . . .	143
6.6.2. სავინდიკაციო და კონდიქციურ (გარიგების ბათილობიდან გამომდინარე) სარჩელთა სუბიექტური შემადგენლობა და მტკიცების საგანი . . . . .	144
6.6.3. გარიგების ბათილობის შედეგები კაუზალური და აბსტრაქ- ციის სისტემათა ფარგლებში . . . . .	145
7. მფლობელობითი დაცვა . . . . .	147
7.1. მფლობელობითი დაცვის მნიშვნელობა. . . . .	147
7.2. ფაქტობრივ გარემოებებზე დამყარებული დაცვა. . . . .	149
7.3. მფლობელობითი დაცვის დროებითი ხასიათი . . . . .	149
7.4. პრეზუმფციის არსი და ფუნქციები . . . . .	150
7.5. მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფციის დანიშნულება . . . . .	152
7.6. მფლობელობითი სარჩელის წარმოშობა და სახეები . . . . .	153
7.6.1. პოსესორული დაცვა ფრანგულ სამართალში . . . . .	153
7.6.2. მფლობელობითი დაცვა გერმანულ სამართალში . . . . .	154
7.6.3. რუსული სამართლის მიდგომა. . . . .	155
7.6.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები მფლობელო- ბითი დაცვის შესახებ. . . . .	156
7.7. თვითდაცვა . . . . .	157
7.8. პოსესორული და პეტიტორული პროცესების დაახლოების ტენდენცია . . . . .	158
7.9. თეორიები მფლობელობითი დაცვის შესახებ . . . . .	159
7.9.1. მფლობელობითი დაცვის განსხვავებული საწყისები . . . . .	159
7.9.2. რელატიური თეორიები . . . . .	159
7.9.2.1. „სამოქალაქო მშვიდობის“ თეორია . . . . .	159
7.9.2.2. „პირის ძალადობისგან დაცვის“ თეორია. . . . .	160
7.9.2.3. „საკუთრების, როგორც მფლობელობის უკან არსებული უფლების, დაცვის“ თეორია . . . . .	161
7.9.3. აბსოლუტური თეორიები . . . . .	162
დასკვნითი დებულებები . . . . .	163
გამოყენებული ლიტერატურა . . . . .	172

## ნაშრომში გამოყენებული შემოკლებანი

სკ	სამოქალაქო კოდექსი
ტ.	ტომი
წ.	წიგნი
ჟურნ.	ჟურნალი
რედ.	რედაქტორი
გამოც.	გამოცემა
სუსგ	საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება (გადაწყვეტილება)
სსსგ	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება
т.	том
ч.	часть
ред.	редактор
изд.	издание
сб.	сборник
отв.	ответственный

## შესავალი

„დღეს, რაც უტოპიურ მოსაზრებად მიიჩნევა, ერთი თაობის შემდეგ – ბანალურ ჭეშმარიტებად, ხოლო ასი წლის შემდგომ მოძველებული შეგონებად იქცევა“ (ა.მენგერი).<sup>1</sup> აღნიშნული სამოქალაქო სამართლის ფუძემდებლურ ინსტიტუტს მფლობელობასაც მიესადაგება. მართალია, მფლობელობის არსი, ჯერ კიდევ, რომაელმა იურისტებმა განსაზღვრეს და მის ფუნდამენტურ კვლევას ჩაუყარეს საფუძველი, და არც ფეოდალურ ეპოქაში შეჩერებულა მფლობელობის ინსტიტუტის დამუშავება, მაგრამ, მე-19 საუკუნეში კონტინენტური ევროპის სამართალში ბევრი რამ კვლავ ბუნდოვანი და აუხსნელი რჩებოდა მფლობელობის შესახებ, კერძოდ, მასში ფაქტობრივი თუ უფლებრივი საწყისის მძლავრობისა და სამართლებრივი პარადოქსის – მართლწესრიგის მიერ უკანონო მფლობელობის დაცვის თაობაზე.

ამ პერიოდში მფლობელობა სამეცნიერო კვლევის ფავორიტად იქცა. აღნიშნავდენ, რომ არ არსებობდა ორი ავტორიტეტი, რომელსაც საერთო აზრი გააჩნდა მფლობელობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, მათი გადაწყვეტა ზოგიერთს უტოპიად მიაჩნდა.<sup>2</sup> თანამედროვე ცივილიზტიკაში მფლობელობის არსი და მისი დაცვის მიზეზები გარკვეული და დასაბუთებულია. მფლობელობა ადამიანთა არსებობის განუყოფელ ელემენტად მიიჩნევა, მის არსებობას ვარაუდობენ მართლწესრიგის გაუქმების პირობებშიც, რადგან ფაქტობრივი ბატონობის განხორციელებისას ასრულებს ნივთი თავის სოციალურ ფუნქციას – ემსახუროს ადამიანს. ნივთის დაუფლების ფაქტიდან, რომელსაც განაპირობებდა პირველყოფილი ადამიანის იმანენტური უფლებიდან გამომდინარე ნივთის საკუთრად ფლობის განზრახვა, წარმოიშვა საკუთრების უფლება (მფლობელობისა და საკუთრების, როგორც ფაქტისა და უფლების ურთიერთდამოკიდებულებას ეძღვნება ნაშრომის I თავი).

მფლობელობისა და საკუთრების ურთიერთდამოკიდებულება თვალსაჩინოა, საკუთრების უფლების წარმოშობის თუ საკუთრების დაცვის პროცესში, ხოლო ამ ურთიერთკავშირის გვირგვინი მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფციაა. ის მფლობელობის უფლებრივი მდგომარეობის გამომხატველია და ემსახურება სამოქალაქო ბრუნვის გამარტივებას, მართლწესრიგის დაცვას და პროცესუალური თვალსაზრისითაც აქვს მტკიცების ტვირთის განაწილების ფუნქცია. მფლობელობის პრობლემატიკა კონტინენტური ევროპის სამართალში „დიდი კოდიფიკაციების ეპოქის“ დასრულების დროისთვის მოწესრიგებული იყო. მაგრამ ჯერ კიდევ, ახალგაზრდა ქართული სამოქალაქო სამართლის სინამდვილეში მფლობელობის ინსტიტუტის კვლევა აქტუალურია.

ისტორიულად ქარტეხილების მიუხედავად, საქართველო კონტინენტური ევროპის სივრცის ნაწილს წარმოადგენდა, ცნობიერებისა და არსებული კავშირ-ურთიერთობების გათვალისწინებით. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქართველ ხალხს ისევ მიეცა შესაძლებლობა, თავად განეხორციელებინა საკუთარი საქმიანობა ისე,

<sup>1</sup> მოსაზრება მითითებულია: *Книпер Р.*, Закон и история, Баден-Баден, Алматы, 2005, 43.

<sup>2</sup> *Юшкевич В.А.*, Исследования из области учения о владении, М., 1908, 108.



როგორც მას ესმის საქმის საზრისი,<sup>3</sup> თავისუფლად განესაზღვრა პოლიტიკური სტატუსი, წარემართა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება.<sup>4</sup>

სამართალი ადამიანური კულტურის ნაწილია, კულტურის მოვლენაა (კონიგი) <sup>5</sup>. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში მე-19 საუკუნის სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციების ძალაში შესვლა დაემთხვა ამ ერების ისტორიაში ეპოქათა ცვლას: ნაპოლეონის კოდექსი გულისხმობდა სამოქალაქო მართლწესრიგის დაწყებას აბსოლუტიზმის დასრულების შემდეგ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლის თარიღით სრულდებოდა გერმანიის იმპერიის ჩამოყალიბების პროცესი, ორივე ქვეყნის კანონმდებელმა შესატყვის საკანონმდებლო ფორმაში მოაქცია იმ ადამიანთა მოთხოვნები, რომელთაც მომავალში ამ კანონით უნდა ეცხოვრათ.<sup>6</sup>

საქართველომ, სამოქალაქო კოდექსის მიღებით, რომლითაც ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია განხორციელდა, ევროპასთან ჩატეხილი ხიდი აღადგინა. ის ადვილად განთავისუფლდა კომუნისტური სამართლის ფსიქოლოგიური ბარიერებისგან, რისი მიზეზიც ხალხის მართლშეგნებაში იყო. მასში კერძო ინტერესები და უფლებები გაცილებით სჭარბობდნენ სიძლიერით საჯარო ინტერესებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შექმნას განსაკუთრებული მნიშვნელობა და დანიშნულება ჰქონდა. კოდექსის საძირკვლად უნდა წარმოჩენილიყო ის სამართლებრივი ღირებულებები, რომელთაც ისტორიულად ადგილი ჰქონდათ საქართველოში. აქ საკითხი სამართლის ეროვნული თუ ზეეროვნული შესახებ, ამ უკანასკნელის მხარეზე იხრებოდა, რითაც ქართული სამართალი სამართლის ჰარმონიზაციისკენ ისწრაფვოდა.<sup>7</sup>

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსს არა მხოლოდ მოცემული მომენტი უნდა დაეფიქსირებინა, არამედ მომავალიც განეჭვრიტა და რეგულირების წესები შეეთავაზებინა ... სამოქალაქო სამართალი უფრო ზოგადსაკაცობრიო ურთიერთობების გამოხატულებაა, მაგალითად, არ არსებობს ვიწრო ეროვნული მფლობელობა ან საკუთრება. ეს ინსტიტუტები ისეთი ქონებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად გამოიყენება, რომელთაც თანაბარი გავრცელება აქვთ ყველგან.“<sup>8</sup>

წინამდებარე ნაშრომში მფლობელობის ინსტიტუტის ანალიზი განხორციელდა ცივილისტური დოქტრინის, პოზიტიური სამართლისა და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე. ნაშრომის ის ნაწილი, რომელიც

<sup>3</sup> მამარდაშვილი მ., საუბრები ფილოსოფიაზე, თბ., 1992, 10.

<sup>4</sup> ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 1994, 46.

<sup>5</sup> მოსაზრება მითითებულია: ხუბუა გ., სამართლის ფილოსოფიისა და სამართლის თეორიის მიმართების საგნის საკითხისათვის, კრებულში: კონსტიტუცია და ქართული სამართლის პრობლემები, თბ., 2002, 22.

<sup>6</sup> Шрамм Х.И., Применение гражданского кодекса по спорным вопросам гражданского права и хозяйственного права, В книге: Право, Экономика, Благополучие, Актуальные вопросы правовой реформы в Туркменистане (Нурыев Я., Чантурия Л., изд.), Ashgabat, 2010, 73.

<sup>7</sup> ზოდუ ბ., ქართული სამართალი, როგორც ევროპული სამართლის ნაწილი (ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტი), პროფ. გ.ნადარეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წ. I, თბ., 2010, 310-312.

<sup>8</sup> ჭანტურია ლ., ევროპული სამართლის რეცეპცია – ევროპული ინტეგრაციის წინა პირობა, გამოხმაურება პროფ. ბ.ზოდის წიგნზე „ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში“, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2005, 185-186.

ედგნება მფლობელობის კვლევას თანამედროვეობაში, შესრულებულია კონტინენტური ევროპის სამართლის ფარგლებში. ისტორიულად, კონტინენტური ევროპის სამართალი რომის სამართლით იკვებება. ჯერ კიდევ, შუა საუკუნეებში რომის სამართლის რეცეპციას განაპირობებდა ის გარემოება, რომ ბუნდოვანი ჩვეულებითი სამართლის ნაცვლად, ის იყო განსაზღვრული, წერილობითი სამართალი, რომელიც პარტიკულარული სამართლის მაგიერ, საზოგადოებას სთავაზობდა ერთიან სამართალს ტერიტორიისა და წოდების მიუხედავად, მას მოჰქონდა ფორმები, რომელთაც შეეძლოთ რთული სავაჭრო ბრუნვის მოწესრიგება, ის მოუწოდებდა პიროვნების განთავისუფლებისკენ, საკუთრების თავისუფლებისკენ, ეკონომიკურ საქმიანობაში კერძო ინიციატივის მეტი ინტენსივობით გამოჩენისკენ (რომის სამართალში მფლობელობის ინსტიტუტის კვლევას ეძღვნება ნაშრომის II თავი). ფეოდალური ეპოქის წოდებრივ-წარმომადგენლობითმა სოციალურმა წყობამ გავლენა იქონია მიწაზე არსებულ ურთიერთობებზე, რომლებიც სამართლებრივად მფლობელობასა და საკუთრებას ეფუძნებოდნენ (ფეოდალურ სამართალში მფლობელობისა და საკუთრების ურთიერთმიმართების მიმოხილვა გადმოცემულია ნაშრომის III თავში).

მფლობელობის კლასიკური გააზრებისგან გადახვევაა მფლობელობის საბჭოთასამართლებრივი კონცეპცია, რომელსაც განაპირობებდა ტოტალიტარული პოლიტიკური წესრიგი და მისი შესატყვისი მცდარი სამართლის იდეოლოგია. მფლობელობა – ფაქტობრივი მდგომარეობა, წარმოჩენილი იყო უფლების სახით, რითაც საკუთრების უფლების ანალოგის შექმნის მცდელობა დასტურდებოდა მართლწესრიგის მოთხოვნების გათვალისწინებით (მფლობელობის საბჭოთასამართლებრივი კონცეპციის კრიტიკა მოცემულია ნაშრომის IV თავში).

რომის სამართალი მნიშვნელოვანი წყარო შეიქმნა კოდიფიკაციისა, რომელმაც, როგორც ახალი ბურჟუაზიული სამოქალაქო აზროვნების ინსტრუმენტი, შეცვალა სამართლის გამოხატვის ფორმა, რომელსაც მანამდე პრეცედენტული სამართალი წარმოადგენდა.<sup>9</sup> კოდიფიკაციის პროცესმა დაავიწყებინა კონტინენტური ევროპის სამართლის წარმოშობისა და შემდგომი ფორმირების პროცესი. აღნიშნულ სამართლებრივ სინამდვილეში მფლობელობა განხილულია ძირითადად, კლასიკური სამოქალაქო სამართლის ქვეყნების: საფრანგეთისა და გერმანიის, ასევე საქართველოსა და რუსეთის<sup>11</sup> მაგალითზე (კონტინენტური ევროპის სამართლის ფარგლებში მფლობელობისა და საკუთრების ურთიერთდამოკიდებულება მოცემულია ნაშრომის V თავში).

წინამდებარე ნაშრომის შექმნის პროცესში გამოყენებულ იქნა კვლევის როგორც ზოგად-სამეცნიერო, ისე სპეციალურ-სამართლებრივი

<sup>9</sup> *Покровский И.А.*, История римского права. <http://www.sud09ru/bibliot/Elib/1265.htm/>.

<sup>10</sup> პროფ. ლ. ჭანტურიას ლექციის ჩანაწერი შედარებით სამოქალაქო სამართალში, 24.06.20011.

<sup>11</sup> ამ ოჯახის წევრად ასევე, მიიჩნევა რუსეთი, მიუხედავად, საბჭოთა პერიოდში იდეოლოგიის ფენომენის მოქმედების შედეგად, სამოქალაქო სამართლის კლასიკური ინსტიტუტების (მფლობელობის, საკუთრების) არსის მიმართ მსოფლმხედველობრივი განსხვავებებისა და თანამედროვეობაშიც, საჯაროსამართლებრივი მართლშეგნების არსებობისა. რუსული სამართლის სისტემაში გარკვეულწილად შენარჩუნდა რომის სამართლიდან მომდინარე და კონტინენტური ევროპის სამართლის სივრცეში განფენილი სამართლებრივი კატეგორიები თუ იურიდიული ლექსიკა.

მეთოდები. მეთოდი ნიშნავს მიზნისკენ მიმავალ გზას. მეცნიერების დარგებში ის წარმოადგენს გზას, რომელსაც რაციონალური და ამდენად, გასაგები და კონტროლირებადი ფორმით თეორიულ შემეცნებასთან ან პრაქტიკულ გაგებასთან, ან თუნდაც შემეცნების ზღვართან მივყავართ.<sup>12</sup> ზოგადსამეცნიერო მეთოდებიდან აღსანიშნავია: ისტორიული (ხორციელდება საკვლევი ინსტიტუტის განვლილი ისტორიის შესწავლა, მისი აღმოცენების პირობების, მასთან დაკავშირებული სამოქალაქო წესრიგის შექმნის მიზეზების დადგენა),<sup>13</sup> ფორმალურ-ლოგიკური (გულისხმობს ხელთარსებული მასალის ანალიზს, არსებული მოცემულობის გაშლას, აბსტრაქტირებას).<sup>14</sup>

სპეციალურ-სამართლებრივ მეთოდებიდან აღსანიშნავია: დოგმატიური (პოზიტიური სამოქალაქო სამართლის ნორმების სისტემური გადმოცემა, აღწერა, განზოგადოება), ჰერმანეკტიკული (ნორმატიული სამართლებრივი აქტების დანაწესების განმარტება იურიდიული ინსტიტუტისა თუ კონსტრუქციის აზრისა და დანიშნულების დადგენის მიზნით),<sup>15</sup> და შედარებითსამართლებრივი მეთოდები. შედარებითი მეთოდის შესახებ ილია ჭავჭავაძე წერდა: „ადამიანის გონებამ მიაგნო ერთგვარ გზას კვლევისას, რომელმაც სიფრთხილითა და ცოდნით ხმარებულმა ისეთი უტყუარობა, ისეთი ზედმიწევნილობა აღმოიჩინა, ისეთი სახელი დაიგდო, რომ არ არის მეცნიერება, რომელიც ამ მეთოდს არა ხმარობდეს ... შედარება ჰქვია იმ მოქმედებას გონებისას, როცა ორს ან რამდენიმე საგანს ერთმანეთს დაუპირისპირებს, რომ აღმოჩნდეს, რაში აქვთ მსგავსება და რაში სხვაობა.“<sup>16</sup> დღეს, უდავოა, რომ სამართალმცოდნეობა, როგორც საზოგადოებრივი მეცნიერება, შეუძლებელია, შესწავლილ იქნეს მხოლოდ წმინდა ეროვნული თვალსაზრისით. სამართლებრივი მეცნიერება დეგრადაციას განიცდის, როცა შეზღუდულია ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი ჩარჩოებით. ეს არის „სამართლის არსებობის დამცრობილი, უღირსი ფორმა.“<sup>17</sup> მხოლოდ შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენებით არის შესაძლო სამართლის, როგორც სოციალურ – კულტურული ფენომენის შეცნობა, საკუთარი სამართლის უკეთ გააზრება და კონკრეტული სამართლებრივი პრობლემის მართებულად გადაჭრა.

<sup>12</sup> ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მე-10 გამოცემა, მიუნხენი, 2006, თბ., 2009,1.

<sup>13</sup> Шершеневич Г.Ф., Задачи и методы гражданского правоуедения, Казань, 1898.

<http://www.allpravo.ru/library/doc99p/instrum1916/ 7. 27.2011.>

<sup>14</sup> პროფ. თ. ნინიძის მიერ თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტებთან წაკითხული ლექციის, „ცივილისტური აზრის ისტორია“, ჩანაწერი.

<sup>14</sup> Муромцев С. А., Рецепция римского права на Западе, М., 1886 28.

<sup>15</sup> Белов В.А., Гражданское право, Общая часть, Т. I, Введение в гражданское право, М., 2011,76.

<sup>16</sup> ჭავჭავაძე ი., თხზულებ.ტ.4, პუბლიცისტური წერილები, თბ., 1987, 25.

<sup>17</sup> ცვაიგერტი კ., კოტცი პ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, წ. I, გამოცემის რედაქტორი და ბოლოთქმის ავტორი თ. ნინიძე, რუსული გამოცემიდან თარგმნა ე. სუმბათაშვილმა, თბ., 2000, 51.

თუ ვივარაუდებთ, რომ სამართლებრივი წესრიგი აღარ იარსებებს, რაც ფაქტობრივად შეუძლებელია, მაგრამ აზრობრივად დასაშვებია, მფლობელობა მაინც დარჩება, რადგან ის აუცილებელი პირობაა ადამიანთა არსებობის უზრუნველსაყოფად (პ. დერნბურგი)

## თავი I მფლობელობისა და საკუთრების, როგორც ფაქტისა და უფლების ურთიერთკავშირი

### 1. მფლობელობა - საკუთრების პირველსაწყისი

ცივილისტური დოქტრინა და კანონმდებლობა ისტორიულად და თანამედროვეობაშიც მფლობელობას ნივთზე ნებით განხორციელებულ ფაქტობრივ ბატონობად მოიაზრებს. მფლობელობა პირისადმი ნივთის ბუნებრივი დამორჩილებაა, საკუთრებისგან განსხვავებით, რომელიც ნივთის დაქვემდებარების სამართლებრივი ფორმაა.<sup>18</sup> მფლობელობა პირველსაწყისი ინსტიტუტია, რომელშიც აბსოლუტური სული რეალიზდება კონკრეტულში, გარეშე მყოფთათვის თვალსაჩინო ნების მიმართით ნივთზე.<sup>19</sup> მფლობელობას, როგორც უფლებისგან განსხვავებულ, მის გარეთ არსებულ მოვლენას, რომლის საფუძველი ფაქტობრივი ურთიერთობებია, ყოველთვის სამართლებრივი შედეგები უკავშირდება (სავინი),<sup>20</sup> კერძოდ, მას, როგორც ტიტულზე დამყარებულ ფაქტობრივ ბატონობას, როცა უფლების (საკუთრება, სხვა სანივთო და ვალდებულებითი უფლებები) არსებობა განაპირობებს ფლობის ფაქტს ან მას, როგორც შიშველი ბატონობის ფაქტს, რომელსაც სამართალი აძლევს უფლების წარმოშობის შესაძლებლობას (საკუთრების შექმნა ხანდაზმულობით),<sup>21</sup> ან სამართლებრივი დაცვით (მფლობელობითი დაცვა) უზრუნველყოფს. მფლობელობაში ფაქტისა და უფლების ურთიერთთანხვედრის კულმინაცია მფლობელობის უფლებრივი მდგომარეობის ფაქტად გააზრებაა, ის მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების პრეზუმფციის საფუძველია: ივარაუდება, რომ მოძრავი ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე, რაც ცივილისტიკაში რომის სამართლიდან შემოსული და თანამედროვე პოზიტიური სამართლით განმტკიცებული მნიშვნელოვანი დებულებაა.

მფლობელობაში საკუთრების ვარაუდის დაშვების საწყისი ადამიანთა მოდგმის გაჩენისთანავე, ადამიანის მიერ ნივთის დაუფლებით გამოსატულ ნებაშია, ნივთი ჰქონდეს თავისთვის. მართალია, პირველყოფილი საზოგადოების წევრისა და საკუთრების უფლების სუბიექტის მიერ გამოვლენილი ნების ნივთის საკუთრად ფლობის, შინაარსი ერთურთის იდენტური ვერ იქნება, უდავოა ის ფაქტი, რომ სწორედ

<sup>18</sup> *Пухта Г. Ф.*, Курс римского права, Т.1, М., 1874, 321. მოთითებულია: *Бабаев А.Б.*, Система вещных прав, М., 2007, 3.

<sup>19</sup> *Коновалов А. В.*, Владение и владельческая защита в гражданском праве, М., 2002, 80.

<sup>20</sup> *Savigny F.K.*, Das Recht des Besitzes, Nachdr. Der Ausg. Giessen, Heyer, 1803, 20. მოთითებულია: *Василевская Л. Ю.*, Учение о вещных сделках по германскому праву, М., 2004, 13.

<sup>21</sup> *ზოდუ ბ.*, მფლობელობის (possessio) ცნება საქართველოს მომავალ სამოქალაქო კოდექსში, კრებული: სამართლის რეფორმა საქართველოში, თბ., 1994, 282.

ნივთზე ბუნებრივი მფლობელობა, რომლის არსიც ნივთთან სივრცობრივი კავშირ-ურთიერთობით განისაზღვრება და ნივთის ფიზიკურ შემსებლობას გულისხმობს,<sup>22</sup> გახდა საკუთრების წარმოშობის საფუძველი. ხოლო სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების განვითარების შედეგად, მესაკუთრის ნებაზე დაყრდნობით, მფლობელობა სანივთო და ვალდებულებითი უფლებების არსებობას დაუკავშირდა, რაც საკუთრებიდან წარმოებული მართლზომიერი მფლობელობის სახით გაფორმდა.

ცხოვრებაში მესაკუთრისა და მფლობელის ხშირი თანხვედრის გარემოებითაა განპირობებული ის ფაქტი, რომ რომის სამართლის ეპოქიდან მოყოლებული, სამოქალაქო კანონმდებლობით განსაზღვრული საკუთრების უფლების შექმნის ზოგიერთი თავდაპირველი საშუალების არსს ნივთის ფლობის ფაქტი შეადგენს (საკუთრების შექმნა უპატრონო მოძრავ ნივთზე, საკუთრების შექმნა ხანდაზმულობით, ნაპოვარი, განძი). ცივილური სამართლის ნორმებით ხაზგასმულია ასევე, მფლობელობის როლი მოძრავ ნივთზე საკუთრების წარმოებული (სახელშეკრულებო) გზით შექმნის დროსაც, როგორც ტრადიციის (წესისამებრ), ისე კონსენსუალურ (გამონაკლისის სახით) სისტემებში.

## 2. იმანენტური უფლება მფლობელობის წარმოშობის წყარო

ადამიანის მიერ ნივთის ფლობას ადგილი აქვს ადამიანთა საზოგადოების ჩამოყალიბების დროიდან. გვარის წევრები ნივთებს სარგებლობის მიზნით ფლობდნენ. ისინი ამ ქცევით გამოხატავდნენ ნებას – ნივთი ჰქონოდათ თავისთვის. ეს ნება არ არის იდენტური საკუთრების უფლებით ნივთის ფლობის განზრახვისა. მიუხედავად ნივთებისადმი ნებელობითი დამოკიდებულებისა, წარმოუდგენელია საკუთრების უფლებაზე საუბარი იქ, სადაც საგნების მითვისების გამო ადამიანთა შორის ურთიერთობას უფლებრივი შინაარსი არ გააჩნია.<sup>23</sup>

გვაროვნულ საზოგადოებაში ზემოსხენებული ნება ეფუძნება ადამიანის, როგორც ბუნებით თავისუფალი არსების,<sup>24</sup> კუთვნილ უფლებას, რომელშიც იმანენტური უფლება იგულისხმება. ეს უკანასკნელი ინდივიდში არსებული ბუნებრივი მოვლენაა და ადამიანს ადამიანურობის გამო ეკუთვნის.<sup>25</sup>

პირველყოფილ ხალხებში უფლების არსი ბუნებით თავისუფლებას გულისხმობს (მონტესკიე)<sup>26</sup> და შეუზღუდავი ნების ძალაუფლება საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისკენ არის მიმართული. ის გარემოება, რომ „პირველყოფილი ადამიანი ცალკედ ერთი სუსტი და უღონო დანაბადია“,<sup>27</sup> დამოუკიდებლად არ შეუძლია არსებობა, მას აიძულებს, „თავის მსგავს დანაბადთან ერთად იმოქმედოს“,<sup>28</sup> ანუ მასთან ერთად მოიპოვოს და შექმნას ყოველივე საჭირო არსებობისათვის

<sup>22</sup> ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბ., 2003, 56.

<sup>23</sup> ჯორბენაძე ს., ზოიძე ბ., არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეთა ადგილი სამოქალაქო და სამეწარმეო სამართალში, ჟურნ. „ცხოვრება და სამართალი“, №1, 1998, 6.

<sup>24</sup> Гегель Г.В., Философия права, М., 1990, 101. მითითებულია: ჭანტურია ლ., უძრავი ნივთების საკუთრება, მე-2 გამოცემა, თბ., 2001, 108.

<sup>25</sup> გოკიელი ვ., უფლება, ჟურნ. „სამართალი“, №8-9, 1992, 64.

<sup>26</sup> მოსაზრება მითითებულია: Иоффе О.С., Гражданское право, Избранные труды, М., 2000, 68.

<sup>27</sup> ჭავჭავაძე ი., თხზულ. ტ.5, თბ., 1955, 165.

<sup>28</sup> იქვე.

(საკვები, ტანსაცმელი, იარაღი, საცხოვრებელი ბინა).<sup>29</sup> აღნიშნული განაპირობებს გვარის წევრის ნების გამოხატვას ნებად აღამიანთა იმ ერთობლიობისა, რომელშიც ის ცხოვრობს. ნივთების ბედი გვარის წევრთა საერთო ნებით განისაზღვრება, რომელსაც მისაღებ მიმართულებას გვარის წინამძღოლი აძლევს.<sup>30</sup>

აღამიანთა მოღვმის არსებობის ამ პერიოდში ნივთის ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის შესაძლებლობათა ერთიანობა შეუძლებელია, პოზიტიურსამართლებრივი გაგებით, საკუთრების უფლებად იქნეს მიჩნეული. მასზე საუბარი შესაძლოა, მხოლოდ თეორიულად, როგორც ფსიქოლოგიურ პროცესზე, რომელიც მიჩემების, მითვისების მომენტს მოიცავს.<sup>31</sup> ხოლო რეალურად, გვაროვნულ საზოგადოებას შეუძლებელია წარმოდგენა ჰქონოდა საკუთრებაზე, რადგან მისთვის თვით ინდივიდის ცნებაც უცნობი იყო.<sup>32</sup> აღამიანები დაუფლებულ საგნებს გაცვლის და ჩუქების გზით ერთმანეთს ადვილად უთმობდნენ,<sup>33</sup> მათ შორის ურთიერთობები ჩვეულებებით წესრიგდებოდა<sup>34</sup> და არ არსებობდა სურვილი მათი შეუსრულებლობისა. ამის მიზეზი გვარის წევრთა დამოუკიდებელი შესაძლებლობების გამოვლენის ასპარეზის,<sup>35</sup> ურთიერთგანსხვავებული უფლებებისა და მოვალეობების არ არსებობა იყო.

### 3. უფლება-მოვალეობის ევოლუცია ინდივიდუალურისა და საზოგადოს შეპირისპირებით

ინდივიდის ჩამოყალიბებას შრომის პროცესმა შეუწყო ხელი. პირველყოფილი აღამიანი მიმთვისებელი ეკონომიკიდან მწარმოებელ ეკონომიკაზე გადადის. ის საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მზა ცხოველური და მცენარეული მიმთვისებლური ფორმიდან შრომით საქმიანობაზე ორიენტირდება, რომელიც ბუნების გარდაქმნის, შრომის და სხვა იარაღების წარმოებისკენ არის მიმართული.<sup>36</sup>

<sup>29</sup> ინწკირველი ვ., სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 1993, 10.

<sup>30</sup> ახ.წად-ის პირველ საუკუნეში საქართველოში გვარის საერთო ქონების მართვა-გამგეობა საგვარეულოს უხუცეს წევრს – მამასახლისს ჰქონდა ჩაბარებული. ჯავახიშვილი ივ., თხზ. ტ.VI. თბ., 1982, 137. მამასახლისობის მმართველობა ერთგვარი საზოგადოებრივი მმართველობაა, ხალხის რჩეულთა მმართველობა, რომელიც საზოგადოების წევრთა შორის ურთიერთობებს ჩვეულებებით აწესრიგებდა. ადგიშვილი ლ., ნიკო ხიზანიშვილის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები, თბ., 2002, 18.

<sup>31</sup> გოციელი ფ. უფლება, ჟურნ. „სამართალი“, №8-9, 1992, 68. უფლების, როგორც სოციალური ფენომენის, წარმოშობას ისტორიულ სინამდვილეში შეესაბამება სასიცოცხლო მნიშვნელობის სიკეთეებზე ინდივიდუალური განკარგვის თავისუფლება. ნინიძე თ., კონიგის „იურიდიული არქეოლოგია“, ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“, №1, 2011, 231.

<sup>32</sup> „ინდივიდი, როგორც თავისუფლების ატრიბუტი, აქ ჯერ კიდევ არ არის.“ ნადარეიშვილი ვ., რომის სამოქალაქო სამართალი, თბ., 2003, 63. აქ ცალკე პირს არავითარი „მე“ არ გააჩნია. ადგიშვილი ლ., ნიკო ხიზანიშვილის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები, თბ., 2002, 18.

<sup>33</sup> Летурино Ш., Эволюция собственности, СПб., 1889, 4.

<sup>34</sup> „გვაროვნული წყობილება ჩვეულებაზე დამყარებული ხალხის მმართველობაა.“ ხიზანიშვილი ნ., უფლება და კანონი ძველ საქართველოში, ჟურნ. „იმედი“ №XI-XII. 1882, 33. მითითებულია: სურგულაძე ივ., ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან (რედ. მეტრეველი ვ., სურგულაძე ნ.), თბ., 2001, 233.

<sup>35</sup> Косвен М.О., Очерки истории первобытной культуры, М., 1953, 10.

<sup>36</sup> ლობჯანიძე ვ., ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2001, 26.

ინდივიდუალიზმი თანდათან ძლიერდება და რაც უფრო მეტად იზრდება ადამიანში დამოუკიდებლობის შეგრძნება, რაც უფრო მეტი პირობები ექმნება მას, რომ ეს დამოუკიდებლობა ოჯახის, გვარის გარეთაც განახორციელოს, მით ძლიერდება მასში არსებული ინსტიქტი ცალკე გამოყოფისა.<sup>37</sup> შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა (ადამიანთა ცალკეული ჯგუფების მიერ მხოლოდ გარკვეული საქმის შესრულება) და სასაქონლო ბრუნვის განვითარების შედეგად, შესაძლო გახდა გვაროვნული საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ განსხვავებული ოდენობით მატერიალური სიკეთის დაგროვება, რომლის მიმართ განხორციელებული მფლობელობისა და სარგებლობის მიზანი საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გარდა, სხვებზე ქონებრივი უპირატესობის მოპოვება იყო.

ადამიანი მიზნის დასახვისას შეზღუდულია, რადგან საზოგადოება ურთიერთგანსხვავებული ინტერესის მქონე ინდივიდთა ერთობლიობაა, რაც აიძულებს თითოეულს ის ინტერესი გააჩნდეს, რომელიც არა მხოლოდ მისთვის, არამედ საზოგადოების წევრთა უმრავლესობისთვის არის მისაღები, ხოლო შემდეგ, შერჩეული ინტერესის ხორცშესხმისთვის ქცევის ის წესი გამოიყენოს, რომელიც საზოგადოებაშია დამკვიდრებული. საზოგადოების არსებობის გათვალისწინება, ინდივიდის მოთხოვნის შეზღუდვა საზოგადოების სხვა წევრთა მოთხოვნებით, უფლების ცნებაში აუცილებელი მომენტია,<sup>38</sup> ინდივიდს ევალება ისე მოიქცეს, რომ მისი მოქმედება მუდამ შესაბამისობაში მოდიოდეს საზოგადოებაში არსებულ ქცევის წესებთან და ყველა დანარჩენი ადამიანების თავისუფლებასთან (კანტი).<sup>39</sup>

თანდათან მიმდინარეობს უფლების (ადამიანის იმანენტური, თანდაყოლილი სიკეთე) და მოვალეობის (ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი არსების კუთვნილი ელემენტი) ევოლუცია, ხდება იმ აზრის გათავისება, რომ ნივთი, რომელსაც ინდივიდი ფლობს, მას ეკუთვნის და შეუძლია ნივთზე პრეტენზია განაცხადოს, როდესაც სხვა შეეცდილება და წაართმევს.<sup>40</sup> ხოლო რაც სხვის მფლობელობაშია, ის იმ პირის კუთვნილებაა და მისი ნების საწინააღმდეგოდ ნივთის დაუფლება დაუშვებელია.<sup>41</sup> საზოგადოებრივი ხელისუფლების გავლენა ცვლის ადამიანთა მდგომარეობას, ინდივიდი ხდება გარშემომყოფებთან მიმართებით უფრო ძლიერი. არასასურველი შედეგების თავიდან ასაცილებლად საზოგადოების წევრები თავს იკავებენ მათ მიერ განხორციელებული დაუფლების ხელყოფისაგან, ნივთზე ინდივიდთა ფაქტობრივი უპირატესობა მცირდება და გარდაიქმნება სხვებზე ზემოქმედების სხვა შესაძლებ-

<sup>37</sup> ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, თბ., 2000, 36.

<sup>38</sup> ნინიძე თ., ცოცხალი ხატი ღირსებისა, საქსსრ მეცნ.აკადემიის „მაცნე“. ეკონომიკისა და სამართლის სერია, №3, 1987, 64. მითითებულია: ბიჭია მ., სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის ცნება და შინაარსი (მეთოდოლოგიური პრობლემები), სასემინარო ნაშრომი, თბ., 2009, 33.

<sup>39</sup> მოსაზრება მითითებულია: სურგულაძე ირ., ხელისუფლება და სამართალი, გერმანიულიდან თარგმნა და შესავალი წერილი დაურთო თ. გამყრელიძემ, თბ., 2002.

<sup>40</sup> Покровский И.А., История римского права, Петроград, 1918, 248. მითითებულია: ვაჩეიშვილი აღ., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, წ. III, თბ., 1963, 23.

<sup>41</sup> ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, 288. „რაც სხვისაა ჩემი მოვალეობაა, რაც ჩემია ეგ ჩემი უფლებაა. უფლება და მოვალეობა არიან პირველნი და უკანასკნელნი საგანნი ურთიერთშორის განწყობილებისა“. ჭავჭავაძე ი., თხზულ. ტ.4, პუბლიცისტიური წერილები, თბ., 1987, 300.

ლობად. არსებული რეალობის ლოგიკური გააზრებით, ადამიანთა ცნობიერებაში ყალიბდება მათ შორის ურთიერთობის მომწესრიგებელი ქცევის წესი, რომლის თანახმად ადამიანები ერთმანეთს უფლებამოსილად და ვალდებულად განიხილავენ.<sup>42</sup>

ამგვარად, ნორმატიულ ელემენტებს მარტო პოზიტიური სამართალი კი არ შეიცავს, არამედ უფლება-მოვალეობა საზოგადოებრივ ურთიერთობებში გვხვდება მანამ, სანამ ისინი პოზიტიური სამართლის შემადგენელი ნაწილები გახდებოდნენ.<sup>43</sup>

#### 4. სამართალი, როგორც სოციალური წესრიგის არსებობის გარანტი

ზემოსხენებული მდგომარეობა ქაოსური ცხოვრებისგან თავის დაღწევის შესაძლებლობას იძლევა,<sup>44</sup> მაგრამ ვერ უზრუნველყოფს სხვადასხვა ინტერესის მქონე ინდივიდთა გონივრულ ცხოვრებას ხანგრძლივი დროით. ის მხოლოდ ლოგიკური აღიარების სფეროთი იფარგლება და არ ფლობს ძალას ინტერესთა შორის კონფლიქტის მოსაგვარებლად. ეს უკანასკნელი ადამიანთა საზოგადოების ბუნებრივი თვისებაა, რადგან თითოეულისთვის მისაღებ ინტერესს ნების თავისუფლება განსაზღვრავს, რომლის არსიც ხშირად თვითნებობაა და არა გონიერება. კაცობრიობის ისტორიის მანძილზე საზოგადოებაში იცვლება მოწესრიგების ფორმები, მაგრამ უცვლელია თვით ფაქტი მიზანდასახულობის ნიჭის მქონე ადამიანების საერთო მოქმედებათა მოწესრიგებისა, რომლის გარეშე არ არსებობს საზოგადოება, სოციალური ცხოვრება. საზოგადოება ისე არ შეიცვლება, რომ მას არ ახასიათებდეს ელემენტარული ფაქტი მოწესრიგებისა.<sup>45</sup> ადამიანური არსებობა მათი გარეგნულად მოწესრიგებული თანაარსებობაა, განცალკევებული ინდივიდის არსებობას არ იცნობს ისტორია. (შტამლერი).<sup>46</sup>

საზოგადოებაში საჭიროა იმ ძალის არსებობა, რომელიც ეყრდნობა ნების განვითარების შესახებ ლოგიკურ მსჯელობას და აწესრიგებს ნების თავისუფლების გამოვლენის პროცესს მოქმედების თავისუფლებაში, რითაც ხელს უწყობს თავისუფლების რამდენიმე

<sup>42</sup> *სავანელი ბ.*, სამართლის თეორია, თბ., 1998, 179.

<sup>43</sup> *გამყრელიძე ო.*, დასკვნა დოც. განაჯყებობას სადოქტორო დისერტაციაზე: სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი, ჟურნ., „აღმანახი,“ №13, 2000, 20. სამართლის თეორიაში არსებული ერთი თეორიით, უფლება ადამიანს მინიჭებული აქვს ბუნებით, უფლება ადამიანის ნების გამოვლენაა – ნებისყოფის თეორია; სხვა მოსაზრებით, უფლება არის არა ნება თავისთავად, ბუნებით თანდაყოლილი, არამედ განსაზღვრული სახით მართლწესრიგის მიერ აღიარებული, მიწერილი ნება, შესაძლებლობა. *სურგულაძე ირ.*, ხელისუფლება და სამართალი, გერმანულიდან თარგმნა და შესავალი წერილი დაურთო ო. გამყრელიძემ, თბ., 2002, 20.

<sup>44</sup> „უფლებრივი სამოსის გარეშე, უფლებრივი გარსიდან ამოვარდნილი ცხოვრება აღარ იქნება ის ცხოვრება, რომელსაც ჩვენ ვიცნობდით, მაგრამ იგი არ იქნება ქაოსი, მასში იქნება ახალი წესრიგი, მასში თითოეული ჩვენი მოქმედება რაიმე მოვლენით იქნება განსაზღვრული“. *ნანიშვილი გ.*, სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა. სამართლის ფილოსოფიის საკითხები, თბ., 1992.

<sup>45</sup> *წერეთელი მ.*, ერი და კაცობრიობა, თბ., 1990, 52. მითითებულია: *ნინიძე თ.*, მისაკო წერეთელი სახელმწიფოს შესახებ, პროფ. გ.ინწკირველის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1996, 213.

<sup>46</sup> მოსაზრება მითითებულია: *ნინიძე თ.*, მისაკო წერეთელი სახელმწიფოს შესახებ, პროფ. გ.ინწკირველის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1996, 212.



ტენდენციიდან ერთის, როგორც ნამდვილი თავისუფლების, შეცნობილი აუცილებლობის გამოვლენას.<sup>47</sup>

აღნიშნული სხვა ტენდენციებთან დაპირისპირებას გულისხმობს, რომლის დასაძლევად იძულება აუცილებელია. ამ ფუნქციის შესრულება სამართალმა, როგორც ქცევის წესების (პირის მოქმედების ან მოქმედებისგან თავის შეკავების) სისტემამ, ნებართვებისა და აკრძალვების წყობამ, როგორც სოციალური წესრიგის დამყარების გარანტმა,<sup>48</sup> შეძლო პოლიტიკურ ხელისუფლებასთან კავშირში. ხელისუფლება წარმოადგენს ძალას, მაგრამ ყოველგვარი სხვა ძალისგან განსხვავებით, სახელმწიფო ხელისუფლება არის სამართლით მოწესრიგებული ძალა, სწორედ, ამ ნიშნით განსხვავდება ის ჩვეულებრივი თვითნებობისაგან.<sup>49</sup> პოლიტიკური ხელისუფლება ადამიანთა ცნობიერებაში მოაზრება იმ ძალად, რომელსაც შესწევს უნარი დაძლიოს ყოველი წინააღმდეგობა, რომელიც სამართლის განხორციელებას შეიძლება შეხვდეს ცხოვრებაში.<sup>50</sup>

## 5. ფაქტობრივი ფლობის უფლებრივ ფლობად გარდაქმნა

თანდათანობით განხორციელდა იმანენტური უფლების სამართლებრივი აღიარება, ბუნებით თავისუფლებაში არსებული ქცევისთვის, როგორც გარკვეული ინტერესის მიღწევის საშუალებისათვის, სავალდებულო ძალის მინიჭებით,<sup>51</sup> უფლება დაფუძნდა.<sup>52</sup> ნივთებთან უბრალო ფიზიკური კავშირი გარდაიქმნა იურიდიულ კავშირად, რომლის გამოსატყულება საკუთრების უფლება იყო. ფაქტობრივმა ფლობამ მისთვის საზოგადოების მიერ სამართლებრივი განსაზღვრების მიცემით, უფლებრივი ფლობის, კერძო საკუთრების თვისება შეიძინა.

ბუნებრივი მდგომარეობიდან სამოქალაქო მდგომარეობაში გადასვლა ადამიანში შესამჩნევ ცვლილებებს იწვევს. მის ქმედებებში ინსტიქტს ცვლის მართლმსაჯულება, მის ქმედებას ენიჭება ზნეობრიობა, მოვალეობის ხმა ენაცვლება ფიზიკურ იმპულსს, უფლება-სურვილს... საზოგადოებრივი ხელშეკრულებით ადამიანი კარგავს ბუნებით

<sup>47</sup> სავანელი ბ., სამართლის თეორია, თბ., 1998, 7.

<sup>48</sup> ციკელიუხი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მე-10 გამოცემა, მიუნხენი, 2006, თბ., 2009, 1-2. სამართალი არის ის, რასაც ამა თუ იმ საზოგადოებაში ერთმანეთის გვერდით მცხოვრები ადამიანები, როგორც ნორმას ერთად ცხოვრებისთვის, ორმხრივად აღიარებენ (ბირლინგი). მოსაზრება მითითებულია: დრაიერი რ., სამართლის ცნება (გერმანულიდან თარგმნა ლ. ჭანტურიაძე), პროფ. გინწკირველის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1996, 32.

<sup>49</sup> ნანეიშვილი გ., სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა, სამართლის ფილოსოფიის საკითხები, თბ., 1992, 200.

<sup>50</sup> იგივე, 72.

<sup>51</sup> Windscheid, Lehrbuch des Pandektenrechts, I, 1887, 97. მითითებულია: Иоффе О.С., Гражданское право, Избранные труды, М., 2000, 71.

<sup>52</sup> უფლება პირის ნებადართული ქცევის ზომაა უზრუნველყოფილი კანონით და ამით, ვალდებულ პირთა შესაბამისი ქცევით. Коркунов Н.М., Лекции по общей теории права, СПб., 1898, 124. Братусь С.Н., Субъекты гражданского права, М., 1950, 13. უფლება, როგორც ინდივიდისათვის სახელმწიფოს მიერ მინიჭებული ხელისუფლება, კანონით დადგენილ ფარგლებში საკუთარი ინტერესის ხორცშესხმისათვის, საჭიროებისას, დაცვის მიზნით კომპეტენტური ორგანოსათვის მიმართვის შესაძლებლობასაც მოიცავს. Матузов Н.М., Личность, правда и демократия. Теоретические проблемы субъективного права, Саратов, 1972, 145.

თავისუფლებას და განუსაზღვრელ უფლებას ყოველივეზე, რასაც შეიძლება დაეუფლოს, ამასთან, ის იღებს სამოქალაქო თავისუფლებას და უფლებებს იმაზე, რაც გააჩნია. მხოლოდ ინდივიდის ძალებით შემოფარგლული ბუნებითი თავისუფლება ემიჯნება საერთო, საზოგადოებით შეზღუდულ სამოქალაქო თავისუფლებას, პირველი დაპყრობით წარმოშობილი მფლობელობა განსხვავდება საკუთრებისგან.<sup>53</sup>

## 5.1. კუთვნილების ცნობიერების წარმოშობა მოძრავ და უძრავ ნივთებთან დაკავშირებით

თავდაპირველად საკუთრება მოძრავ ნივთებზე (პირადი მოხმარების საგნები და შრომის იარაღები) არსებობდა, რაც მათი ბუნებიდან გამომდინარე სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობის საჭიროებით იყო განპირობებული: მოძრავი ქონების ნასყიდობა მარტივი სასაქონლო მეურნეობის პირობებში, აუცილებელი და საგანთა ლოგიკიდან გამომდინარე აქციაა.<sup>54</sup>

მიწაზე უფლების არსებობა მისი დანაწილებისა და მასზე დასახლების მდგომარეობამდე წარმოუდგენელია. ამის შემდეგ, მიწა გვარს ან ტომს ეკუთვნოდა, რომლის თითოეულ წევრს მხოლოდ მიწით სარგებლობის უფლება ჰქონდა. გვარს გააჩნდა მიწის კუთვნილების შეგნება (ის გამოიხატებოდა ერთი მხრივ, მიწის ხელშეუხებლობის მოთხოვნის გაცხადებაში ნებისმიერი სხვა გვარის მიმართ, მეორე მხრივ, ამ მოთხოვნის შეუსრულებლობისას, მიწაზე ძალაუფლების აღდგენის მიზნით, ხელმყოფის მიმართ აგრესიის განხორციელებაში) და მიწის განკარგვის შესაძლებლობა.

ყოველივე ეს მიწასთან დაკავშირებით მხოლოდ ფაქტობრივი შესაძლებლობა იყო და ვერ ქმნიდა უფლებას. იმ დროს მიწის ნაკვეთი განიხილებოდა არა მხოლოდ, როგორც ტერიტორიის განსაზღვრული ნაწილი, არამედ, როგორც განსაზღვრული ოჯახის გარკვეული ოდენობით წილი საერთო საადგილმამულო მფლობელობაში. გვარის წევრის უფლება წილზე განმსჭვალული იყო საჯაროსამართლებრივი შინაარსით: ნაკვეთი ჩემია, თემის წევრთა შორის მიწის განაწილების საზოგადო წესის ძალით.<sup>55</sup> გვარისგან განსხვავებით, მისი წევრები მიწის დამოუკიდებლად განკარგვის შესაძლებლობას მოკლებულნი იყვნენ. მიწის კუთვნილების ცნობიერების არსებობაც გვარის წევრობას უკავშირდებოდა და მიწით სარგებლობას მოიცავდა. ეს შესაძლებლობა სხვა გვარის მიერ მიწის მიტაცებისას წყდებოდა, მიწის დაბრუნებისას კი კვლავ აღდგებოდა ხოლმე.<sup>56</sup> მხოლოდ მოგვიანებით განხორციელდა ინდივიდის მიერ მიწის ნაკვეთის მისაკუთრება: „პირველი ადამიანი, ვინც

<sup>53</sup> *ჯან-ჯაკ რუსო*, საზოგადოებრივი ხელშეკრულება, ფრანგულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო დ. ლაბუშიძე-ხოფერიამ, თბ., 1997, 25.

<sup>54</sup> *ნადარეიშვილი გ.*, საწინააღმდეგო სამართლის ობიექტების შესახებ, ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, წ. I, თბ., 1973, 76.

<sup>55</sup> *Покровский И.А.*, История римского права, Петроград, 1918, 24. მითითებულია: *ვაჩიშვილი ალ.*, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ნ. III, თბ., 1963, 23.

<sup>56</sup> *Покровский И.А.*, Основные проблемы гражданского права, М., 1998, 194-195. ისტორიული განვითარების ძირითად საფეხურს გვარი და მისი ქონებრივი მფლობელობა წარმოადგენს. მიწის მფლობელობის, ანუ ეკონომიკური საკუთრების ფორმა საერთო საკუთრებაა. *ვაჩიშვილი ალ.*, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, წ. III, თბ., 1963, 30.

მიწის ნაკვეთი შემოღობა და განაცხადა, რომ მისია, რაშიც ხალხიც დაარწმუნა, იყო სამოქალაქო საზოგადოების ნამდვილი ფუძემდებელი.<sup>57</sup>

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაში დამკვიდრებული მოსაზრება, რომ პოზიტიურსამართლებრივი თვალსაზრისით, საკუთრების უფლების წარმოქმნა სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობას უკავშირდება,<sup>58</sup> უდავოა, მაგრამ თუ მოძრავ ნივთებზე უფლების სუბიექტი ინდივიდი იყო, მიწაზე საკუთრება ძირითადად, სახელმწიფოს ეკუთვნოდა.<sup>59</sup> ეს ფაქტი არ მიუთითებს საკუთრების განსაკუთრებული ფორმის არსებობაზე. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული საკუთრებაც კერძოა, რადგან საკუთრება შეიძლება იყოს მხოლოდ კერძო. ეს სიტყვა ნივთისადმი სრული ბატონობის უფლების, ამ უფლების ბუნებითი ხასიათის აღსანიშნავად გამოიყენება და არა საკუთრების უფლების სუბიექტთა რაოდენობიდან გამომდინარე. „კერძო“ ხაზს უსვამს საკუთრების ბუნებითი უფლების ინდივიდუალურ, აბსოლუტურ, ერთიან, განუყოფელ ხასიათს.<sup>60</sup>

ის გარემოება, რომ მიწაზე უფლებრივ ბატონობას სახელმწიფო ახორციელებს, ობიექტური წინამძღვრებით არის განპირობებული. მიწასთან დამოკიდებულებით გვარის, როგორც მთელის და ინდივიდის, როგორც მთელის ნაწილის შესაძლებლობათა თანაფარდობას, რომლის წინაპირობაც გვარის მიერ განხორციელებული მიწის დაუფლებისა და მასზე დასახელების ფაქტია,<sup>61</sup> თან ერთვის გვაროვნული საზოგადოების შიგნით, მიწით სარგებლობის გამო დაპირისპირება ქონებრივად პრივილეგირებულ, ძალაუფლების მქონე ადამიანებსა და მათ დამორჩილებულ, უქონელ ფენას შორის. სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და პროტოპოლიტიკური ურთიერთობების შედარებით მაღალ საფეხურზე მდგომი საგვარეულო არისტოკრატია დაეუფლა ხალხის სიმდიდრის უდიდეს ნაწილს, რითაც ხელთ იგდო ეკონომიკური ძალაუფლება. ეკონომიკური ძლიერება კარგი საფუძველი იყო მის ხელში პოლიტიკური ძალაუფლების თავმოყრისა.<sup>62</sup> კონფლიქტი უფრო გაძლიერდა სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის შემდეგ. ამ გარემოებამ აიძულა საზოგადოების წარჩინებული ნაწილი უარი ეთქვა

<sup>57</sup> *ჯან-ჯაკ რუსო*, საზოგადოებრივი ხელშეკრულება, ფრანგულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო *დ. ლაბუზიძე-ხოფერიამ*, თბ., 1997, 6.

<sup>58</sup> ამ საკითხზე იხ. მაგალითად, *ინსტიტუტული გ.*, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 2000, *Марченко М. Н.*, (ред.), Теория Государства и права, М., 1996.

<sup>59</sup> *Владимирский-Буданов М.Ф.*, Обзор истории русского права, Киев, 1900, 538. იმ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო წარმოიშვა თემურ-ტომური მიწათმფლობელობის რღვევამდე, ცენტრალიზებული სახელმწიფო გახდა თემის, თემთა კავშირის, ტომის ან ტომთა კავშირის უფლებამონაცვლე მიწათმფლობელობისა თუ მიწათმესაკუთრების საქმეში. *ნადარეიშვილი გ.* ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო წყობილების თავისებურებანი, ჟურნ. „აღმანახი“, №14, 2000, 80. სხვა მოსაზრებით, უძველესი ინსტიტუტი მიწაზე ინდივიდუალური საკუთრებაა (*Пельман*), ან კიდევ: არც ერთ ეპოქაში მხოლოდ ინდივიდუალური ან კოლექტიური საკუთრება არ არსებობდა. ისინი დროთა განმავლობაში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ წარმოების ხასიათისა და არსებული სოციალური ორგანიზაციის მიხედვით (*Евтихийев*). მოსაზრება მითითებულია: *Конторович Я.И.*, Основные идеи гражданского права, Харьков, 1928, 11.

<sup>60</sup> *ჭანტურია ლ.*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997, 65.

<sup>61</sup> *Ковалевский М.*, Современный обычай и древний закон, М., 1886, 105. მითითებულია: *ვაჩიშვილი ალ.*, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, წ. III, თბ., 1963, 19.

<sup>62</sup> *ნადარეიშვილი გ.*, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2005, 12.

მიწის დამოუკიდებლად განკარგვის შესაძლებლობაზე, ის სახელმწიფოს დაუთმო, ხოლო თავად, მიწით სარგებლობას დასჯერდა, რაც მისი დაუფლებით იქნა მიღწეული.

## 5.2 საზოგადო მიწის მისაკუთრების პროცესი რომისა და ქართული სამართლის ისტორიის გათვალისწინებით

მფლობელობისა და საკუთრების ურთიერთდამოკიდებულებების საკითხის განხილვისას მართებულია რომის სამართლის ისტორიის გათვალისწინება, რადგან კერძო სამართლის ამ ფუნდამენტური ინსტიტუტების კვლევა რომაელმა იურისტებმა დაიწყეს.<sup>63</sup> საინტერესოა ძველი ქართული სინამდვილეც.

რომში მოძრავ ნივთებზე (ოჯახში მოხმარების საგნები, მეურნეობის პროდუქტები, წვრილფეხა საქონელი, ფული, ანუ ქონება-პეკუნია) საკუთრების უფლების არსებობასა და მისი მემკვიდრეობით გადაცემის შესაძლებლობაზე ჯერ კიდევ XII ტაბულის კანონები მიუთითებდნენ.<sup>64</sup> მიწით სარგებლობის თაობაზე გვარშივე არსებობდა დაპირისპირება<sup>65</sup> გვაროვნულ არისტოკრატისა (პატრიციები)<sup>66</sup> და ღარიბ ფენას (პლებეები)<sup>67</sup> შორის. სახელმწიფოს წარმოშობის შემდგომ, სახელმწიფოს კუთვნილი სახნავ-სათესი მიწის ე.წ. საერთო მინდვრის (ager publicus) ნაწილის დაუფლება სარგებლობის მიზნით, კვლავ პატრიციებისთვის იყო ნებადართული. მიწაზე კოლექტიური საკუთრება არ გამორიცხავდა კერძო მფლობელობას. მიწით მოსარგებლეს გარკვეული საზღაურის გადახდა ევალებოდა. იმპერატორის პროვინციებში საადგილმამულო გადასახადი ტრიბუტუმი იყო, ხოლო სენატის პროვინციებში სტიპენდია.<sup>68</sup> დროთა განმავლობაში მიწის მფლობელები აღარც გადასახადს იხდიდნენ და საერთო მიწის მეტ ნაწილსაც იხმებდნენ. ხელისუფლება ცდილობდა მიწის მისაკუთრების პროცესის შეჩერებას (მაგალითად, ჩვ. წ. აღ-მდე 367 წლის მიწის კანონით აიკრძალა 500 იუგერზე – 125 ჰა მეტი ოდენობით სახელმწიფო მიწის კერძო მფლობელობად გადაქცევა),<sup>69</sup> მაგრამ ამაოდ. მსხვილი მიწათმფლობელები მიწას არც ნებით

<sup>63</sup> მფლობელობის აღმოჩენა-დამუშავება რომაელთა დამსახურებაა. *ჩერნილოვსკი ზ.მ.*, სახელმწიფოსა და სამართლის მსოფლიო ისტორია (თარგმნა გ. ლორიაშვილი), თბ., 1992, 103.

<sup>64</sup> *Дождёв Д. В.*, Римское частное право, М., 1997, 310.

<sup>65</sup> *Машкин Н.А.*, История древнего рима, М., 1949, 127.

<sup>66</sup> გვარის შიგნით ქონებრივი სხვაობის ზრდასთან ერთად, მდიდარმა ოჯახებმა ძალაუფლება მოიპოვეს. მათ წესად შემოიღეს ერთი და იგივე ოჯახიდან მამასახლისის არჩევა. ასე იქმნებოდა მემკვიდრეობითი არისტოკრატია, რომლის წევრებიც პატრიციებად იწოდებოდნენ. „Pater“ – რომაული გვარის სრულუფლებიანი და ძირძველ წევრს აღნიშნავდა. სახელმწიფოს შექმნის შემდეგ პატრიციები სრულუფლებიანი მოქალაქეები იყვნენ. *მეტრეველი გ.*, რომის სამართალი, თბ., 1995, 28.

<sup>67</sup> პლებეების წარმოშობა გაურკვეველი და სადაოა. ისინი გვაროვნული ორგანიზაციის გარეთ იდგნენ, ამდენად, თემის მართვაში მონაწილეობას ვერ იღებდნენ. *ჩერნილოვსკი ზ.მ.*, სახელმწიფოსა და სამართლის მსოფლიო ისტორია, თბ., 1992, 66. რომის სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგაც პლებეებს, რომელთაც შეადგენდნენ წვრილი მიწათმფლობელები და რომის დაპყრობილ ტერიტორიებზე მოსახლე ადამიანები, მართალია, პირადი თავისუფლება გააჩნდათ, მაგრამ მოკლებულნი იყვნენ პოლიტიკურ უფლებებს. *მეტრეველი გ.*, რომის სამართალი, თბ., 1995, 20.

<sup>68</sup> *ნადარეიშვილი გ.*, რომის სამოქალაქო სამართალი, თბ., 2003, 63.

<sup>69</sup> *Пухан И., Поленак-Акимовская М.*, Римское право, М., 1999, 30.

აბრუნებდნენ და ვერც ხელისუფლება სთხოვდა მათი ავტორიტეტის გამო.<sup>70</sup>

სახელმწიფო მიწის დაუფლება არ წარმოადგენდა მიწაზე კერძო საკუთრების წარმოშობის ერთადერთ გზას. რომში საზოგადო მიწის გვერდით არსებობდა მცირე ზომის საკარმიდამო ნაკვეთები (ძველი რომაული გადმოცემით, მისი ფართობი თავდაპირველად 2 იუგერს (ნახევარი ჰა) შეადგენდა, შემდეგ ის 20 იუგერით (5 ჰა) გადიდა, რომელზეც საკუთრების უფლება ინდივიდს გააჩნდა.<sup>71</sup> თუ ვინ იყო ის, პატრიცი თუ პლებეი, ამის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს: შესაძლოა აღნიშნული ნაკვეთები ეძლეოდათ პლებეებს, მაშინ როდესაც ე.წ. საერთო მინდვრით სარგებლობის უფლება მხოლოდ პატრიციებს გააჩნდათ ან მასზე საკუთრებას ახორციელებდნენ როგორც პლებეები, ისე პატრიციები.<sup>72</sup>

საქართველოში თემური მიწათმფლობელობის ფორმა ფეოდალიზმის ეპოქაშიც განაგრძობდა არსებობას.<sup>73</sup> ის განსაკუთრებით ძლიერი იყო ადრინდელ ფეოდალურ საქართველოში.<sup>74</sup> იმ ქვეყნების მსგავსად, სადაც ვენახის, ხეხილის ბაღებისა თუ სხვა მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაშენება იყო გავრცელებული, საქართველოშიც უშუალო მწარმოებელი ცდილობდა იმ მიწების დასაკუთრებას, რომელშიც მისი მრავალწლიანი შრომა იყო განივთებული. ეს გარემოება მიწაზე საკუთრების იდეის წარმოშობისთვის ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა.<sup>75</sup> ადამიანი, რომელიც მრავალი წელი უცდიდა თავისი ნაშრომ-ნაღვაწიდან ნაყოფის მიღებას, უფრო ადრე ხდებოდა კერძო საკუთრების იდეით განმსჭვალული, ვიდრე ის ინდივიდი, რომელსაც ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურა მოჰყავდა:<sup>76</sup> „ვინც ახოს გამოიღებდა სათემო მამულში, შეეძლო დაეჩემებინა ახოდ გამოღებული მიწა კარგა ხნობით. მაგ კარგა ხნობამ იქამდე იარა, რომ ახო რჩებოდა კაცს, მანამ ცოცხალი იყო და ბოლოს საშვილიშვილოდაც გახდა. ვინც ცარიელ, უხმარ მიწას სათემოში შემოღობდა შესამუშავებლად, იმას საშვილიშვილოდ შეეძლო დაეჭირა შემოღობილი.“<sup>77</sup>

თემისგან დამოუკიდებლად, ინდივიდის მიერ მიწის მითვისების მიზნით, მისი დაუფლება და დამუშავება გახდა საფუძველი კერძო

<sup>70</sup> *პერეტერსკი ი.ს.*, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, ნ.I, თბ., 1944, 155.

<sup>71</sup> *Фюстель-де-Куланжъ, Древняя гражданская община (исследование о культе, праве, учреждениях Греции и Рима)*, пер. *Спиридонова Н.Н.*, М., 1903, 45.

<sup>72</sup> *Пухан И., Поленак-Акимовская М.*, Римское право, М., 1999, 13.

<sup>73</sup> მეცხრამეტე საუკუნეშიც აღმოსავლეთ საქართველოში დიდ საგვარეულოებს მამულები გაუყოფელი ჰქონდათ. აქ საგვარეულო მიწათმფლობელობა კვლავ არსებობდა. *ჯავახიშვილი ივ.*, თხზ. ტ.VI, თბ., 1984, 137. „ჩვენს ეკონომიკურ წყობაში ორგვარი მიმდინარეობა იყო, როგორც ყველგან სხვაგან: ერთი სასოფლო და მეორე საკომლო. პირველი მიიზიდებოდა ისე, რომ სოფლის წრეში ყოფილი მამულები, მიწა, მინდორი, ტყე საზოგადო სასოფლო ხმარებაში ყოფილიყო. მეორე ისე, რომ ყოველივე ეგენი განსაკუთრებული იყო. რათა უსწორ-მასწორობას მიწის მფლობელობაში ფართო გზა არ გახსნოდა, მეფენიც და ხალხიც პირველს უფრთხილდებოდნენ“. *ჭავჭავაძე ი.*, თხზ.ტ.4. პუბლიცისტური წერილები, თბ., 1987, 152.

<sup>74</sup> *სურგულაძე ივ.*, ნარკვევები სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბ., 1965, 157.

<sup>75</sup> *ნადარეიშვილი გ.*, საკუთრების ზოგადი ცნების გამომხატველი ტერმინის წარმოშობის ისტორიიდან საქართველოში („ჩემება“), *ჟურნ. „სამართალი“*, №2, 2002, 50.

<sup>76</sup> *ნადარეიშვილი გ.*, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2005, 134.

<sup>77</sup> *ჭავჭავაძე ი.*, თხზ.ტ.6, თბ., 1956, 120.

საკუთრების უფლების წარმოქმნისა მიწის იმ ნაკვეთებზე, რომელთაც შეადგენდნენ: კარმიდამო – ეზო, ვენახი, ბოსტანი ანუ აგარაკი.<sup>78</sup>

## 6. სოციალურ-იურიდიულ ტერმინებში ასახული მფლობელობისა და საკუთრების ურთიერთკავშირი

ის გარემოება, რომ მფლობელობა საკუთრების წარმოშობის საფუძველია, იურიდიულ ტერმინოლოგიაში აისახება. რომის სამართლის მიხედვით საკუთრების უძველეს ობიექტებს „res Mancipi“ (მიწა, მასზე მდგომი ნაგებობა, მონა, პირუტყვი, სოფლის სერვიტუტი) და „res nec Mancipi“ (დანარჩენი ნივთები) ეწოდებოდათ. „Mancipi“ უკავშირდებოდა ტერმინებს „Mancipatio“, „Mancipium“, რომლებიც საკუთრების შექმნას აღნიშნავდნენ. თავად, ისინი ეტიმოლოგიურად წარმოდგებოდნენ სიტყვიდან „manu capere“ (manus ხელი, ხელისუფლება; capio-აღება, დაჭერა), რომელიც ნივთის დაუფლებაზე, დაპყრობაზე, მის მიმართ ძალაუფლების განხორციელებაზე მიუთითებდა. რაც შეეხება მფლობელობის აღმნიშვნელ ტერმინს – „possessio“, ის წარმოიშვა გამოთქმიდან „potis sedeo“ - ვზივარ, როგორც ბატონი (potior – დაპყრობა, sedere დაპყრობილ, დაუფლებულ მიწაზე ყოფნა, ფეხის მოკიდება).<sup>79</sup>

ქართული ენის ლექსიკის წიაღში მოიძებნება ისეთი სოციალურ-იურიდიული ტერმინები,<sup>80</sup> რომლებიც მფლობელობისა და საკუთრების ურთიერთდამოკიდებულებას ასახავენ, კერძოდ, დამკვიდრება, განჩემება (ჩემება) და საკუთრება. „დამკვიდრება“ ძირითადად, მემკვიდრეობით ქონების მიღებას აღნიშნავდა, მაგრამ მისი პირველადი მნიშვნელობა მიწა-წყალზე დასახლებაზე, ფეხის მოკიდებაზე მიუთითებდა. ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებით, ეს სიტყვა იმ პირველყოფილი სოციალური ცხოვრების და უფლებრივი მდგომარეობის გამომხატველია, როდესაც საგვარტომო საკუთრების გარდა, სხვა არავითარი საკუთრება არ არსებობდა და მიწის ფაქტიური დაპყრობა, მასზე მეურნეობის მოწყობა ინდივიდის საკუთრების უფლებას ქმნიდა. ტერმინი „განჩემება“ გამოსატავდა პირის სურვილს, ნივთი დაუფლების გზით თავის კუთვნილად ექცია, ანუ მისი მოქმედება ნივთის საკუთრებად გადაქცევის ნებით იყო განპირობებული.<sup>81</sup> შესაბამისად, დაჩემებულ მიწებს მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ ქიზიყში, საკუთარს, ნაფუძარს, მამაპაპეულს ეძახდნენ.<sup>82</sup> ტერმინი „საკუთრება“, რომელმაც თანდათან „განჩემება-ჩემება“ შეცვალა, პირადი კუთვნილის აღსანიშნა-

<sup>78</sup> *ქიქოძე ვ.*, ერეკლე II, თბ., 1984, 17. საკუთრების უფლების წარმოშობის შრომითი თეორიის თანახმად, უფლება წარმოიშობა მიწის თავდაპირველ დამუშავებით (შტაერმანი). საპირისპიროდ, ოკუპაციის თეორიით, შრომა კი არ ქმნის უშუალო მფლობელობას, არამედ ოკუპაციო. ადამიანები ყოველგვარ სამართლებრივ აქტამდე ფლობენ მიწას, მათ უფლება აქვთ იყენონ იქ, სადაც ბუნებამ და შემთხვევამ გაანაწილა (კანტი). მოსაზრება მითითებულია: *Скловский К.И.*, Собственность в гражданском праве, М., 1999, 68.

<sup>79</sup> *Новицкий И.Б., Перетерский И.С.*, (ред.), Римское частное право, М., 1996, 157.

<sup>80</sup> *ნადარეიშვილი ვ.*, „ხელისუფლება“ სიტყვის ეტიმოლოგიისათვის, ჟურნ. „სამართალი“, №1-2, 2003, 121.

<sup>81</sup> *ჯავახიშვილი ივ.*, თხზ. ტ. VII, თბ., 1984, 288.

<sup>82</sup> *ბოსტოლანაშვილი დ.*, მიწათმფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოში (ქიზიყის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით XIX ს. II ნახევარი), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 2001, 74-75.

ვად გამოიყენებოდა. ის მოსავლელი, საზრუნავი იყო საერთოდან, ზოგადიდან გამოსარჩევად, რომლისთვისაც საზოგადოების ყოველ წევრს საგანგებო ზრუნვა არ ესაჭიროებოდა.<sup>83</sup> ეს ტერმინი პირველად მოიხსენიება მე-10 ს-ის ლიტერატურულ ძეგლში – ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“.<sup>84</sup>

მფლობელობისა და საკუთრების ურთიერთდამოკიდებულების განზოგადოებისას, ცხადი შეიქმნა ის გარემოება, რომ მფლობელობა, როგორც ფაქტობრივი მდგომარეობა, ისტორიულად და ლოგიკურად წინ უსწრებს საკუთრებას, როგორც სამართლებრივ ურთიერთობას<sup>85</sup> და ცვლის იქ, სადაც საკუთრება ჯერ არ ჩამოყალიბებულა. მფლობელობის არსებობას განაპირობებს ადამიანის ნება, რომელიც მიმართულია გარე სამყაროს საგანზე, ის საკუთრების პირველადი სახეა, ადამიანის ხელისუფლებაა ნივთზე და ამ ხელისუფლების საფუძველი მდგომარეობს ადამიანური ბუნების თვისებაში.<sup>86</sup> მიუხედავად ამისა, მოსაზრება, რომ არ არის ძნელი მფლობელობის განხილვა საკუთრების უფლების გვერდის ავლით, ხოლო საკუთრების უფლების კვლევა მფლობელობისგან დამოუკიდებლად წარმოუდგენელია,<sup>87</sup> მფლობელობის გადაჭარბებული შეფასებაა. მფლობელობის ისტორიული როლის შეფასებისას აუცილებელია იმის დაზუსტება, თუ რა შინაარსია ჩადებული მფლობელობის ცნებაში.<sup>88</sup> ეს შინაარსი იმანენტური უფლების არსებობით განპირობებული ადამიანის ნებაა – ნივთი ჰქონდეს თავისთვის. სამართლის არ არსებობის პირობებში, ადამიანის მიერ განხორციელებული ნივთის დაუფლება იმპულსური, გაუაზრებელი ქცევა კი არ არის, არამედ გაცნობიერებული, ნებელობითი აქტია.<sup>89</sup>

მფლობელობა, რომ ნების თავისუფლებას უკავშირდება, საინტერესო ასახვას პოულობს შუა საუკუნეების საქართველოში არსებულ ტერმინში „თვითმფლობელობა“, რომელიც თავისი შინაარსით თავისუფლებას გულისხმობდა. ამ მნიშვნელობით არის ეს ტერმინი მოხსენიებული რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების მიერ მიღებული „ძეგლის წერის“ შესავალში<sup>90</sup> და გიორგი მერჩულეს თხზულებაში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. მოგვიანებით, „თვითმფლობელობას“ ასევე, ადამიანის მიერ საკუთარი ნებით მოქმედების შინაარსით

<sup>83</sup> ჯავახიშვილი ივ., თხზ.ტ. VII, თბ., 1984, 286.

<sup>84</sup> ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წ. II. ნაკვეთი II, თბ., 1929, 392.

მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა საფუძვლიანად დაასაბუთა შეხედულება, რომ ზარზმელის ნაწარმოების პირველი რედაქცია დაიწერა მე-7 საუკუნეში და ასახავს მე-6-7 საუკუნეთა მიჯნაზე არსებულ რეალურ ვითარებას, ანუ ტერმინის „საკუთრება“ არსებობის პირველი წერილობითი დამოწმების ფაქტი ამ პერიოდში უნდა იქნეს გადატანილი. ფუტკარაძე ი., პაგიოფრაფიული ძეგლები, როგორც საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის წყაროები (სანივთო სამართალი), პროფ. გ. ნადარეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წ. I, თბ., 2010, 489.

<sup>85</sup> *Иеринг Р.*, Теория владения, пер. *Васьковского Е. В.*, СПб., 1895, 32.

<sup>86</sup> *Победоносцев К. П.*, Курс гражданского права, Т. I, М., 2003.

<sup>87</sup> *Иеринг Р.*, Теория владения, пер. *Васьковского Е. В.*, СПб., 1895, 32.

<sup>88</sup> *ჯორბენაძე ს.*, სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების წარმოშობა სსრ კავშირში, თბ., 1963, 77.

<sup>89</sup> *Конторович Я. А.*, Основные идеи гражданского права, Харьков, 1928, 10.

<sup>90</sup> აქ საუბარია დმერთის მიერ ადამიანისთვის თვითმფლობელობის ანუ თავისუფლების მინიჭებაზე, რომელიც მან თავის საკეთილდღეოდ ვერ გამოიყენა. *სურგულაძე ივ.*, ქართული სამართლის ისტორიის წყაროები, თბ., 1984, 143.

განმარტავს სულხან-საბა ორბელიანი: მფლობელი არის ის, ვისაც შეუძლია თავისი ნებით „წინააღრჩევით მოქმედება“.<sup>91</sup>

## თავი II

### მფლობელობა რომის სამართალში

რომის სამართლის<sup>92</sup> უამრავი ღირსების მიუხედავად, როგორცაა სამართლებრივი კატეგორიების საოცარი სიზუსტე, ცალკეული საგნობრივი ინსტიტუტების კვლევის სიღრმე და იურიდიული ტექნიკის გასაოცრად მაღალი დონე,<sup>93</sup> თანამედროვე მსოფლიოსთვის უმთავრესი მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ რომის სამართლით განხორციელდა სამართლებრივი აზროვნების შინაგანი გარდაქმნა, რაც მიღწეულ იქნა იურიდიული ნაციონალიზმის, „ნამდვილ მეცნიერებასთან შეუთავსებელი პროვინციალიზმის“<sup>94</sup> დაძლევით, ნაციონალური სამართლის სამანების გადაღახვით და უნივერსალობის შექმნით. ანტიკური ცივილიზაციის არსებითი ნაწილი რომის სამართალი, ქრისტიანობის მსგავსად, ახალი სამყაროს კულტურის განუყოფელ ელემენტად იქცა.<sup>95</sup>

სამოქალაქო სამართლის, როგორც პიროვნების თავისუფლებისა და თვითგანსაზღვრის სფეროს,<sup>96</sup> თანამედროვე ცივილიზაციის სამართლებრივი მოწესრიგების ძირითადი დარგის,<sup>97</sup> ჩამოყალიბება და მისი სუბსტანციური ინსტიტუტის – მფლობელობის ფუნდამენტური კვლევა რომის სამართალში იღებს სათავეს.

#### 1. მფლობელობის ცნება მფლობელობის სუბიექტთან და ობიექტთან კავშირში

რომაელი იურისტები მფლობელობას (*possessio, possessio civilis*) განიხილავდნენ ნივთის საკუთრად ფლობის განზრახვით (მფლობელობის

<sup>91</sup> *სურგულაძე ივ.*, სულხან-საბა ორბელიანის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, თბ., 1959, 199.

<sup>92</sup> „რომის სამართლით აღინიშნება რომაელი იურისტების მიერ მრავალსაუკუნოვანი იმპერიის არსებობის მანძილზე შექმნილი, მაშინდელ თითქმის მთელ მსოფლიოში მოქმედი და იმპერატორ იუსტინიანეს კოდიფიკაციაში მძივებად აკინძული სამართალი.“ *ჭანტურია ლ.*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997, 9.

<sup>93</sup> *მეტრეველი ვ.*, რომის სამართალი და იმპერატორ იუსტინიანეს კოდიფიკაცია, წიგნში: რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიგესტები წ.1, შესავალი (რედ. ვ. *მეტრეველი*, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ნ. სურგულაძემ*), თბ., 2000, 5.

<sup>94</sup> *დავიდი რ.*, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, რუსული გამოცემიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო *თ. ნინიძემ*, თბ., 1993, 25.

<sup>95</sup> *Иеринг. Р.*, Дух римского права на различных ступенях его развития, ч.1, СПб., 1895, 2. მითითებულია: *ვოკიაშვილი ვ.*, სამართლის განსაზღვრულობის პრობლემა ინგლისურ და კონტინენტურ სამართლებრივ სისტემებში, პროფ. ზ.ახვლედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 2004, 27.

<sup>96</sup> *Покровский И. А.*, Основные проблемы гражданского права, М., 1998, 309.

<sup>97</sup> *ჯორბენაძე ს.*, ჩემი ცხოვრების გზა, პროფ. სერგო ჯორბენაძის 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 2003, 20.



სუბიექტური ელემენტი *animus possessionis*) მასზე განხორციელებულ ფაქტობრივ ბატონობად (მფლობელობის ობიექტური ელემენტი *corpus possessionis*).<sup>98</sup>

### 1.1 მფლობელობის ნებითი ელემენტი (*animus possessionis*) სუბიექტთან დამოკიდებულებით

მფლობელობა არ მოიაზრებოდა იქ, სადაც პირის ნივთთან სხეულებრივი კავშირი ნების გამოხატვის გარეშე არსებობდა (მაგალითად, მიძინარე ადამიანის, ჩვილის ნივთთან შემხებლობა). ქმედუუნარო პირები, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის ან ასაკის გამო ნებას ნათლად ვერ გამოხატავდნენ, მფლობელობას კანონიერი წარმომადგენლების (არასრულწლოვნები 7 წლამდე და 7-14 წლამდე მეურვეების, 14-25 წლამდე ასაკის მქონე პირები, სულით ავადმყოფები, გონებასუსტები, ყრუ-მუნჯები – მზრუნველების) მეშვეობით მოიპოვებდნენ.<sup>99</sup>

ნივთთან დაკავშირებით გამოვლენილი ყოველგვარი ნება არ იყო საკმარისი მფლობელობის დაფუძნებისთვის. რომის სამართალი *animus possessionis*-ში ნივთის თავისთვის და არა სხვისთვის ფლობის სურვილს გულისხმობდა. შესაბამისად, სხვისი სახელით, სხვის ინტერესებში ნივთის ფაქტობრივი დაუფლების მდგომარეობა ჭერა-პყრობად (*detentio, possessio naturalis* --ბუნებითი მფლობელობა), ხოლო მისი სუბიექტი მჭერ-მპყრობელად იწოდებოდა.<sup>100</sup>

ნივთის საკუთრად ფლობის განზრახვა, უპირველეს ყოვლისა, მესაკუთრეს გააჩნია. საკუთრების უფლების აღმნიშვნელი თავდაპირველი ტერმინი– „ქვირიტული“ რესპუბლიკის პერიოდის დასასრულს (ახ.წ.ად-ის III ს.) შეიცვალა ტერმინებით „დომინიუმ“ (*dominus* ბატონი) და „პროპრიეტას“ (*proprium*–საკუთარი).<sup>101</sup>

საკუთრების უფლების სუბიექტი იყო მხოლოდ რომის მოქალაქე, ობიექტი – მანციპირებული და ბრუნვაუნარიანი მოძრავი ნივთები, ხოლო მასზე საკუთრების შექმნის გზები მანციპაცია და ცესია.<sup>102</sup>

<sup>98</sup> *Новицкий И.Б., Перетерский И. С.*, (ред.), Римское частное право, М., 1984, 169.

<sup>99</sup> *Новицкий И. Б.*, Римское право, М., 2001, 49.

<sup>100</sup> რომის სამართლის ცნობილი მკვლევარი ი.ბ. ნოვიცი კერა-პყრობად მოიაზრებს არა მხოლოდ აღნიშნულ მდგომარეობას, არამედ ნივთთან ნების გამოხატვის გარეშე, შეუცნობელ შემხებლობასაც. *Новицкий И. Б.*, Римское право, М., 2001, 75. სხვა მოსაზრებით, მფლობელობისა და ჭერისგან განსხვავდება ნივთთან უბრალო შემხებლობა. *Дождёв Д.В.*, Римское частное право, М., 2002, 361.

<sup>101</sup> *ნადარეიშვილი გ.*, რომის სამოქალაქო სამართალი, თბ., 2003, 65.

<sup>102</sup> მანციპაციის წესით შეიძინებოდა *res mancipi*-ის კატეგორიის ნივთები (მიწის ნაკვეთები იტალიაში, ნაგებობები, მონები, მუშა-პირუტყვი, სასოფლო მიწის ნაკვეთზე არსებული სერვიტუტები). მანციპაციის რიტუალში მონაწილეობდნენ ნივთის გამყიდველი (ვენდიტორი), შემძენი (ემპტორი), მწონავი სასწორით და სპილენძის ფირფიტებით, ასევე 5 სრულწლოვანი რომაელი მოწმის სახით. მყიდველი ხელით ეხებოდა შეძენილ ნივთს და აცხადებდა, რომ ის მას ეკუთვნის ქვირიტული სამართლის მიხედვით, რადგან შეიძინა ფირფიტებით, რომლებიც დააწყო სასწორზე ფასის გადახდის სიმბოლოდ. გამყიდველი თანხმობას სიტყვიერად ან დუმილით გამოხატავდა. *ჩერნილოვსკი ზ.მ.*, სახელმწიფოსა და სამართლის მსოფლიო ისტორია, ტ.1, რუსული გამოცემიდან თარგმნა *გ. ლორიაშ*, თბ., 1992, 93. ცესია მოთხოვნის დათმობა მოხვედრითი სასამართლო პაექრობის ფორმით ხორციელდებოდა. მყიდველი მოსარჩელის როლში გამოდიოდა და მისთვის კუთვნილი ნივთის დაბრუნებას ითხოვდა. გამყიდველი

მესაკუთრის მფლობელობა მართლზომიერია. საკუთრების, როგორც ნივთზე სრული ბატონობის, შინაარსი ნივთით სარგებლობის, მისგან ნაყოფისა და შემოსავლის მიღების, ნივთის განკარგვის შესაძლებლობებთან ერთად გულისხმობდა მასზე ფლობისა და ნივთის უკანონო მპყრობელ-მფლობელისგან გამოთხოვის შესაძლებლობას.<sup>103</sup>

მესაკუთრის მსგავსად, საკუთრად ფლობის განზრახვა აქვს არამართლზომიერ მფლობელს, რომელიც შესაძლოა, იყოს კეთილსინდისიერი ან არაკეთილსინდისიერი. კეთილსინდისიერი მფლობელი თავს მესაკუთრედ მიიჩნევს, რადგან არ იცის და არც შეიძლება იცოდეს, მფლობელობის უკანონობის შესახებ. კერძოდ, მან არ იცის იმის თაობაზე, რომ ნივთი შეიძინა მის გასხვისებაზე არაუფლებამოსილისგან, პირისგან, ვისთანაც ნივთი აღმოჩნდა მესაკუთრის ნებით (მაგალითად, პრეკარისტის,<sup>104</sup> შემნახველის, დამქირავებლის, მოიჯარის, ქონების მმართველის მიერ მათთვის სამართლებრივი საფუძველით გადაცემული ქონების გასხვისება; მემკვიდრის მიერ სამკვიდრო ქონებად მიჩნეული იმ ნივთის განკარგვა, რომელიც მამკვიდრებელს ათხოვეს, მიაქირავეს ან შესანახად მიაბარეს),<sup>105</sup> ან ნების წინააღმდეგ (ნაპოვარის ან მოპარული ნივთის გასხვისება). საპირისპიროდ, არაკეთილსინდისიერმა მფლობელმა, ნივთის უკანონო მიმტაცებელ-მიმთვისებელმა (მაგალითად, ქურდი, ნაპოვარის მიმთვისებელი), იცის, რომ ნივთი მას არ ეკუთვნის, თუმცა გარშემომყოფთ თავს მესაკუთრედ აჩვენებს.

## 12. მატერიალური ელემენტი (corpus possessionis) ობიექტთან დაკავშირებით

### 12.1. მფლობელობის ობიექტი – ბრუნვაუნარიანი ნივთი

მფლობელობა ხორციელდებოდა იმ ნივთებზე, რომლებზეც დასაშვები იყო საკუთრების უფლების წარმოშობა. მფლობელობის ობიექტებს არ შეადგენდნენ სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული საგნები: 1) ნივთები, რომლებიც ბუნებრივი თვისებების ან სპეციალური დანიშნულების გამო საერთო კუთვნილებად ითვლებოდა, მაგალითად, ჰაერი, ზღვა, მისი ნაპირი, მდინარეები; 2) საჯარო ნივთები, რომელთა მესაკუთრე ქალაქის თემი –კორპორაცია იყო: ა) სახელმწიფოებრივი მიზნებისთვის გათვალისწინებული ნივთები, მაგალითად, ციხეები; ბ) საზოგადოებრივი სარგებლობის ნივთები: საჯარო გზები, თეატრები, მოედნები, აბანოები; 3) საღმრთო (საკრალური) ნივთები: რელიგიური

---

განზრახ დუმდა, რაც მოსარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი იყო. *ნადარეიშვილი გ.*, რომის სამოქალაქო სამართალი, თბ., 2003, 73.

<sup>103</sup> *Новицкий И. Б.*, Римское право, М., 2001, 92.

<sup>104</sup> რომში პრეკარიუმი ჩამოყალიბდა მიწის მცირე ნაკვეთების მესაკუთრეთა მიერ მიწის გადაცემით ვრცელი სამფლობელოების მეპატრონეთათვის სახელმწიფო გადასახადის თავიდან აცილების მიზნით, შემდეგ მათგან უსასყიდლოდ სარგებლობისთვის უკან მიღების პირობით. *Пухан И., Поленак-Акимовская М.*, Римское право, М., 1999, 47.

<sup>105</sup> რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, წ.2. ტ.6. მ.4. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო *ნ.ხურგულაძემ*, რედ. *გ.მეტრეველი*, თბ., 2002, 72.

(ეკლესიები, შესაწირი ადგილები) და წმინდა ნივთები (ქალაქის კარი, გალავანი).<sup>106</sup>

რომის სამართალში მფლობელობის ობიექტური ელემენტი განისაზღვრა პირის ნივთთან ისეთ დამოკიდებულებად, როგორც მესაკუთრეს საკუთარი ქონების მიმართ წესისამებრ გააჩნია და სამეურნეო გარემოში ნივთის არსებობაზე მიუთითებს. მაგალითად, თუ სამშენებლო მასალა ჭიშკრის წინ არის მოთავსებული, ივარაუდება, რომ ის სახლის მესაკუთრის მფლობელობაშია, რადგან ამ ნივთებისათვის ეს მდგომარეობა ბუნებრივია. გარეული ცხოველები და ფრინველები მანამ იმყოფებოდნენ მფლობელობაში, სანამ ისინი ზედამხედველობის ქვეშ იყვნენ, მაგალითად, გალიაში, ხოლო შინაური პირუტყვი, თუნდაც ეზოდან გასული, მფლობელობაში რჩებოდა, მთავარი იყო, მას შინ დაბრუნების ჩვევა არ დაეკარგა.<sup>107</sup>

## 12.2. უსხეულო ნივთების მფლობელობა

თავდაპირველად მფლობელობის ობიექტებს სხეულებრივი (ლათ. *res corporales*) ნივთები შეადგენდნენ, თუმცა შემდგომ, შესაძლო გახდა უსხეულო ნივთებზე (ლათ. *res incorporales*), ანუ უფლებაზე მფლობელობის განხორციელება. რომაელი იურისტის გაიუსის მოსაზრებით, პირველ კატეგორიას მიეკუთვნებიან ნივთები, რომელთაც ფიზიკური არსებობა სამართლებრივი დანაწესებისაგან დამოუკიდებლად შეუძლიათ (ქონებრივი ღირებულების მატერიალური საგნები, რომელთა შეხება მათი ბუნებრივი თვისებების გამო შესაძლოა),<sup>108</sup> ხოლო უსხეულო ნივთები მხოლოდ სამართლებრივი დებულებების მეშვეობით მოიაზრებიან ადამიანთა შორის ურთიერთობებში.<sup>109</sup> ასეთებია, ქონებრივი უფლებები: სამემკვიდრეო, სანივთო (უზუფრუქტი, საქალაქო და სასოფლო მიწის ნაკვეთებზე არსებული სერვიტუტები) და ვალდებულებითი უფლებები, მიუხედავად იმისა, რომ სამკვიდრო სხეულებრივი ნივთებისაგან შედგება, მიწით სარგებლობით მიღებული ნაყოფი სხეულებრივია და ვალდებულებითი უფლების საფუძველზე მიღებული სიკეთეც ხშირად სხეულებრივი ნივთია.<sup>110</sup>

უსხეულო ნივთებზე მფლობელობა ამ ინსტიტუტის ტრადიციულ გააზრებას არ შეესაბამებოდა. უფლების მფლობელს, მაგალითად, სერვიტუტის უფლების მქონე პირს არ გააჩნდა არც *animus possessionis*, რადგან ის ნივთით მესაკუთრესთან შეთანხმებით სარგებლობდა და არც *corpus possessionis*, რადგან ამ უფლების განხორციელება უწყვეტი, რეალური ბატონობის მდგომარეობას გამორიცხავდა. ამ ვითარების გათვალისწინებით, რომაელმა იურისტებმა შექმნეს ე.წ. კვაზი მფლობე-

<sup>106</sup> რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიკესტები, წ.1.ტ.8.1. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ნ. სურგულაძემ*, რედ. *გ. მეტრეველი*, თბ., 2000, 58-59.

<sup>107</sup> *Новицкий И. Б., Перетерский И. С.*, (ред.), Римское частное право, М., 1948, 71.

<sup>108</sup> რომაელი იურისტები ნივთზე საკუთრების უფლებას თავად ნივთისაგან მკვეთრად არ მიჯნავდნენ, რის გამოც საკუთრება მათთან სხეულებრივი ნივთების კატეგორიაში მოიაზრება. *Новицкий И. Б., Перетерский И. С.*, (ред.), Римское частное право, М., 1996, 147.

<sup>109</sup> *Пухан И., Поленак-Акимовская М.*, Римское право, М., 1999, 136.

<sup>110</sup> რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, წ.2, ტ.2, მ. 1, 2, 3., ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო *ნ. სურგულაძემ*, რედ. *გ. მეტრეველი*, თბ., 2002, 65.

ლობის თეორია, რომლის ძალით, სხეულებრივ ნივთებზე მფლობელობას გაუთანაბრდა უფლებით სარგებლობა. კერძოდ, პირი, რომელიც საკუთრად სარგებლობის განზრახვით უფლებით რეალურად სარგებლობდა, უფლების მფლობელად მიიჩნეეს, რადგან სარგებლობის ფაქტი – ნივთით ფაქტობრივ ბატონობას, ხოლო საკუთრად სარგებლობის სურვილი – საკუთრად ფლობის განზრახვას გაუთანაბრდა.<sup>111</sup>

## 2. მფლობელობის წარმოშობა და შეწყვეტა

რომის სამართალი მფლობელობის დაფუძნებისთვის მისი ორივე ელემენტის არსებობას მოითხოვდა. თავდაპირველად, მფლობელობა ნივთთან სივრცობრივი კავშირ-ურთიერთობით იზომებოდა,<sup>112</sup> ანუ მისი მატერიალური კომპონენტი ნივთის ფიზიკურ შემხებლობას, მის დაუფლებას გულისხმობდა, რომელიც შესაძლოა ყოფილიყო პირველადი (წინა მფლობელის ნებისგან დამოუკიდებლად) და ნაწარმოები (ძველ მფლობელთან შეთანხმებით).<sup>113</sup>

### 2.1. პირველადი წარმოშობა

მფლობელობის მოპოვების პირველადი გზა – ნივთის დაუფლება, შემდგომ საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველი გახდა occupatio-ის, ნაპოვარის და განძის აღმოჩენის მეშვეობით. პირველ შემთხვევაში, უპატრონო ნივთის (საგანი, რომელსაც მესაკუთრე არ ჰყოლია ან მან ნივთზე უარი განაცხადა მისი მიტოვების გზით) საკუთრად ფლობის განზრახვით დაუფლება, მასზე აბსოლუტურ უფლებას წამოშობდა. ასე იძენდნენ საკუთრებას გარეულ ცხოველსა და ფრინველზე, მდინარეში თევზზე, პირველად აღმოჩენილ მიწასა და ზღვის ნაპირას ნანახ ძვირფას ქვებზე.<sup>114</sup> უპატრონობის თვისება ვრცელდება ნაპოვარსა და განძზეც. ნაპოვარი – დაკარგული, განძი – განზრახ დაფლული ან სხვანაირად დამალული მოძრავი ნივთია, რომლის მესაკუთრე უცნობია. პირველ შემთხვევაში, პატრონის გამოჩენა მეტადაა სავარაუდო, თუმცა დაკარგული ნივთი მისი პოვნისგან გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ უპატრონო ქონებად იქცევა.<sup>115</sup> რომის სამართალი ასეთად მიიჩნევდა განძსაც, მისი მესაკუთრის დადგენის შეუძლებლობის გამო.<sup>116</sup>

### 2.2. ნაწარმოები საშუალება

მფლობელობის მოპოვების ნაწარმოები საშუალება ნივთის გადაცემით – traditio, მფლობელობის დაფუძნებას გულისხმობდა. რომში მის მარტივ ფორმასთან ერთად, რაც ნივთის ხელიდან-ხელში გადაცემას

<sup>111</sup> Пухан. И., Поленак – Акимовская М., Римское право, М., 1999, 166.

<sup>112</sup> ზოდუ ბ., საწივთო სამართალი, თბ., 1999, 39.

<sup>113</sup> Муромцев С., Гражданское право древнего Рима, Тип. Мамонтова А.М., М., 1883, 110.

<sup>114</sup> ნერხილოვსკი ზ.მ., სახელმწიფოსა და სამართლის მსოფლიო ისტორია, თბ., 1992, 104.

<sup>115</sup> ზოდუ ბ., საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველები ძველ ქართულ სამართალში (ნაპოვარი და განძი), პროფ. სერგო ჯორბენაძის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1996, 202.

<sup>116</sup> Барон Ю., Система римского гражданского права, СПб., 1908, 57.

ნიშნავდა, სამოქალაქო ბრუნვის განვითარების შედეგად „ტრადიციოს“ აბსტრაქტული ფორმები დამკვიდრდა: 1) გრძელი ხელით გადაცემა მოძრავი ნივთის ძველი მფლობელი შემძენს მიუთითებდა ნივთზე და მისი აღების ნებას რთავდა. მიწის ნაკვეთზე მფლობელობის დაფუძნებისთვის საკმარისი იყო ნაკვეთის ერთ ნაწილზე მისვლა ან შემძენისათვის ნაკვეთის მაღალი ადგილიდან ჩვენება; 2) მოკლე ხელით გადაცემა ნივთზე მფლობელობა მოიპოვებოდა მხოლოდ მფლობელთან შეთანხმებით ნივთის დაუფლების გარეშე, რადგან ამ მოქმედებას უკვე ჰქონდა ადგილი შემძენის მხრიდან, მაგალითად, დამქირავებელი, მონათხოვრე ან შემნახველი მესაკუთრისგან იძენდა ნივთს შესაბამისი ხელშეკრულების ვადის გასვლამდე;<sup>117</sup> 3) ნივთის სიმბოლური გადაცემა, რომელიც უთანაბრდებოდა რეალურ გადაცემას, მაგალითად, საწყობში არსებულ საქონელზე მფლობელობის მოპოვება შესაძლო იყო საწყობთან ახლოს საწყობის გასაღების გადაცემით.<sup>118</sup>

### 2.3. მფლობელობის დაფუძნება წარმომადგენლის მეშვეობით

მარტივი სასაქონლო ურთიერთობების პირობებში მფლობელობა ფუძნდებოდა პირის მიერ დამოუკიდებულად: „ჩვენ მოვიპოვებთ მფლობელობას ჩვენივე მეშვეობით“, აცხადებდნენ რომელიც იურისტები. გართულებული ეკონომიკური ბრუნვის შედეგად, ამ პროცესში სხვა პირთა დახმარება აუცილებელი გახდა. კანონისმიერი (tutor) და სახელშეკრულებო წარმომადგენლების (procurator) მეშვეობით წარმომადგენლობის ინსტიტუტის ფუნქციონირებას წინ უძღოდა მშობლების ხელისუფლებას დამორჩილებული შვილებისა და უფლებო ადამიანების–მონების მიერ განხორციელებული მფლობელობა მშობლებისა და პატრონების სასარგებლოდ.<sup>119</sup>

წარმომადგენლისთვის უფლებამოსილების მინიჭებით, მფლობელობის დაფუძნების მსურველი საკუთრად ფლობის ნებას გამოხატავდა, ხოლო მატერიალური კომპონენტი წარმომადგენლის მიერ უნდა განხორციელებულიყო: „ჩვენ მოვიპოვებთ მფლობელობას თუ გვაქვს ნება მფლობელობისა, ფაქტობრივი მხარე შეიძლება განხორციელდეს ან ჩვენს მიერ, ან სხვა პირთა მეშვეობით“.<sup>120</sup> წარმომადგენლის საშუალებით დაფუძნებული მფლობელობის სახედ მიიჩნევა შემთხვევა, როდესაც მესაკუთრე ნივთის გასხვისებისას შემძენს შეუთანხმდება, რომ ნივთი დარჩეს მასთან რაიმე სამართლებრივი საფუძვლით ვადიან სარგებლობაში. ითვლება, რომ შემძენისთვის, რომელსაც მფლობელობის ნებით ელემენტი გააჩნია, მფლობელობას მოიპოვებს ყოფილი მესაკუთრე ნივთზე რეალური ბატონობის განხორციელებით.<sup>121</sup>

### 2.4. მფლობელობის შეწყვეტა

მფლობელობა წყდებოდა მფლობელობის ელემენტების არ არსებობისას. ორივე კომპონენტის გაუქმებას ადგილი ჰქონდა ნივთის

<sup>117</sup> Новицкий И. Б., Римское право, М., 2001, 76.

<sup>118</sup> Санфлиппо Ч., Курс римского частного права, М., 2001, 186.

<sup>119</sup> მეტრეველი ვ., რომის სამართალი, თბ., 1995, 48.

<sup>120</sup> Новицкий И. Б., Римское право, М., 1998, 81.

<sup>121</sup> Санфлиппо Ч., Курс римского частного права, М., 2001, 188.

მიტოვების, მისი გასხვისების, ნივთის განადგურების ან მფლობელის გარდაცვალებისას. მფლობელობის ხელყოფისას სამართალდარღვევის გზით, მატერიალური კომპონენტი წყდება, ხოლო ნებით ელემენტი არსებობას განაგრძობდა. მიუხედავად ამისა, ეს მდგომარეობა მფლობელობის შეწყვეტად განიხილებოდა. განზრახვის არარსებობაზე მიუთითებდა მიწის დაუმუშავებლობა, მისი დიდი ხნით მიტოვება, რითაც მფლობელობა უქმდებოდა. თუ პირი მიწის მფლობელის არყოფნით ისარგებლებდა და ნივთს დაეპატრონებოდა, მფლობელობა იმ შემთხვევაში შეწყდებოდა, თუ სამართალდარღვევის შესახებ შეტყობისას, მფლობელი სამართლებრივი დაცვის საშუალებებს არ მიმართავდა.

წარმომადგენლის მეშვეობით მოპოვებული მფლობელობა წყდებოდა, თუ არც მას და არც მარწმუნებელს რეალური ბატონობის განხორციელების შესაძლებლობა არ ჰქონდათ. წარმოდგენილი პირის გარდაცვალებით ან ქმედუუნარობით მფლობელობა უქმდებოდა, ხოლო მხოლოდ წარმომადგენლის მიმართ ამ ფაქტების დადგომისას, მფლობელად მარწმუნებელი მიიჩნეოდა.<sup>122</sup>

### 3. მფლობელობის ინტერდიქტული დაცვა

#### 3.1. პრეტორის განკარგულება – სოციალური მშვიდობის დაცვის საშუალება

რომის სამართალში პირის მფლობელად აღიარება მის სამართლებრივ დაცვას უკავშირდებოდა. ადრესახელმწიფოებრიობის ხანაში მფლობელობის დაცვა კერძო საქმედ მიიჩნეოდა. მას დაინტერესებული პირი ხელმყოფთან თვითგასწორებით ახორციელებდა. დროთა განმავლობაში დაცვის ფუნქცია სახელმწიფო ორგანოთა ხელში გადავიდა. ჩვ.წ.აღ.-მდე მე-4 საუკუნეში კანონით აიკრძალა მფლობელობის თვითნებურად აღდგენა, ნივთზე საკუთრების უფლების არსებობის საფუძვლით, სხვისთვის წართმევის გზით.<sup>123</sup> ამ დანაწესის დამრღვევი ნივთზე საკუთრებას დაკარგავდა, ხოლო მისი არ არსებობის დამტკიცებისას, ნივთის ღირებულების ოდენობით ჯარიმის გადახდა დაეკისრებოდა.<sup>124</sup>

მფლობელობის, როგორც პირის ნივთთან დაკავშირებით ფაქტობრივად ჩამოყალიბებული წესრიგის, როგორც საზოგადოებრივი სიმშვიდის, მოწესრიგებული თანაცხოვრების საფუძვლის,<sup>125</sup> თავდაპირველი სამართლებრივი დაცვის საშუალება სასამართლო მაგისტრატის, პრეტორის<sup>126</sup> ინტერდიქტი (*interdicere* – ლათ. აკრძალვა) იყო. ის აისა-

<sup>122</sup> *Новицкий И. Б., Перетерский И. С.*, (ред.), Римское частное право, М., 1948, 73.

<sup>123</sup> საპირისპიროდ დაშვებული იყო თვითდაცვა, მფლობელის ან მჭერის მიერ მფლობელობის ხელყოფის აღკვეთა. *Новицкий И. Б., Перетерский И. С.*, (ред.), Римское частное право, М., 1996, 52.

<sup>124</sup> *Новицкий И. Б.*, Римское право, М., 1998, 33.

<sup>125</sup> *Endemann*, Lehrbuch des burg Rechts, T. I, 1905, 128-129. მითითებულია: *Покровский И. А.*, Основные проблемы гражданского права, М., 1998, 226.

<sup>126</sup> ჩვ.წ.აღ.-მდე 367 წელს რომში პრეტორის (ურბანუსების პრეტორი) თანამდებობა დაწესდა. რომაელების მიმართ მართლმსაჯულების განხორციელებისას პრეტორს უნდა შეეცვალა კონსული, რომელსაც სშირად უხდებოდა ქვეყნიდან გასვლა სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის გამო. *ნადარეიშვილი გ.*, რომის სამოქალაქო სამართალი, თბ., 2003, 267.

ხებოდა პრეტორის მიერ თანამდებობის დაკავებისას გამოცემულ ედიქტში, რომელიც მაგისტრატის საქმიანობის პროგრამას წარმოადგენდა. პრეტორის ედიქტში არ იყო მოცემული უფლების წარმოშობისა და შეწყვეტის საფუძვლები, მასში მითითებული იყო ის წანამძღვრები, რომლებიც მფლობელისთვის სამართლებრივი დაცვის მინიჭებას განაპირობებდნენ (პოკროვსკი).<sup>127</sup> ინტერდიქტები ანუ პრეტორის განკარგულებები თავდაპირველად, ზეპირი, შემდგომ, წერილობითი ფორმით გაიცემოდა დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, მასში მითითებული ფაქტების შემოწმების შედეგად. ისინი მიზნად ისახავდნენ საზოგადოების წევრთა ინტერესის ხელმყოფი მოქმედებების დაუყოვნებლივ აღკვეთას, მართლწესრიგის დაცვას.

### 3.2. მფლობელობითი ინტერდიქტის ბუნება და სახეები

მფლობელობის ან კვაზი მფლობელობის შესახებ დავის შემთხვევაში, ფაქტობრივი მდგომარეობის შენარჩუნებასა და მფლობელობის აღდგენას მფლობელობითი ინტერდიქტი ემსახურებოდა. ის იცავდა მფლობელობას მისი სამართლებრივი საფუძვლის, ნივთზე საკუთრების უფლების საკითხისაგან დამოუკიდებლად, მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებების (მფლობელობის არსებობისა და მისი დარღვევის ფაქტები) გათვალისწინებით. მფლობელს არ მოეთხოვებოდა ნივთზე უფლების არსებობის მტკიცება, ხოლო მეორე მხარეს ეკრძალებოდა ამ უფლებაზე დაყრდნობით შედავება.

თავდაპირველად ინტერდიქტები საჯარო ფასეულობის, რელიგიური და წმინდა ნივთების მფლობელობის დასაცავად გამოიყენებოდა, შემდეგ ის კერძო ინტერესებზეც გავრცელდა. ინტერდიქტებით სარგებლობდნენ საზოგადო მიწის *ager publicus*-ის მფლობელები იმ დროს, როდესაც ჯერ არ ჰქონდათ მიწაზე საკუთრების უფლება, შესაბამისად, მისი სასამართლოს გზით დაცვის საშუალება სარჩელი. მფლობელობის დაცვისათვის შექმნილი ინტერდიქტები ორი სახის იყო: აკრძალვითი (პროჰიბიტორული) და აღდგენითი (რესტიტუტორული). თითოეული მათგანი თავის მხრივ, კატეგორიულად იყოფოდა. აკრძალვითი ინტერდიქტი არსებობდა მოძრავ (*interdictum utrubi*) და უძრავ ნივთებთან (*interdictum uti possidetis*) დაკავშირებით. მოძრავ ნივთზე მფლობელობის შენარჩუნებისთვის გათვალისწინებული ინტერდიქტით სარგებლობდა მოდავე მხარეებს შორის ის, ვინც ბოლო წლის განმავლობაში ნივთს მეტ ხანს ფლობდა, ხოლო უძრავზე არსებულით ის, ვინც ინტერდიქტის გაცემის დროს სადავო ნივთს ფლობდა. პროჰიბიტორული ინტერდიქტით ვერ ისარგებლებდა პირი, თუ მისი მფლობელობა მოპოვებული იყო მოპასუხისაგან ძალადობით, ფარულად. ამ გარემოებების დადასტურებისას ინტერდიქტი მეორე მხარეზე გაიცემოდა. მფლობელობის მოპოვების ზემოხსენებული საფუძვლების არსებობა მესამე პირებთან დაკავშირებით ინტერდიქტის გამოყენებას ხელს არ უშლიდა. იმპერატორ იუსტინიანეს სამართალი იცნობდა ერთიან

<sup>127</sup> მოსაზრება მითითებულია: შტაერმანი ე.მ., რომის სამართალი (თარგმანი გ.ნადარეიშვილის), ჟურნ. „სამართალი“, №2, 1992, 78.

პროპიბიტორულ ინტერდიქტს მოძრავ და უძრავ ნივთებთან დაკავშირებით.<sup>128</sup>

აღდგენითი ხასიათის ინტერდიქტიც ორი სახის იყო. ერთი მათგანი იცავდა პირს, რომელსაც უძრავ ნივთზე მფლობელობა ძალით წაართვეს (*interdictum unde vi*), ხოლო მეორე პირს, ვინც პრეკარის საფუძველზე ნივთი სხვას გადასცა და ეს უკანასკნელი აღარ უბრუნებდა (*interdictum de precario*). ამ ინტერდიქტებით სარგებლობას მფლობელობის მოპოვების ხარვეზები ხელს არ უშლიდა.<sup>129</sup>

მფლობელობითი დაცვის არსი, ის რომ მფლობელს არ მოეთხოვებოდა ნივთზე საკუთრების უფლების არსებობის მტკიცება, რაც თავისთავად სირთულეს წარმოადგენდა, განაპირობებდა ერთი მხრივ, იმ გარემოებას, რომ ამგვარი დაცვა ხელსაყრელი იყო მესაკუთრისთვისაც უფლების სასარჩელო დაცვის არსებობის მიუხედავად, მეორე მხრივ, იმ ვითარებას, რომ მფლობელობითი დაცვით არამართლზომიერი მფლობელიც სარგებლობდა. ეს გარემოება საფრთხეს უქმნიდა სამართლის მთავარი მიზნის, კანონისა და წესრიგის დაცვის, განხორციელებას.<sup>130</sup> თუმცა უკანონო მფლობელობა გამონაკლისია იმ ზოგადი წესიდან, რომლის მიხედვით სწორედ მესაკუთრე და მფლობელი იყრის თავს ერთ პიროვნებაში.<sup>131</sup> ამდენად, საკუთრების პრეზუმფციის არსებობის გათვალისწინებით, გამართლებულია მფლობელობის, როგორც საკუთრების წინამდებარე პოზიციის დაცვა, რომელიც საბოლოოდ მის უკან მდგარი აბსოლუტური უფლების დაცვაა.<sup>132</sup>

#### 4. პეტიტორული პროცესის არსი

##### 4.1. პოსესორული დაცვის დროებითი შედეგი

ინტერდიქტული დაცვის შედეგები მხარეთათვის საბოლოო არ იყო. მფლობელობით დაცვას უფლებისგან დამოუკიდებლად, ინტერდიქტების მეშვეობით, არ შეეძლო მყარი მდგომარეობის შექმნა, რადგან გამორიცხავდა უფლების შესახებ საკითხს და მხოლოდ ფაქტობრივი მდგომარეობის დროებით დაცვას ახორციელებდა. ინტერდიქტული დაცვის დროს, მფლობელობის შესახებ დავის გადაწყვეტა სახარბიელო პოზიციაში აყენებდა მოპასუხეს, მფლობელს, რომელიც დადგინდა ინტერდიქტული წარმოებით და ართულებდა მოსარჩელის მდგომარეობას, რომელსაც პროცესუალურად ეკისრებოდა საკუთრების უფლების მტკიცება არა პოსესორულ, არამედ პეტიტორულ პროცესში.<sup>133</sup>

ინტერდიქტის განხორციელების შედეგად უკანონო მფლობელისათვის ნივთის მიკუთვნება, პირს, რომელიც თავს ნივთის მესაკუთრედ თვლიდა, უფლების დაცვის შესახებ პროცესის წამოწყების შესაძლებლობას არ ართმევდა. აქ, ის მფლობელობას ნივთზე უფლებას დაუპირის-

<sup>128</sup> *Гримм Д. Д.*, Лекции по догме римского права, под. ред. *Томсинова В. А.*, М., 2003, 232-233.

<sup>129</sup> *Подопригора А.А.*, Основы римского гражданского права, Киев, 1990; *Анненков К.*, Система русского гражданского права, 2-ое изд., СПб., 1900, 591.

<sup>130</sup> *Покровский И.А.*, Основные проблемы гражданского права, М., 1998, 224.

<sup>131</sup> *ნადარეიშვილი გ.*, რომის სამოქალაქო სამართალი, თბ., 2003, 87.

<sup>132</sup> *ზოიძე ბ.*, მფლობელობა ძველი ქართული სამართლის მიხედვით, ჟურნ. „აღამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2004, 11.

<sup>133</sup> *Дождев Д.В.*, Римское частное право, М., 2002, 208.



პირებდა, მტკიცების ტვირთი მოსარჩელის მხარეზე იყო, ხოლო მფლობელის სასარგებლოდ მფლობელობის ფაქტი მეტყველებდა.<sup>134</sup> ამგვარად, მფლობელი პრიორიტეტულ მდგომარეობაში იყო იმასთან შედარებით, ვინც არ ფლობდა. კეთილსინდისიერებისა და კანონიერების პრეზუმფცია თავად მფლობელობის ფაქტიდან გამომდინარეობდა და მეორე მხარეს, რომელიც ნივთზე პრეტენზიას აცხადებდა, საპირისპირო უნდა ემტკიცებინა.<sup>135</sup>

## 4.2. სავინდიკაციო სარჩელის პირველადი ფორმა

რომში სამართალწარმოების თავდაპირველი ფორმა ლეგისაქციური პროცესი იყო (*legis actio* – კანონიერი სარჩელი).<sup>136</sup> აქ წარმოიშვა სანივთო სამართლებრივი ხასიათის სავინდიკაციო სარჩელი არამფლობელი მესაკუთრისა მფლობელი არამესაკუთრის წინააღმდეგ ნივთის გამოთხოვის შესახებ. ლეგისაქციური პროცესი გამოირჩეოდა ფორმალიზმით, რაც გამოიხატებოდა მხარეთა მიერ გარკვეული რიტუალის შესრულებაში, ფრაზების წარმოთქმაში.<sup>137</sup> სავინდიკაციო სარჩელის უძველესი ფორმა გულისხმობდა შემდეგს: მოდავე მხარეები მაგისტრატთან ცხადდებოდნენ, პრეტენზიებს კანონთან შესატყვისი განსაზღვრული წინადადებებით გადმოსცემდნენ, სადავო ნივთზე უფლების არსებობაზე სიმბოლურად, ნივთზე ჯოხის (ლათ. *Vindiktas*) დადებით მიუთითებდნენ და საკუთარი მოთხოვნების გასამტკიცებლად განსაზღვრულ თანხას იხდიდნენ. ამის შემდეგ, პრეტორი სარჩელის კანონთან შესაბამისობის საკითხს არკვევდა და დადებითი პასუხის შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, მოსამართლეს ნიშნავდა. ამით პროცესის პირველი ეტაპი (*in iure*) სრულდებოდა. მომდევნო სტადიაზე (*in iudicio*) მოსამართლე საქმეს არსებითად განიხილავდა და გადაწყვეტილებას იღებდა. სასამართლოს მიერ სავინდიკაციო სარჩელის დაკმაყოფილებისას განსხვავებული იყო კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერი მფლობელის პასუხისმგებლობის ფარგლები.

## 4.3. კეთილსინდისიერება და არაკეთილსინდისიერება საკუთრების პირისპირ

კეთილსინდისიერი მფლობელობა, მიუხედავად იმისა, რომ არამართლზომიერი სანივთო მდგომარეობა და ობიექტური სამართალდარღვევაა (იერინგი),<sup>138</sup> არ წარმოადგენს თვითნებობას. კეთილსინდისიერი მფლობელი არ უარყოფს მესაკუთრეში საკუთრების იდეას.

<sup>134</sup> *იოჟე ო.ს., ნადარეიშვილი გ.*, რომის სამოქალაქო სამართლის საფუძვლები, რუსული გამოცემიდან თარგმნა გ. ნადარეიშვილმა, თბ., 1994, 82.

<sup>135</sup> *Омельченко О.*, Римское право, [http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Pravo/omelch/01.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Pravo/omelch/01.php). 7. 07. 2011.

<sup>136</sup> ამ პროცესის სახელწოდება რომაელი იურისტის გაიუსის მოსაზრებით, განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მხარეები პრეტორის წინაშე მოთხოვნებს კანონის ტექსტთან შესაბამისი ფრაზებით გადმოსცემდნენ. ხოლო რეკლუციამდელი რუსი იურისტის პოკროვსკის განმარტებით, იმ გარემოებამ, რომ მხარეები დავის გადაწყვეტისთვის ძალადობას კი არ მიმართავდნენ, არამედ კანონიერი საშუალებებით მოქმედებდნენ. *Новицкий И.Б.*, Римское право, М., 2001, 34.

<sup>137</sup> *Машкин Н. А.*, История древнего рима, М., 1949, 16.

<sup>138</sup> მოსაზრება მითითებულია: *კანტურია ლ.*, უძრავი ნივთების საკუთრება, თბ., 1994, 37.

პირიქით, ის თვლის თავს მესაკუთრედ და თავად მიმართავს ამ იდეას, მოუწოდებს მას თავისი უფლების მოწმედ. ხოლო არაკეთილსინდისიერი მფლობელი მესაკუთრეში მესაკუთრეობის უარყოფით, საკუთრების იდეას და შესაბამისად, პიროვნების არსებობის ერთ-ერთ თვალსაჩინო პირობას უგულვებელყოფს.<sup>139</sup>

რომის სამართალი შეუზღუდავი ვინდიკაციის პრინციპს განამტკიცებდა, რადგან რომაელ იურისტთა მოსაზრებით, არავის შეეძლო სხვისთვის იმაზე მეტი უფლების გადაცემა, რაც თავად გააჩნდა, ე.ი. თუ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე, ვერც შემძენი გახდებოდა ნივთზე აბსოლუტური უფლების მქონე.<sup>140</sup>

სავინდიკაციო სარჩელის საგანი იყო ნივთი ნაყოფთან ერთად. კეთილსინდისიერი მფლობელი ნივთის მდგომარეობისთვის პასუხს აგებდა სარჩელის აღძვრის შემდეგ, კერძოდ, მისი ბრალეული მოქმედებით ნივთის განადგურებისას ან დაზიანებისას მოვალე იყო ზიანი აენაზღაურებინა. რაც შეეხება ნაყოფს, ის აბრუნებდა არსებულ ნაყოფს, მიღებულს, როგორც სარჩელის აღძვრამდე, ისე მას შემდეგ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ასევე გასხვისებული, მოხმარებული ან ბრალეულად მიუღებელი ნაყოფის ღირებულებას. ამ შედეგის თავიდან ასაცილებლად მფლობელს შეეძლო გამსხვისებლის ჩაბმა პროცესში. მისი მხრიდან უარის თქმის ან უშედეგოდ ჩარევის შემთხვევაში, შემძენი უფლებამოსილი იყო მისთვის ნივთის ორმაგი ღირებულების გადახდა მოეთხოვა ნივთის ვიკციისთვის.

თავის მხრივ, კეთილსინდისიერ მფლობელს მესაკუთრის მიმართ ნივთის შენახვისა და გაუმჯობესებისთვის გაღებული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გააჩნდა. ფუფუნებისათვის ხარჯის გაწვევისას, მისი უფლება შემოიფარგლებოდა ნივთისგან შემატებული ნაწილის გამოცალკევებით, თუ ეს შესაძლო იყო ნივთის დაუზიანებლად. მესაკუთრის მხრიდან ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობამდე კეთილსინდისიერი მფლობელს ნივთის დაკავების უფლება ჰქონდა. არაკეთილსინდისიერი მფლობელის პასუხისმგებლობა წესდებოდა მფლობელობის მთელი პერიოდის გათვალისწინებით. თუ სარჩელის აღძვრამდე ნივთის განადგურების, დაკარგვისა და დაზიანებისათვის მფლობელი პასუხს აგებდა მხოლოდ ბრალეული მოქმედებისას, მისთვის სარჩელის წარდგენის შემდეგ, ის პასუხისმგებელი იყო შემთხვევითობისთვისაც. არაკეთილსინდისიერი მფლობელი მოვალე იყო ნივთთან ერთად დაებრუნებინა მიღებული და არსებული ნაყოფი, ასევე, მოხმარებული, გასხვისებული და ბრალეულად მიუღებელი ნაყოფის ღირებულება.<sup>141</sup>

სავინდიკაციო სარჩელით მოპასუხე შესაძლოა ყოფილიყო ასევე, ე.წ. *fictus possessor* ან მჭერი. ფიქტიური მფლობელია პირი, რომელიც ნივთს რეალურად არ ფლობს, მაგრამ მფლობელად განიხილება, მაგალითად, პირი, ვინც სარჩელის თავიდან აცილების მიზნით, ნივთის მიტოვებით მასზე მფლობელობა შეწყვიტა. მჭერს უფლება ჰქონდა სასამართლო პროცესზე დაესახელებინა მფლობელი, ვისი სახელითაც ჭერა-პერობას

<sup>139</sup> იერინგი რ., ბრძოლა უფლებისათვის, წინათქმა და რუსული გამოცემიდან თარგმანი ზ. ნანობაშვილისა, რედ. ბ.ზიცი, თბ., 2000, 49.

<sup>140</sup> Новицкий И. Б., Римское право, М., 1998, 81.

<sup>141</sup> Дождев Д. В., Римское частное право, М., 2002, 393.

ახორციელებდა და ამით, მოპასუხის ტვირთისგან განთავისუფლებულიყო.<sup>142</sup>

## 5. მფლობელობითი ხანდაზმულობა (მნიშვნელობა და პირობები)

რომის სამართლის მიხედვით კეთილსინდისიერ მფლობელთა სასარგებლოდ შექმნილი ხანდაზმულობა (*usucapio*) მოქმედებდა, კერძოდ, კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ, შესატყვისი ნივთის, კანონით დადგენილი ვადით უწყვეტი ფლობა, ნივთზე საკუთრებას წარმოშობდა. ამ ინსტიტუტის დამკვიდრება საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარეობდა: საკუთრებით ურთიერთობაში ხანგრძლივად ან მუდმივად გაურკვეველობას ადგილი არ უნდა ჰქონოდა, რათა ხელი შეწყობოდა საზოგადოებრივი დოვლათის მატებას სამეურნეო სიკეთის ჭეშმარიტ დესტინატურთან – ნივთის მფლობელთან განმტკიცებით.<sup>143</sup>

შექმნილი ხანდაზმულობის სუბიექტი თავდაპირველად – რომაელი, ხოლო მისი ობიექტი – ბრუნვაუნარიანი სხეულებრივი ნივთი იყო. მოგვიანებით, უცხოელებისთვის დაწესდა ხანდაზმულობის ახალი სახე – *Longi temporis praescriptio*. ეს ინსტიტუტი *usucapio*-გან შინაარსობრივად განსხვავდებოდა. კერძოდ, ის მფლობელის მხარეზე საკუთრების უფლებას კი არ წარმოშობდა, არამედ ვადის გასვლის გამო მესაკუთრე უძღური იყო ნივთი მფლობელის ხელიდან გამოეთხოვა, რის შედეგადაც ნივთი მფლობელის ქონების შემადგენლობაში (*in bonis*) განმტკიცდებოდა.

რომის სამართლით დაშვებული იქნა *usucapio*-ის გზით უსხეულო ნივთზე, მაგალითად, სერვიტუტზე, უფლების შექმნაც, კერძოდ, თუ უფლებაზე მფლობელობა ხორციელდებოდა 10 ან 20 წლის განმავლობაში, იმის მიხედვით, სერვიტუტის უფლების მქონე პირი და დატვირთული ნივთის მესაკუთრე ერთსა და იმავე, თუ სხვადასხვა პროვინციაში ცხოვრობდნენ.<sup>144</sup>

შექმნილი ხანდაზმულობით პირი ვერ შეიძენდა ნაქურდად, მიტაცებულ, ბრუნვიდან ამოღებულ ნივთებს, თავისუფალ ადამიანსა და გაქცეულ მონას. რომის სამართალი მფლობელის კეთილსინდისიერებას ნივთის გადაცემის მომენტისათვის მოითხოვდა. ამის შემდეგ, მფლობელობის განმავლობაში მისი უკანონობის შეტყობა, ამ ინსტიტუტის მოქმედებას არ აფერხებდა. იმპერატორ იუსტინიანეს მიერ შემოღებული ე.წ. ექსტრორდინალური ხანდაზმულობის ძალით, მფლობელს კეთილსინდისიერების მტკიცება არ მოეთხოვებოდა, რადგან აღნიშნული ივარაუდებოდა და საპირისპიროს დამტკიცება მეორე მხარეს ეკისრებოდა. მფლობელობას უნდა ჰქონოდა სამართლებრივი საფუძველი, რომელსაც მოქმედი სამართალი საკუთრების წარმოშობას უკავშირებდა (მაგალითად, ნასყიდობა, გაცვლა, ჩუქება, მემკვიდრეობა). ამასთან, ამ საფუძველს ნაკლი გააჩნდა (მაგალითად, გამსხვისებელი ნივთის მესაკუთრე არ იყო), წინააღმდეგ შემთხვევაში, მფლობელს ხანდაზმულობა არ დასჭირდებოდა, რადგან საკუთრებას თავად ამ საფუძველით შეიძენდა. რაც შეეხება შექმნილი ხანდაზმულობის ვადებს, XII ტაბულის კანონებით უძრავ ნივთებთან დაკავშირებით დადგენილი იყო 2 წელი,

<sup>142</sup> *Гримм Д. Д.*, Лекции по догме римского права, М., 2003, 258.

<sup>143</sup> *Петражицкий Л.И.*, Права добросовестного владельца на доходы с точек зрения догмы и политики гражданского права, под. ред. *Долгова А. Г., Роговой Е.С.*, М., 2002.

<sup>144</sup> *Гримм Д. Д.*, Лекции по догме римского права, М., 2003, 275.

მოძრავი ნივთების მიმართ –1 წელი: თუ პირი მეორე პირისგან, რომელიც მესაკუთრე არ იყო, მაგრამ მას იგი მესაკუთრედ თვლიდა, ნივთს ნასყიდობის, ჩუქების თუ სხვა რომელიმე კანონიერი საფუძვლით შეიძენდა, იგი მფლობელობის ხანდაზმულობით საკუთრების უფლებას მოიპოვებდა ამ ნივთზე.<sup>145</sup> Longi temporis praescriptio-ის მიერ შემოღებული იქნა 10 წლიანი და 20 წლიანი ვადა, იმის მიხედვით, მესაკუთრე და მფლობელი ერთსა და იმავე, თუ სხვადასხვა პროვინციაში ცხოვრობდნენ. იუსტინიანეს მიერ ამ ორი ინსტიტუტის გაერთიანებით შექმნილი ე.წ. usucapio ordinaria-ის ძალით, მოძრავ ნივთებზე 3 წლიანი ვადა დაწესდა, ხოლო უძრავთან დაკავშირებით praescriptio-ის მიერ დადგენილი ვადები იქნა გადმოტანილი.

შეძენითი ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობას წყვეტდა მფლობელობის ხელყოფა, სამართლებრივი საფუძველის დაკარგვა და არა სარჩელის წარდგენა. ამდენად, შესაძლო იყო მოპასუხე პროცესის მსვლელობისას მესაკუთრე გამხდარიყო. რომის სამართლით დაშვებული იყო ხანდაზმულობის ვადის გამოთვლისას უფლებრივი წინამორბედისა და უფლებამემკვიდრის მფლობელობის ვადების შეჯამება, როგორც სამემკვიდრეო, ისე სახელშეკრულებო ურთიერთობაში.

## 6. პრეტორული სარჩელის წარმოშობა და მისი თავისებურება

### 6.1. უნივერსალური ბუნების მქონე სამართლის აუცილებლობა

დროთა განმავლობაში რომი მარტივი საზოგადოებრივი და სამეურნეო წყობის მქონე თემიდან მსოფლიო პოლიტიკური ცხოვრებისა და ეკონომიკური ურთიერთობების ცენტრად იქცა. ნაციონალურის მაღალი შეგნებით ნასაზრდოები, საზოგადოებრივი ურთიერთობების ვიწრო წრის მომწესრიგებელი ცივილური სამართალი განახლებული სავაჭრო ბრუნვის ეფექტურ რეგულირებას ვერ შეძლებდა. საჭირო იყო იმგვარი ფასეულობების შემცველი სამართლის არსებობა, რომლებიც ერთნაირ სიკეთეს წარმოადგენდნენ იმპერიის შიგნით მცხოვრები ყველა ხალხისათვის.<sup>146</sup>

სამართლის რეფორმატორობა პრეტორმა იკისრა. ჯერ კიდევ ქალაქის პრეტორის საქმიანობაში არსებობდა რეფორმის წინამძღვარი ინტერდიქტული წარმოების სახით. შემდგომ, პერეგრინების პრეტორი<sup>147</sup> შეეცადა არა ადმინისტრაციული, არამედ სასამართლოსმიერი საშუალებით დაეცვა ცივილური სამართლისგან განზე მდგომი, მაგრამ სამართლებრივი დაცვის ღირსი საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილენი. ზემოთქმულის განხორციელების ფორმას სასარჩელო

<sup>145</sup> რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, წ.2.ტ.VI. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძემ, რედ. ვ. მეტრეველი, თბ., 2002, 70.

<sup>146</sup> ზოიძე ბ., ქართული სამოქალაქო კოდექსის შექმნის ისტორიიდან, წიგნში: ქართული სანივთო სამართალი, დანართი №1, თბ., 2003, 492.

<sup>147</sup> რომში ჩვ.წ.ად-მდე 222 წელს დამატებით შეიქმნა პერეგრინების პრეტორის თანამდებობა. ამ მაგისტრატის კომპეტენციას რომაელებსა და უცხოელებს, ასევე, ამ უკანასკნელთა შორის არსებული ქონებრივი დავების გადაწყვეტა შეადგენდა. Жидков О.А., Крашениников Н.А., (ред.), История государства и права зарубежных стран, М., 1988, 114.

სამართალწარმოების ახალი სახე-ფორმულარული პროცესი<sup>148</sup> და მასთან დაკავშირებული პრეტორული სარჩელი წარმოადგენდა.

## 6.2. რეფორმატორი სამართლის გარდაქმნის გზაზე

პრეტორის დაინტერესების სფეროში შედიოდა არა მარტო კანონისა და უფლების არსი, არამედ მისი ფორმაც პროცესი, როგორც კანონის სიცოცხლის ფორმა. პრეტორს განსახილველ შემთხვევაში აინტერესებდა არა მხოლოდ სამოქალაქო უფლების არსებობა – არარსებობა, არამედ უპირატესად ის, თუ რა შეეძლო განეხორციელებინა სასამართლო პროცესში დაინტერესებულ პირთა დასაცავად. პრეტორული სამართალი განსაზღვრავდა იურისდიქციის წესს, რომელშიც შერეული სახით იყო მოცემული მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, მატერიალურ-სამართლებრივი საკითხები – სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების არსებობისა და შინაარსის, ხოლო პროცესუალურ-სამართლებრივი – სამოქალაქო უფლებათა განხორციელების პირობებისა და ფორმების შესახებ.<sup>149</sup>

ფორმულარული პროცესი სიმარტივით და მოქნილობით ხასიათდებოდა. მხარეებს ყოველგვარი ფორმალობის გარეშე შეეძლოთ პრეტორის წინაშე სასარჩელო მოთხოვნის განცხადება. თუ მაგისტრატმა სამართლიანობისა და მართლწესრიგის დაცვის თვალსაზრისით, მოსარჩელის მოთხოვნას სამართლებრივი აღიარების ღირსად ჩათვლიდა, მასზე მიწერილობას ე.წ. ფორმულას გასცემდა. მიწერილობა მოსარჩელის პრეტენზიის და მისი საფუძვლის გარდა, მოსამართლისადმი ბრძანების ხასიათის მქონე მითითებასაც შეიცავდა, თუ როგორ გადაწყვეტილიყო დავა მოთხოვნის საფუძვლის არსებობის ან არარსებობის დადასტურებისას.<sup>150</sup> მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველი შესაძლოა ყოფილიყო, როგორც ცივილური სამართლით დადგენილი უფლება, ისე ფაქტობრივად არსებული გარემოებები. შესაბამისად, მათზე ორიენტირებული ფორმულის არსებობისას გამოიყენებოდა ცივილური (*actio civilis*) ან პრეტორული (*actio praetoria*) სარჩელი.<sup>151</sup> ამ უკანასკნელის წარდგენა შეეძლო მესაკუთრესაც, რათა გათავისუფლებულიყო საკუთრების უფლების მტკიცებისგან. აღნიშნული სარჩელი გამოიყენებოდა არა მხოლოდ მფლობელობის დაკარგვისას, არამედ ნივთით სარგებლობაში ხელშეშლის დროსაც. ინტერდიქტული წარმოებისაგან განსხვავებით, ახალი ტიპის საპროცესო წესრიგს არ ჰქონდა დროებითი ხასიათი. მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება მხარეთათვის საბოლოო იყო, რადგან განხილული საქმის გამო მოსარჩელე ხელახლა ვერ ისარჩლებდა იმავე მოპასუხის წინააღმდეგ.<sup>152</sup>

<sup>148</sup> ეს პროცესი ე.წ. ებუციის კანონის (ჩვ.წ.აღ.-მდე II ს-ის მეორე ნახევარი) ძალით, ჯერ კიდევ ლევისაქციურის გვერდით არსებობდა. საბოლოოდ მისი დამკვიდრება სამართალწარმოების შესახებ იულიუსის ორი კანონის მიღებას უკავშირდება (ჩვ.წ.აღ.-მდე XVII ს.). *Санфилиппо Ч.*, Курс римского частного права, М., 2001, 100.

<sup>149</sup> *შტაერმანი ე.მ.*, რომის სამართალი, ჟურნ., „სამართალი“, №2, 1992, 78.

<sup>150</sup> *Омельченко О.*, Римское право, [http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Pravo/omelch/01.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Pravo/omelch/01.php). 7. 07. 2011.

<sup>151</sup> *Покровский И. А.*, Право и факт в римском праве <http://evcpk.ru/pravo-i-fakt-v-rimskom-prave> 7. 27.2011. 15.

<sup>152</sup> *ნადარეიშვილი გ.*, რომის სამოქალაქო სამართალი, თბ., 2003, 32.

### 6.3. პრეტორის ხელოვნური კონსტრუქციები

აღსანიშნავია, რომ პრეტორს ცივილური სამართლის ნორმის შექმნის ან გაუქმების უფლება არ გააჩნდა. შესაბამისად, მას არ შეეძლო მოდავე მხარეთათვის ებოძებინა ან წაერთმია კანონით დადგენილი უფლება. ამიტომ, ის ფაქტობრივი ურთიერთობის სუბიექტთა დასაცავად, სპეციფიკური იურიდიული ხერხების გამოყენებით, ხელოვნურ კონსტრუქციებს ქმნიდა.

ცივილური სამართალი ნივთზე საკუთრების შექმნას მანციპაციას ან ცესიას უკავშირებდა. ამავე დროს, სამოქალაქო ბრუნვაში გახშირდა მანციპირებული ნივთების შექმნა ნივთის გადაცემის – ტრადიციოს გზით. მოქმედი სამართლით, ნივთის გადაცემისა და ფასის გადახდის მიუხედავად, მესაკუთრედ კვლავ გამსხვიესებელი რჩებოდა. თუ ის ამ დანაწესით ბოროტად ისარგებლებდა და ნივთის ვინდიცირებას მოისურვებდა, კეთილსინდისიერი მყიდველის დაცვის მიზნით, პრეტორი სარჩელში ჩართავდა მოპასუხის შესაბამის პრეტენზიას, ე.წ. ექსცეფციას, რომ ნივთი გაყიდული და გადაცემულია. ამ გარემოების დადასტურებისას მოსამართლეს სარჩელის დაკმაყოფილება ეკრძალებოდა.<sup>153</sup> იმ შემთხვევაში, თუ შემძენი ნივთის მფლობელობას დაკარგავდა, პრეტორი მას ე.წ. პუბლიციუსის სარჩელზე უფლებას ანიჭებდა. *Publiciana in rem actio*, რომელიც შემოღებულ იქნა პრეტორის მიერ ხანდაზმული მფლობელობის დასაცავად, ფიქციური სარჩელი იყო. ფიქცია იურიდიული ეკონომიის საშუალებად მიიჩნევა იურისპრუდენციაში. მასში იგულისხმება ლოგიკური მომჭირნეობის კანონი, რომელიც იურიდიული ტექნიკის ძირითად პრინციპს ქმნის (იერინგი).<sup>154</sup> ფიქცია არის გამოგონილი არსებობა ფაქტისა, რომლის შესახებ ცნობილია, რომ ის საერთოდ არ არსებობს ან არსებობს სხვა სახით.<sup>155</sup> ფიქციის თეორიული ფუნქცია, გარკვეული სამართლებრივი მოვლენის ახსნის თვალსაზრისით მდგომარეობს, იურიდიული პარალელის მეოხებით მის ცნობილ სამართლებრივ სიდიდესთან გათანაბრებაში (უნგერი).<sup>156</sup> ამასთან, გათანაბრება მხოლოდ მაშინ არის ფიქცია, როცა ის შეიცავს მოთხოვნას, სხვაგვარად იქნეს გააზრებული მოვლენა, ვიდრე ის სინამდვილეშია (ბირლინგი).<sup>157</sup>

ზემოხსენებული სარჩელით პრეტორი მოსამართლეს ავალებდა საქმის განხილვისას რეალურად არ არსებული გარემოებების, კერძოდ, მოსარჩელის მიერ შექმენითი ხანდაზმულობით ნივთზე საკუთრების მოპოვების ფაქტის, მხედველობაში მიღებას. რეალურად, მოსარჩელემ ვერ მოასწრო ნივთის შექმნა ხანდაზმულობით, ამდენად ემუქრებოდა მფლობელობის დაკარგვა. თუ მოპასუხე ნამდვილ უფლებაზე მითითებით ექსცეფციას წარადგენდა, სასამართლო მაგისტრატე მოსარჩელეს ნივთის გაყიდვისა და გადაცემის შესახებ რეპლიკის წარდგენით ეხმარებოდა. მართალია, პრეტორის კონსტრუქციებით კეთილსინდისიერი მფლობელი

<sup>153</sup> Чибиряев С.А., (ред.), История государства и права зарубежных стран, М., 2002, 101.

<sup>154</sup> მოსაზრება მითითებულია: *სურგულაძე ირ.*, ხელისუფლება და სამართალი. გერმანულიდან თარგმნა და შესავალი წერილი დაურთო *ო. გამყრელიძემ*, თბ., 2002, 88.

<sup>155</sup> Мейер Д. И., Избранные произведения по гражданскому праву, М., 2003, 54.

<sup>156</sup> მოსაზრება მითითებულია: *სურგულაძე ირ.*, ხელისუფლება და სამართალი, გერმანულიდან თარგმნა და შესავალი წერილი დაურთო *ო. გამყრელიძემ*, თბ., 2002, 90.

<sup>157</sup> იქვე

ნივთზე საკუთრებას ვერ იძენდა, მაგრამ ნივთი მისი ქონების (in bonis) შემადგენლობაში მტკიცდებოდა და ის ბონიტარულ მესაკუთრედ წარმოჩინდებოდა.<sup>158</sup> ბონიტარულ (პრეტორულ) საკუთრებას მოვლენა გამოჰყავდა მფლობელობის ფარგლებიდან, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ იყო საკუთრება. მას შუალედური მდგომარეობა გააჩნდა მფლობელობასა და საკუთრებას შორის, ის მეტი იყო მფლობელობაზე, მაგრამ ნაკლები საკუთრებაზე.<sup>159</sup>

## 7. მჭერთა სამართლებრივი მდგომარეობა

რომის სამართლით მფლობელისგან განსხვავებით, მჭერი დამოუკიდებელი პოსესორული დაცვით ვერ სარგებლობდა. მას დარღვეული მფლობელობის აღდგენა მხოლოდ მესაკუთრის მეშვეობით შეეძლო.<sup>160</sup> მფლობელად და შესაბამისად, ინტერდიქტზე უფლებამოსილად ითვლებოდა ის პირი, ვისი სახელითაც მჭერი ნივთის პყრობას ახორციელებდა. მესაკუთრეს მფლობელობითი დაცვის პროცესში არა ნივთის უშუალო ფლობის, არამედ მჭერის მიერ ნივთის პყრობის ფაქტის მტკიცება ევალებოდა.<sup>161</sup>

### 7.1 ბრუნვის მოთხოვნებით განპირობებული მფლობელთა გაფართოებული წრე

დროთა განმავლობაში მჭერთა გარკვეული კატეგორია მფლობელად იქნა აღიარებული. კერძოდ, მოგირაუნე კრედიტორი, რომლის ფაქტობრივი ბატონობის ხელყოფისას მესაკუთრეს შესაძლოა, ინტერდიქტისთვის არ მიემართა, რადგან ის კრედიტორისგან ნივთის გამოთხოვით იყო დაინტერესებული, მაგალითად, შეიჯარეს, მიწის ნაკვეთზე არსებული მოიჯარის ინვენტარის, როგორც მისი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების, მფლობელობის დასაცავად ე.წ. *interdictum Salvianum*-ის გამოყენების უფლება ჰქონდა;<sup>162</sup> სეკვესტორი – პირი, რომელსაც მოდავე მხარეებმა ნივთი მასზე სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე შესანახად მიაბარეს. ის მფლობელობის ხელყოფისას უძღური იყო მფლობელობა დაეცვა უფლებამოსილი პირის დაუდგენლობის გამო; ემფითევეტი (პირი, რომელსაც სხვის მიწაზე უვადო, მემკვიდრეობით გადაცემადი იჯარის უფლება გააჩნდა) და სუპერფიციარი (სხვის მიწის ნაკვეთზე ნაგებობის აგებისა და მისით სარგებლობის გასხვისებადი, მემკვიდრეობით გადაცემადი უფლების მქონე პირი) ამ უფლებების საკუთრებასთან მსგავსების გამო.<sup>163</sup>

რომელ იურიისტთა მოსაზრების გათვალისწინებით, რომ ორი პირის მიერ ერთდროულად ინტერდიქტის წარდგენა დაუშვებელი იყო, ზემოხსენებულ მჭერთათვის მფლობელობითი დაცვის უფლების

<sup>158</sup> *Гримм. Д. Д., Лекции по догме римского права, М., 2003, 202.*

<sup>159</sup> *Эннециерус Л., Курс германского гражданского права, Т.1., М., 1949, 271.*

<sup>160</sup> *სუბიტაშვილი დ., სუბიტაშვილი თ., მფლობელობის პრობლემები ქართულ სამოქალაქო სამართალში, უკრნ. „მართლმსაჯულება“, №1, 2010, 48.*

<sup>161</sup> *Макеев В.В., Головки А.Г., Частное право древнего рима, Ростов На Дону, 2002, 86.*

<sup>162</sup> *Новицкий И.Б., Римское право, М., 2000, 113.*

<sup>163</sup> *Новицкий И.Б., Римское право, М., 2000, 110.*

მინიჭებით, ამ შესაძლებლობით მათთან ერთად ვეღარ სარგებლობდნენ პირები, ვისი სახელითაც მჭერები ნივთის პერობას ახორციელებდნენ.

## 7.2. კვაზი მფლობელთა დაცვა

მჭერებად აღიარებული სამართლებრივ ურთიერთობათა სხვა მონაწილენი, მაგალითად, უზუფრუქტუარი, სერვიტუტის უფლების მქონე პირი, დამქირავებელი, მოიჯარე, მონათხოვრე, შემნახველი და სხვანი, მფლობელობით დაცვას მოკლებულნი იყვნენ. რომის კლასიკურმა სამართალმა შეძლო ზოგიერთი მათგანის პრეტორისმიერი დაცვის ამ საშუალებით უზრუნველყოფა, კერძოდ, პირადი და საადგილმამულო სერვიტუტის უფლების სუბიექტები მიიჩნია „უფლების მფლობელებად“, ანუ კვაზი მფლობელებად (კვაზი მფლობელობა არის ნივთზე ნაწილობრივი ბატონობა) და მათ ძირითადი ინტერდიქტის (*interdictum directa*) ანალოგიით შექმნილ პრეტორის განკარგულებაზე (*interdictum utile*) უფლება მიანიჭა.<sup>164</sup> აღსანიშნავია, რომ პირადი სერვიტუტის (უზუფრუქტი, უზუსი) უფლების მქონე პირის მიმართ, ტერმინის „უფლების მფლობელი“ გამოყენება მართებული არ არის. როგორც უზუფრუქტუარი (პირი, რომელსაც სხვისი ნივთით სარგებლობისა და მისგან ნაყოფის მიღების უფლება გააჩნია), ასევე უზუარი (საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით სხვისი ნივთით მოსარგებლე, მისგან ნაყოფის მიღების უფლების გარეშე), ახორციელებდნენ სხეულებრივ ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას. ზემოხსენებული ტერმინის გამოყენების მიზეზი მათი დაცვის ინტერესებშია საძიებელი.

საადგილმამულო სერვიტუტის შემთხვევაში, სწორედ უფლებაზე მფლობელობა სახეზე, რადგან უფლების არსს უფლებით სარგებლობა შეადგენდა. შესაბამისად, კვაზი მფლობელობის დაცვის ინტერდიქტი მიზნად ისახავდა ამ სანივთო უფლების, მაგალითად, საგზაო სერვიტუტი, თავისუფლად განხორციელებისათვის ხელშეწყობას. ამ შემთხვევაში, მფლობელობით პროცესში სერვიტუტზე უფლების მქონეს უნდა ემტკიცებინა ის ფაქტი, რომ მფლობელობის ბოლო წელს მან 30-ჯერ ისარგებლა გზის უფლებით. ამასთან, არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, რომელიც სერვიტუტის განმახორციელებელ პირს არ მიიჩნევს კვაზი მფლობელად, რადგან დადებითი სერვიტუტის შემთხვევაში მას გააჩნია მფლობელობის მატერიალური ელემენტი, აქვს შესაძლებლობა სხვის ნივთზე ხანგრძლივად განახორციელოს ხელისუფლება, სამეურნეო ბატონობა, თუმცა მკაცრად განსაზღვრული საშუალებით.<sup>165</sup> პრეტორის სამართალშემოქმედების ქმნილებად მიიჩნევა საკუთრებით სარჩელებზე (*actio directa*) დაყრდნობით ჩამოყალიბებული ე.წ. ანალოგიური სარჩელები (*actio utilis*).<sup>166</sup> ამ სარჩელებით

<sup>164</sup> *Васьковский Е.В.*, Учебник гражданского права, М., 2003, 229.

<sup>165</sup> *Коновалов А.В.*, Владение и владельческая защита в гражданском праве, М., 2002, 67.

<sup>166</sup> საკუთრებასთან შინაარსობრივად დაახლოებული სანივთო უფლებები და მათი დაცვისთვის შექმნილი ანალოგიური სარჩელი გახდა წინამძღვარი შუა საუკუნეებში გლოსატორების ქმნილების—„დანაწევრებული საკუთრება“, დაბადებისა. ეს თეორია მიზნად ისახავდა ფეოდალურ სინამდვილეში სენიორსა და ვასალს შორის მიწაზე აღმოცენებული ფაქტობრივი ურთიერთობების შესატყვისი სამართლებრივი სამოსელით შემოსვას. პროფ. ბ.ზოიძის მოსაზრებით, ამ ეპოქაში დანაწევრებული საკუთრების სხვის



სარგებლობდნენ სანივთო უფლების სუბიექტები (მაგალითად, ემფითეკტი, სუპერფიციარი, მოგირაენე). ანალოგიური სარჩელის წარდგენა შესაძლო იყო ნებისმიერი მესამე პირის წინააღმდეგ ნივთის გამოთხოვის (მაგალითად, იპოთეკარის სარჩელი – actio hypothecaria) ან უფლებით სარგებლობისას ხელშეშლის აღკვეთის მიზნით (მაგალითად, სერვიტუტის უფლების მქონე პირის კუთვნილი სარჩელი actio confesoria).

პეტიტორული პროცესის არსის გათვალისწინებით, მოსარჩელეს ევალებოდა, ერთი მხრივ, ნივთზე უფლების არსებობის, მეორე მხრივ, მოპასუხის მიერ მისი ნივთის ფლობის, მისი მფლობელობის ხელყოფის ან მისთვის ნივთით სარგებლობაში ხელშეშლის ფაქტის მტკიცება.

პრეტორის სამართლებრივი მოღვაწეობის შედეგები თანმიმდევრულად აისახებოდა მის მიერ გამოცემულ ედიქტში, რის შედეგადაც სამართლის ახალი შტო პრეტორული სამართალი (Ius praetorium) ჩამოყალიბდა. პერეგრინების სასამართლო მაგისტრატის საქმიანობის წესი თანდათანობით, ქალაქის პრეტორის პრაქტიკაში დამკვიდრდა. ცივილური და პრეტორული სამართლის დაახლოების პროცესს ხელი შეუწყო ახ.წ.ად-ის მე-3 საუკუნეში უცხოელებზე რომის მოქალაქეობის გავრცელებამ. ზემოხსენებული სამართლის ორი სისტემის ურთიერთგაფლენამ განაპირობა ზეეროვნული, გამარტივებული სამართლებრივი ფორმებით სამოქალაქო ბრუნვას მისადაგებული სამართლის სხეულის

ხალხთა სამართლის (Ius gentium) წარმოქმნა. ის განსხვავდებოდა ცივილური სამართლისაგან არა წარმოშობის წყაროთი (მის ფორმულირებას, შეცვლას და შეწყვეტას ახდენდნენ რომაული ორგანოები), არამედ იმ სამართლებრივ ურთიერთობათა წრით, რომელზეც ის ვრცელდებოდა. ბრუნვის მოთხოვნებიდან წარმომდგარი ხალხთა სამართალი გამოირჩეოდა სიმარტივით, ფორმულობის არქონით, გარიგების დადების სისწრაფის უზრუნველყოფით.<sup>167</sup>

რომაულმა კერძო სამართალმა ვერ შეძლო ყველა სამართლებრივი პრობლემის გადაწყვეტა. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მან ვერ აქცია ყველა მჭერი მფლობელად. ეს კანონზომიერიცაა. სამართლის განვითარებაზე მომავალი ეპოქის ხალხს უნდა ეზრუნა. ამიტომ მართებულია რომაული სამართლის შემდეგი შეფასება: «Римское право не есть ещё самая теория гражданского права... Римское право есть всё-таки право положительное, одно из частных гражданских прав; оно само нуждается в высшем теоретическом освещении; его принципы должны быть также подвергнуты теоретической и критической оценке, как и принципы других прав».<sup>168</sup> სწორედ ამ მოსაზრების განსხვავებაა სამოქალაქო სამართლის მთელი ისტორია შუა საუკუნეებიდან თანამედროვეობამდე.

---

ნივთზე უფლებისადმი მიმართება ერთ-ერთი ყველაზე ბნელით მოცული პრობლემაა. *ზოიძე ბ.*, საუცხოო გამოკვლევა სანივთო სამართალში (ბ.ზოიძის რეცენზია ლ.ჭანტურიას წიგნზე „უძრავი ნივთების საკუთრება“), წიგნში: ქართული სანივთო სამართალი, დანართი №1, თბ., 2003, 423. აღსანიშნავია, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისში გერმანელი მეცნიერი ტიბო უარყოფდა დანაწევრებული საკუთრების არსებობას და ვასაღს მხოლოდ სხვის ნივთზე უფლების მქონედ სახავდა. *ვაჩიშვილი ალ.*, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, წ. III, თბ., 1963, 54.

<sup>167</sup> *Чибиряев С.А.* (ред.), История государства и права зарубежных стран, М., 2002, 285.

<sup>168</sup> *Покровский И.А.*, Основные проблемы гражданского права, М., 1998, 11.

### თავი III

## მფლობელობა ფეოდალურ სამართალში

### 1. არ არის მიწა სენიორის გარეშე

ფეოდალურ ეპოქაში მიწაზე საკუთრების უფლების წარმოშობის გავრცელებული საშუალებაა მეფის ან მსხვილი ფეოდალის (სენიორი) მიერ მიწის „სიგელითა ბოძება“<sup>169</sup> ქვეშევრდომი ფეოდალისთვის,<sup>170</sup> ამ უკანასკნელის მხრიდან მეფისა თუ ქვეყნისადმი ერთგულებისა და სამსახურის პირობით,<sup>171</sup> მაგალითად, ამ მიზნით ვილჰელმ დამპყრობელმა ინგლისის მიწების ერთი მეშვიდედი ათას ხუთას თანამებრძოლს გადასცა.<sup>172</sup> იმ დროს ჩამოყალიბებული მიწის ურთიერთობის განმსაზღვრელი ფორმულა: არ არის მიწა სენიორის გარეშე, გულისხმობდა ყოველი მიწის მფლობელის ფეოდალურ დამოკიდებულებაში ყოფნას განსაზღვრულ სენიორთან. ვასალის მიერ სენიორის წინაშე შესასრულებელ მოქმედებათა ჩამონათვალს მათ შორის დადებული ხელშეკრულება შეიცავდა, მაგალითად, სენიორისთვის სასარგებლო რჩევის მიცემა, მის მიერ წარმოებულ ბრძოლებში მონაწილეობის მიღება, სენიორის უფროსი ვაჟის რაინდად კურთხევისას ძღვენის მიტანა, ტყველ-ჩავარდნილი სენიორის გამოსყიდვა და ა.შ.<sup>173</sup>

#### 1.1 სამისდღეშიო მფლობელობიდან მემკვიდრეობით მფლობელობამდე

თავდაპირველად ვასალის დამოკიდებულება მიწის მიმართ დროებითი ან სამისდღეშიო მფლობელობითა და სარგებლობით შემოიფარგლებოდა. მიწათმფლობელობის ეს ფორმა ამა თუ იმ ქვეყანაში სხვადასხვა სახელით იყო ცნობილი. მის აღსანიშნავად დასავლეთ ევროპაში ტერმინი „ბენეფიციუმი“ (წყალობა), ინგლისში „book land”

<sup>169</sup> ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, 314.

<sup>170</sup> „ბოძება“ ძველ ქართულში „წყალობის“ და „შეწყალების“ მსგავსად ერქვა ცხოვრებაში მალღა მდგომისგან უფრო დაბლა მდგომისთვის ჩუქებას. ის ფეოდალური საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობათა მნიშვნელოვანი ინსტიტუტს წარმოადგენდა. *ფურტკარაძე ი.*, ქართული ვაღდებულებითი სამართლის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1976, 6.

<sup>171</sup> *Дембо Л.М.*, Земельные правоотношения в классово антагонистическом обществе, Л., 1954, 83. სენიორულ-ვასალური ურთიერთობის საწყისი ფორმა რომის სახელმწიფოში არსებობდა პატრიციებსა (პატრონები) და კლიენტებს შორის დამოკიდებულების ფორმით. კლიენტი შედიოდა პატრონის მფარველობაში და ვაღდებული იყო მას თან ხლებოდა ბრძოლებში, დახმარებოდა შრომით საქმიანობაში, თავის მხრივ, პატრონი მფარველობდა კლიენტს, იცავდა მას სასამართლოში, მათ შორის ურთიერთობები ადათებით და რელიგიური ნორმებით წესრიგდებოდა. *მეტრეველი ვ.*, რომის სამართალი, თბ., 1995, 23-24.

<sup>172</sup> *ცვაიკურტი კ., კოტცი პ.*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. I, გამოცემის მეცნიერული რედაქცია და ბოლოთქმა *თ. ნობიძის*, თარგმანი *ე. სუმბათაშვილის*, თბ., 2000, 201.

<sup>173</sup> Хрестоматия по истории средних веков (под ред. Грацианского Н.П., Сказкина С.Д.), Т. I, М., 1939.

–წერილობითი სიგელი, „estate for life“, რუსეთში „поместье“,<sup>174</sup> „кормля“, „пожалованье“, ხოლო საქართველოში – „საკარგავი“ გამოიყენებოდა.<sup>175</sup> დავით აღმაშენებელი სამხედრო სამსახურის პირობით უწყალობებდა ხოლმე მიწებს ერთგულ და მორჩილ მოხელე-მოლაშქრეებს (მოსაკარგავე აზნაურები).<sup>176</sup>

მიწათმფლობელობის ზემოხსენებული ფორმა ცენტრალიზებული ფეოდალური მონარქიისთვის დამახასიათებელი ინსტიტუტია. ის ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერების საფუძველია,<sup>177</sup> რადგან ადგილ-მამულის წყალობით გაცემა ურჩ ფეოდალებთან მორიგებისა და ერთგულთა უფრო მეტად შემომტევიცების საფუძველია.

ბენეფიციუმის მიმღებთა სენიორზე დამოკიდებული მდგომარეობა აიძულებდა მათ განუწყვეტლივ და დაჟინებით ებრძოლათ მამულის გაუსხვისებელ და სამეკვიდრეო ფეოდალ გადაქცევისთვის.<sup>178</sup> ამიტომ, დეცენტრალიზაციის ვითარებაში სამისდღეშიო მიწათმფლობელობა მემკვიდრეობით ხასიათს იძენს, რაც მსხვილ ფეოდალთა მიერ გარკვეული სახის დამოუკიდებლობის მოპოვებაზე მიუთითებს,<sup>179</sup> მაგალითად, ამ მდგომარეობას ადგილი აქვს ბიზანტიაში პრონიარების (ბენეფიციარები) მიმართ.<sup>180</sup> მიწათმფლობელობის ამ ფორმის აღმნიშვნელი ტერმინი საფრანგეთსა და ინგლისში – „ფეოდი“, გერმანიაში – „ლენი“, რუსეთში – „ვოტჩინა“, ხოლო საქართველოში – „მამული“,<sup>181</sup> „საქონებელი“ და „ქონებაა.“<sup>182</sup>

<sup>174</sup>პომესტიური მიწათმფლობელობა და მიწათსარგებლობა შეადგენდა XV-XVII საუკუნეებში რუსეთში ფეოდალურ არისტოკრატიასთან (ბოიარები) ერთად მმართველ ფენად დამკვიდრებულ აზნაურთა წოდების ეკონომიკურ საფუძველს. *ცაცანაშვილი მ.*, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, წ. II, თბ., 2000, 234.

<sup>175</sup> ამ მნიშვნელობით მოიაზრებს მას პროფ. ბ. ზოიძე. ეს არის ამ ინსტიტუტის კერძო სამართლებრივი გაგება. მის საპირისპიროდ არსებული საჯარო სამართლებრივი თეორიის თანახმად, საკარგავი მოხელეთა სარგოა (ივ. ჯავახიშვილი) ან სამართავად გაცემული ტერიტორია (შ. მესხია). *ზოიძე ბ.*, ფეოდალური საქართველოს მემკვიდრეობითი სამართალი. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1991, 13.

<sup>176</sup> საქართველოს ისტორია (ნ. ბერძენიშვილის რედ.), I, თბ., 1959, 121.

<sup>177</sup> *მესხია შ.*, XI-XIII სს. საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების ისტორიიდან. XII ს-ის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968, 208. მითითებულია:

*სურგულაძე ი.*, სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, თბ., 1977, 203.

<sup>178</sup> *ჩერნილოვსკი ზ. მ.* სახელმწიფოსა და სამართლის მსოფლიო ისტორია, თბ., 1992, 122.

<sup>179</sup> *სურგულაძე ი.*, სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, თბ., 1977, 20.

<sup>180</sup> *ჩერნილოვსკი ზ. მ.*, სახელმწიფოსა და სამართლის მსოფლიო ისტორია, თბ., 1992, 221.

<sup>181</sup> პროფ. ბ. ზოიძის მოსაზრებით, მამულის, როგორც მემკვიდრეობითი საკუთრების წარმოშობა მე-9-10 საუკუნემდელი მოვლენაა. ხოლო ნ. ბერძენიშვილი მამულის არსებობას წინაქრისტიანულ პერიოდს უკავშირებდა. „მამული“ თავდაპირველად გამოხატავდა მხოლოდ მემკვიდრეობით მიღებულ მიწას, შემდგომში ამ ცნების ქვეშ იგულისხმებოდა ყველა სახის მიწა, შეძენის გზებისა და კუთვნილების მიუხედავად. *მეტრეველი ვ.*, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2003, 313.

<sup>182</sup> *ჯავახიშვილი ივ.*, თხზ. ტ. VII, თბ., 1984, 297. აღსანიშნავია, რომ ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას არ იზიარებდა პროფ. ივ. სურგულაძე. ეს უკანასკნელი „ქონებას“ მიიჩნევდა უძრავ ნივთზე არა მფლობელობის, არამედ მასზე საკუთრების უფლების აღმნიშვნელ ტერმინად. გარდა ამისა, ის ქონებას საჯარო-სამართლებრივი, კერძოდ, პოლიტიკური ხელისუფლების მნიშვნელობითაც მოიაზრებდა. *სურგულაძე ივ.*, საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, თსუ შრომები, XXXV, 1949, 244.

## 12. ვასალის განკარგვის უფლებამოსილების შეზღუდვები

უნდა აღინიშნოს, რომ ფეოდალური სამართალი მიწის მემკვიდრეობით გადაცემის მხოლოდ კანონისმიერ გზას აღიარებდა. სამკვიდროს დამტოვებელს უფლება არ ჰქონდა საანდერძო განკარგულებით მიწაზე მემკვიდრეობის უფლება წაერთმია მემკვიდრეებისათვის. ამ უკანასკნელთა თანხმობა იყო საჭირო ასევე, მამკვიდრებლის მიერ მიწის სხვაგვარი ფორმით განკარგვისას.<sup>183</sup> წინააღმდეგ შემთხვევაში, გარიგება ბათილად მიიჩნეოდა, მიწა მემკვიდრეებს გადაეცემოდა, ხოლო გამსხვილებელი მიწაზე ყოველგვარ უფლებას დაკარგავდა.<sup>184</sup>

კანონით მემკვიდრეობით მიწის გადაცემაც გარკვეულ შეზღუდვებს ითვალისწინებდა, მაგალითად, საფრანგეთსა და ინგლისში მემკვიდრედ მხოლოდ მამკვიდრებელის უფროსი ვაჟი ითვლებოდა.<sup>185</sup> მაიორატი (უფროსი ვაჟის მემკვიდრეობა, როცა დანარჩენი შვილები გამოირიცხებოდნენ მემკვიდრეთა წრიდან), როგორც მემკვიდრეობის სახე, პასუხობდა სენიორის ინტერესებს და უზრუნველყოფდა ვასალური მოვალეობების შესრულებას. მიწის, როგორც ვასალური სამსახურისთვის აუცილებელი საფუძვლის, მემკვიდრეთა შორის თანაბრად განაწილებისას, შეუძლებელი გახდებოდა ამ მოვალეობის შესრულება, ამიტომ, სენიორი მაიორატით უზრუნველყოფდა ფეოდის ერთიანობას.<sup>186</sup> მემკვიდრეები სამკვიდროს მიღებისას სენიორს უხდიდნენ სპეციალურ გადასახადს, რომლის ოდენობა ფეოდის წლიური შემოსავლით განისაზღვრებოდა, თუმცა ინგლისში ეს გადასახადი ზუსტად დადგენილ თანხას 100 სტერლინგს შეადგენდა.<sup>187</sup> გარდა ამისა, მემკვიდრეებს მამკვიდრებლის (ვასალი) მიერ სენიორის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაც ევალებოდათ.<sup>188</sup> ამ მოვალეობის შეუსრულებლობა, ანუ „პატრონის წინაშე ვერღარა წესით მსახურება“<sup>189</sup> მიწაზე მემკვიდრეთა მფლობელობის შეწყვეტას განაპირობებდა. მიწის მემკვიდრეობით გადაცემის გარდა, ადგილ-მამულის სხვაგვარი განკარგვა მხოლოდ სენიორის „კითხვითა და ბრძანებით“<sup>190</sup> დაიშვებოდა, მაგალითად, გერმანიის იმპერატორ ფრიდრიხ I-ის 1158 წლის „რონკალის დადგენილებანი ფეოდის შესახებ“ ადგენდა: „არვის ძალუძს ფეოდი ან მისი ნაწილი გაყიდოს (სუბინფეოდაცია) ან დააგირავოს უმაღლესი სენიორის უნებართვოდ. თუ გამყიდველი და მყიდველი მხილებულნი იქნებიან უკანონო გარიგებაში, დაკარგავენ ფეოდს და ეს უკანასკნელი გადაეცემა სენიორს“.<sup>191</sup>

გერმანიის მსგავსად რუსეთშიც, მაგალითად, 1649 წლის მიხეილ

<sup>183</sup> ჩერნილოვსკი ზ.მ., სახელმწიფოსა და სამართლის მსოფლიო ისტორია, თბ., 1992, 248.

<sup>184</sup> დოლიძე ი., ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, 163.

<sup>185</sup> Черниловский З.М., История феодального государства и права, М., 1959, 83.

<sup>186</sup> ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი (შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა), თბ., 2000, 144.

<sup>187</sup> Корецкий В.М., (ред.), Хрестоматия памятников феодального государства и права стран Европы, М., 1961, 133.

<sup>188</sup> სოხვაძე ბ., რუსეთი მე-17 საუკუნის დასასრულსა და მე-18 საუკუნეში, თბ., 1996, 53.

<sup>189</sup> დოლიძე ი., ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, 294.

<sup>190</sup> ჯავახიშვილი ივ., თხზ.ტ. VII, თბ., 1984, 170.

<sup>191</sup> შუა საუკუნეების სამართალი, ტ.2, შეადგინა და კომენტარი დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1962, 370.

ალექსის ძის ძეგლისდებით „პომესტიეს“ მფლობელ „პომეშიკს“ ეკრძა-  
ლებოდა სამფლობელოს გაყიდვა და დაგირავება. მის მიერ მიწის  
ამგვარი განკარგვა ბათილად მიიჩნეოდა და ის ვალდებული იყო გასხვი-  
სების შედეგად მიღებული თანხა სენიორისთვის (ბოიარი) გადაეცა.<sup>192</sup>

პატრონის უნებართვოდ ყმის მიერ მამულის გასხვისებას ბექა  
მანდატურთუხუცესის სამართალიც კრძალავდა და ქონებრივი სასჯელის  
სახით, ე.წ. სარეგნოდ გარიგების მხარეებს პატრონის სასარგებლოდ  
ნივთის ფასის ნახევარ-ნახევრის გადახდას აკისრებდა: „მამულის  
გასყიდვა ცუდია ბატონის დაუმოწმებლად და ვისცა ყვიდოს ნახევარი  
ფასი სარეგნოდ მას დაუშავდეს და ნახევარი გამსყიდველსა“.<sup>193</sup>

დროთა განმავლობაში ვასალის მიერ ფეოდალის გასხვისება მკაცრი  
შეზღუდვებისაგან გათავისუფლდა, მაგალითად, XII საუკუნის ლომბარ-  
დიის ფეოდალური სამართლის კრებულის (იგი შეიცავდა მილანისა და  
ჩრდილოეთ იტალიის სხვა ქალაქების სასამართლოებში შექმნილ  
სამართლის ნორმებს)<sup>194</sup> მიხედვით, „სამართლიანი და კანონიერი  
ჩვეულების თანახმად, სენიორის ნებართვის გარეშე, ვასალს მხოლოდ  
ფეოდალის ნახევრის გასხვისების უფლება აქვს.“<sup>195</sup>

ვასალს მიწის გასხვისება მხოლოდ იმ პირობით შეეძლო, თუ  
მომავალში შემძენი სენიორის წინაშე იმ ვალდებულებებს შეასრულებდა,  
რაც ფეოდალური ხელშეკრულებით ვასალს ევალებოდა (სუბსტიტუცია).  
სუბსტიტუციას თან ახლდა რიტუალი: შემძენი სენიორის წინაშე  
დანოქილი ბიბლიაზე ერთგულების ფიცს დებდა, სენიორის ხელში  
ხელის ჩადებით მის კაცად აცხადებდა თავს (ომაჟი). თავის მხრივ,  
სენიორი მშვიდობის ამბორს უძღვნიდა და ვასალს ჯოხს ან  
ხელთათმანს გადასცემდა (ინვესტიტურა).<sup>196</sup>

ინგლისში სიუზერენის წინაშე შემძენის მომავალში შესასრულებელ  
ვალდებულებებს 1290 წლის ვესტმინსტერის III სტატუტი განამტკი-  
ცებდა.<sup>197</sup> მე-13 საუკუნემდე სენიორს შემძენისათვის გასხვისებული ფეო-  
დალის უსასყიდლოდ ჩამორთმევის უფლება ჰქონდა (რეტრაქტის – ხელის  
დადების უფლება), თუმცა რუსეთში ეს წესი კიდევ კარგა ხანს არსე-  
ბობდა, მაგალითად, 1649 წლის სჯულდება იცნობდა „პომესტიეს“ გამოს-  
ყიდვის უფლებას მისი გასხვისებიდან 40 წლის განმავლობაში.<sup>198</sup> მოგვიან-  
ებით, ეს წესი შეიზღუდა შემძენისთვის ნივთის ფასის გადახდით.<sup>199</sup>  
მიწაზე ვასალის მფლობელობა სენიორსაც ზღუდავდა მიწის განკარ-  
გვისას. მას მხოლოდ განსაზღვრული გარემოებების არსებობისას (მაგა-  
ლითად, ვასალის მიერ დაჭრილი სენიორის მიტოვება ბრძოლის ველზე,  
სენიორის ახლო ნათესავების მიმართ შეურაცმყოფელი და სახელის გამ-  
ტეხი მოქმედების ჩადენა და სხვა) შეეძლო ვასალისათვის მიწის ჩამორ-  
თმევა და მისი გასხვისება.<sup>200</sup> მფლობელობის განმავლობაში ვასალი  
ფეოდალის სრული შემოსავლით სარგებლობდა და არ იყო ვალდებული

<sup>192</sup> ცაცანაშვილი მ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, წ.2, თბ., 2000, 243.

<sup>193</sup> დოლიძე ი., ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, 163.

<sup>194</sup> ჩერნილოვსკი ზ.მ., სახელმწიფოსა და სამართლის მსოფლიო ისტორია, თბ., 1992, 190.

<sup>195</sup> Егоров Д.Н., (ред.), Средневековье в его памятниках, М., 1913, 57.

<sup>196</sup> Голанза П.Н., Феодальное государство и право Франции, М., 1963, 15.

<sup>197</sup> Барг М.А., Исследование по истории Английского феодализма (XI-XIII вв.), М., 1962, 107.

<sup>198</sup> ცაცანაშვილი მ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, წ.2, თბ., 2000, 243.

<sup>199</sup> Голанза П.Н., История государства и права зарубежных стран, М., 1980, 344.

<sup>200</sup> Егоров Д.Н., (ред.), Средневековье в его памятниках, М., 1913, 57.

სენიორისათვის შემოსავლის ნაწილი გადაეცა.

### 13. გლეხის, როგორც ფაქტობრივი მფლობელის უფლებრივი მდგომარეობა

აღსანიშნავია, რომ სენიორულ-ვასალური დამოკიდებულება არ ამოწურავს ფეოდალიზმს, ეს მისი მხოლოდ ერთი მხარეა, რადგან არ მოიცავს გლეხობას. ფეოდალიზმი სწორედ მემამულეთა და გლეხთა ურთიერთობით განისაზღვრებოდა,<sup>201</sup> ამდენად, საინტერესოა გლეხის უფლებრივი დამოკიდებულება მიწასთან.

თუ ადრეული ფეოდალიზმის პერიოდში გლეხი პირადად თავისუფალი იყო და გააჩნდა საკუთრებად როგორც მოძრავი ნივთები, ისე მიწის მცირე ნაკვეთი, განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქამ გლეხს არა მხოლოდ მიწაზე საკუთრების უფლება წაართვა (მას ეკრძალებოდა მემამულის თანხმობის გარეშე მიწის გასხვისება და დაგირავება,<sup>202</sup> მემკვიდრეობით გადაცემა. თანდათანობით სამკვიდროს მიღება შესაძლო გახდა სენიორისთვის საზღაურის გადახდის პირობით, ე.წ. მკვდარი ხელის უფლება),<sup>203</sup> მისი პირადი თავისუფლებაც მნიშვნელოვნად შეზღუდა. ფეოდალს მიწა-სრული, ხოლო ყმა-გლეხი არასრული საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა.<sup>204</sup> მართალია, მას არ ჰქონდა უფლება ყმა მოეკლა, მაგრამ შეეძლო გაეყიდა ან ეყიდა, გაეცვალა საქონელში, ჩარეულიყო მის პირად ცხოვრებაში და ა.შ.<sup>205</sup>

არსებობდა გლეხთა ის კატეგორიაც, რომელმაც პირადი თავისუფლება შეინარჩუნა,<sup>206</sup> მაგრამ სამართლებრივი მდგომარეობის აღიარებისა და უზრუნველყოფის მიზნით, რაც მხოლოდ სენიორის მფარველობაში ყოფნით მიიღწეოდა,<sup>207</sup> იძულებული გახდა კუთვნილი მიწის ნაკვეთები სენიორისთვის საკუთრებაში გადაეცა, ხოლო თავად ამ მიწის სამისდღეშიონ ან მემკვიდრეობითი მფლობელობითა და სარგებლობით დაკმაყოფილებულიყო გადასახადის გადახდის პირობით (ინფეოდაცია).<sup>208</sup> მაგალითად, საფრანგეთში პირადი თავისუფლების მქონე გლეხები (ვილლანები, როტიურები) მემამულეებს ე.წ. ცენზს (ცენზივა მიწათმფლობელობის ფორმა) უხდიდნენ, რომელიც არსებობდა როგორც ფულადი, ისე ნატურალური სახით (შამპარი – გადასახადი მოსავლის ნაწილის სახით).<sup>209</sup> გლეხებს ევალებოდათ ხაზინაში შესატანი

<sup>201</sup> *სურგულაძე ივ.*, საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხისათვის, ჟურნ. „მნათობი“, №12, 1960. მითითებულია: *სურგულაძე ი.*, სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, თბ., 1977, 21.

<sup>202</sup> *ჭანტურია ლ.*, უძრავი ნივთების საკუთრება, თბ., 1994, 169.

<sup>203</sup> *ცაცანაშვილი მ.*, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, წ.1, თბ., 1995, 192.

<sup>204</sup> *ხიზანიშვილი ნ.*, ბრწყინვალე დღე. გაზეთი „ივერია“, №214, 1901. მითითებულია: *ადეიშვილი ლ.*, ნიკო ხიზანიშვილის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები, თბ., 2002, 162.

<sup>205</sup> *ინწკირველი გ.*, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 2000, 71.

<sup>206</sup> საქართველოში XII საუკუნიდან თავისუფალი გლეხი იშვიათი მოვლენა იყო და თუ ის გლეხთა გარკვეულ კატეგორიას წარმოადგენდა, სავარაუდოა, რომ ეს კატეგორია ძლიერ მცირერიცხოვანი იყო. *სურგულაძე ივ.*, ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 2001, 231.

<sup>207</sup> *Колесницкий Н.Ф.*, *Феодалное Государство*, М., 1967, 65.

<sup>208</sup> *ჩერნილოვსკი ზ.მ.*, სახელმწიფოსა და სამართლის მსოფლიო ისტორია, თბ., 1992, 120.

<sup>209</sup> *Голанза П.Н.*, Конспект лекций по курсу общая история государства и права, М., 1980, 242.

მიწის გადასახადის (ტალია) გადახდაც.<sup>210</sup>

მართალია, გლეხთა მიერ განხორციელებული მიწის მფლობელობა ფეოდალურ იერარქიაში მათი ადგილის დამკვიდრების საფუძველი არ იყო,<sup>211</sup> მაგრამ მფლობელობის მართლზომიერება სენიორს თვითნებური მოქმედების შესაძლებლობას ართმევდა. კერძოდ, თუ გლეხი გადასახადს დროულად და სრულად იხდიდა, მემამულეს უფლება არ ჰქონდა მისთვის მიწა (მაგალითად, საქართველოში „საგლეხო ფუძე“) ჩამოერთვა და სხვისთვის გადაეცა.<sup>212</sup>

ფეოდალური სამართალი იცავს მართლზომიერ მფლობელს თვით მესაკუთრის უკანონო მოქმედებისგან და ამით ეხმარება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმას, რომლის თანახმად: დაუშვებელია მართლზომიერ მფლობელს (პირი, რომელიც სამართლებრივ საფუძველზე ახორციელებს ნივთის მიმართ ფაქტობრივ ბატონობას)<sup>213</sup> მოეთხოვოს ნივთის დაბრუნება. მართლზომიერი მფლობელობის განმავლობაში მის კუთვნილად ითვლება ნივთისა და უფლების ნაყოფი (სამოქალაქო კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილი).

## 2. დანაწევრებული საკუთრება

### 2.1. კერძო და საჯარო საწყისების თანაფარდობა ფეოდალურ საკუთრებაში

მიწასთან დამოკიდებულებით, სენიორისა და ვასალის უფლებრივი დამოკიდებულების კვლევისას აშკარაა ის გარემოება, რომ თითოეულ მათგანს მიწის გასხვისების უფლება შეზღუდული სახით, მაგრამ მაინც აქვს. აღნიშნული მიწაზე მათი საკუთრების უფლების არსებობაზე მიუთითებს, რადგან საკუთრების უფლების არსი ნივთის გასხვისების შესაძლებლობის არსებობით განისაზღვრება. მიწაზე ფეოდალური საკუთრება აბსოლუტური, ერთიანი, განუყოფელი ხასიათის კი არ არის, არამედ დანაწევრებული, არასრული, „განსაზღვრულ პირობათა და ვალდებულებათა შესრულებასთანაა დაკავშირებული“,<sup>214</sup> აღნიშნული განპირობებულია ფეოდალური სახელმწიფოს პოლიტიკური დაქუცმაცებულობით. ამასთან, ფეოდალურ საკუთრებასთან ერთად შეკვეცილი მოცულობით არსებობდა კერძო საკუთრების ინსტიტუტი – ალოდი. ის დაკავშირებული იყო განუსაზღვრელი განკარგვის უფლებასთან, ამიტომ ფეოდალური წყობა მას მტრულად უყურებდა და მის გაუქმებას ცდილობდა.<sup>215</sup>

ფეოდალიზმის პერიოდში ეკონომიკური (მიწაზე საკუთრების) ხელისუფლება საზოგადოებაში ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის საფუძველია,<sup>216</sup> შესაბამისად, მიწაზე დანაწევრებული საკუთრების არსებობა ამ უფლების სუბიექტის

<sup>210</sup> *ჩერნილოვსკი ზ.მ.*, სახელმწიფოსა და სამართლის მსოფლიო ისტორია, თბ., 1992, 140.

<sup>211</sup> *Голанца П.Н.*, История государства и права зарубежных стран, М., 1980, 291.

<sup>212</sup> *დოლიძე ი.*, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, 158.

<sup>213</sup> *ზოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ.2, რედ. *ჭანტურია ლ.*, *ზოიძე ბ.*, *ნინიძე თ.*, *შენგელია რ.*, *ხეცურიანი ჯ.*, თბ., 1999, 63.

<sup>214</sup> *Венедиктов А.В.*, Государственная социалистическая собственность, М., 1948, 109.

<sup>215</sup> *ვაჩუაშვილი ალ.*, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, წ. III, თბ., 1963, 184.

<sup>216</sup> *Виноградов П.Г.*, История средних веков, М., 1901, 132.

დამოკიდებულ, მერყევი ხასიათის პოლიტიკურ ხელისუფლებას განსაზღვრავდა. პოლიტიკურ და მიწის ურთიერთობათა მჭიდროდ დაკავშირებით იყო გამოწვეული საჯარო და კერძო სამართლის ელემენტების აღრევა ფეოდალურ სამართალში.<sup>217</sup> მიწათსარგებლობის პირობითობას შეესაბამებოდა სხვადასხვა წოდებათა პირად ურთიერთობათა სისტემა, რომლის მიხედვით მთელი ფეოდალური საზოგადოება წარმოადგენდა იერარქიულ კიბეს, სადაც სხვადასხვა წოდებები ერთმანეთთან იყვნენ დაქვემდებარებული.<sup>218</sup>

ეს ვითარება დაპირისპირების საფუძველია, როგორც სამეფო ხელისუფლებასა და მსხვილ ფეოდალებს შორის, ისე თავად განკერძოებისა და შეუვალობის მოსურნე ფეოდალებს შორის.

## 2.2. გლოსატორების პრობლემა

სამოქალაქო მშვიდობის აუცილებლობამ შუა საუკუნეების იურისტები აიძულა შეექმნათ ეპოქის მოთხოვნების შესაბამისი მიწაზე საკუთრების უფლების კონცეფცია, რომელიც ფორმალურად მაინც აღიარებდა როგორც სენიორის, ისე ვასალის სრულ საკუთრებას მიწაზე, რის შედეგადაც იოლი იქნებოდა თითოეული მათგანის როგორც საჯარო და სამხედრო ხელისუფლების სფეროს განსაზღვრა, ისე მათი უფლებების დადგენა მიწაზე მოსაქმე გლეხების მიმართ.<sup>219</sup>

გლოსატორების წინაშე წამოიჭრა ფეოდალურ ურთიერთობებში აღმოცენებული სამართლებრივი ცნებების გამოკვლევისა და დასაბუთების ამოცანა, ამიტომ მათ მიმართეს რომის სამართალს და შეეცადნენ მასში აღმოეჩინათ ის საფუძველი, რომლის მეშვეობით შეძლებდნენ სათანადო იურიდიული კონსტრუქციის შექმნას. მათ უნდა გადაეჭრათ საკითხი, თუ რამდენად შეიძლებოდა ერთსა და იმავე ნაკვეთზე რამდენიმე პირის საკუთრების უფლების თანაარსებობა. რომის სამართალი იცნობდა სანივთო სამართლის ისეთ ინსტიტუტებს, რომლებიც თავისი შინაარსითა და მოცულობით საკუთრებას უახლოვებდნენ (ემპითევისი, სუპერფიცია). რომაელმა იურისტებმა სამართლიანობის თვალსაზრისით, ანალოგიის გზით, ვინდუკაციის უფლება მიანიჭეს ამ უფლების მქონე პირებს. გლოსატორებმა გამოიყენეს რომაული სამართლის ეს დებულება და *rei vindicatio utilis*-ის ცნებიდან გამოიტანეს დასკვნა სათანადო მატერიალური უფლების არსებობის შესახებ. ამგვარი უფლებები ემპითევისისა და სუპერფიციარის მსგავსად, შუა საუკუნეებში ეკუთვნოდა ვასალს. ამ მსჯელობის საფუძველზე, გლოსატორების იტალიური სკოლის მიერ შეიქმნა მოძღვრება დანაწევრებული საკუთრების შესახებ,<sup>220</sup> რომლის თანახმად, მიწაზე საკუთრების უფლება გააჩ-

<sup>217</sup> ჯორბენაძე ს., სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების წარმოშობა სსრ კავშირში, თბ., 1963, 69.

<sup>218</sup> ვაჩიშვილი ალ., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, წ. III, თბ., 1963, 48.

<sup>219</sup> *Иоффе О.С.*, Гражданское право, Избранные труды, М., 2000, 57.

<sup>220</sup> ცივილისტებისა და სამართლის ისტორიკოსთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ საკუთრების დანაწილების პრინციპი რომის სამართლიდან მომდინარეობს და მიუთითებს საკუთრებისა და სხვის ნივთზე უფლების (სერვიტუტი, უზუფრუქტი, სუპერფიცია, ემპითევისი, უზუსი) მქონე პირთა უფლებრივ დამოკიდებულებაზე, ემპითევი და სუპერფიციარი მიიჩნევა დაქვემდებარებულ მესაკუთრებად, ხოლო მიწის მესაკუთრე – უზენაეს მესაკუთრედ. ემპითევისი (მიწის უვადო იჯარა, მემკვიდრეობით გადაცემადი, გასხვისებადი უფლება) და სუპერფიცია (მიწის ნაკვეთის ხანგრძლივი ან



ნდა როგორც სენიორს (უმადლესი, ზესაკუთრება – *dominium directum*), ისე ვასალს (დაქვემდებარებული, ქვესაკუთრება *dominium utile*).<sup>221</sup>

აღნიშნული პროცესების შედეგად, აღარ დარჩა ზღვარი საკუთრებასა და მფლობელობას შორის. საკუთრება თითქოს ჩაფლული, ჩამაღულ-ჩაკარგული შეიქნა მფლობელობაში.<sup>222</sup> შუა საუკუნეების სამოქალაქო სამართალმა რომის სამართლის რეცეფციის შემდეგ შეითვისა მფლობელობის არსის განმსაზღვრელი რომაული ნორმაც, რომელიც მფლობელობის არსებობას ორ ელემენტს უკავშირებდა: სუბიექტურს, ანუ ნებითს, რაც გულისხმობდა ნივთის საკუთრად ფლობის სურვილს და ობიექტურს, რაც ნივთის მიმართ ფაქტობრივი ბატონობის განხორციელებაში გამოიხატებოდა.<sup>223</sup> სენიორსა და ვასალს, როგორც მესაკუთრეებს, გააჩნდათ მფლობელობის ნებითი ელემენტი. რაც შეეხება ობიექტურ ელემენტს, ვასალი მას უშუალოდ, ხოლო სენიორი ვასალის, ანუ სხვა პირის მეშვეობით ახორციელებდა, რის შესაძლებლობაზე ჯერ კიდევ, რომელი იურისტი პავლუსი მიუთითებდა: „ჩვენ მოვიპოვეთ მფლობელობას, თუ გვაქვს ნება მფლობელობისა, ფაქტობრივი მხარე შეიძლება განხორციელდეს ან ჩვენს მიერ, ან სხვა პირთა მეშვეობით“.<sup>224</sup>

### 3. მფლობელობითი დაცვის არსი და მიზნები ფეოდალურ სამართალში

#### 3.1. ზოგადი მიმოხილვა

საკუთრებისა და მფლობელობის ამგვარი ურთიერთდამოკიდებულება განაპირობებდა მათ გააზრებას ერთი და იგივე შინაარსის მქონე ინსტიტუტებად: მფლობელი არის ის, ვინც ფლობს რასმე, მეპატრონე, მესაკუთრე, მპყრობელი. მიწათმფლობელობა არის მიწის მფლობელობა, მიწის საკუთრება, მიწათმფლობელი – მიწის კერძო მესაკუთრე.<sup>225</sup>

მიწაზე ფეოდალური საკუთრების მოძღვრების ჩამოყალიბების მიუხედავად, დანაწევრებული საკუთრების არსი, ის რომ საკუთრებაში ნაგულისხმევი სხვადასხვა უფლებები სხვადასხვა პირებს განეკუთ-

---

უვადო სარგებლობა მასზე შენობის ასაგებად) აღიარებულია დაყოფილი საკუთრების ფორმებად მონათმფლობელურ საზოგადოებაში. *Венедиктов А.В.*, Государственная социалистическая собственность, М., 1948, 74. მეორე ნაწილი უარყოფს ამ მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ რომში მესაკუთრედ ითვლებოდა მხოლოდ ის, ვისაც ნივთზე სრული უფლება ჰქონდა. შესაძლო იყო ნივთზე უფლებამოსილების რომელიმე ელემენტის მესამე პირისათვის გადაცემა, მაგრამ ეს იყო საკუთრების შეზღუდვა და არა მისი დანაწილება. თეორია, რომელიც საკუთრების უფლების დანაწილებასა და ამ ნაწილების სხვადასხვა პირთათვის მიკუთვნებას ემყარება, არ არის მართებული და არ შეესაბამება რომის სამართლის საფუძვლებს. *Дернбург Г.*, Пандекты, Т. 2. пер. *Блоха А.Ю.*, *Гальпера А.Я.*, *Унтелова Д.И.*, *Шнейдера К.А.*, под. ред. *Мейендорфа А.Ф.*, СПб., 1905, 73. ორმაგი საკუთრება შექმნილია შუა საუკუნეებში და ის სამართლის იდეების დამახინჯებაა. *Муромцев С.*, Рецепция римского права на западе, М., 1886, 30.

<sup>221</sup> საკუთრების მიერ 1258 წელს გამოცემული გლოსათა კრებული განასხვავებდა ერთმანეთისგან საკუთრების ამ ორ ფორმას. *Иоффе О.С.*, Гражданское право, Избранные труды, М., 2000, 45.

<sup>222</sup> *ზოდუ ბ.*, ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, 58.

<sup>223</sup> *Черниловский З.М.*, Всеобщая история государства и права, М., 1996, 94.

<sup>224</sup> *Новицкий И.Б.*, *Перетерский И.С.*, (ред.), Римское частное право, М., 1948, 181.

<sup>225</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ.5. (არხ. ჩიქობავას რედ.), თბ., 1958.

ენება,<sup>226</sup> ხშირად აძნელებდა თითოეულის უფლებამოსილების განსაზღვრას.<sup>227</sup> ამ მდგომარეობამ მიწაზე მფლობელობის, როგორც ფაქტობრივი ძალაუფლების, მნიშვნელობა გაზარდა, საკუთრების ობიექტზე არსებული სანივთო უფლება-მოვალეობანი მფლობელობის ინსტიტუტში კპოვებდა რეალიზებას.<sup>228</sup> შესაბამისად, წარმოიშვა მფლობელობის დაცვის აუცილებლობა, მაგალითად, ინგლისში ლორდ-კანცლერის სასამართლოს საქმიანობაში დამკვიდრდა ე.წ. „მიწერილობა უფლების ბოძების შესახებ“, რომლის ძალით, ვასალი უფლებამოსილი იყო ნებისმიერი პირისგან მიწაზე მფლობელობის ხელყოფისაგან თავის შეკავება მოეთხოვა.<sup>229</sup>

მფლობელობის შესახებ დავის გადაწყვეტა სასამართლო უფლებამოსილებას შეადგენდა. გარდა ამისა, ფეოდალური სამართალი იცნობდა მფლობელობის სასამართლომდე წინასწარ დაცვას, რაც ნივთზე უფლებები საფუძვლისგან დამოუკიდებლად ხორციელდებოდა, ანუ მფლობელს არ მოეთხოვებოდა ნივთზე საკუთრების უფლების არსებობის მტკიცება.<sup>230</sup>

### 3.2. მფლობელობითი დაცვის თავისებურებანი ძველ ქართულ სამართალში

მფლობელობის წინასწარი დაცვა არსებობდა ქართულ ფეოდალურ სამართალშიც. მართალია, ზოგიერთი მკვლევარი უარყოფს ზემოაღნიშნულ ფაქტს და მიიჩნევს, რომ საქართველოში მფლობელობას იცავდა მხოლოდ საკუთრების დაცვის სარჩელი, რომლის წარდგენის დროს მფლობელის მიერ საკუთრების უფლების არსებობაზე მითითება სავალდებულო იყო,<sup>231</sup> მაგრამ ქართული სასამართლო პრაქტიკის გაცნობით საპირისპირო დასტურდება. ფაქტობრივი მფლობელობის სამართლებრივი დაცვის შემოღებას საქართველოში განაპირობებდა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა. მფლობელობითი დაცვა ზედმიწევნით მიესადაგებოდა ცენტრალური ხელისუფ-

<sup>226</sup> ჭანტურია ლ., უძრავი ნივთების საკუთრება, თბ., 1994., 169.

<sup>227</sup> ამ ხელოვნურ კონსტრუქციას ბევრი რამ არ ექვემდებარებოდა და განაგრძობდა არსებობას სამართლებრივი განსაზღვრებების გარეშე. *Покровский И.А., Основные проблемы гражданского права*, М., 1998, 209.

<sup>228</sup> *ზოიძე ბ.*, ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, თბ., 2000, 53.

<sup>229</sup> *ცვაიგერტი კ., კოტცი პ.*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. I. გამოცემის მეცნიერული რედაქცია და ბოლოთქმა *თ. ნობოდის*, თარგმანი *ე. სუმბათაშვილის*, თბ., 2000, 203.

<sup>230</sup> შუა საუკუნეებში მიწაზე ფაქტობრივად არსებული ურთიერთობის დაცვისათვის გამიზნული რეკუპატორული (აღდგენითი) ინტერდიქტები საეკლესიო სამართლის წიაღში იშვა. კერძოდ, ე.წ. რეინტეგრანდეს საეკლესიო კანონის თანახმად, ეპარქიიდან გაძევებულ ყოველ ეპისკოპოსს უფლება ჰქონდა მისთვის წაყენებულ ბრალდებას შეწინააღმდეგებოდა ექსცეპციის წარდგენით, რომ ის გაქურდულია (*exceptio spoli* – აქედან განვითარდა სარჩელი *actio spoli*, რომელიც წარედგინებოდა ნებისმიერ პირს და არა მხოლოდ ეპისკოპოსს) და პასუხისმგებლობის დაკისრებამდე ეპარქიის (განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში არსებული ეკლესია-მონასტრები, მრევლი და საეკლესიო ქონება) მფლობელობის დაბრუნება მოეთხოვა. *Гримм Д.Д., Конспект лекции по догме Римского права*, СПб., 1905, 172.

<sup>231</sup> *სურგულაძე ივ.*, საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, თსუ შრომები, XXXV ტ, 1949, 253-254; *დოლოძე ი.*, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, 177.

ლების ინტერესებს, დაეძლია ფეოდალური შინააშლილობა და არეულობა, რაც წარმოუდგენელი იყო ფართოდ გავრცელებული თვითნებობისა და ძალადობის აღკვეთის გარეშე. სიმშვიდის შენარჩუნების საჭიროება ხელისუფლებას უკარნახებდა ხელუხლებლად დაეტოვებინა და დაეცვა არსებული ფაქტობრივი ვითარება მაშინაც, როცა იგი აშკარად უკანონო გზით იქნებოდა შექმნილი. სხვა შემთხვევაში, არსებული მდგომარეობის ძირეულად გადასინჯვის ცდა ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდებოდა, რასაც სუსტი ხელისუფალი ვერ აღკვეთდა და ოდნავი სტაბილურობის პერიოდში, კვლავ ქაოსი დაისადგურებდა.<sup>232</sup> ამგვარად, კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა უარყოფდა ფაქტობრივ ურთიერთობათა თვითნებურად შეცვლას და იცავდა სადავო საქმის სასამართლო წესით გადაწყვეტის პრინციპს, მანამდე კი პირვანდელი სახით აღდგებოდა დარღვეული მფლობელობა და მოპასუხეს დაეკისრებოდა მფლობელისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

სასამართლომდე მფლობელობა მეფის ბრძანება – ოქმით იყო დაცული, რომელიც თავში წაეწერებოდა ხოლმე მომჩივანის არხას. მაგალითად, ერეკლე II-ის ერთ-ერთ ბრძანებაში, რომლის აღსრულებაც იასაულს აქვს მინდობილი, მითითებულია: „მამულები ისევ დაანებე თარხანსა და ბეციას (მომჩივანთ) სამართლამდინ, და თუ სოლომონს (მოპასუხეს) სიტყვა აქვს, სამართალში ელაპარაკოს.“<sup>233</sup> გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც მომჩივანი მიმართავს მდივანბეგს<sup>234</sup> და მფლობელობის დასაცავად ბრძანებას იძლევა „საქართველოს მსაჯულთ შეკრებულება“, თუმცა მის მიერ გაცემულ საბუთზეც მეფის ბეჭედი დასმული.

მფლობელობითი დაცვის თავისებურება, ის, რომ ნივთის მფლობელს არ მოეთხოვება ფლობის სამართლებრივ საფუძველზე მითითება, განაპირობებდა კანონიერი მფლობელობის გვერდით უკანონო მფლობელობის დაცვასაც. ფაქტობრივი ბატონობის კანონიერებისა თუ უკანონობის დადგენა ნორმატიული ნების შეფასების შედეგად ხორციელდება. ამდენად, კანონიერია მფლობელობა, რომელიც ნორმატიულ ნებას ემყარება, ხოლო უკანონო, რომელიც აღნიშნულ ნებასთანაა კონფლიქტში. უპირველეს ყოვლისა, ასეთია არაკეთილსინდისიერი მფლობელობა, თუმცა აქ, დამატებით, ნივთის ფლობის სამართლებრივი საფუძვლისადმი პირის დამოკიდებულება, ანუ სუბიექტური შეფასების მომენტი მოქმედებს.<sup>235</sup> არაკეთილსინდისიერ მფლობელად მიიჩნევა პირი, რომლის მიერ ნივთის მფლობელობა მოპოვებულია ძალადობით ან ფარულად, რადგან იცოდა, რომ ნივთი მას არ ეკუთვნოდა. ძალადობის გზით დამყარებული მფლობელობის სამართლებრივი დაცვის პრეცედენტი განსაკუთრებით დეცენტრალიზაციის ვითარებაში შეიქმნევა. მაგალითად, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 176-ე მუხლის თანახმად, „ორბატონობასა და ორიანობაში ერთის მეორისგან მიხდომა, აკლება, წართმევა, მიტაცება და

<sup>232</sup> *ლომიძე ვ.* შექმენითი ხანდაზმულობის ინსტიტუტი ძველ ქართულ სამართალში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2003, 128.

<sup>233</sup> საქართველოს სიძველენი, ტ.3. (*ე. თაყაიშვილის* რედ.), ტფ., 1910, 521-522.

<sup>234</sup> მდივანბეგი ქართულად მსაჯულს, მოსამართლეს ნიშნავს. მე-18 ს-ის II ნახევარში მოქმედებდა მდივანბეგთა სასამართლო ერთი ან რამდენიმე პირის შემადგენლობით. *კეკელია მ.*, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, თბ., 1970, 136.

<sup>235</sup> *ზოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ.2, რედ. *ჭანტურია ლ.*, *ზოიძე ბ.*, *ნინიძე თ.*, *შენგელია რ.*, *ხეცურიანი ჯ.*, თბ., 1999, 59.

ლაშქრევა არ იხსენიების, არც გამოიკიდების... და ბოლოს, რომელსაც დარჩეს, ნულარ ართმევს.“<sup>236</sup>

მფლობელობის სასამართლომდე დაცვას დროებითი ხასიათი ჰქონდა, რადგან საქმე შესაძლოა, სხვაგვარად წარმართულიყო, როცა დაისმებოდა უფლების საკითხი. ფაქტობრივი მფლობელობის დაცვა ხორციელდებოდა საქმის გარემოებათა რაიმე საგანგებო გამოძიების გარეშე. ამიტომ, შესაძლო იყო, რომ მფლობელობით პროცესში დამარცხებულ მხარეს სადავო გაეხადა გამარჯვებული ფაქტობრივი მფლობელის უფლებამოსილება. ახალ დავაში ყოფილი მოპასუხე უკვე მოსარჩელედ გამოდიოდა. საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე სადავო ნივთს ფაქტობრივი მფლობელი ინარჩუნებდა გასხვისების გარეშე განკარგვის სტატუსით, კერძოდ, განათხოვრებისა და გაქირავების უფლებით.<sup>237</sup>

სასამართლო პროცესში მოსარჩელეს შეეძლო მფლობელისგან მოეთხოვა ფლობის სამართლებრივ საფუძველზე მითითება უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის გზით.<sup>238</sup> მფლობელის მიერ ამ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობისას, მას ნივთი ჩამოერთმეოდა და უფლებამოსილ პირს გადაეცემოდა. დოკუმენტის წარუდგენლობის მიზეზი შესაძლოა ყოფილიყო მისი არქონა, მისი ფორმალური ან შინაარსობრივი ნაკლი, რაც დოკუმენტის ნამდვილობას სათუოდ გახდიდა.<sup>239</sup>

ფეოდალური სამართალი კრძალავდა უფლებამოსილი პირის მიერ მფლობელისთვის ნივთის თვითნებურ ჩამორთმევას და გარდა იმისა, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ნივთს მფლობელს უბრუნებდა, ამ მოქმედებისთვის ქონებრივ სასჯელსაც ითვალისწინებდა, მაგალითად, ამგვარ აკრძალვას იცნობდა მეცამეტე საუკუნის გერმანული სამართლის ძეგლი „საქსონიის სარკე“,<sup>240</sup> ასევე ქართული სამართლის ძეგლები. ვახტანგ მეექვსის სამართლის მიხედვით: თუ ვინმე სხვის ხელში საკუთარ ნივთს აღმოაჩენდა, ძალით კი არ უნდა წაერთმია ან მალვით წაეღო, არამედ ჯერ უნდა ეთხოვა ნივთის უკან დაბრუნება, ხოლო უარის შემთხვევაში, შეეძლო სასამართლოსთვის მიემართა.<sup>241</sup> ქონებრივი

<sup>236</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ.I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული (ი. დოლიძის რედ.), თბ., 1963, 525.

<sup>237</sup> *ფუტკარაძე ი.*, ქართული ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტები, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატი, თბ., 2001, 63-64.

<sup>238</sup> *ფუტკარაძე ი.*, ფაქტობრივი მფლობელობის დაცვა ფეოდალურ საქართველოში, კრებულში: ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, წ.3. (ი. დოლიძის რედ.), თბ., 1979, 130.

<sup>239</sup> *ჯავახიშვილი ივ.*, თხზ.ტ.VII, თბ., 1984, 301.

<sup>240</sup> *Корецкий В.М.*, (ред.), Хрестоматия памятников феодального государства и права стран Европы, М., 1961, 376.

<sup>241</sup> სამართალი ვახტანგ მეექვსის (ი. დოლიძის რედ.), თბ., 1982. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 158-ე მუხლის პირველ ნაწილის შინაარსი: „ერთი ეს ვთქვათ, დასტურ დადებულ არის, კაცი თავის საქონელს იცნობს, შუა წყალში ჩაეჭიდების“, ი. ფუტკარაძის მოსაზრებით, საკუთრივ კანონმდებლის მიერ არ არის განსაზღვრული. ის ხალხური ნათქვამის სახითაა მოყვანილი სამართლის წიგნში. „ჩაეჭიდება“ ნივთის დაბრუნების მოთხოვნას უნდა ნიშნავდეს, ხოლო პრეტენზიის დაუკმაყოფილებლობისას სასამართლო დავის დაწყებას. *ფუტკარაძე ი.*, ქართული ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტები, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2001, 285.

სასჯელის სახით ჯარიმას აწესებდა როგორც ბექა-აღბუღას, ისე დავით ბატონიშვილის სამართალი. ამ უკანასკნელის თანახმად, თვითნებობით მოქმედ პირს ორმაგი გადახდევინება ეკისრებოდა: „ერთი ეძლევა დაზარალებულს, მეორე უნდა დაიდვას სახმარად საზოგადოებისათვის.“<sup>242</sup>

ფეოდალური სამართლის დანაწესი ამ შემთხვევაშიც ემსგავსება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმას, რომლის თანახმად, მფლობელობის უკან დაბრუნების მოთხოვნა შეიძლება გამოყენებულ იქნეს უკეთესი უფლების მქონე პირის (მფლობელი, რომლის მფლობელობა გარკვეულ სანივთო თუ ვალდებულებით უფლებაზეა დამყარებული)<sup>243</sup> მიმართაც, თუკი მან ნივთი მოიპოვა ძალადობის ან მოტყუების გზით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 160-ე მუხლი).

ფეოდალურ ეპოქაში კერძოდ, სამეფო ხელისუფლების შესუსტების ვითარებაში, ადგილი ჰქონდა ფაქტობრივი ბატონობის თვითდაცვასაც. მაგალითად, დასავლეთ ევროპაში სასულიერო და საერო ფეოდალები, როგორც მიწის მფლობელები, მდაბიო ხალხის მეშვეობით მოძალადეთაგან თავდაცვის კავშირებს ქმნიდნენ.<sup>244</sup> გვიანფეოდალურ საქართველოშიც არსებობდა წერილანაურთა და გლეხთა გაერთიანება მფლობელობის დაცვის მიზნით.<sup>245</sup>

#### 4. ვინდიკაციის შეზღუდვის წესის წარმოშობა

ფეოდალური სამართლის თანახმად, მესაკუთრეს შეეძლო სასამართლოს მეშვეობით არამართლზომიერი მფლობელისგან ნივთის ვინდიცირება და ზიანის ანაზღაურება მოეთხოვა. მესაკუთრის უფლების დაცვის ამ შესაძლებლობას ითვალისწინებდა, მაგალითად, სალიკური სამართალი,<sup>246</sup> ლორდ-კანცლერის ბრძანება „უფლების შესახებ“,<sup>247</sup> ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის 63-ე მუხლი – ნივთის ღირებულების ორმაგი ოდენობით.<sup>248</sup> მესაკუთრის მსგავსად, ამ უფლებით სარგებლობდა სხვა მართლზომიერი მფლობელიც, ის, ვინც მესაკუთრესთან შეთანხმებით ახორციელებდა ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას.<sup>249</sup>

შესაძლო იყო მესაკუთრის მიერ ნივთის ჩამორთმევა იმ კეთილსინდისიერი შემქმნისთვისაც, რომელმაც მფლობელობა მოიპოვა არაუფლებამოსილი პირისგან, მესაკუთრის მფლობელობიდან მისი ნების წინააღმდეგ გასული ნივთის შექმნით. კეთილსინდისიერ მფლობელს უნდა მიეთითებინა გამსხვისებელზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ნივთის ჩამორთმევის გარდა, არაკეთილსინდისიერებისთვის ჯარიმის

<sup>242</sup> სამართალი ბატონიშვილის დავითის (დ. ფურცელაძის გამოც.), თბ., 1964.

<sup>243</sup> *ხოძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ.2, რედ. *ჭანტურია ლ.*, *ხოძე ბ.*, *ნინიძე თ.*, *შენგელია რ.*, *ხეცურიანი ჯ.*, თბ., 1999, 61.

<sup>244</sup> *Никонов С.П.*, Развитие защиты владения в средневековой Европе, Харьков, 1905, 87.

<sup>245</sup> *ფუტკარაძე ი.*, სანივთო სამართლის სუბიექტების შესახებ: ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, წ.1, თბ., 1973, 35-36.

<sup>246</sup> *ცაცანაშვილი მ.*, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, წ.2, თბ., 2000, 206.

<sup>247</sup> *ცვაიგერტი კ.კოტცი ჰ.*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ.1, გამომცემის მეცნიერული რედაქცია და ბოლოტქმა თ. *ნინიძის*, თარგმანი *ე. სუმბათაშვილის*, თბ., 2000, 203.

<sup>248</sup> *დოლიძე ი.*, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, 176.

<sup>249</sup> *Томсинов В.А.*, Всеобщая история государства и права, Т.1, Древний мир, Средние века, М., 2002, 402.

გადახდაც დაეკისრებოდა. ასეთ სამართლებრივ შედეგს ითვალისწინებდა ნაპოვარის არაკეთილსინდისიერი შემძენის მიმართ, მაგალითად, მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისის ქართული განჩინება „ნაპოვარი ნივთის გაყიდვის საქმეზე“.<sup>250</sup> ნაპოვარის შემთხვევაში არსებობდა მპოვნელის მიერ ნივთის მესაკუთრისთვის დაბრუნების მოვალეობა. მაგალითად, ბექა-აღბუღას სამართლის თანახმად, მპოვნელი ვალდებულია „ნივთი პატრონს გამოუჩინოს და ხელთ მისცეს.“ ამ მოვალეობის შეუსრულებლობა ქურდობის ტოლფასად მიიჩნეოდა: „და თუ არ გამოუჩინოს, დამალოს და უკანისდა გამოჩნდეს... ამაღ რომე მპარაობისა, რამე მაგიერი საქმე იქნების.“<sup>251</sup> ანალოგიურ დანაწესს იცნობდა დავით ბატონიშვილის სამართალიც: „ხოლო მპოვნელთაცა პირუტყუთასა, უკეთუ არა ამცნობენ პატრონთა საქონლისათა, მაშინ ქურდისა მსგავსად მიეხედების.“<sup>252</sup>

შუა საუკუნეების ფეოდალური სამართლიდან სათავეს იღებს სავინდიკაციო სარჩელის შეზღუდვის წესი, იმ კეთილსინდისიერი შემძენის სასარგებლოდ, რომელმაც სასყიდლით შეიძინა ნივთი მის განკარგვაზე არაუფლებამოსილი პირისგან, ვისაც ნივთი თავად მესაკუთრემ გადასცა დროებით მფლობელობაში. ამ ვითარებაში, ნივთის კეთილსინდისიერი შემძენი მისი მესაკუთრე ხდებოდა, ხოლო ყოფილ მესაკუთრეს მხოლოდ გამსხვისებლის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ჰქონდა.<sup>253</sup> ამ წესმა თავდაპირველად გერმანულ სამართალში, „საქსონის სარკეში“ ჰპოვა ასახვა.

## 5. საკუთრების წარმოშობა „სიგრძობითა ჟამთაითა“ გზით

ფეოდალური სამართალი იცნობდა შეძენითი ხანდაზმულობის ინსტიტუტს. ქართული სამართლის წყაროებში სიტყვა „ხანდაზმულობა“ ან „ხანის დაზმა“ ვერ დასტურდება. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ქართულ სამართლებრივ სინამდვილეში ხანდაზმულობის ინსტიტუტი არ არსებობდა. ძველი ქართული სამართლის ძეგლებში თანამედროვე „ხანდაზმულობა“ ან რომელიმე კონკრეტული დროის მონაკვეთის მითითებით, ან შინაარსობრივად არის გადმოცემული, რისთვისაც მკვეთრად შემოფარგლული სიტყვათა შეკავშირებების ჯგუფი გამოიყენება, მაგალითად, დრო, ჟამი, ხანის დაყოფა.<sup>254</sup>

მიწაზე ვასალის მფლობელობა მტკიცე უფლებამოსილებას შეადგენდა. შესაბამისად, მიწისმფლობელის სხვაგან წასვლისა და ადგილზე ხანგრძლივი არყოფნის გამო, თუ სენიორი მის მამულს გაასხვისებდა, დაბრუნებულს შეეძლო მფლობელობის აღდგენა

<sup>250</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ.4,სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII ს.ს),ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ი.დოლიძემ*, თბ., 1972, 270. მითითებულია: *ზოიძე ბ.*, საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლები ძველ ქართულ სამართალში (ნაპოვარი, განძი), წიგნში: ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, 401-402.

<sup>251</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ.1, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული (ი. დოლიძის რედ.), თბ.,1963, 461.

<sup>252</sup> სამართალი ბატონიშვილის დავითის (დ. ფურცველაძის გამოც.), თბ., 1964, 69.

<sup>253</sup> *Покровский И.А.*, Основные проблемы гражданского права, М., 1998, 196.

<sup>254</sup> *ლომიძე ვ.*, ხანდაზმულობა (ტერმინის საკითხისათვის), პროფ. გ.ნადარეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წ.1, თბ., 2010, 375.

მოეთხოვა, მიუხედავად იმისა, „რა გინდა ვისა ხანი დაეყო.“<sup>255</sup> ხანდაზმული ფლობა საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველი იყო გლეხთა მფლობელობაში არსებული მიწების მიმართ (მაგალითად, საფრანგეთში—სეზინა). საფრანგეთსა და გერმანიაში ხანდაზმულობის ვადა 1 წელსა და 1 დღეს შეადგენდა.<sup>256</sup>

ფეოდალურ საქართველოში ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, მიტოვებულ, უპატრონო უძრავ-მოძრავ ქონებაზე, რომელსაც „ოჰერი“, „ოჰერ-ქმნილი“ ან „ნაოჰარი“ ერქვა, საკუთრების უფლების მოპოვება შესაძლო იყო ძალმომრეობის თვისების არმქონე მფლობელობითი ხანდაზმულობის, ანუ „სიგრძოითა ჟამითა“ გზით. ამ მოსაზრების მტკიცებულებად ის მიუთითებდა ბაგრატ IV-ის 1058 წლის სიგელსა და ექვთიმე მთაწმინდელის „მცირე სჯულის კანონზე“. ამ უკანასკნელის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა 30 წელს შეადგენდა.<sup>257</sup> თავის მხრივ, საქართველოში უძრავ ნივთებზე მფლობელობითი ხანდაზმულობით საკუთრების მოპოვებას უარყოფს როგორც ბექა-აღბუღას, ისე ვახტანგ მეექვსის სამართალი.<sup>258</sup> სამართლის ამ ძეგლების თანახმად, 30-წლიანი ხანდაზმულობის ვადა მხოლოდ გაქცეულ ყმებზე ვრცელდებოდა.<sup>259</sup>

## 6. მფლობელობა რევოლუციამდელ რუსულ სამართალში

ფეოდალური ეპოქის რუსეთში კერძოსამართლებრივი მეცნიერების განვითარების დაბალი დონისა და კანონმდებლობის არასრულყოფილების მიზეზად სახელდებოდა ის გარემოება, რომ „რუსეთი მკაცრი ისტორიის პირობებში დაცილდა მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრებს, რის გამოც ვერ ეზიარა კლასიკური მეცნიერების სიმდიდრეს რომის სამართალს“.<sup>260</sup> ის იზოლირებული აღმოჩნდა იმ იდეებისგან, რომლებიც ევროპულ ხალხებში ჩამოყალიბდა.<sup>261</sup> ამიტომ, ეროვნული იურისპრუდენციის სრულქმნილების მოსურნე მონარქთა და იურისტთა მოღვაწეობა მიმართული იყო რომის სამართლისა და მასზე დაფუძნებული კონტინენტური ევროპის სამართალთან რუსული სამართლის დაახლოებისკენ, რაც გამოიხატებოდა უნივერსიტეტებში ევროპიდან სამარ-

<sup>255</sup> *დომიძე ი.*, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, 161.

<sup>256</sup> *Корецкий В.М.*, (ред.), Хрестоматия памятников феодального государства и прав стран Европы, М., 1961, 366.

<sup>257</sup> *ჯავახიშვილი ივ.*, თხზ.ტ.VII, თბ., 1984, 291-292.

<sup>258</sup> ნ.ხიზანიშვილის აზრით, ხანდაზმულობის არ არსებობა მიწის მფლობელობაზე განვითარების დაბალი საფეხურის მაჩვენებელია. *ურბნელი ნ.*, ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, თბ., 1890, 196. მითითებულია: *სურგულაძე ივ.*, ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან (რედ. *მეტრეველი ვ.*, *სურგულაძე ნ.*), თბ., 2001, 233. არსებობს მოსაზრება, რომელიც ეყრდნობა შიომღვიმის მონასტრის ისტორიულ საბუთებში არსებულ მითითებას ნივთებზე, რომელზეც ხანდაზმულობა არ ვრცელდებოდა: ეკლესიის მამულს სიძველე არ შეეხება, რომ არსებობდნენ ისეთი ნივთებიც, რომლებიც შეიძინებოდნენ ხანდაზმულობით. *დომიძე ვ.* შექმნილი ხანდაზმულობის ინსტიტუტი ძველ ქართულ სამართალში. *ჟურნ. „აღმნიანი და კონსტიტუცია“*, №3, 2003, 133.

<sup>259</sup> *Сборник законов грузинского царя Вахтанга VI*, ред. *Бакрадзе Д. З.*, Тифлис, 1887, 58.

<sup>260</sup> *Дювернуа Н.*, Значение римского права для русских юристов, Ярославль, 1872, 21.

<sup>261</sup> *მეტრეველი ვ.*, *დავითაშვილი ვ.* პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, ლექციების კურსი, თბ., 1997, 224.

თლის მეცნიერთა მოწვევაში,<sup>262</sup> იურიდიული ლიტერატურის გავრცელებასა და კერძო სამართლის ინსტიტუტების გადმოღებაში.<sup>263</sup>

## 6.1. კოდიფიკაციის იდეის მარცხი

თანდათანობით ჩამოყალიბდა მოსაზრებაც კოდიფიკაციის შექმნის შესახებ.<sup>264</sup> საფრანგეთში ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ თვითმპყრობელობა შიშს შეეპყრო. ევროპაში არსებული სამოქალაქო და რელიგიური დაწესებულებების გაუქმებისკენ მიმართული შეხედულებების გავრცელების ფონზე, როდესაც რუსეთის იმპერია არსებული რეჟიმის შესანარჩუნებლად თვითმყოფადობის გამომხატველ საწყისებს ეძებდა,<sup>265</sup> კოდიფიკაცია, რაც სამართლის სრულყოფას შეუწყობდა ხელს, რაც თავის მხრივ, საზოგადოებრივი მართლშეგნების განვითარებას განაპირობებდა, მისთვის მიუღებელი იყო. კოდიფიკაციის იდეა, როგორც რეფორმატორულ-რეაქციული, დაწუნებული იქნა. აღნიშნულის არსებითი მიზეზი რომის კერძო სამართლის ინდივიდუალისტური სულისკვეთებით ნასაზრდოები, შედარებით დახვეწილი დოქტრინისა და რუსი ხალხის საჯარო სამართლებრივი ცნობიერების ურთიერთდამოკიდებულებაშია.<sup>266</sup> ფორმალურად, სამოქალაქო კოდექსის პროექტის კრიტიკის მიზეზად მისი „ფრანგულობა“, „ნაპოლეონისეულობა“ დასახელდა. რუსეთსა და საფრანგეთს შორის წარმოებული ომის შემდეგ, რუსეთის სახელმწიფოს მნიშვნელოვანი კანონი ვერ დაეფუძნებოდა რომანულ-ფრანგულ სამართლებრივ დანაწესებს.<sup>267</sup> კოდიფიკაციის ნაცვლად, ნიკოლოზ I-ის მოთხოვნით, რუსული

<sup>262</sup>1755 წელს დაარსდა მოსკოვის უნივერსიტეტი, სადაც გაიხსნა იურიდიული ფაკულტეტი. აქ ვენიდან მოწვეული სამართლის მეცნიერების დოქტორი-დიღტეი ლექციებს კითხულობდა რომის, ბუნებით, სისხლისა და სახელმწიფო სამართალში. *მეტრეველი ვ., დავითაშვილი ვ.*, პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, ლექციების კურსი, თბ., 1997, 151.

<sup>263</sup> *Стучка П.И.*, Курс советского гражданского права, Т. I, М., 1931, 122.

<sup>264</sup> კოდიფიკაციის იდეის ავტორი იყო ალექსანდრე I-ის მინისტრი გრაფი მიხეილ სპერანსკის აღტაცებული იყო ბურჟუაზიული სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტებით და საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის ნორმების რუსულ ნიადაგზე გადმოტანაზე ფიქრობდა. მან თავად მოამზადა სამოქალაქო კოდექსის პროექტი 1810 წელს. *Сиромятников Б.М.*, М.Сперанский, как государственный деятель и политический мыслитель, ж. «Советское государство и право» №3, 1940, 30.

<sup>265</sup>ასეთ საწყისებად მიიჩნიეს: მართლმადიდებლობა, როგორც რუსი ხალხის სულიერი ცხოვრების საფუძველი; ხალხურობა, რაც გულისხმობს მეფის, როგორც ერის ინტერესების გამომხატველი სუბიექტის არსებობას, მიუთითებს მეფისა და ხალხის ერთიანობაზე; თვითმპყრობელობა, როგორც ქვეყნის ძლიერებისა და სიმტკიცის გარანტი. *Емельянова Ш.А.*, Всеобщая история права в русском дореволюционном правоведении, Казань, 1981, 23.

<sup>266</sup> *ხოძე ბ.* ქართული სამოქალაქო კოდექსის შექმნის ისტორიიდან, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“ №1, 2003, 90.

<sup>267</sup> *Покровский И.А.*, Основные проблемы гражданского права, М., 1998, 72. რევოლუციამდელ რუსეთში მოგვიანებით, შეიქმნა სამოქალაქო კოდექსის კიდევ ერთი პროექტი, რომლის ორი რედაქცია 1903 და 1905 წლებით თარიღდება. მისადმი წაყენებული პრეტენზიების გამო, რომელთაც შეადგენდნენ: რუსულ თვითმყოფადობასთან კავშირის გაწყვეტა, მიმბაძველობა და შინაგანი შეუთანხმებლობა (*Поффе О.С.*, Избранные труды, М., 2000, 65.), ის ვერ იქცა კანონად. თუ რევოლუციამდელი ეპოქის რუსეთს, არათუ მე-19 ს-ში, არამედ მე-20 ს-ის დასაწყისში, ვერ გადაეწყვიტა მიედო თუ არა სამოქალაქო კოდექსი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის წინ პრაქტიკულად მზად იყო (*Синайский, Необходимо-ли нам спешить с изданием гражданского уложения*, Варшава, 1911.



სამართლის კონსოლიდაცია და ინკორპორაცია განხორციელდა. 1832 წელს გამოიცა „რუსეთის იმპერიის კანონთა სრული კრებული“, რომელმაც 1649 წლიდან 1825 წლამდე გამოცემული ყველა საკანონმდებლო აქტი მოიცვა.<sup>268</sup>

## 6.2. მფლობელობის არსი

კონტინენტური ევროპის სამართალთან რუსული სამართლის სიახლოვე უპირველეს ყოვლისა, სამართლის არსის გააზრებაში გამოიხატებოდა. სამართლის ნორმად მიიჩნეოდა ერთგვარი საზოგადოებრივი ურთიერთობების მრავალჯერადი მოწესრიგებისთვის გამიზნული ქცევის წესი, რომლის ფორმულირებაც კანონმდებლის მოვალეობას შეადგენდა.<sup>269</sup> რუსული სამართლისთვის არც სამართლის კერძო და საჯარო ნაწილებად დაყოფის რომაულ-ევროპული ტრადიცია და კერძო სამართლის მნიშვნელოვანი სფერო, სანივთო სამართალი იყო უცხო.<sup>270</sup>

მფლობელობის, როგორც სანივთო სამართლის ფუძემდებლური ინსტიტუტის, გააზრებაც კონტინენტური ევროპის სამართლისეული იყო. მფლობელობად მიიჩნეოდა ქონებაზე<sup>271</sup> პირის ფაქტობრივი ბატონობა (მფლობელობის ობიექტური ელემენტი) დაკავშირებული პირის განზრახვასთან, განკარგავდეს ნივთს, როგორც საკუთარს (მფლობელობის სუბიექტური ელემენტი).<sup>272</sup> ამ შინაარსის გამომხატველი იყო მფლობელობის აღმნიშვნელი ტერმინი „Владение“, ეტიმოლოგიური განვითარებით (владеть, володеть, волю деять – ნივთთან დაკავშირებით ნების გამო-

---

მითითებულია: *ჭანტურია ლ.*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997, 32.), სამაგიეროდ, საბჭოთა რუსეთმა არსებობის ისტორიის დასაწყისი სოციალისტური სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიღებით დააგვირგვინა, რომელიც ზემოხსენებულ პროექტს ეფუძნებოდა. ეს პროექტი იგულისხმება ნაშრომის ამ ნაწილში სამოქალაქო კოდექსის პროექტზე მითითების დროსაც.

<sup>268</sup> *ცაცანაშვილი მ.*, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, წ. II, თბ., 2000, 258.

<sup>269</sup> *დავითი რ.*, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, რუსული გამოცემიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო *თ. ნინიძემ*, თბ., 1993, 145.

<sup>270</sup> ჯერ კიდევ მე-13 ს-ში დამკვიდრდა საკუთრების აღმნიშვნელი ტერმინი «Собственность», არსებობდა აღნაგობის მსგავსი უფლებაც. მაგალითად, იმპერატორის 1738 წლის ბრძანებულებით, დუქნები და სხვა სამეურნეო ნაგებობები, რომელთაც მიწის დამქრავებელი აკებდა, ვადის გასვლის შემდეგ მიწის მესაკუთრის ხელში გადადიოდა. *ცაცანაშვილი მ.*, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, წ. II, თბ., 2000, 255.

<sup>271</sup> ქონებად, როგორც სამოქალაქო უფლების ობიექტად, „რუსეთის იმპერიის კანონთა სრული კრებული“ მიჩნევადა, როგორც სხეულებრივ, ისე უსხეულო ნივთებს. პირველი კატეგორიის ნივთებს შეადგენდნენ: უძრავი ნივთები, მაგალითად, მიწის ნაკვეთი, საცხოვრებელი სახლი (აღსანიშნავია, რომ რუსეთში უძრავი ქონების ცნება წარმოიშვა „პომესტიესა“ და „ვოტჩინას“ ურთიერთშერწყმის, მათი სამართლებრივად გაიგივების შედეგად, რაც განხორციელდა პეტრე I-ის 1714 წლის კანონით. *ნადარეიშვილი გ.*, ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2002, 353) და მოძრავი ნივთები (ფული და ყველაფერი ის, რაც მფლობელს გააჩნდა მისთვის გადაცემის ან მის მიერ წარმოების გზით). უსხეულო ნივთებს მიეკუთვნებოდნენ, მაგალითად, საავტორო უფლებები ლიტერატურულ და მუსიკალურ ნაწარმოებებზე, უფლებები, რომლებიც გამომდინარებდნენ ამა თუ იმ ვალდებულებითი ურთიერთობიდან. ხოლო სამოქალაქო კოდექსის პროექტი ქონებაში მხოლოდ სხეულებრივ მოძრავ და უძრავ ნივთებს გულისხმობდა. *Гуляев А.М.*, Русское гражданское право, СПб., 1907, 104; *Анненков К.*, Система русского гражданского права, Введение и общая часть, СПб., Типография Стасюлевича М.М., 1894, 339.

<sup>272</sup> *Кассо Л.М.*, Русское гражданское право, М., 1906, 102; *Меуер Д.М.*, Русское гражданское право, М., 2000, 334.

ხატვა).<sup>273</sup> სწორედ, ეს ელემენტი იყო მფლობელობის დაფუძნებისას გადამწყვეტი „რუსეთის იმპერიის კანონთა სრული კრებულის“ თანახმად. მფლობელად მიიჩნეოდა მესაკუთრე და არამართლზომიერი მფლობელი (კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერი). მფლობელობისგან განსხვავდებოდა ჭერა, როგორც ნივთის პერობა მისი მითვისების განზრახვის გარეშე, ფაქტობრივი ურთიერთობა, რომელიც არ უკავშირდება უფლებრივ შედეგებს.<sup>274</sup>

### 6.3. პოსესორული დაცვა – ადმინისტრაციული ხელისუფლების პრეროგატივა

სამართალი მხოლოდ მართლზომიერი მფლობელის მიერ განხორციელებულ ფაქტობრივ ბატონობას მიიჩნევს კანონიერად და დაცვის ღირსად, რადგან ის მისი მოთხოვნების შესაბამისად არის დაფუძნებული. თუმცა, საკუთრების პრეზუმფციის წყალობით<sup>275</sup> (სენატის განმარტებით, მფლობელობის შინაარსის გათვალისწინებით, შესაძლოა, მფლობელში მესაკუთრის არსებობის ვარაუდის დაშვება, მანამ დამტკიცდება, რომ საკუთრება სხვას ეკუთვნის), რომელიც ცხოვრებაში მესაკუთრისა და მფლობელის ხშირი თანხვედრის საფუძველზე, არსებული საზოგადოებრივი წესრიგის სიმტკიცისა და მესაკუთრის ინტერესთა დაცვის უზრუნველსაყოფად<sup>276</sup> არის დაშვებული, რუსული სამართალითაც შესაძლო იყო ყოველგვარი, მათ შორის არამართლზომიერი მფლობელობის დაცვა.

მფლობელობითი დაცვა, რაც მფლობელობის სამართლებრივი საფუძვლის დადგენის გარეშე ხორციელდებოდა, რევოლუციამდელ რუსეთში ადმინისტრაციული ხელისუფლების–პოლიციის უფლებამოსილებას შეადგენდა.<sup>277</sup>

მფლობელობის ხელყოფის შესახებ განცხადება ხელყოფის ფაქტიდან ათი კვირის ვადაში წარედგინებოდა პოლიციას, რომელიც მფლობელობის აღდგენის მიზნით, მისი დარღვევის ფაქტის ნამდვილობას, თავდაპირველი და შემდგომი მფლობელის ვინაობას ადგენდა, მაგრამ არ ითხოვდა მათი უფლებამოსილების დამადასტურებელი წერილობითი და სხვა მტკიცებულებების წარდგენას, რადგან მათი განხილვა სასამართლოს კომპეტენციას შეადგენდა.<sup>278</sup> სასამართლო სწორედ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მესაკუთრის ან მფლობელის

<sup>273</sup> *Морошкин Ф. Л.*, Рассуждение о владении по началам российского законодательства, М., 1837, 37.

<sup>274</sup> *Кавелин К.*, Права и обязанности по имуществам и обязательствам, СПб., Типография Стасюлевича М.М., 1879, 69.

<sup>275</sup> *Победоносцев К.*, Курс гражданского права, СПб., 1896, 38.

<sup>276</sup> *Шершеневич Г.Ф.*, Наука гражданского права в России, Казань, 1893, 260.

<sup>277</sup> *Латкин В.Н.*, Учебник истории русского права периода империи (XVIII-XIX), СПб., 1899, 464.

<sup>278</sup> რუსეთში მე-19 საუკუნის 60-იან წლებში განხორციელებულ სასამართლო რეფორმამდე ადმინისტრაცია და სასამართლო ერთმანეთისაგან არ იყო გამოჯნული. პოლიცია კიდევ იძიებდა საქმეს და კიდევ განიხილავდა (გ.წერეთელი). მოსაზრება მითითებულია: *სურგულაძე ივ.*, ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 2001, 225.

(პოლიციისთვის მიმართვის ვადის გაშვებისას) სარჩელის საფუძველზე, საქმეს არსებითად განიხილავდა და წყვეტდა.<sup>279</sup>

#### 6.4. კეთილსინდისიერი მფლობელის თვისობრივად განსხვავებული მდგომარეობა ვინდიკაციისას

ნივთზე უფლებამოსილი პირის დადგენისას, არამართლზომიერი მფლობელი ვალდებული იყო მისთვის ნივთი, მისგან მიღებული და ბრალეულად მიუღებელი შემოსავალი გადაეცა. შემოსავალი გულისხმობდა როგორც ბუნებრივ (მაგალითად, მინდვრიდან აღებული მარცვლეული), ისე სამოქალაქო ნაყოფს, ანუ შემოსავალს, რაც მიიღებოდა ნივთიდან არა პირდაპირ, მისი დანიშნულებით, არამედ არაპირდაპირ, სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე (მაგალითად, სახლის გაქირავებით მიღებული შემოსავალი).<sup>280</sup>

მესაკუთრისთვის ნივთის დაბრუნების ვალდებულება ეკისრებოდა როგორც კეთილსინდისიერ, ისე არაკეთილსინდისიერ მფლობელს. თუმცა პასუხისმგებლობის ფარგლები განსხვავებული იყო არამართლზომიერ მფლობელთათვის, მფლობელობის სამართლებრივი საფუძვლისადმი დამოკიდებულების მიხედვით. კერძოდ, კეთილსინდისიერ მფლობელს ევალდებოდა არა მფლობელობის მთელ პერიოდში მიღებული და მისი ბრალით მიუღებელი შემოსავლის დაბრუნება, არამედ იმ მომენტიდან მიღებულის, როცა შეიტყო მფლობელობის არამართლზომიერების შესახებ. მიიჩნეოდა, რომ ამ დრომდე მიღებულზე მას ჰქონდა უფლება, რადგან მისი მხრიდან სამართლიანად არსებობდა პოზიცია – ვფლობ ჩემთვის,<sup>281</sup> რადგან მისი დამოკიდებულება ნივთის ფლობის სამართლებრივი საფუძვლისადმი კეთილსინდისიერი იყო. მას გაცნობიერებული ჰქონდა ნივთის შეძენის საფუძვლის მართლზომიერება,<sup>282</sup> არ იცოდა მფლობელობის უკანონობის შესახებ.

არაკეთილსინდისიერ მფლობელთან ამ ვითარებას ადგილი არ ჰქონდა. ამიტომ, მას არ შეეძლო სხვისი ნივთიდან მიღებული ნაყოფის დატოვება და მოვალე იყო დაებრუნებინა მფლობელობის მთელ მანძილზე მიღებული ნაყოფი და ბრალეულად მიუღებელი ნაყოფის ღირებულება. საწინააღმდეგოს დაშვება იქნებოდა „სამართალდარღვევის ურცხვი ტრიუმფი, რაც შეურაცხყოფდა საზოგადოებრივ მართლშეგნებას.“<sup>283</sup>

თავის მხრივ, არამართლზომიერ მფლობელსაც გააჩნია მოთხოვნის უფლება მესაკუთრის მიმართ. მართალია, მისი მფლობელობა უკანონოა, მაგრამ ის უფლებებს უკავშირდება იმის მეოხებით, რომ მფლობელი პიროვნებაა და სამართალდარღვევა არ აქცევს მას უუფლებო არსებად.<sup>284</sup> როგორც კეთილსინდისიერ, ისე არაკეთილსინდისიერ მფლობელს უფლება ჰქონდა მესაკუთრისგან ნივთის შენახვის აუცილებელი

<sup>279</sup> *Победоносцев К.*, Курс гражданского права, СПб., 1896, 189.

<sup>280</sup> *Гуляев А.М.*, Русское гражданское право, СПб., 1907, 148.

<sup>281</sup> *Петражицкий Л.И.*, Права добросовестного владельца на доходы с точек зрения догмы и политики гражданского права, под. ред. *Рогова Е. С.*, М., 2002, 385.

<sup>282</sup> *ზოიძე ბ.*, ქართული საბივითო სამართალი, თბ., 2003, 71.

<sup>283</sup> *Петражицкий Л.И.*, Права добросовестного владельца на доходы с точек зрения догмы и политики гражданского права, СПб., 1902, 4.

<sup>284</sup> *ზოიძე ბ.*, მფლობელობის (possessio) ცნება საქართველოს მომავალ სამოქალაქო კოდექსში, კრებულში: სამართლის რეფორმა საქართველოში, თბ., 1994, 284.

ხარჯების ანაზღაურება მოეთხოვება. ნივთის გაუმჯობესებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა კეთილსინდისიერ მფლობელს იმ შემთხვევაში შეეძლო, თუ გაუმჯობესების გამოცალკევება ნივთისაგან მის დაუზიანებლად შეუძლებელი იყო. არაკეთილსინდისიერ მფლობელს აღნიშნული უფლება გააჩნდა მხოლოდ მაშინ, თუ გაუმჯობესებული ნივთის დაბრუნება მესაკუთრის უსაფუძვლო გამდიდრებას გამოიწვევდა.<sup>285</sup>

## 6.5. ვინდიკაციის შეზღუდვის წესი – სამოქალაქო ბრუნვის სიმყარისა და კეთილსინდისიერების დაცვის ბერკეტი

რუსული ცივილური სამართალი აღიარებდა ვინდიკაციის შეზღუდვის წესს, რომელიც მოქმედებს იმ კეთილსინდისიერი შემძენის სასარგებლოდ, ვინც მესაკუთრის მფლობელობიდან მისი ნებით გამოსული მოძრავი ნივთი, მის გასხვისებაზე არაუფლებამოსილი პირისგან სასყიდლით შეიძინა.<sup>286</sup> ამ ვითარებაში, გამსხვისებელი შესაძლოა იყოს, მაგალითად, პირი, რომელსაც მესაკუთრესთან სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე, დროებით მფლობელობასა და სარგებლობაში აქვს ნივთი გადაცემული; კანონით მემკვიდრე, რომელმაც არ იცოდა მამკვიდრებლის საანდერძო განკარგულების შესახებ, ანდერძით მემკვიდრის თაობაზე და გაასხვისა სამკვიდროში არსებული მოძრავი ნივთი.<sup>287</sup>

ვინდიკაციის შეზღუდვის წესის საფუძველზე მესაკუთრის შეზღუდვა მხოლოდ კეთილსინდისიერებისთვის, რაც ობიექტური სამართალდარღვევაა,<sup>288</sup> არ ხორციელდება. ვინდიკაციის შეზღუდვა ემსახურება „მნიშვნელოვან სოციალურ სიკეთეს“,<sup>289</sup> „უმაღლესი რანგის სოციალურ პრინციპს“,<sup>290</sup> სამოქალაქო ბრუნვის გაიოლებას, რაც თავის თავში მოიცავს კეთილსინდისიერ გაცვლას. სამოქალაქო სამართლის ფუნქცია პროდუქციის შემქმნელთაგან მისი დესტინატურებზე გადაცემის დაჩქარებისთვის ხელის შეწყობაა, რაც წარმოუდგენელია, თუ შემძენს დაეკისრება გამსხვისებლის უფლებამოსილების მუდმივად შემოწმების ვალდებულება. ამ ვითარებაში კეთილსინდისიერება მხედველობაში მიიღება იმდენად, რამდენადაც, ეს აუცილებელია ბრუნვის განმტკიცებისთვის.<sup>291</sup>

ვინდიკაციის შეზღუდვის წესი არც ძველი მესაკუთრისთვის არის უსამართლო. მართალია, ის აღარ არის ნივთზე უფლებამოსილი, მაგრამ მას რჩება შესაძლებლობა ზიანის ანაზღაურება მოსთხოვოს ნივთის გამსხვისებელს, რადგან იცნობს კონტრაჰენტს, განსხვავებით შემძენისგან, რომელსაც ღიღია ალბათობა, არ ახსოვდეს გამსხვისებელი. შემძე-

<sup>285</sup> *Победоносцев К.*, Курс гражданского права, СПб., 1896, 160-161.

<sup>286</sup> *Трепичын М.Н.*, Приобретение движимости в собственность от лиц не имеющих права на их отчуждения, Варшава, 1907, 28.

<sup>287</sup> *Гуляев А.М.*, Русское гражданское право, СПб., 1907, 144.

<sup>288</sup> *Петражицкий Л.И.*, Права добросовестного владельца на доходы с точек зрения догмы и политики гражданского права, под. ред. *Рогова Е.С.*, М., 2002, 122.

<sup>289</sup> *Покровский И.А.*, Основные проблемы гражданского права, М., 1998, 196.

<sup>290</sup> *Kohler*, მოთხოვნულია: *Покровский И. А.*, Основные проблемы гражданского права, М., 1998, 199.

<sup>291</sup> *Петражицкий Л.И.*, Права добросовестного владельца на доходы с точек зрения догмы и политики гражданского права, под. ред. *Рогова Е.С.*, М., 2002, 122.

ნისა და მესაკუთრის ინტერესთა კონფლიქტის დროს, სამართალი ირჩევს ნაკლები ბოროტების ვარიანტს.<sup>292</sup>

## 6.6. შექმნილი ხანდაზმულობის ინსტიტუტი „რუსეთის იმპერიის კანონთა სრულ კრებულში“

რევოლუციამდელი რუსული სამართალი იცნობდა შექმნილი ხანდაზმულობის ინსტიტუტს, რომლის არსი გულისხმობს, რომ კანონით დადგენილ ვადასა და პირობებში, ნივთის საკუთრად ფლობის განზრახვით განხორციელებული მფლობელობა, ნივთზე საკუთრების უფლებას წარმოშობს.<sup>293</sup> რუსული სამართლის წყაროებიდან მფლობელობითი ხანდაზმულობის ინსტიტუტს პირველად, „ფსკოვის სამართლის სიგელი“ ეხება, კერძოდ, დაუმუშავებელი, აუთვისებელი, მიწის 4 ან 5 წლიანი უწყვეტი ფლობა, მასზე საკუთრების უფლებას წარმოქმნიდა.<sup>294</sup>

„რუსეთის იმპერიის კანონთა სრული კრებული“ 10 წლის განმავლობაში განხორციელებულ უდავო, მშვიდ და უწყვეტ მფლობელობას, როგორც მოძრავ, ისე უძრავ ნივთებზე, საკუთრების უფლების წარმოშობას უკავშირებდა.<sup>295</sup> უდავოდ მიიჩნეოდა მფლობელობა, რომლის მიმართ სასამართლოში შეტანილი არ იყო სარჩელი ან ის სასამართლოს მიერ განუხილველად იყო დატოვებული. მფლობელობის მშვიდი ხასიათი გულისხმობდა იმას, რომ ფაქტობრივი ბატონობა არ უნდა ყოფილიყო დარღვეული ნივთზე უფლების მქონე პირის სამართლებრივი მოქმედებით, ანუ მოითხოვებოდა არა ფაქტობრივი, არამედ სამართლებრივად მშვიდი მფლობელობის არსებობა. უმაღლესი სასამართლოს – სენატის განმარტებით, მფლობელობის დარღვევა მესამე პირის მხრიდან, ხოლო შემდეგ აღკვეთილი სასამართლოს მიერ მფლობელობითი სარჩელის საფუძველზე ან თავად მფლობელის აქტიური მოქმედებით (თვითდაცვა), არ ითვლებოდა მფლობელობის ხელყოფად და არ გამორიცხავდა მის მშვიდ ხასიათს. რადგან, მფლობელობის მშვიდი და უდავო ხასიათი ერთმანეთისგან არ იმიჯნებოდა, სამოქალაქო კოდექსის პროექტის ავტორებმა უარი თქვეს ამ ნიშნებზე და საკუთრების წარმოშობა მხოლოდ უწყვეტად განხორციელებულ ხანდაზმულ მფლობელობას დაუკავშირეს.<sup>296</sup>

მფლობელობის უწყვეტობა გულისხმობდა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის არსებობას ხანდაზმულობის ვადის მთელ მანძილზე. არსებობდა პრეზუმფცია, რომლის თანახმად, თუ მფლობელობას ადგილი ჰქონდა ხანდაზმულობის ვადის დასაწყისსა და დასასრულს, ის არსებობდა შუა პერიოდშიც.<sup>297</sup> მფლობელობით ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, სენატმა თავისი პრაქტიკით აღიარა მემკვიდრეობითი

<sup>292</sup> Покровский И. А., Основные проблемы гражданского права, М., 1998, 196.

<sup>293</sup> Энгельман И., Приобретение права собственности на землю по русскому праву, СПб., Типография Тиблена Н., 1859, 61.

<sup>294</sup> Энгельман И., О давности по русскому гражданскому праву, СПб., 1901, 17.

<sup>295</sup> შექმნილი ხანდაზმულობა არ ვრცელდებოდა საჯარო ნივთებზე, მაგალითად, მდინარეები, გზები, მოედნები, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები, რადგან ისინი არ წამოადგენდნენ კერძო პირთა დაუფლების ობიექტებს და საერთო სარგებლობის წესრიგს ექვემდებარებოდნენ. Дювернуа Н., Конспект лекции по русскому гражданскому праву, СПб., 1897, 6.

<sup>296</sup> Победоносцев К., Курс гражданского права, СПб., 1896, 180.

<sup>297</sup> Энгельман И., О давности по русскому гражданскому праву, СПб., 1901, 392.

კავშირის არსებობა. ეს ნიშნავს, მემკვიდრის მფლობელობის ხანდაზმულობის განსაზღვრისას მამკვიდრებლის, უფლებრივი წინამორბედის მიერ, სამკვიდრო ქონებაზე მფლობელობის ხანგრძლივობის გათვალისწინებას.<sup>298</sup>

„რუსეთის იმპერიის კანონთა სრული კრებული“ მფლობელობის დაფუძნებისას მის სუბიექტურ ელემენტს ანიჭებდა უპირატესობას, თუმცა სამოქალაქო კოდექსის პროექტმა ამ პოზიციაზე უარი თქვა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის დებულება გაიზიარა: მფლობელობის კონსტიტუტიურ ელემენტად მიხნეულ იქნა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის განხორციელება – მფლობელობის ობიექტური ელემენტი და იმავდროულად, დაფუძნდა ორმაგი მფლობელობის (დამოუკიდებელი და წარმოებული) ინსტიტუტი: ერთი და იგივე ქონება შეიძლება ყოფილიყო ერთი პირის დამოუკიდებელ და სხვა პირის წარმოებულ მფლობელობაში: დამოუკიდებლად ფლობდა ის, ვინც ფლობდა თავისთვის, როგორც მესაკუთრე, ხოლო წარმოებული მფლობელობა ხორციელდებოდა მესაკუთრის ნებაზე დაყრდნობით, მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე.<sup>299</sup> წარმოებული მფლობელობა, როგორც მართლზომიერი, დაცული იყო ყოველგვარი ხელყოფისგან, მათ შორის მესაკუთრის მხრიდან, მფლობელობის პერიოდში.

<sup>298</sup> *Бутовский А. К.*, Давность владения, СПб., 1911, 42.

<sup>299</sup> *Симолин А.А.*, Определение владения по нашему проекту и Германскому Уложению, В книге: Возмездность, безвозмездность, смешанные договоры и иные теоретические проблемы гражданского права, М., 2005, 511.

## თავი IV

### მფლობელობა ფაქტი და უფლება (მფლობელობის საბჭოთასამართლებრივი კონცეფციის კრიტიკული ნალიზი)

#### 1. პიროვნებისგან გაუცხოებული სამართალი

##### 1.1. კოლექტივიზმი ინდივიდუალიზმის ნაცვლად – სოციალისტური სახელმწიფოს იდეა

საბჭოთა რეალობაში კერძო სამართალი, როგორც თავისუფლების, ნების ავტონომიისა და პირადი ინიციატივის სფერო უარყვეს, სამაგიეროდ, საჯარო სამართალი, ცენტრალიზებული რეგულირებისა და იმპერატიული საწყისების ბატონობის სფერო,<sup>300</sup> აღიარეს. კერძო სამართლის უმთავრესი პრინციპის კერძო ავტონომიისა და მისი ძირითადი საწყისის, ინდივიდუალიზმის გაზიარების ნაცვლად, საბჭოთა სახელმწიფოში საზოგადოებრივი ცხოვრების ფუნდამენტად კოლექტივიზმი გამოცხადდა.<sup>301</sup> ძირითად ნორმად, რომლის დაცვა ხელისუფლების უპირველესი მოვალეობაა, მიიჩნიეს არა ადამიანის ძირითადი უფლებები, არამედ სოციალისტური სახელმწიფოს იდეა. იგი გულისხმობდა საერთოსახალხო სახელმწიფოს არსებობას, რომლის უმთავრესი სოციალური მიზანი იყო მშრომელთა ბედნიერებასა და კეთილდღეობაზე ზრუნვა, მათი თავისუფლების უზრუნველყოფის ნაცვლად.

სამართლის მეცნიერებაში მიიჩნევა, რომ სახელმწიფოს თვითშეზღუდვა კანონმდებლობის სფეროში ვლინდება არა მხოლოდ საკანონმდებლო პროცედურების დაწესებით, არამედ უპირველეს ყოვლისა, ინდივიდის ბუნებითი, წინარესახელმწიფოებრივი უფლებების აღიარების გზით. ყველა კულტურული ხალხის სამართალში არსებობდა და არსებობს უფლებათა ძირითადი კომპლექსი, რომლის მიმართ უძღურია კანონმდებლის ძალაუფლება. ადამიანის უფლებები – ხალხის ისტორიული ევოლუციის ის დანალექია, რომელიც მყარად აღიბეჭდება სამართლებრივ ინსტიტუტებში, როგორც ხალხის ისტორიული ყოფიერების აუცილებელი პირობა (გ.ეღინეკი).<sup>302</sup> ტოტალიტარული სახელმწიფო ინდივიდში სახელმწიფო ხელისუფლების უბრალო ობიექტს ხედავს, ჯერ კიდევ მოუმწიფებელს საკუთარი მოქმედებისთვის, რომელსაც მეურვე სჭირდება და მის როლს სახელმწიფო ასრულებს. პიროვნების მოქმედებისა და ცხოვრების რეგლამენტაცია სახელმწიფოს მთავარი ამოცანაა, ამგვარი მოწესრიგება მიზნად ისახავს, ჩაკლას ინდივიდში ყოველგვარი თვითმოქმედება, რათა აბსოლუტური რეჟიმისთვის საფრთხე არ წამოიშვას.<sup>303</sup> ჭეშმარიტად, სამართლის მიზანი თავისუფლების გაუქმება ან შეზღუდვა კი არ არის, არამედ მისი

<sup>300</sup> *Марченко М.Н.*, (ред.), *Теория государства и права*, М., 1996, 76.

<sup>301</sup> *ჭანტურია ლ.*, უძრავი ნივთების საკუთრება, მე-2 გამოცემა, თბ., 2001, 20.

<sup>302</sup> მოსაზრება მითითებულია: *თ.ნინიძის წინათქმა ან.შაიოს* წიგნზე „ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი“, ინგლისურიდან თარგმანი *მ.მაისურაძის*, მეცნიერული რედაქცია და წინათქმა *თ.ნინიძის*, თბ., 2003, 3.

<sup>303</sup> *სურგულაძე ირ.*, ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2003, 30.

შენარჩუნება და გაფართოებაა (ჯ. ლოკი).<sup>304</sup> სასურველია, საზოგადოებაში შეიქმნას ისეთი ვითარება, რომელშიც ინდივიდი თვითონ შეძლებს გადაწყვეტოს როგორ მოიქცეს და რა არის მისთვის სასიკეთო.

კერძო სამართლის სუბსტანციურ დარგს სამოქალაქო სამართალი წარმოადგენს. მისი სოციალური ღირებულება განპირობებულია იმ ფუნქციური შესაძლებლობით, რომელიც მას გააჩნია. სამოქალაქო სამართალს იურიდიულ ენაზე გადააქვს ცივილიზაციის მთავარი მიღწევები: პიროვნების თავისუფლება, კერძო საკუთრება, თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობა. შესაბამისად, ამ დარგის საჭიროება ჩნდება იქ, სადაც საზოგადოება ემყარება ზემოხსენებულ ღირებულებებს.<sup>305</sup> საბჭოთა სახელმწიფოში მისი არსებობა ეჭვის ქვეშ დადგა. სამეურნეო სამართლის კონცეფციის ძალით, სამართლისმცოდნეთა ერთი ფრთა (Гойхбарг, Гинцбург) მის გაუქმებაზე, ხოლო მეორე (Стучка), სამეურნეო სამართალთან საჯარო სამართლებრივი ელემენტებით ბუნება შეცვლილი, „პიროვნებისგან გაუცხოებული“<sup>306</sup> სამოქალაქო სამართლის თანაარსებობაზე მსჯელობდა.<sup>307</sup>

## 12. საკუთრების ინსტრუმენტალიზება საკუთრების პოზიტივისტური კონცეფციის კვალდაკვალ

სამოქალაქო სამართლის მნიშვნელოვანი ნაწილის –სანივთო სამართლისა და მის მიერ განსაზღვრული უფლებების გაუქმება, სახეცვლილება სოციალიზმის ნამოქმედართა რიცხვს მიეკუთვნება.<sup>308</sup> სამართლებრივი ურთიერთობის არსის, პირთა შორის ურთიერთობის, გამომრიცხველი სამართლის არსებობა, რომელიც პირსა და ნივთს აკავშირებდა, მიჩნეულ იქნა ბურჟუაზიულ მიდგომად.<sup>309</sup> ამასთან, მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების ნაციონალიზაციის პირობებში, სანივთო უფლებათა გამოყენებისათვის სოციალურ-ეკონომიკური ნიადაგი აღარ

<sup>304</sup> მოსაზრება მითითებულია: *შაიო ან.*, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, ინგლისურიდან თარგმანი *მ. მაისურაძის*, მეცნიერული რედაქცია და წინათქმა *თ. ნინიძის*, თბ., 2003, 302.

<sup>305</sup> *ხეცურიანი ჯ.*, სამოქალაქო სამართლის ფუნქციები, თბ., 1995, 3. ხელშეკრულების, საკუთრებისა და მეწარმეობის თავისუფლება წარმოადგენს ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებულ ფასეულობებს, რაც დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისთვის. სახელმწიფო ხელს უნდა უწყობდეს ისეთი ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბებას, რომელიც თავისუფალ მეწარმეობასაც ხელს შეუწყობს და ეკონომიკური უსაფრთხოებაც იქნება გარანტირებული. ფასეულობებისადმი ასეთი დამოკიდებულებით სახელმწიფო ახდენს კერძო და საჯარო ინტერესის ერთმანეთთან არა გაუცხოებას, არამედ უზრუნველყოფს მათ შორის სამართლიანი ბალანსის დამყარებას. სსსგ №1/2/411, 2008, 19 დეკემბერი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ბათუმი, 2009, 98.

<sup>306</sup> *ზოიძე ბ.*, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005, 94.

<sup>307</sup> *Иоффе О.С.*, Гражданское право, Избранные труды, М., 2000, 700.

<sup>308</sup> *ჭანტურია ლ.*, უძრავი ნივთების საკუთრება, თბ., 1994, 14.

<sup>309</sup> *დავიდი რ.*, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, რუსული გამოცემიდან თარგმნი და წინასიტყვაობა დაურთო *თ. ნინიძემ*, თბ., 1993, 201.



არსებობდა.<sup>310</sup> შედეგად, სამოქალაქო კანონმდებლობიდან ტერმინი „სანივთო უფლებები“ ამოიღეს.<sup>311</sup>

უმთავრესი სანივთო უფლება საკუთრებაა. მას ორი მხარე აქვს: ადამიანური და სანივთო. საკუთრება არის, როგორც პიროვნული უფლება ქონებაზე, ისე ნივთში განსხვავებული ქონებრივი ღირებულება.<sup>312</sup> ნივთზე აღბეჭდილია პიროვნების ნიშანი, ვინც ნივთს ეხება, ის პიროვნებას ეხება. საკუთრება ნივთიერად გაფართოებული, გავრცელებული მესაკუთრის პიროვნება, მისი არსებაა.<sup>313</sup>

საბჭოთა სამართალში საკუთრების ბუნებითსამართლებრივი კონცეფციის ნაცვლად, აღიარებულ იქნა საკუთრების პოზიტივისტური კონცეფცია, რომლის თანახმად საკუთრების უფლება გამომდინარეობს სახელმწიფოდან და არ დგას მასზე მაღლა,<sup>314</sup> საკუთრება ადამიანის თავისუფლება არ არის, რომელიც მოვლენათა სამყაროში რეალიზდება, ის პიროვნების უარყოფაა, ადამიანის ექსპლოატაციის იარაღია, რომელიც ეკონომიკურ და სოციალურ უთანასწორობაში გამოიხატება. საპირისპიროდ, ჯერ კიდევ ბერძენი ფილოსოფოსების შეფასებით, შეუდარებლად დიდ სიამოვნებას განიცდის ადამიანი, როცა საგანი თავის საკუთრებად ეგულება, რადგან საკუთარი თავისადმი სიყვარული ბუნებით დაჰყვა მას.<sup>315</sup>

კერძო საკუთრებაზე ორიენტირებული ეკონომიკური სისტემის არსებობა სოციალისტური სახელმწიფოს იდეის ხორცშესხმას ხელს შეუშლიდა, ამიტომ ეკონომიკის სფეროში იურიდიული ცენტრალიზაციის სისტემა დამკვიდრდა. განხორციელდა მიწის, სხვა ბუნებრივი რესურსებისა და წარმოების საშუალებათა ნაციონალიზაცია. შედეგად, შეიქმნა სოციალისტური საკუთრების სამი ფორმა: უმთავრესი სახელმწიფო (საერთო-სახალხო) და მისგან ნაწარმოები საკოლმეურნეო-კოოპერაციული, პროფკავშირებისა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საკუთრება.

სამართლის სუბიექტების მიხედვით საკუთრების ფორმებად დაყოფა სოციალისტური სამართლებრივი წრის გარეთ თითქმის უცნობია. 30-იან წლებში შემოდებული ამგვარი დაყოფა მიზნად ისახავდა საკუთრებით

<sup>310</sup> *Толстой Ю.К.*, Содержание права социалистической и личной собственности в СССР, „Вестник Ленинградского университета,” Серия общественных наук, №6, 1953, 155.

<sup>311</sup> *Алексеев С.С.*, Собственность Право-Социализм, М., 1989, 101. აღსანიშნავია, რომ რუსეთის 1922 წლის, ხოლო საქართველოს 1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსი ითვალისწინებდა სანივთო სამართალს. შემდგომ, მის ნაცვლად ახალი სტრუქტურული დანაყოფი საკუთრების სამართალი გაჩნდა, რომელსაც საბჭოთა ავტორთა თავმომწონე განცხადებებით, სახელწოდების გარდა საერთო არაფერი ჰქონდა ცივილურ საკუთრებასთან. *მიქელაძე კ.*, მეზობლური ურთიერთობის მოწესრიგების საფუძვლები საბჭოთა სამართალში, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი,” №17,1928,402. საკუთრების გარდა, სხვა სანივთო უფლებებიდან ზოგიერთი, მაგალითად, აღნაგობა, თავდაპირველად გათვალისწინებული იყო სამოქალაქო კანონმდებლობით, თუმცა შემდგომ უარყოფილ იქნა, გირავნობა ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტად გამოცხადდა, ხოლო უზუფრუქტის, სერვიტუტისა და იპოთეკის არსებობას წარმოუდგენლად მიიჩნევდნენ.

<sup>312</sup> *ჭანტურია დ.*, უძრავი ნივთების საკუთრება, თბ., 1994, 95.

<sup>313</sup> *იერინგი რ.*, ბრძოლა უფლებისათვის, წინათქმა და რუსულიდან თარგმანი *ზ. ნანობაშვილისა*, რედ. *ხოიძე ბ.*, თბ., 2000, 66.

<sup>314</sup> *Vfintq E., Celfhyd T.F.*, Jcyjdyst gikj;tybz ghfdf cj.cndtyyjcnb, V., 1999, 21.

<sup>315</sup> *პაიპი რ.*, საკუთრება და თავისუფლება, თბ., 2004, 25.

წესრიგში დაემკვიდრებინა გარკვეული დიფერენციაცია სახელმწიფო მონოპოლიზაციის გამო.<sup>316</sup>

თითოეული ქვეყნის მართლწესრიგზე გადამწვევტ გავლენას ახდენს ქვეყანაში დამკვიდრებული საწარმოო ურთიერთობები, განსაკუთრებით, წარმოების საშუალებათა საკუთრების წესრიგი, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებაში პოლიტიკური ხელისუფლების ბუნებას.<sup>317</sup> კერძოსამართლებრივი საწყისიდან საჯაროსამართლებრივ საწყისზე გადასვლას არ მოჰყოლია ოქროს ხანის დადგომა, ახალი ცენტრალიზებული წესრიგი ხასიათდებოდა, როგორც ახალი მონობა, რაც იწვევდა სამართლის იდეების უარყოფას ან დამახინჯებას. ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების სოციალისტური ცენტრალიზაციის შედეგად, სახელმწიფომ ხელთ იპყრო უხილავი ძალა, რომელიც ხელისუფლებამ ბოროტად გამოიყენა ინდივიდთა თავისუფლების დასათრგუნად.<sup>318</sup> ტოტალიტარული სახელმწიფოს იდეოლოგიურად მცდარ პოლიტიკურ წესრიგს, სადაც თავისუფლება და იძულება არ იყო რეალიზებული გონივრული, მიზანშეწონილი პროპორციით,<sup>319</sup> რაც ინდივიდთა არათვითმყოფადობას განაპირობებდა საზოგადოებაში, განამტკიცებდა სამართალი, როგორც პოლიტიკის ასპექტი.

სამართლის იდეოლოგიური ფუნქცია, სამართლებრივ ცნებებში აისახოს ხელისუფლების ნება, ცნებათა დამახინჯებული ფორმულირებით ხორციელდებოდა, რაც სამართლის ინსტიტუტების არსის შეცვლას იწვევდა. მარქსისტულ-ლენინური დოქტრინა განსაკუთრებულ დაინტერესებას საკუთრების კატეგორიის მიმართ ამჟღავნებდა. სწორედ მასთან დამოკიდებულებით უნდა შეცვლილიყო წარმოდგენები, რაც საბოლოოდ გავლენას მოახდენდა საზოგადოების მართლშეგნებაზე.<sup>320</sup> ზემოქმედება იმგვარი უნდა ყოფილიყო, რომ საზოგადოებას არა მხოლოდ დაეჯერებინა თავს მოხვეული კონცეფცია, არამედ ადამიანთა ცნობიერებაში დანერგულიყო სხვაგვარი აზრის შინაგანი შესაძლებლობა.<sup>321</sup>

## 2. მფლობელობა – ფაქტი თუ უფლებრივი კატეგორია?

საბჭოთა სამართალში საკუთრებისა და მფლობელობის ურთიერთმიმართება, კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ სისტემის „ორიგინალურობას“.

მფლობელობას, როგორც ფაქტობრივ მდგომარეობას, საბჭოთა ცივილისტიკა განსაზღვრავდა ერთი მხრივ, კლასიკური შინაარსით

<sup>316</sup> კნიპერი რ., საკუთრების პრობლემები გარდამავალ საზოგადოებებში, პროფ. გინწკირველის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1996, 122.

<sup>317</sup> ცვაიგერტი კ.კოტცი პ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, წ. I, გამოცემის მეცნიერული რედაქტორი და ბოლოთქმის ავტორი თ. ნინიძე, რუსული გამოცემიდან თარგმნა ე. სუმბათაშვილმა, თბ., 2000, 72.

<sup>318</sup> Покровский И. А., Основные проблемы гражданского права, М., 1998, 23.

<sup>319</sup> Lang K., Die Philosophie des Föderalismus. Versuch einer ethisch fundierten Staatsphilosophische Verantwortung, 1971, 178. მითითებულია: ხუბუა გ., ფედერალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი, თბ., 2000, 10.

<sup>320</sup> დავიდი რ., თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, რუსული გამოცემიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო თ. ნინიძემ, თბ., 1993, 200.

<sup>321</sup> მამარდაშვილი მ., საუბრები ფილოსოფიაზე, თბ., 1992, 8.

(მფლობელობა ნივთის ფაქტობრივი დაუფლების მდგომარეობაა, რომელიც მასზე ფიზიკური და სამეურნეო ზემოქმედების შესაძლებლობას იძლევა),<sup>322</sup> მეორე მხრივ, საკუთრების (საკუთრების უფლება პირის სამართლის ნორმებით განსაზღვრული შესაძლებლობაა კანონით დადგენილ ფარგლებში ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის)<sup>323</sup> ან სხვა უფლების ელემენტად უფლებამოსილებად, რომელსაც სახელმწიფო საკუთრებასთან დაკავშირებით, გაურკვეველი შინაარსის უფლებად არსებობაზე ჰქონდა პრეტენზია. ე.წ. მფლობელობის უფლებას არ გააჩნდა, არც წმინდა სანივთო, არც წმინდა ვალდებულებითი ხასიათი. მიუხედავად კანონის მიერ მისი შინაარსის ზუსტად განსაზღვრისა და ამ უფლების აბსოლუტური სასარჩელო დაცვით უზრუნველყოფისა (სანივთო უფლების თვისება), მისი ფარგლების დადგენაში სახელმწიფო მესაკუთრეც აქტიურად მონაწილეობდა და ამ უფლების სუბიექტის განკარგვის უფლებამოსილებას საკმაოდ ზღუდავდა (ვალდებულებითი უფლების ხასიათი). ზემოთქმული მიზნად ისახავდა იმ სანივთო უფლებათა ხელოვნურად უარყოფას, რომლებიც მფლობელობის უკან მოიაზრებიან. ეს იყო მცდელობა ადამიანში არსებული კერძო მესაკუთრული გრძნობების შებოჭვისა.

სახელმწიფო საკუთრების ობიექტებზე მოსარგებლე სუბიექტთა მფლობელობის უფლებას თავის თავში უნდა მოეცვა უფლებამოსილების შესაძლო მაქსიმუმი, უფლებრივ ურთიერთობაში მფლობელობას უნდა შეესრულებინა საკუთრების ანალოგის როლი.<sup>324</sup>

### 3. მესაკუთრე მფლობელთა სამართლებრივი მდგომარეობა.

კანონის ნორმატიულ ნებასთან დამოკიდებულებით, მფლობელობა შესაძლოა იყოს მართლზომიერი, სამართლებრივ საფუძველზე დამყარებული და არამართლზომიერი, სამართლებრივი ტიტულის გარეშე არსებული.

უპირველესი მართლზომიერი მფლობელი მესაკუთრეა. სოციალისტურ საზოგადოებაში დამკვიდრებული საკუთრების ფორმების მიხედვით, შესაძლო მესაკუთრეთა შორის გამოირჩეული, ხელისუფლებითი ხასიათის სუბიექტს სახელმწიფო წარმოადგენდა.<sup>325</sup> მის ხელთ იყო მიწა, სხვა ბუნებრივი რესურსები, წარმოების ძირითადი საშუალებები მრეწველო-

<sup>322</sup> Грибанов В.П., Корнеев С.М., (ред.), Советское гражданское право, Т.1, М., 1979, 287.

<sup>323</sup> Батыгин К.С., (ред.), Советское трудовое право, Основы гражданского права, М., 1970, 378.

<sup>324</sup> Рубанов А.А., Понятие владения в советском гражданском праве, М., 1956, 11. მითითებულია: ჯორბენაძე ს., სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების წარმოშობა სსრ კავშირში, თბ., 1963, 77. აღსანიშნავია, რომ სარგებლობას, რომელიც ისეთივე ფაქტია, როგორც მფლობელობა, მისი ბედი გაუზიარებია. ზოიძე ბ., მფლობელობის (possessio) ცნება საქართველოს მომავალ სამოქალაქო კოდექსში, წიგნში: ქართული სანივთო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბ., 2003, 431. მიწათსარგებლობის უფლება – მიწის უვადო და უსასყიდლო სარგებლობის უფლება ნივთიერ უფლებათა კატეგორიას მიეკუთვნებოდა, რომელიც მიწითმოსარგებლეს აძლევდა მხოლოდ მიწის სამეურნეო დანიშნულებით სარგებლობის შესაძლებლობას გასხვისების უფლებამოსილების გარეშე. ის იყო აბსოლუტური უფლება, რადგან განსაზღვრულ ვალდებულებებს აკისრებდა და მიმართული იყო არა მარტო კონკრეტული პირის, არამედ ნებისმიერი პირის მიმართ. სურგულაძე ირ., ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2003, 222.

<sup>325</sup> შენგელია რ., საბჭოთა სახელმწიფოს სამოქალაქო სამართალსუბიექტობის თავისებურებანი, ეურნ. „საბჭოთა სამართალი“, №6, 1976, 23.

ბაში, მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებანი, ბანკები, ძირითადი საქალაქო საბინაო ფონდი. კოლმეურნეობების, კოოპერატივების, პროფკავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრებაში მოქცეული იყო საწესდებო ამოცანათა შესასრულებლად საჭირო ქონება, რომლის შემაღლებლობაში შედიოდა როგორც წარმოების საშუალებები და იარაღები, ისე მოხმარების საგნები.

### 3.1. პირადი საკუთრების სამომხმარებლო ხასიათი

სახელმწიფო საკუთრებისგან განსხვავებით, მოქალაქეთა პირადი საკუთრება ძირითადად მოხმარების საგნებს (საყოფაცხოვრებო, პირადი მოხმარების, კეთილმოწყობის, დამხმარე საოჯახო მეურნეობის საგნები, შრომითი დანაზოგი) მოიცავდა და მიზნად ისახავდა მოქალაქეთა მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.<sup>326</sup>

ამ ქონების სამომხმარებლო თვისება საფუძველი იყო მისი ოდენობის შეზღუდვისა და მისგან არაშრომითი შემოსავლის მიღების აკრძალვისა, მაგალითად, ერთად მცხოვრებ მეუღლეებს და მათ არასრულწლოვან შვილებს საკუთრებად შეიძლება ჰქონოდათ ერთი საცხოვრებელი სახლი ან მისი ნაწილი. აღნიშნული ქონების ქონა არ წარმოადგენდა დაბრკოლებას სოფლად ან სააგარაკო ადგილას სახლის შექმნისათვის, რადგან პირველი საბინაო, ხოლო მეორე-დასვენებისა და მკურნალობის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა. მოქალაქის საკუთრებაში ერთზე მეტი საცხოვრებელი სახლის ან ბინის არსებობისას, მესაკუთრეს შეეძლო მხოლოდ ერთი მათგანი ჰქონოდა საკუთრებაში, დანარჩენი, მასზე საკუთრების უფლების წარმოშობის დღიდან 1 წლის განმავლობაში, უნდა გაესხვისებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ქონებას იძულებითი რეალიზაცია ემუქრებოდა. ამასთან, მესაკუთრეს ეკრძალებოდა 3 წლის მანძილზე ერთზე მეტი სახლის ან ბინის გაყიდვა, რომ არ მიეღო არაშრომითი შემოსავალი. ამ მიზნით, დაუშვებელი იყო იმავე ქონების სისტემატური გაქირავება. ამ წესის დამრღვევს ქონება უსასყიდლოდ ჩამოერთმეოდა.<sup>327</sup>

### 3.2. სახელმწიფო საკუთრების სამართლებრივი წესრიგი ოპერატიული მართვისა და სრული სამეურნეო გამგებლობის უფლებათა საფუძველზე

სახელმწიფო მესაკუთრის უფლებამოსილებას თავისი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მეშვეობით ახორციელებდა. დოქტრინაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, სახელმწიფოს მიერ საკუთარი ორგანოებისთვის უსასყიდლოდ გადაცემული ქონების მესაკუთრედ კვლავ სახელმწიფო რჩებოდა. შეხედულება, რომლის თანახმად ამ ქონების მესაკუთრე სახელმწიფოსთან ერთად იყო სახელმწიფო საწარმო<sup>328</sup> ან სახელმწიფო საწარმო დამოუკიდებლად,<sup>329</sup>

<sup>326</sup> Корнеев С.М., Основы советского гражданского права, М., 1962, 57.

<sup>327</sup> ჩიკვაშვილი შ., საკუთრების უფლების საკითხები ახალ კანონმდებლობაში, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“ №5, 1962, 23.

<sup>328</sup> Венедиктов А.В., Государственная социалистическая собственность, М., 1948, 664.

<sup>329</sup> Миколенко Ф.Ф., Государственные юридические лица в советском гражданском праве, ж. „Советское государство и право“ №7, 1951.

უარყოფილ იქნა, როგორც მათ შორის დაპირისპირების საფუძველი. ზემოხსენებული სუბიექტები სახელმწიფო ქონებას ფლობდნენ არა საკუთრების, არამედ ოპერატიული მართვის უფლების საფუძველზე. ეს ინსტიტუტი მიზნად ისახავდა სახელმწიფო ორგანოთა დამოუკიდებლობის დამკვიდრებას იმ ვითარებაში, როცა მათთვის სამართავად გადაცემული ქონების მესაკუთრედ სახელმწიფო ითვლებოდა. მეცნიერების ერთი ნაწილის მიერ სამოქალაქო სამართლებრივ,<sup>330</sup> ხოლო მეორე ნაწილის მიერ კომპლექსური ხასიათის უფლებად აღიარებული,<sup>331</sup> ოპერატიული მართვის უფლების შინაარსი კანონით და მესაკუთრის ნებით განისაზღვრებოდა.<sup>332</sup>

ოპერატიული მართვის უფლება სოციალისტური საკუთრების უფლების რეალიზაციის სამართლებრივ ფორმას წარმოადგენდა, ამდენად ის დამოკიდებული იყო საკუთრების უფლებაზე. ოპერატიული მართვის უფლების მქონე პირებს სამართავად გადაცემული ქონების განკარგვის შეზღუდული უფლებამოსილება გააჩნდათ. ძირითად საშუალებებად მიჩნეული ქონების (მიწა, შენობა-ნაგებობანი, მოწყობილობები) მხოლოდ უსასყიდლოდ გადაცემა დაიშვებოდა ამ უფლების მქონე სხვა სუბიექტებზე, შედარებით თავისუფალი იყო საბრუნავი საშუალებების (ნედლეული, პროდუქცია) გასხვისება.<sup>333</sup> სახელმწიფო საწარმოთა შორის დასადები ხელშეკრულების საფუძველი სახალხო-სამეურნეო გეგმის მითითება იყო. საწარმოთა ფუნქციას უმთავრესად, გეგმიური მონაცემების დაკონკრეტება შეადგენდა. თავად ხელშეკრულება, საწარმოს ხელმძღვანელთა მოქმედების თავისუფლების განმტკიცების ნაცვლად, ადმინისტრაციული მართვის უზრუნველყოფას ისახავდა მიზნად.<sup>334</sup>

საბჭოთა სახელმწიფოში ეკონომიკური რეფორმის განხორციელების აუცილებლობამ მოითხოვა სახელმწიფო საკუთრების მართვის ახალი სამართლებრივი წესრიგის დამკვიდრება. ამისთვის შეიქმნა ოპერატიული მართვის უფლებასთან შედარებით, ფართო უფლებამოსილების მომცველი სრული სამეურნეო გამგებლობის ინსტიტუტი. მისი არსის გათვალისწინებით, მინიმუმამდე მცირდებოდა სახელმწიფოს ჩარევა მის ორგანოთა საქმიანობაში, კერძოდ, დაუშვებელი იყო სახელმწიფოს მიერ მათთვის გადაცემული ქონების ჩამორთმევა ან მსგავს სუბიექტებზე გადანაწილება.<sup>335</sup> თავის მხრივ, სახელმწიფო ორგანოებსაც გაუჩნდათ წარსულში არ არსებული უფლება ქონების მესაკუთრის მიმართ – მოთხოვნის წაყენებისა და სარჩელის წარდგენისა.

<sup>330</sup> ოპერატიული მართვის უფლება სამოქალაქო უფლებაა, რადგან ის ახასიათებს იურიდიულ პირს, როგორც სამოქალაქო სამართლის კატეგორიას. იხ. *Шенгелия Р.В.*, Гражданская правосубъектность советского государства в кредитных отношениях, Тб., 1984, 85-103.

<sup>331</sup> ამ უფლებას გააჩნია კომპლექსური ბუნება, რადგან მისი წარმოშობა და განხორციელება შესაძლოა, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებით, ისე ადმინისტრაციული აქტების მეშვეობით. *Корнеев С.М.*, Право государственной социалистической собственности в СССР, М., 1964, 142.

<sup>332</sup> *Полонский Э.Г.*, Право оперативного управления государственным имуществом, М., 1980, 42.

<sup>333</sup> *Моровская Т.А., Яменфельд Г.М.*, Основы гражданского и торгового права, М., 1970, 80.

<sup>334</sup> *დავიდი რ.*, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, რუსული გამოცემიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო *თ. ნობიძემ*, თბ., 1993, 169.

<sup>335</sup> *Петров Д.В.*, Право хозяйственного ведения и право оперативного управления, СПб., 2002, 50.

სახელმწიფო ორგანოებისთვის ქონების გადაცემისას სახელმწიფო რჩებოდა ამ ქონების როგორც მესაკუთრედ, ისე მფლობელად და მოსარგებლედ. იმავედროულად, მფლობელობისა და სარგებლობის უფლებამოსილება გააჩნდათ ოპერატიული მართვისა და სრული სამეურნეო გამგებლობის უფლების სუბიექტებს. სახელმწიფოს მფლობელობა დამოუკიდებელი, პირველადი იყო, ხოლო მისი ორგანოების – დამოკიდებული და ნაწარმოები.<sup>336</sup> სახელმწიფო ქონებაზე ფაქტობრივ ბატონობას ახორციელებდა საკუთრების უფლების საფუძველზე, ხოლო აღნიშნული სუბიექტები – ხემოთქმულ უფლებებზე დაყრდნობით.<sup>337</sup>

ანალოგიურ ვითარებას ჰქონდა ადგილი, როდესაც სახელმწიფო საკუთარ ქონებას უვადოდ ან ვადით, უსასყიდლოდ ან სასყიდლით, გადასცემდა სამოქალაქო სამართლის სხვა სუბიექტებს. მათ მიერ განხორციელებული ფაქტობრივი ბატონობა საკუთარ ქონებაზე დამოუკიდებელი, ხოლო სახელმწიფო საკუთრების მიმართ წარმოებული იყო.<sup>338</sup> სოციალისტური საკუთრების სხვა სუბიექტების წარმოებული მფლობელობა ოპერატიული მართვის ან სრული სამეურნეო გამგებლობის უფლებას, ხოლო მოქალაქეების, სხვადასხვა უფლებას ეფუძნებოდა, მაგალითად, ქირავნობას (მოქალაქის მიერ სახელმწიფოს საბინაო ფონდის ბინის მფლობელობა), შრომით სარგებლობის უფლებას (სასოფლო-სამეურნეო მიწის ფლობისას). ამ უფლების განუხორციელებლობას თან სდევდა მიწათმფლობელობის შეწყვეტა, რადგან იგი მიწათსარგებლობის გარეშე დაუშვებელი იყო.<sup>339</sup>

#### 4. იცნობდა თუ არა საბჭოთა სამართალი მფლობელობით დაცვას?

საბჭოთა სამოქალაქო სამართალი ითვალისწინებდა მხოლოდ მართლზომიერი, უფლებაზე დამყარებული მფლობელობის დაცვას. მისთვის უცხო იყო რომის სამართლის ქმნილება მფლობელობითი (პოსესორული) პროცესი, რომელიც გულისხმობს ფაქტობრივი ბატონობის დაცვას განსაზღვრულ ფაქტობრივ გარემოებებზე (მფლობელობის არსებობისა და მისი დარღვევის ფაქტები) დაყრდნობით, იმ უფლებისგან დამოუკიდებლად, რასაც შეიძლება ეფუძნებოდეს მფლობელობა.<sup>340</sup> მიიჩნეოდა, რომ მფლობელობითი დაცვა, როგორც მემამულის, წარმოების ძირითადი საშუალებების მფლობელის, სასარგებლოდ დადგენილი ინსტიტუტი,<sup>341</sup> არ გამომდინარეობდა საბჭოთა საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნებიდან და არ შეესაბამებოდა სამოქალაქო კანონმდებლობის განვითარების ტენდენციებს, სამოქალაქო

<sup>336</sup> *ახელმწიფო* ზ., პირადი დამხმარე მეურნეობის სამართლებრივი რეჟიმი, თბ., 1984, 32.

<sup>337</sup> *Аксененок Г.А.*, Право государственной социалистической собственности на землю в СССР, М., 1960, 194; *Казанцев Н.Д.*, (ред.), Советское земельное и колхозное право, М., 1959, 27.

<sup>338</sup> მაგალითად, მიწაზე სახელმწიფოს მფლობელობა ემყარებოდა მიწაზე საკუთრების უფლებას, ხოლო მიწათმოსარგებლის მხრიდან მიწის მფლობელობა ეფუძნებოდა ამ მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლებას, რომელიც წარმოებული და დამოკიდებული იყო მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლებაზე. *ლაბარტყავა ა.*, ეკოლოგიური სამართალი, თბ., 2003, 59.

<sup>339</sup> *მიქელაძე კ.* უფლება მიწის შრომითი სარგებლობისა, როგორც სანივით უფლება, *ქურბ.* „საბჭოთა სამართალი“, №3, 1928, 58.

<sup>340</sup> *Халфина З.О.*, Право личной собственности граждан СССР, М., 1955, 133.

<sup>341</sup> *Стучка П.И.*, Курс советского права, Т. 3, М., 1931, 20.

სამართლის პროცესის პრინციპებს, რაც გულისხმობდა სასამართლოს აქტიურობას უფლების დადგენის მიზნით.<sup>342</sup>

აღსანიშნავია, რომ მფლობელობითი დაცვის ელემენტი არსებობდა რუსეთის 1922 წლის მიწის კოდექსში, კერძოდ, მიწაზე უფლების დარღვევისას, მიწის კომისია მიწითმოსარგებლის მოთხოვნით, ვალდებული იყო აღედგინა დარღვეული მიწითსარგებლობა საქმის არსებით განხილვამდე.<sup>343</sup> მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ქართულ ცივილისტიკაში არსებობდა მოსაზრება, რომელიც მიუთითებდა მფლობელობითი პროცესის არსებობაზე საბჭოთა სინამდვილეში. ავტორის აზრით, პირი მფლობელობის აღდგენის მოთხოვნას აფუძნებდა არა საკუთრებაზე, არამედ საკუთრების პრეზუმფციაზე, რაც გულისხმობდა მფლობელობის ფაქტის მტკიცებას, შესაბამისად, მეორე მხარეს შეეძლო ამ ვარაუდის არსებობის უსაფუძვლობის, ანუ მფლობელობის არ არსებობის მტკიცება. ეს ვითარება თავისი არსით პოსესორულ პროცესს შეადგენდა.<sup>344</sup>

## 5. საკუთრების დაცვის თავისებურებანი საბჭოთა სამართალში

### 5.1. სავინდიკაციო სარჩელის შინაარსი

ხელყოფილი მართლზომიერი მფლობელობის აღდგენისთვის სანივთოსამართლებრივი ხასიათის სავინდიკაციო სარჩელი გამოიყენებოდა. ის გულისხმობდა არამფლობელი მესაკუთრის (ან სხვა კანონიერი მფლობელი) არასახელშეკრულებო მოთხოვნას მფლობელი არამესაკუთრის მიმართ ნივთის ნატურით დაბრუნების შესახებ. ამ სარჩელის საგანი იყო ნატურით არსებული ინდივიდუალური ნივთი (ან გვაროვნული, რომელიც მფლობელობის ხელყოფამდე ინდივიდუალიზებული იყო და ასეთად დარჩა მფლობელთან), ნივთისგან მიღებული და ბრალეულად მიუღებელი ნაყოფი. ნივთის მოხმარების, განადგურების ან გასხვისების შემთხვევაში, სავინდიკაციო სარჩელის ნაცვლად, მფლობელობის დამრღვევს წარედგინებოდა დელიქტური სარჩელი მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.<sup>345</sup> სავინდიკაციო სარჩელის სამართლებრივ საფუძველს სხვადასხვა მოსაზრებით წარმოადგენდა: სადავო ქონებაზე მფლობელობის უფლება,<sup>346</sup> მფლობელობის უფლებამოსილება, როგორც სხვადასხვა უფლების შემადგენელი ელემენტი<sup>347</sup> ან თავად ეს უფლება, როგორც მოსარჩელისთვის მფლობელობის უფლებამოსილების მინიჭების საფუძველი.<sup>348</sup>

<sup>342</sup> *Vfkbyrjdbx V.D.*, Ghfdj dkfltybz ytcj, cndtyybrf, fdnjtathfn lbccthnfwbb, V., 1969, 17.

<sup>343</sup> *Бабаев А.Б.*, Система вещных прав, М., 2007, 142.

<sup>344</sup> *რცხილაძე ვ.*, მფლობელობის დაცვა, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №1, 1928, 9.

<sup>345</sup> *Сергеев А.П.*, Вопросы истребования имущества из чужого незаконного владения, В книге: Проблемы гражданского права, Л., 1987, 105.

<sup>346</sup> *Толстой Ю.К.*, Содержание и гражданско-правовая защита права собственности в СССР, Л., 1955, 100.

<sup>347</sup> *Венедиктов А.В.*, Гражданско-правовая охрана социалистической собственности в СССР, М., 1954, 110.

<sup>348</sup> *კობახიძე ა.*, პირადი საკუთრების უფლების სამოქალაქო სამართლებრივი დაცვა, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №8, 1973, 17.

სავინდიკაციო სარჩელის წარდგენისას მოპასუხე იყო უკანონო მფლობელი, რომელიც შესაძლოა ყოფილიყო კეთილსინდისიერი ან არაკეთილსინდისიერი. კეთილსინდისიერია მფლობელი, რომელმაც არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა მფლობელობის უკანონობის შესახებ, არაკეთილსინდისიერ მფლობელად ითვლებოდა პირი, რომელმაც იცოდა ან უნდა სცოდნოდა თავისი მფლობელობის უკანონობის შესახებ (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილი).

საბჭოთა ცივილისტიკაში სადავო იყო საკითხი, სახელმწიფო ორგანოთა შორის, მათთვის ოპერატიული მართვის უფლებით გადაცემული ქონების დაბრუნების მოთხოვნის სავინდიკაციო სარჩელის შინაარსად ცნობის შესახებ. ზოგიერთი ავტორი მას მიიჩნევდა სავინდიკაციო სარჩელის ნაირსახეობად, რადგან ისიც მფლობელობის აღდგენას ისახავდა მიზნად,<sup>349</sup> სხვა მოსაზრებით, ამ მოთხოვნას საერთო არაფერი ჰქონდა სანიუთოსამართლებრივ სარჩელთან, რადგან მოსარჩელე სადავო ქონების მესაკუთრეს არ წარმოადგენდა.<sup>350</sup>

## 5.2. ვინდიკაციის შეზღუდვის წესის მოქმედების ფარგლები

სავინდიკაციო სარჩელით ქონება ჩამოერთმეოდა: ნებისმიერ არაკეთილსინდისიერ მფლობელს; უკანონო მფლობელს, რომელიც ფლობდა სოციალისტურ საკუთრებად მიჩნეულ ქონებას; კეთილსინდისიერ მფლობელს, რომელმაც ნივთი შეიძინა უსასყიდლოდ, მიუხედავად მართლზომიერი მფლობელობიდან მისი გამოსვლის წესისა, ან სასყიდლით პირისაგან, ვისთანაც ნივთი აღმოჩნდა კანონიერი მფლობელის ნების წინააღმდეგ. ვინდიკაციის შეზღუდვის წესი მოქმედებდა ნებისმიერი მესაკუთრე სუბიექტის კუთვნილი ფულის ან წარმომდგენის ფასიანი ქაღალდების მიმართ, მიუხედავად მათი მფლობელობიდან გამოსვლის გზისა და შეძენის ხასიათისა. აღნიშნული აიხსნებოდა ამ ობიექტთა მაღალი ბრუნვაუნარიანობით, სამოქალაქო ბრუნვის სიმყარის უზრუნველყოფით.<sup>351</sup> ვინდიკაციის შეზღუდვა დაიშვებოდა ასევე, იმ კეთილსინდისიერი შემძენის სასარგებლოდ, ვინც ნივთი სასყიდლით შეიძინა გასხვისებაზე არაუფლებამოსილი პირისგან, ვისაც ნივთი გადაეცა მართლზომიერი მფლობელის მიერ.<sup>352</sup>

ამ უკანასკნელ შემთხვევაში ვინდიკაციის შეზღუდვის წესს, შედეგად, კეთილსინდისიერი შემძენის მიერ ნივთზე საკუთრების უფლების მოპოვების ფაქტს, ზოგიერთი ავტორი უარყოფითად აფასებდა: კეთილსინდისიერებას, როგორც ჭეშმარიტი ვითარების შეცდომით აღქმას, რომლის შედეგი ყოველთვის უფლების ხელყოფაა, არ შეიძლება პოზიტიური მნიშვნელობა მიენიჭოს.<sup>353</sup> აღსანიშნავია, რომ ეს აზრი რევოლუციამდელ რუსულ სამართალშიც გამოითქვა: *Bona fides*, რაც ობიექტური სამართალდარღვევაა, არ მოიცავს რაიმე ზნეობრივ საწყისს,

<sup>349</sup> *Гурвич М.А.*, Право на иск, М., 1949, 174.

<sup>350</sup> *Карасс А. В.*, Право государственной социалистической собственности, М., 1954, 221.

<sup>351</sup> *Грибанов В. П.*, (ред.), Советское гражданское право, М., 1963, 62.

<sup>352</sup> *Бороданов Н.М.*, Основы гражданского и торгового права, М., 1963, 62.

<sup>353</sup> *Гойхбарг А.Г.*, Основы частного имущественного права, М., 1924, 94.



ამდენად, მას არ შეუძლია პრეტენზია განაცხადოს ჯილდოს მისაღებად.<sup>354</sup>

სხვა ცივილისტები ურთიერთგანსხვავებული მოსაზრებებით ამართლებდნენ ზემოსხნებული პრინციპის არსებობას. კერძოდ, ინტერესთა კოლიზიის დროს, ნივთის მესაკუთრესა და კეთილსინდისიერ შემძენს შორის, ამ უკანასკნელისთვის უპირატესობის მინიჭებით, სამართალი მესაკუთრეს სჯიდა კონტრაქტის არჩევისას გამოჩენილი უყურადღებობისათვის;<sup>355</sup> ამ ვითარებაში კანონმდებელი ირჩევდა ნაკლები ბოროტების ვარიანტს, რადგან კეთილსინდისიერი შემძენის მიერ ნივთზე საკუთრების მოპოვება ნაკლებად აზარალებდა მესაკუთრეს, ვიდრე მფლობელს, ნივთის ჩამორთმევისას. შემძენს ყოველთვის არ ახსოვს გამსხვისებელი, ამდენად ის კარგავს გამყიდველისთვის სახელშეკრულებო მოთხოვნის წაყენების შესაძლებლობას, ხოლო ყოფილმა მესაკუთრემ იცის კონტრაქტი და შეუძლია მას მოსთხოვოს ზიანის ანაზღაურება.<sup>356</sup>

### 5.3. უკანონო მფლობელთა უფლებრივი მდგომარეობა

სავინდიკაციო სარჩელის განხორციელების შედეგები განსხვავებული იყო კეთილსინდისიერ და არაკეთილსინდისიერ მფლობელთან დაკავშირებით. კეთილსინდისიერ მფლობელს ევალებოდა უფლებამოსილი პირისთვის ნივთის, მისგან მიღებული და ბრალეულად მიუღებელი ნაყოფის დაბრუნება იმ მომენტიდან, როცა შეიტყო ან უნდა შეეტყო მფლობელობის უკანონობის შესახებ, ხოლო არაკეთილსინდისიერ მფლობელს ეს ვალდებულება ეკისრებოდა მფლობელობის მთელი პერიოდის გათვალისწინებით.<sup>357</sup> კეთილსინდისიერ მფლობელს ამ შედეგის თავიდან ასაცილებლად სასამართლო პროცესში შექმლო გამსხვისებლის ჩაბმა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს უკანასკნელი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებოდა, თუ დაამტკიცებდა, რომ პროცესში მონაწილეობის შემთხვევაში კეთილსინდისიერ მფლობელს ნივთის ჩამორთმევისგან დაიცავდა.<sup>358</sup>

თავის მხრივ, არამართლზომიერ მფლობელებსაც გააჩნდათ უფლებამოსილი პირის მიმართ მოთხოვნის უფლება. თუ მათ მიერ შენახვასა და გაუმჯობესებაზე გაწეული ხარჯები აღემატებოდა ნივთისგან მიღებულ სარგებელს, მათ უფლება ჰქონდათ ხარჯებსა და შემოსავალს შორის სხვაობაზე იმ მომენტიდან, როდესაც ნაყოფი მესაკუთრეს ეკუთვნოდა, კერძოდ, კეთილსინდისიერ მფლობელს მფლობელობის უკანონობის შეტყობის მომენტიდან, ხოლო არაკეთილსინდისიერ მფლობელს ნივთის დაუფლების მომენტიდან მთელი მფლობელობის განმავლობაში. მესაკუთრის მიერ ანაზღაურდებოდა ნივთის შენახვისთვის გაღებული აუცილებელი ხარჯი, რომლის გარეშე

<sup>354</sup> *Петражицкий Л.И.*, Права добросовестного владельца на доходы с точек зрения догмы и политики гражданского права, СПб., 1897, 121.

<sup>355</sup> *Амфитеатров Г.Н.*, Вопросы виндикации в советском праве, ж. „Советское государство и право,” №2, 1941, 38.

<sup>356</sup> *Черепихин Б.Б.*, Виндикационные иски в советском праве, Ученые записки Свердловского юрид. ин-та, Т. 1, 1945, 96.

<sup>357</sup> *Рясенцев В.А.*, (ред.), Советское гражданское право, М., 1960, 373.

<sup>358</sup> *Куник Я. А.*, (ред.), Советское гражданское право, М., 1974.

ნივთი განადგურდებოდა ან არსებითად დაზიანდებოდა, რაც გამორიცხავდა შემდგომ მის გამოყენებას დანიშნულებით.<sup>359</sup>

როგორც კეთილსინდისიერ, ისე არაკეთილსინდისიერ მფლობელს უფლება ჰქონდა გამოცალკეებად გაუმჯობესებაზე. თუ ამგვარი ნაწილის მოცილება ნივთისგან შეუძლებელი იყო დაზიანების გარეშე, მხოლოდ კეთილსინდისიერ მფლობელს შეეძლო მისი კომპენსაციის მოთხოვნა, არაკეთილსინდისიერი მფლობელობისას ასეთი გაუმჯობესება უსასყიდლოდ გადაეცემოდა მესაკუთრეს.<sup>360</sup>

უკანონო მფლობელის მიმართ ნივთის დაბრუნების მოთხოვნის უფლება მესაკუთრის გარდა, სხვა მართლზომიერ მფლობელსაც ჰქონდა. პირველად, რუსეთის 1922 წლის სამოქალაქო კოდექსმა განამტკიცა ნორმა, რომლის თანახმად, დამქირავებელს გააჩნდა მფლობელობის დაცვის უფლება ნებისმიერი დამრღვევის, მათ შორის, მესაკუთრის მიმართ. ტიტულოვან მფლობელს მესაკუთრის მსგავსად, შეეძლო ნივთთან ერთად ნაყოფის მოთხოვნა, თუმცა მას არ ჰქონდა მისი მითვისების უფლება და მოვალე იყო მიღებული მესაკუთრისთვის გადაეცა. შესაბამისად, მას არ ეკისრებოდა უკანონო მფლობელისთვის მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოვალეობა.<sup>361</sup>

## 6. მფლობელობაზე დაფუძნებული საკუთრების შექმნის პირველადი საშუალებების არსი

სავინდიკაციო სარჩელის წარდგენა დასაშვები იყო კანონით დადგენილი სასარჩელო ხანდაზმულობის პერიოდში. სოციალისტური საკუთრების ნებისმიერი სუბიექტის სარჩელზე, მისთვის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემული სახელმწიფო ქონების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის შესახებ, სასარჩელო ხანდაზმულობა არ ვრცელდებოდა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოდავე მხარეებს სახელმწიფო ორგანოები წარმოადგენდნენ.<sup>362</sup>

იმ შემთხვევაში, როდესაც სავინდიკაციო სარჩელის მიმართ მოქმედებდა სასარჩელო ხანდაზმულობა, მისი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, ქონება რჩებოდა უკანონო მფლობელთან გაურკვეველი სამართლებრივი სტატუსით.

საბჭოთა სამართალში შექმნითი ხანდაზმულობის ინსტიტუტის არ არსებობის გამო, მფლობელს არ შეეძლო ნივთზე საკუთრების უფლების მოპოვება. ამ ქონების სამართლებრივი ბედის განსაზღვრისას მოქმედების ორი ვარიანტი არსებობდა, თუმცა შედეგი ერთიდაიგივე იყო, ქონება სახელმწიფოს საკუთრებად ცხადდებოდა: პირველი—თუ სადავო ქონება სახელმწიფო საკუთრებას შეადგენდა, რომელიც მოსარჩელეს გადაცემული ჰქონდა მფლობელობაში არა ოპერატიული მართვის, არამედ სხვა უფლების საფუძველზე, სახელმწიფო საკუთრების პრეზუმფციის წყალობით: ივარაუდება, რომ სადავო ქონების მესაკუთრე სახელმწიფოა, ეს უკანასკნელი ამ ქონებას კვლავ თავის კუთვნილად აცხადებდა,

<sup>359</sup> Красавчиков О.А., (ред.), Советское гражданское право, Т. I, М., 1968, 403.

<sup>360</sup> Маслов В.Ф., Пушкин А.А., (ред.), Советское гражданское право, ч. I, Киев, 1983, 280.

<sup>361</sup> Калмыков Ю.Н., Тархов В.А., (ред.), Советское гражданское право, Т. I, Саратов, 1991, 348.

<sup>362</sup> Селезнев А.К., Исковая давность в хозяйственных взаимоотношениях советских организаций, М., 1977, 92.

რადგან მოპასუხე მხარემ ვერ შეძლო საპირისპიროს დამტკიცება;<sup>363</sup> მეორე-თუ ქონება არ წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას, მის მიმართ მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფციის არ არსებობის გამო, არავის შეეძლო მასზე საკუთრების უფლების მტკიცება.<sup>364</sup> შესაბამისად, ქონება უპატრონოდ (ქონება, რომელსაც არ ჰყავს მესაკუთრე, მისი მესაკუთრე უცნობია, მან უარი განაცხადა ქონებაზე ან სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაში არ წარადგინა მოთხოვნა ქონების დაბრუნების შესახებ)<sup>365</sup> ცხადდებოდა და ის სახელმწიფოს საკუთრებაში გადადიოდა.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო საწარმოთა შორის სავინდიკაციო სარჩელზე სასარჩელო ხანდაზმულობის გაგრძელების მიუხედავად, ვადის გასვლისას ეს ქონება არ რჩებოდა განუსაზღვრელ სამართლებრივ მდგომარეობაში. ითვლებოდა, რომ ის არსებობდა ფაქტობრივ მფლობელთან და ექვემდებარებოდა კომპეტენტური უწყების მიერ გადანაწილებას, რაც გულისხმობდა მფლობელთან მის დატოვებას ან იმ ორგანოსათვის დაბრუნებას, რომლის მფლობელობიდანაც გამოვიდა ქონება.<sup>366</sup>

უპატრონობის თვისება ვრცელდებოდა ასევე ნაპოვარზე, განძზე, უმეტვალყურეო და ირად პირუტყვზე. შესაბამისად, მათზე საკუთრებას სახელმწიფო მოიპოვებდა. მპოვნელს უფლება ჰქონდა მხოლოდ ნივთის შენახვასა და ჩაბარებასთან დაკავშირებულ ხარჯებზე, განძის მპოვნელს ეძლეოდა ჯილდო განძის ღირებულების 25%-ის ოდენობით. უმეტვალყურეო (მოხეტიალე მდგომარეობაში მყოფი) და ირად (სხვის მეურნეობაში მყოფი) პირუტყვი, თუ კანონით დადგენილ ვადაში მისი მესაკუთრე არ გამოჩნდებოდა, გადადიოდა სახელმწიფო საკუთრებაში, და გადაეცემოდა ოპერატიული მართვის უფლებით იმ საბჭოთა მეურნეობას, რომელიც ამ დროის განმავლობაში ინახავდა პირუტყვს. გამონაკლისი იყო შემთხვევა, როდესაც პირუტყვის შემნახველს წარმოადგენდა კოლმეურნეობა, რომელიც ზემოხსენებული ვადის გასვლის შემდეგ მის მესაკუთრედ ცხადდებოდა.<sup>367</sup> საბჭოთა კანონმდებლობაში ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ხანდაზმული მფლობელობის საფუძველზე არამესაკუთრე მფლობელი იძენდა ნივთზე საკუთრებას.

საბჭოთა დოქტრინაში იყო მცდელობა შექმნითი ხანდაზმულობის ინსტიტუტის ფართოდ დამკვიდრებისა. მის არსებობას საჭიროდ მიიჩნევდნენ იმ ქონებასთან დაკავშირებით, რომელიც არ წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას და სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მისი უპატრონოდ ცნობით, სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებით, სახელმწიფო დაინტერესებული არ იყო. ზოგიერთი ავტორი აცალიბებდა შექმნითი ხანდაზმულობის დებულებებს: მფლობელობა უნდა ყოფილიყო კეთილსინდისიერი, განხორციელებული საკუთრად ფლობის განზრახვით და უწყვეტი კანონით დადგენილი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის პერიოდში. მფლობელობითი ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობას წყვეტდა: მფლობელობის დაკარგვა, თუ ის არ აღდგებოდა მფლობელობის ხელყოფიდან 6 თვის მანძილზე; მესაკუთრის

<sup>363</sup> Толстой Ю. К., Содержание и гражданско-правовая защита права собственности в СССР, Л., 1955.

<sup>364</sup> Генкин Д.М., Право собственности в СССР, М., 1961, 216.

<sup>365</sup> ჯაფარიძე ს., პირადი საკუთრების უფლება საცხოვრებელ სახლზე, თბ., 1976, 71.

<sup>366</sup> Генкин Д.М., Право собственности в СССР, М., 1961, 212.

<sup>367</sup> სუხიტაშვილი დ., უპატრონო ქონების სამართლებრივი რეჟიმი, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №2, 1976, 28-30.

მიერ სავინდიკაციო სარჩელის წარდგენა მფლობელის წინააღმდეგ-  
ვადის გამოთვლისას შეწყვეტამდე არსებული დრო მხედველობაში არ  
მიიღებოდა, თუმცა დაიშვებოდა ძველი და ახალი მფლობელის  
ხანდაზმულობის ვადების შეჯამება.<sup>368</sup>

## თავი V

### მფლობელობა კონტინენტური ევროპის სამართლის ფარგლებში

#### 1. მფლობელობის ცნება

##### 1.1. მფლობელობის ელემენტები

პირის ნივთთან დამოკიდებულება ორგვარ წესრიგს აყალიბებს:  
ფაქტობრივსა და იურიდიულს. ნივთზე იურიდიული ბატონობა საკუთ-  
რებაა,<sup>369</sup> ხოლო ნივთზე ფაქტობრივი თვისობრიობის მქონე ძალაუფ-  
ლება,<sup>370</sup> ნივთის ფლობის სამართლებრივი საფუძვლისგან დამოუკი-  
დებლად არსებული, მფლობელობად იწოდება.<sup>371</sup> უფლებას, როგორც  
სამართლებრივ ხელისუფლებას ნივთზე, უპირისპირდება მფლო-  
ბელობა,<sup>372</sup> როგორც სამართლებრივი წესრიგის მიერ აღიარებული  
ფაქტობრივი ძალაუფლება.<sup>373</sup> მფლობელობა ისეთი მდგომარეობაა,  
როდესაც ნივთები განუყოფელ კავშირში არიან მფლობელის პიროვნე-  
ბასთან და ემორჩილებიან მის ნებას,<sup>374</sup> მისი უშუალო ბატონობის ქვეშ  
არიან მოქცეულნი.<sup>375</sup> გერმანული სამოქალაქო სამართლით მფლობელობა  
გულისხმობს ნივთის ფაქტობრივ ნებელობით დაუფლებას, მასზე  
ფაქტობრივ ბატონობას, ხელისუფლებას.<sup>376</sup> ფრანგული სამოქალაქო  
სამართალიც მფლობელობას განიხილავს პირის მიერ ნივთის გააზრე-  
ბულ, ფაქტობრივი დაუფლების მდგომარეობად.<sup>377</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ცივილისტიკაში აღიარებული შეხედულებით  
მფლობელობა ფაქტია და არა უფლება,<sup>378</sup> არსებობს ასევე, მოსაზრება  
მისი ცალსახად უფლებად ან როგორც ფაქტად, ისე უფლებად მიჩნევის

<sup>368</sup> Черпахин Б.Б., Приобретение права собственности по давности владения, ж. „Советское государство и право“, №4, 1940, 60-61.

<sup>369</sup> Westermann H., Sachenrecht, Heidelberg, Muller, 1998. მოთითებულია: Василевская Л.Ю., Учение о вещных сделках по германскому праву, М., 2004, 68.

<sup>370</sup> Дернбург Г., Пандекты, Т. 2, пер.Блоха А.Ю., Гальпера А.Я., Унтелова Д. И., Шнейдера К.А., под. ред. Мейендорфа А. Ф., СПб., 1905, 3.

<sup>371</sup> Покровский И. А., Основные проблемы гражданского права, М., 1998, 223.

<sup>372</sup> Эннексерус Л., Курс германского гражданского права, Т. 1, М., 1949, 270.

<sup>373</sup> კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური, ცნებები, თბ., 2009, 223.

<sup>374</sup> Скловский К. И., Собственность в гражданском праве, М., 1999, 127.

<sup>375</sup> Чеговадзе Л. А., Структура и состояние гражданского правоотношения, М., 2004, 317.

<sup>376</sup> Baur J.F., Stürner R., Lehrbuch des Sachenrecht, Aufl—München, 1992, 15. მოთითებულია: Жалинский А.,Рёрихт А.,Введение в немецкое право, М., 2001, 408; Книпер Р.,Владение в гражданском праве Туркменистана, В книге: Право, Экономика, Благосостояние, Актуальные вопросы правовой реформы в Туркменистане (Нурыев Я., Чантурия Л., изд.), Asgabat, 2010, 97.

<sup>377</sup> Морандьер Ж.Д., Гражданское право Франции, Т. 2, М., 1960, 71.

<sup>378</sup> Штан Ян., Система германского гражданского права, М., 2006, 81.

თაობაზე. მფლობელობის იურიდიული ბუნების საკითხი კომენტატორებმა წამოსწიეს, მათ ერთმანეთს დაუპირისპირეს ურთიერთობები, სადაც გამოვლენილი იყო მფლობელობის, როგორც ფაქტის, ისე უფლების თვისობრიობა. მე-17-18 საუკუნის ფრანგი იურისტები მფლობელობას მოიაზრებდნენ, როგორც ფაქტობრივ მდგომარეობას. ეს შეხედულება გადავიდა გერმანულ დოქტრინაში და დომინირებული იყო მე-18 საუკუნემდე.<sup>379</sup>

საინი თვლიდა *animus possessionis*-ს (მფლობელობით ნებას) მფლობელობის მუდმივ საწყისად და აგებდა მფლობელობას სუბიექტის ნებაზე, განიხილავდა მფლობელობას როგორც ფაქტს, ისე უფლებას.<sup>380</sup> მისი მოსაზრებით, მფლობელობა პირველადი გაგებით ფაქტია, მაგრამ რადგან მას უფლებრივი შედეგები უკავშირდება, შესაძლოა, ის ფაქტიც იყოს და უფლებაც. ვინდშიდის შეხედულებით, მფლობელობასთან სამართლებრივი შედეგების დაკავშირება, მას არ გარდაქმნის უფლებად.<sup>381</sup>

მფლობელობას უფლებად აღიქვამს რუსი და საერთო სამართლის ცივილისტების გარკვეული ნაწილიც: თუ უფლება ნების ბატონობაა, მფლობელობა აკმაყოფილებს უფლების ამ ნიშანს; რადგან მფლობელობის ობიექტია ნივთი, მასზე ფაქტობრივი ბატონობა წარმოიშობა პასიურ სუბიექტთა ნების მიუხედავად და დაცულია ნებისმიერი ხელმყოფისგან, მისი ადგილი სანივთო უფლებათა შორისაა;<sup>382</sup> მფლობელობა არ არის ფაქტობრივი მდგომარეობა, ის სანივთო უფლებაა, მხოლოდ საკუთრებაზე მომცრო.<sup>383</sup>

კონტინენტური ევროპის სამართალში მფლობელობა ინარჩუნებს რომის სამართლიდან მომდინარე შინაარსს. ის გულისხმობს ორი ელემენტის არსებობას: მატერიალურს (ობიექტურს—*corpus possessionis*), რაც ნივთის ფაქტობრივი დაუფლების მდგომარეობაა და ნების (სუბიექტურს *animus possessionis*), რაც გამოიხატება პირის ნებაში ფლობდეს ნივთს საკუთარი ინტერესებისთვის.<sup>384</sup> ამგვარად, მფლობელობის მოსაპოვებლად საჭიროა ნივთზე უშუალო, ემპირიული ზემოქმედება, რომელსაც თან ახლავს მფლობელის ნება მოეპყრას ნივთს, როგორც საკუთარს.<sup>385</sup>

მფლობელობის ობიექტური ელემენტი ფაქტობრივი შესაძლებლობაა ნივთზე უშუალო ბატონობისა და მასზე ყოველგვარი სხვისი ზემოქმე-

<sup>379</sup> *Васьковский Е.В.*, Учебник гражданского права, М., 2003, 222.

<sup>380</sup> *Savigny F.K.*, Das Recht des Besitzes, Nachdr. Der Ausg. Giessen, Heyer, 1803, 20. მითითებულია: *Василевская Л. Ю.*, Учение о вещных сделках по германскому праву, М., 2004, 41.

<sup>381</sup> *Васьковский Е.В.*, Учебник гражданского права, М., 2003, 223.

<sup>382</sup> *Шершеневич Г. Ф.*, Учебник русского гражданского права, Т. 1, М., 1914, 142.

<sup>383</sup> *Маттей У., Суханов Е.А.*, Основные положения права собственности, М., 1999, 119; *Сулейманов М.К.*, მოსაზრება მითითებულია: *Скрябин С.В.*, Вещное право, Алматы, 2009. <http://www/google.ge/search/hl=ka&source>.

<sup>384</sup> *Васильев Е.А., Комаров А.С.*, (ред.), Гражданское и торговое право зарубежных государств, Т. 1, М., 2004, 411-412.

<sup>385</sup> *Savigny F.K.*, Das Recht des Besitzes, Nachdr. Der Ausg. Giessen, Heyer, 1803, 20. მითითებულია: *Василевская Л. Ю.*, Учение о вещных сделках по германскому праву, М., 2004, 41. საერთო სამართალშიც, იურიდიული მფლობელობის მოსაპოვებლად, რომელიც მსგავსია კონტინენტური ევროპის სამართალში მფლობელობის ინსტიტუტისა, საჭიროა ნივთზე გამორჩეული ბატონობის განზრახვით მასზე ფაქტობრივი კონტროლის განხორციელება. *Васильев Е.А., Комаров А.С.*, (ред.), Гражданское и торговое право зарубежных государств, Т. 1, М., 2004, 412.

დების გამორიცხვისა.<sup>386</sup> Corpus არის გარეგნული კავშირი პირსა და ნივთს შორის, რომელიც არსებობს მანამ, სანამ ნივთი ფაქტობრივად პირის სამეურნეო გარემოს შემადგენლობაშია.<sup>387</sup> ეს ნიშანი არ დაიყვანება ნივთის მიმართ ფიზიკურ შემსებლობამდე. ფაქტობრივი ბატონობის ასეთი გაგება ადამიანთა მოდემის პრიმიტიული მართლშეგნების გამოძახილი იქნებოდა. მფლობელობა არ შეიძლება გაიზომოს ნივთთან სივრცობრივი კავშირ-ურთიერთობით.<sup>388</sup>

მფლობელობის მატერიალური ელემენტი მიიღწევა პირის მოქმედებით, რომელიც შესაძლოა იყოს ცალმხრივი ან ორმხრივი ნების გამოვლენის შედეგი. მაგალითად, დაუფლება, როგორც ცალმხრივი ნების გამოვლენის შედეგი, თავის მხრივ, შესაძლოა იყოს მართლზომიერი (უპატრონო ნივთის დაუფლება) ან არამართლზომიერი (სხვისი ნივთის წინასწარი შეცნობით თვითნებური დაუფლება). ორმხრივი ნების გამოვლენით განხორციელებული მოქმედება მფლობელობის დასაფუძნებლად არის traditio (ნივთის გადაცემა). ამასთან, არსებობს მფლობელობის დაფუძნების შემთხვევა მისი ელემენტების გარეშე, კანონისმიერი ფიქციის მეშვეობით, კერძოდ, მფლობელობის მემკვიდრეობით გადაცემისას: მფლობელობა მემკვიდრეებზე გადადის იმავე სახით, რა სახითაც არსებობდა იგი მამკვიდრებელთან (სამკვიდროს დამტოვებელთან) (საქართველოს სკ-ის 157-ე მუხლი). ამ ვითარებაში, სამართლის ნორმატიული ნებით სავარაუდო მემკვიდრე ცნობილია მფლობელად, მფლობელობის შექმნა არ არის დამოკიდებული იმაზე, იცის თუ არა მემკვიდრემ თავისი მდგომარეობისა და სამკვიდრო ქონების ოდენობის შესახებ. ფიქციის მიზანია სამკვიდროს მიღებამდე შენარჩუნებულ იქნეს მემკვიდრის მდგომარეობა და აღიკვეთოს მემკვიდრეობის უფლების ხელყოფა.<sup>389</sup>

მფლობელობის არსებობისთვის მეორე აუცილებელი ელემენტი მფლობელობითი ნების არსებობაა. Animus-ი ნიშნავს სურვილს, შეინარჩუნო ნივთით სარგებლობის ფაქტობრივი შესაძლებლობა. ამით განსხვავდება მფლობელობა ნივთთან პირის უბრალო სივრცობრივი ურთიერთობისგან. ზოგჯერ, ნებელობითი ელემენტი არ არის პირის მიერ აშკარად გამოვლენილი, მაგრამ ის ივარაუდება, მაგალითად, პირი ითვლება იმ ნივთის მფლობელად, რომელიც მისი არყოფნის დროს მის ბინაში მიიტანეს. ნივთის მიკუთვნება სამეურნეო გარემოსთვის იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ პირს სურს შეინარჩუნოს ნივთით სარგებლობის შესაძლებლობა.<sup>390</sup> პირის არანებელობითი სივრცობრივი კავშირი ნივთთან, მფლობელობას არ აფუძნებს, მაგალითად, მფლობელობად არ ითვლება პირის ფიზიკური შემსებელობა ნივთთან, როდესაც მან არ იცის ნივთის არსებობის შესახებ.<sup>391</sup> ამასთან, ყოველგვარი ნება არ ქმნის ნებელობით ელემენტს, საჭიროა არსებობდეს

<sup>386</sup> Багиров А., Понятие и гражданско-правовое значение владения как элемента права собственности, „Южно-Кавказский юридический журнал“ №1, 2010, 58.

<sup>387</sup> Гримм Д. Д., Лекции по догме римского права, 5-ое изд., Петроград, 1916, 156.

<sup>388</sup> ზოიძე ბ., ქართული საწივით სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2003, 56.

<sup>389</sup> ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. II, რედ. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნობიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., 1999, 52.

<sup>390</sup> Гримм Д. Д., Лекции по догме римского права, 5-ое изд., Петроград, 1916, 156.

<sup>391</sup> Симолин А.А., Определение владения по нашему проекту и Германскому уложению, В книге: Возмездность, безвозмездность, смешанные договоры и иные теоретические проблемы гражданского права, М., 2005, 513.

განზრახვა – ნივთს ფლობდეს თავისთვის, როგორც საკუთარს, მხოლოდ შენ იბატონო ნივთზე.<sup>392</sup>

მფლობელობა წყდება მისი ელემენტების არ არსებობისას. ეს შესაძლოა მოხდეს, როგორც პირის ნების საფუძველზე, ისე მისი ნების წინააღმდეგ: მაგალითად, ნივთის გასხვისებისას ან მასზე უფლების მიტოვების მიზნით ნივთის ფაქტობრივ ბატონობაზე უარის თქმისას, მფლობელობა წყდება მისი ორივე ელემენტის გაუქმების გამო, ხოლო თუ პირს ნივთი მოპარეს ან დაკარგა, მფლობელობა წყდება მატერიალური ელემენტის არ არსებობის გამო, თუმცა მის უკან არსებული უფლება ძალაშია, რაც მფლობელობის აღდგენის საფუძველია.<sup>393</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო სწორად დაეყრდნო მფლობელობის შეწყვეტის გარემოების დადგენისას სკ-ის 156-ე მუხლს, რომლის თანახმად, მფლობელობა ითვლება შეწყვეტილად, თუ მფლობელი სამუდამოდ თმობს ნივთს ან სხვა გზით კარგავს მასზე ფაქტობრივ ბატონობას.<sup>394</sup>

## 12. მფლობელობის სუბიექტური და ობიექტური თეორიები

მფლობელობა ჭერა-პერობისაგან სწორედ, საკუთრად ფლობის განზრახვით განსხვავდება. მჭერსაც აქვს ნება, რითაც ის ემიჯნება შემხებელობას, თუმცა მისი ნება თვისობრივად სხვაა. მჭერის ნება მიმართულია ნივთის დაუფლებისკენ იმ პირის ინტერესებში, ვისი სახელითაც ის ფლობს.<sup>395</sup> ვინც მთლიანად დამოკიდებულია სხვაზე, არ გააჩნია ნივთის საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენების ვარაუდის საფუძველი, ხოლო მესაკუთრე მოსამსახურის დახმარებითაც ისევე დარწმუნებით სარგებლობს საკუთარი ნივთით, როგორც მაშინ, როცა ნივთი ხელთ აქვს.<sup>396</sup> ჭერის დროს მესაკუთრე უარს არ ამბობს ნივთზე ბატონობაზე, მხოლოდ უმორჩილებს ნივთზე ფიზიკურ ზემოქმედებას სხვა პირს, მაგალითად, საწარმოს მუშაკი, მაღაზიის გამყიდველი. მათ არა აქვთ სურვილი ნივთით სარგებლობისა და განკარგვისა საკუთარი ინტერესებისთვის.<sup>397</sup>

კონტინენტური ევროპის სამართალში სადავო შეიქმნა ის, თუ რომელი ელემენტი იყო კონსტიტუციური მფლობელობაში. ამ თვალსაზრისით, ერთმანეთს უპირისპირდება სავინის და იერინგის თეორიები მფლობელობის შესახებ, მფლობელობის თაობაზე რომაული და გერმანული წარმოდგენები. რომაული გაგებით, მფლობელობას აფუძნებს ორი ელემენტი, ხოლო გერმანული თვალსაზრისით, რომელიც შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა, მფლობელობას არ ჰქონდა საფუძველად

<sup>392</sup> Белов В. А., Гражданское право, М., 2003, 460.

<sup>393</sup> ზოიძე ბ., ქართული საწინფო სამართალი, თბ., 2003, 64.

<sup>394</sup> სუსგ №11830-798კ-04, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება იადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე, №1, 2005, 24.

<sup>395</sup> Жалинский А., Рёрхт А., Введение в немецкое право, М., 2001, 408.

<sup>396</sup> Дернбург Г., Пандекты, Т.2, пер. Блоха А.Ю., Гальпера А.Я., Унтелова Д.И., Шнейдера К.А., под ред. Мейендорфа А.Ф., СПб., 1905, 109. საერთო სამართალში ჭერა-პერობას შეესატყვისება ფაქტობრივი მფლობელობა, რომელშიც მოიაზრება პირის მიერ ნივთზე ფიზიკური კონტროლის განხორციელება, ნივთზე განსაკუთრებული ბატონობის უფლების გარეშე. Дженкс Э., Английское право, М., 1947, 252.

<sup>397</sup> Дженкс Э., Английское право, М., 1947, 253.

animus და იურიდიული შედეგი მოსდევდა ფაქტობრივ მდგომარეობას.<sup>398</sup> სავინის მფლობელობის სუბიექტური თეორიით, მფლობელობის დაწესებისას გადამწყვეტია animus-ის, ანუ მფლობელობითი ნების არსებობა. მფლობელობას აფუძნებს მხოლოდ საკუთრად ფლობის განზრახვით განხორციელებული ფაქტობრივი ბატონობა ნივთზე, თუ არ არის ასეთი ნება და ქონების ფლობა ხდება სხვისი ინტერესებისთვის, სახეზეა detentio (ჭერა-პერობა).<sup>399</sup>

ამ თეორიაზე აიგო საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი, რომელიც მოიჯარეს, დამპირავებელს, შემნახველს, მოგირავნეს და ყველა სხვა სუბიექტს, რომელიც სანივთო ან ვალდებულებითი უფლების საფუძველზე დროებით ფლობს მესაკუთრის ნივთს, მჭერად მიიჩნევს. კოდექსი იცნობს პრეზუმფციას მფლობელისა და მჭერის განსასხვავებლად: ივარაუდება, რომ თითოეული ფლობს თავისთვის, როგორც მესაკუთრე, სანამ არ დამტკიცდება, რომ მფლობელობა სხვისთვის დაიწყო და პირიქით, თუ ფაქტობრივი ბატონობა სხვისთვის დაიწყო, საპირისპიროს დამტკიცებამდე იგულისხმება, რომ ის ხორციელდება იმავე სახით, რა სახითაც დაიწყო განხორციელება.<sup>400</sup>

იერიგის მფლობელობის ობიექტური თეორია მფლობელობის დაფუძნებისას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს corpus-ს, ანუ ნივთზე ფაქტობრივი, რეალური ბატონობის განხორციელებას. ის ეყრდნობა მფლობელობის ეკონომიკურ მნიშვნელობას, განსაზღვრავს მფლობელობას, როგორც პირის სამეურნეო კავშირს ნივთთან, ნივთის ისეთ მდგომარეობად, როცა ის ემსახურება მფლობელის მოთხოვნებს. შესაბამისად, მფლობელად ითვლება პირი, ვინც იღებს სარგებელს, მიუხედავად ნივთზე უფლების არსებობისა.<sup>401</sup>

ამასთან, ეს თეორია არც ნებელობით ელემენტს უარყოფს, ითვლება, რომ ის განივთებულია მატერიალურ ელემენტში, ეს უკანასკნელი იმავდროულად მოიცავს ფლობის სურვილს, corpus დუმილის სახით შეიცავს animus-ს,<sup>402</sup> corpus არის განსხეულებული animus.<sup>403</sup> ძალაუფლების, ხელისუფლების არსი ყოველთვის ვარაუდობს სუბიექტის ნების არსებობას. პირის მიერ იმის შეგნებას, რომ ის ახორციელებს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნივთზე არსებული ფაქტობრივი ურთიერთობებისთვის სამართლებრივი მნიშვნე-

<sup>398</sup> *Шершеневич Г.Ф.*, Учебник русского гражданского права, Т. 1, 11-ое изд., М., 1914, 254.

<sup>399</sup> *ზოდუ ბ.*, მფლობელობის (possessio) ცნება საქართველოს მომავალ სამოქალაქო კოდექსში, წიგნში: ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, 427.

<sup>400</sup> *Яичков К.К.*, (ред.), Гражданское и торговое право капиталистических государств, М., 1966, 195. მსგავს დანაწევს იცნობს იტალიის სკ: ივარაუდება, რომ მფლობელობა ეკუთვნის იმ პირს, რომელიც ახორციელებს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას, თუ არ დამტკიცდება, რომ მან ფაქტობრივი ბატონობის განხორციელება დაიწყო მპყრობელობის სახით და პირიქით, თუ ვინმე იწყებს ფაქტობრივ ბატონობას მპყრობელობის სახით, ეს პირი ვერ შეიძენს მფლობელობას გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მფლობელობის საფუძველი იცვლება მესამე პირის მიმართ განხორციელებული მოქმედებით ან მფლობელის მიმართ მისი შესავებით. იტალიის სამოქალაქო კოდექსი, წ.1, ქონება, ტიტული VIII-მფლობელობა. თარგმანი *ზ.ჭეჭელაშვილის*. ქართული კერძო სამართლის კრებული, წ.1, თბ., 2004, 344.

<sup>401</sup> *Васьковский Е.В.*, Учебник гражданского права, М., 2003, 212.

<sup>402</sup> *ზოდუ ბ.*, მფლობელობის (possessio) ცნება საქართველოს მომავალ სამოქალაქო კოდექსში, წიგნში: ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, 427.

<sup>403</sup> *Иеринг Р.*, Теория владения, СПб., типография Меркушева, 1895, 5.



ლობის მინიჭებისთვის.<sup>404</sup> იერინგის მოსაზრებით, თავად რომაელი იურისტები, პავლუსის გარდა, სავინისა და მისი მიმდევრებისგან განსხვავებით, არ ანიჭებდნენ animus-ს უმთავრეს მნიშვნელობას მფლობელობის დაფუძნებისას. პავლუსის მოსაზრება წარმოადგენდა არა რომის სამართლით აღიარებულ დებულებას, არამედ თეორიულ კონსტრუქციას.<sup>405</sup> სავინი პავლუსის მსგავსად ცდილობდა იმის დოკუმტირებას, რაც აიხსნებოდა ისტორიული ხასიათის შეხედულებით.<sup>406</sup>

იერინგის თეორიას დაეფუძნა გერმანიის სკ, რომლის თანახმად ნივთზე მფლობელობის შექმნა ხდება მასზე ფაქტობრივი ბატონობის მოპოვებით (§854), შესაბამისად, მფლობელობაც წყდება, თუ მფლობელი უარს იტყვის ნივთზე ფაქტობრივ ბატონობაზე ან სხვა გზით დაკარგავს მას (§856).<sup>407</sup> მართალია, გერმანიის სკ-ში მფლობელობის განსაზღვრისას არ არის სუბიექტურ ელემენტზე მითითება, მაგრამ გერმანული ცივილისტური დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა აღიარებს მას მფლობელობის შექმნის ერთ-ერთ წინაპირობად.<sup>408</sup> მფლობელობის ობიექტურ თეორიაზე დაყრდნობით გერმანიის სკ-მა მფლობელად აღიარა ყოველი პირი, ვისაც ჰქონდა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა, მიუხედავად იმისა, საკუთარი თუ სხვისი სახელით ახორციელებდა მას. შესაბამისად, მესაკუთრის და არამართლზომიერ მფლობელთა გვერდით მფლობელად მიიჩნია პირები, ვინც ფლობდნენ მესაკუთრის ქონებას დროებით, ხელშეკრულების საფუძველზე.

### 13. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმა – სუბიექტური და ობიექტური თეორიების მოდერნიზებული ერთიანობა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მფლობელობის დაფუძნებას უკავშირებს სუბიექტური და ობიექტური ელემენტების თანაარსებობას: მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით (155-ე მუხლის პირველი ნაწილი). აღსანიშნავია, რომ ქართულ ცივილისტურ დოქტრინაში არსებული ერთი შეხედულებით, ქართულ რეალობაში animus არ ასრულებს გადამწყვეტ როლს მფლობელობის კონსტრუქციაში. მისი დადგენით კანონი ითხოვს მხოლოდ ფლობის ზოგად ნებას, პირის მიერ იმის გაცნობიერებას, რომ იგი ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას და არა იმას, რომ ამ დროს მისი ნება მიმართულია მესაკუთრის სახით ფლობისკენ.<sup>409</sup> მართალია, მფლობელობა მოპოვებული უნდა იყოს მფლობელის ნების გამოვლენით, ე.ი. მას სურდეს, რომ იყოს მფლობელი, ანუ პირი მფლობელი უნდა გახდეს თავისი ნება-სურვილით,<sup>410</sup> თუმცა, ნებით ელემენტში არ მოაზრება მხოლოდ პირის მხრიდან ნივთის ფლობის გაცნობიერება, რადგან არა თუ მფლობელი, მჭერიც არ ფლობს გაუაზრებლად. მასაც

<sup>404</sup> ჭეჭელაშვილი ზ., სანივთო სამართალი, თბ., 2006, 53.

<sup>405</sup> *Иеринг Р.*, Теория владения, СПб., типография Меркушева, 1895, 43.

<sup>406</sup> *Гримм Д. Д.*, Лекции по догме римского права, 5-ое изд., Петроград, 1916, 164.

<sup>407</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით), მთარგმნელი და რედაქტორი ჭეჭელაშვილი ზ., თბ., 2010, 180.

<sup>408</sup> ჭეჭელაშვილი ზ., სანივთო სამართალი, თბ., 2006, 53.

<sup>409</sup> ჭეჭელაშვილი ზ., მფლობელობის საკითხებზე სასამართლო დავების განხილვის თავისებურებანი, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №1, 2007, 65.

<sup>410</sup> ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, 57.

აქვს ნება, რომელიც არა საკუთარ, არამედ სხვის ინტერესებში ფლობას გულისხმობს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მფლობელობის ნებით ელემენტში, რომის სამართლის მსგავსად, არ გულისხმობს პირის ნებას, ფლობდეს მხოლოდ როგორც მესაკუთრე, რადგან მაშინ მფლობელად მხოლოდ მესაკუთრე ან არამართლზომიერი მფლობელი მიიჩნევა. ის გულისხმობს მფლობელის განზრახვას, ნივთს ფლობდეს საკუთარი ინტერესებისთვის, მფლობელობა მიმართული უნდა იყოს მფლობელის პირადი სარგებლობისთვის.<sup>411</sup>

აღსანიშნავია, რომ ქართული მიდგომა ეფუძნება ცივილისტურ დოქტრინაში არსებულ თეორიას, რომელსაც შუაღმედიური პოზიცია უჭირავს სუბიექტურ და ობიექტურ თეორიას შორის. ეს თეორია ორი ელემენტის არსებობას უკავშირებს მფლობელობის დაფუძნებას, მაგრამ არ ითხოვს, რომ animus possessionis გულისხმობდეს საკუთრად ფლობის სურვილს ვიწრო გაგებით, ანუ ფლობდე როგორც მესაკუთრე. ის საკმარისად თვლის სურვილს – ნივთს ფლობდე თავისთვის, თავის სასარგებლოდ, თავის ინტერესებში. აღნიშნული თეორიით მფლობელობითი ნება ფართოდ არის გააზრებული (Дернбург, Кирульф, Мандри). ამდენად, მფლობელად მიიჩნევა სხვა სანივთო და ვალდებულებითი უფლების მქონე პირებიც, მესაკუთრისა და არამართლზომიერი მფლობელის გარდა.<sup>412</sup>

#### 14. მჭერის სამართლებრივი ფიგურა

იერინგი მიიჩნევდა, რომ ნებისმიერი მპყრობელი არის ნივთის მფლობელი, მაგრამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ის ითვლება მჭერად.<sup>413</sup> მაგალითად, მოიჯარე რომის სამართალში აღიარებული იყო მჭერად, რადგან მას პოზიტიური სამართალი გარკვეული მიზეზით სამართლებრივი დაცვით არ უზრუნველყოფდა.<sup>414</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მჭერი არის ის, ვინც ახორციელებს ფაქტობრივ პყრობას ნივთზე სხვის ინტერესებში, სხვის სასარგებლოდ, იმ პირის სახელში, საწარმოში ან სხვა ურთიერთობის საფუძველზე, როცა ნივთთან დაკავშირებით ის მისდევს მფლობელის მითითებებს და მასზეა დამოკიდებული (§855).<sup>415</sup>

გერმანულ სამოქალაქო სამართალში ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის განხორციელებისას მოქმედებს პირის მფლობელად აღიარების პრეზუმფცია, რადგან მფლობელობის დაფუძნებისას საკმარისია corpus-ის არსებობა, რომელიც მოიცავს საკუთრად ფლობის ნებას. თითოეული ქონებრივ ურთიერთობებში საკუთარი ინტერესებით მოქმედებს, ხოლო სხვის ინტერესებში მოქმედების განზრახვა არ ივარაუდება. ამიტომ ჭერაპყრობის არსებობა დამტკიცებულ უნდა იქნეს.<sup>416</sup> აღსანიშნავია, რომ

<sup>411</sup> *ხოტოშვილი თ.*, დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, №1, 2008, 58.

<sup>412</sup> *Васьковский Е.В.*, Учебник гражданского права, М., 2003, 212.

<sup>413</sup> *Иеринг Р.*, Теория владения, СПб., типография Меркушева, 1895, 3.

<sup>414</sup> *Васьковский Е.В.*, Учебник гражданского права, М., 2003, 220.

<sup>415</sup> *Венкштерн М.*, Основы вещного права, в книге: Проблемы гражданского и предпринимательского права Германии, М., 2001, 183.

<sup>416</sup> *Дернбург Г.*, Пандекты, Т. 2, пер. *Блоха А.Ю., Гальпера А.Я., Унтелова Д.И., Шнейдера К.А.*, под. ред. *Мейендорфа А. Ф.*, СПб., 1905, 26.

რუსეთის სკ არ იცნობს მჭერის კატეგორიას, ის არ აკეთებს განსხვავებას მფლობელობასა და ჭერას შორის.<sup>417</sup>

ასევე, ქართული სამოქალაქო სამართლით, ნივთის ყველა ფაქტობრივი მებატონე არ ითვლება მფლობელად. მფლობელად არ მიიჩნევა პირი, რომელიც ნივთზე ბატონობას ახორციელებს სხვისთვის, სხვის სასარგებლოდ. მფლობელად ამ შემთხვევაში ითვლება პირი, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა (საქართველოს სკ-ის 155-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მჭერს ნივთის ფლობასთან დაკავშირებით არ გააჩნია დამოუკიდებელი, პირადი ინტერესი. მისი დამოკიდებულება ნივთისადმი გარეგნულად შესაცნობია და ემყარება მფლობელთან სოციალურ კავშირ-ურთიერთობას, რომელიც შესაძლოა ატარებდეს როგორც საჯაროსამართლებრივ, მაგალითად, ჯარისკაცის, პოლიციელის მიერ საბრძოლო იარაღის ფლობა, ისე კერძოსამართლებრივ ხასიათს, მაგალითად, მუშა-მოსამსახურის მიერ საწარმოში არსებული ნივთების ფლობა, შინამოსამსახურის ან გამყიდველის მიერ მესაკუთრის ნივთების ფლობა.<sup>418</sup>

## 1.5. ორმაგი მფლობელობა – რომის სამართლის ტრადიციიდან გადახვევა

### 1.5.1. გერმანული ცივილისტიკის მიგნება

ერთსა და იმავე ნივთზე უშუალო და შუალობითი მფლობელობის აღიარებით, გერმანელმა კანონმდებელმა შექმნა სამოქალაქო სამართლისთვის უცნობი ორმაგი მფლობელობის კონსტრუქცია.<sup>419</sup> მას არ იცნობდა რომის სამართალი, რომლის თანახმად, ერთსა და იმავე ნივთზე ერთდროულად, ორი პირის სრული მფლობელობა ისევე წარმოუდგენელი იყო, როგორც ერთი პირის ჯდომა იქ, სადაც სხვა ზის.<sup>420</sup> უშუალო და შუალობითი მფლობელი დგანან არა ერთმანეთის გვერდით, როგორც საერთო საკუთრებისას, არამედ ერთი მეორეზე. შუალობითი (არაპირდაპირი) მფლობელობა არის წყარო უშუალო (პირდაპირი) მფლობელობის წარმოშობისთვის. უშუალო მფლობელს, მართალია, აქვს დამოუკიდებელი, მაგრამ შუალობით მფლობელთან მიმართებით დაქვემდებარებული მდგომარეობა.<sup>421</sup>

გერმანული სამოქალაქო სამართლის მიხედვით, უშუალო მფლობელობა მდგომარეობს ნივთზე ფაქტობრივ ხელისუფლებაში. უშუალოა მფლობელი, რომელსაც არა მარტო ხელთ უჭირავს ნივთი, არამედ აქვს

<sup>417</sup> *Сергеев А.П., Толстой Ю.К.*, (ред.), *Гражданское право*, ч. 1, СПб., 1996, 297.

<sup>418</sup> *ზოდუ ბ.*, ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, 59.

<sup>419</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შექმნამდე გერმანული სამართლის ფილოსოფიაში, კანტის მოძღვრებაში, ჩამოყალიბდა ერთსა და იმავე ნივთზე ორმაგი მფლობელობის გაგება ინტელექტუალური და ემპირიული მფლობელობის სახით. პირველი გულისხმობს სარგებლობას მფლობელობის გარეშე, სადაც მთავარია პირის განზრახვა ნივთს მოეპყრას, როგორც საკუთარს ემპირიული ბატონობის გარეშე, ე.ი.ამ დროს არსებობს ნივთთან გონებით გააზრებული სამართლებრივი კავშირი, ხოლო მეორე ნიშნავს სარგებლობას მფლობელობასთან ერთად, ფიზიკურ მფლობელობას, პირის ფიზიკურ შესაძლებლობას ნივთი გამოიყენოს საკუთარი შესხედულებით. მოსაზრება მითითებულია: *Василевская Л. Ю.*, *Учение о вещных сделках по германскому праву*, М., 2004, 37.

<sup>420</sup> *Покровский И. А.*, *Основные проблемы гражданского права*, М., 1998, 230.

<sup>421</sup> *Baur J. F., Stürner R.*, *Lehrbuch des Sachenrecht*, Aufl-Munchen, 1992, 59. მითითებულია: *Жалинский А., Рёрихт А.*, *Введение в немецкое право*, М., 2001, 410.

შესაძლებლობა განახორციელოს მასზე ბატონობა შემხებლობის გარეშე, მაგალითად, იმ ავტომობილის მფლობელი, რომელიც დგას ავტოსადგომზე.<sup>422</sup> შუალობითი მფლობელობა წარმოიშობა სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე. ამ ურთიერთობაში უშუალო მფლობელს სურს იყოს ბატონი თავის სფეროში, მაგრამ აღიარებს მესაკუთრის უფლებას.<sup>423</sup>

თუ პირი არავის უყოფს მფლობელობას, ის იმავედროულად დამოუკიდებელი მფლობელია, ის ფლობს საკუთრად ფლობის სურვილით (მაგალითად, მესაკუთრე, უკანონო მფლობელი), ხოლო თუ ის ნივთს დროებით მფლობელობაში გადასცემს სხვას, მაგალითად, მოიჯარეს, მესაკუთრის უშუალო მფლობელობა გარდაიქმნება შუალობით მფლობელობად, ხოლო მოიჯარე იქნება უშუალო და დამოკიდებული მფლობელი, რომელიც ითვალისწინებს ნივთზე მესაკუთრის არსებობას. იმ შემთხვევაში, როდესაც მოიჯარე მესაკუთრის ნებართვით თავადაც გადასცემს სხვას ნივთს ქვეიჯარით, იარსებებს მესაკუთრის შუალობითი და დამოუკიდებელი, მოიჯარის შუალობითი, დამოკიდებული და ქვემოიჯარის უშუალო, დამოკიდებული მფლობელობა.<sup>424</sup> რუსეთის სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს ორმაგ მფლობელობას, თუმცა დოქტრინაში გამოთქმულია მოსაზრება მისი პრაქტიკული სარგებლიანობის თაობაზე, საკანონმდებლო დონეზე იმ იურიდიულ-ტექნიკური ინსტრუმენტების სრულყოფის მიზნით, რომლებსაც გამოიყენებდნენ მფლობელობის დაცვის შესახებ ნორმათა შექმნისას სამოქალაქო და სამოქალაქო-საპროცესო კანონმდებლობით.<sup>425</sup>

## 1.5.2. ორმაგი მფლობელობა და თანამფლობელობა

ორმაგი მფლობელობისგან განსხვავდება თანამფლობელობა და ნივთის სხვადასხვა ნაწილების მფლობელობა. როგორც ორმაგი მფლობელობის დროს, აქაც არსებობს მფლობელობის სამართლებრივი დანაწევრება. თანამფლობელობის დროს ერთ ნივთს რამდენიმე პირი ფლობს ერთდროულად, ხოლო ორმაგი მფლობელობის დროს ერთ საგანზე არსებობს პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელობა. მათ შორის სხვაობა ის არის, რომ ორმაგი მფლობელობის დროს, სახეზეა მფლობელობის ორსაფეხურიანი დაყოფა, ხოლო თანამფლობელობისას თანამფლობელთა ფაქტობრივი ბატონობის მდგომარეობა ერთსაფეხურიანია: ან პირდაპირი მფლობელები არიან თანამფლობელები, ან არაპირდაპირი მფლობელები. თანამფლობელობა შეიძლება იყოს მარტივი და კვალიფიციური. მარტივი თანამფლობელობის მდგომარეობას შეესაბამება საერთო თანაზიარი საკუთრება, ხოლო კვალიფიციურს წილადი საკუთრება. მარტივი თანამფლობელობის არსებობისას ყველა თანამფლობელს აქვს სანივთო ძალაუფლება, რასაც სხვებმა ანგარიში უნდა გაუწიონ, მაგალითად, რამდენიმე პირის მიერ ერთად ნივთის შექმნისას, მათ ერთობლივად ეკუთვნის ნივთზე საკუთრების უფლება (საზიარო უფლება). ამდენად, თითოეულს უფლება აქვს ისარგებლოს

<sup>422</sup> *Пятин С.Ю.*, Гражданское и торговое право зарубежных стран, М., 2009, 99.

<sup>423</sup> *Бернгейт Ф., Колер И.*, Гражданское право Германии, СПб., 1910, 119.

<sup>424</sup> *Пятин С.Ю.*, Гражданское и торговое право зарубежных стран, М., 2009, 99.

<sup>425</sup> *Василевская Л.Ю.*, Учение о вещных сделках по германскому праву, М., 2004, 36.

საზიარო საგნით;<sup>426</sup> ასევე, მეუღლეთა თანაზიარო საკუთრების დროს თანამფლობელობა საერთო საკუთრებაში არსებულ სიკეთეებზე, რითაც ისინი ერთად სარგებლობენ.<sup>427</sup> კვალიფიციური მფლობელობა შეესაბამება წილობრივ საკუთრებას. საერთო ქონებაში წილი შეიძლება არსებობდეს იდეალური წილის სახით, როდესაც მხოლოდ დოკუმენტურად ან მხარეთა შეთანხმებით არის განსაზღვრული წილი, ისე რომ თითოეულმა არ იცის ქონებაში რეალურად რა არის მისი კუთვნილი წილი. განსაზღვრის შემდეგ წილი რეალური ხდება.<sup>428</sup> წილობრივი საკუთრება წარმოიშობა, მაგალითად, ამხანაგობის ხელშეკრულების საფუძველზე. ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობა) მონაწილეების შესატანები, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ითვლება მონაწილეთა საერთო საკუთრებად. მათი საერთო საკუთრებაა ასევე ის, რაც შექმნილია საერთო საკუთრებაში არსებული უფლების საფუძველზე ან მიღებულია ანაზღაურების სახით საერთო ქონების განადგურების, დაზიანების ან ამოღების გამო. წილის განსაზღვრა ხდება შესატანების მიხედვით ან თანაბრად, მონაწილეთა ურთიერთშეთანხმებით.<sup>429</sup>

## 2. კერძოსამართლებრივი საწყისები საკუთრების უფლებაში

### 2.1. საკუთრება – აბსოლუტური ხელისუფლება ნივთზე

მფლობელობა, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბსტანციური ინსტიტუტი, ყველაზე მეტ საერთოს საკუთრებასთან ავლენს.<sup>430</sup> საკუთ-

<sup>426</sup> *ხეცურიანი ჯ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, V, IV, ტ. I, რედ.

*ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.*, თბ., 2001, 333.

<sup>427</sup> *ზოიძე ბ.*, ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, 63.

<sup>428</sup> *შოთაძე თ.*, საერთო საკუთრების და საზიარო უფლებების მარეგულირებელი ნორმების შედარებითი ანალიზი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“, №2, 2009, 21.

<sup>429</sup> *ხეცურიანი ჯ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, V, IV, ტ. II, რედ.

*ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.*, თბ., 2001, 283.

<sup>430</sup> საკუთრებაში არსებობს როგორც კერძოსამართლებრივი, ისე ბუნებითსამართლებრივი საწყისები. ამ უკანასკნელის თანახმად, საკუთრება წინარესახელმწიფოებრივი უფლებაა. „საკუთრება სამართლებრივი აზროვნების განუყოფელი ნაწილია. ის აპრიორული სამართლებრივი კატეგორიაა და არა საზოგადოებრივი“. *Радбрых Г.*, Философия права, Пер.с немец. *Юмашева Ю.М.*, М., 2004, 151. „საკუთრების კატეგორია წინ უსწრებს სამართლებრივი აზრის გამოცდილებას.“ *Stammler*, Theorie der Rechtswissenschaft, 1911, 253. მითითებულია: *Радбрых Г.*, Философия права, Пер.с немец. *Юмашева Ю. М.*, М., 2004 151. „საკუთრება საგანთა ბუნებით წესრიგს ეკუთვნის, ამიტომ ცხოვრების გარდუვალი და შეუცვლელი ფაქტია.“ *პაიხი რ.*, საკუთრება და თავისუფლება, თბ., 2004, 25. „თავისუფლების მსგავსად, საკუთრებაც ელემენტარულ ძირითად უფლებას წარმოადგენს.“ *ზოიძე ბ.*, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბ., 2007, 96. „საკუთრება თავად პიროვნების გარკვეულ თვისობრიობაა. საკუთრების უფლება პიროვნულობის თვისებაა, პიროვნულობას მისი ბუნებითი თვისებები განსაზღვრავენ, ადამიანის პიროვნულობა წარმოუდგენელია საკუთრების გარეშე, საკუთრებით ადამიანი ვლინდება არამარტო როგორც გონი, არამედ როგორც თავისუფალი სუბიექტი.“ *ზოიძე ბ.*, მეწარმის ცნება და მისი თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა, საკუთრების უფლების თავისებურებანი კორპორაციულ საზოგადოებებში (საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით), წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბ., 2009, 89, 94. „საკუთრება ისევე ფასეულია ყოველი ადამიანისთვის, როგორც მისი სიცოცხლე.“

რების უფლება პიროვნული თავისუფლების მნიშვნელოვანი საწინდარია. ის ადამიანის ბუნებიდან წარმოშობილი, ინდივიდუალური სურვილების განვითარების საშუალებაა,<sup>431</sup> ინდივიდის თავისუფალი ნების გამოვლენის გარანტიაა. „ადამიანის, როგორც პიროვნების, როგორც ბუნებით თავისუფალი არსების, გაგება მკაფიოდ გამოიხატება საკუთრებით. საკუთრება ადამიანის პიროვნული გამოხატულება, მისი თავისუფლების გარეგნული სფეროა”,<sup>432</sup> „ადამიანის თავისუფლებაა, რომელიც მოვლენათა სამყაროში რეალიზდება” (ჰეგელი).<sup>433</sup> მხოლოდ „საკუთრების ფლობითა და კონტროლით არის შესაძლებელი ადამიანისთვის, გარეშე საგნებში განასხეულოს თავისი სურვილი და გასცდეს უშუალო არსებობის სუბიექტურობას“ (ჰეგელი).<sup>434</sup>

სამოქალაქოსამართლებრივი წესრიგი საკუთრებას უმაღლესი რანგის სანივთო უფლებად მიიჩნევს. სანივთო უფლება გულისხმობს ნივთზე პირის უშუალო ბატონობას, უშუალო ხელისუფლებას, რომელშიც რეალიზდება ნივთთა სამყაროს განსაზღვრულობა ადამიანური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით.<sup>435</sup> სამართლის ამოსავალი წერტილია თავისუფალი ნება, ის ვლინდება ყოფიერებაშიც და ამ ყოფიერების პირველი მგრძობელობითი მატერია არის ნივთი. ეს პირველსახე თავისუფლებისა არის ის, რასაც ადამიანი შეიცნობს, როგორც საკუთრებას. საკუთრება ამ აზრით, არის ნების განთავსება ნივთში, ამით პირი იძლევა თავისი თავისუფლების გარეგნულ სფეროს.<sup>436</sup> სანივთო უფლების მქონე პირი ახორციელებს ყველა თავის უფლებას ნივთზე თავად, სხვა პირთან ურთიერთობის გარეშე და მის პირისპირ დგას პირთა განუსაზღვრელი წრე, რომელიც ვალდებულია პატივი სცეს

---

(პორტალის), მოსაზრება მითითებულია: *Кулагин М.М.*, (ред.), Гражданское, торговое и семейное право капиталистических стран, Сборник нормативных актов: Гражданские и торговые кодексы, М., 1986, 4. „საკუთრება ის ელემენტარული ძირითადი უფლებაა, რომელიც შინაგან კავშირშია პიროვნების თავისუფლების გარანტიასთან. მისი ამოცანაა, ძირითად უფლებათა საერთო კომპლექსში უზრუნველყოს ამ უფლებათა მქონეთათვის თავისუფლება ქონებრივ სფეროში და ამით, მათ მისცეს შესაძლებლობა საკუთარი ცხოვრება მოაწიონ საკუთარი პასუხისმგებლობით.” *Жалинский А., Рёрхт А.*, Введение в немецкое право, М., 2001, 418. „საკუთრება თავისი ფუნდამენტური ხასიათისა და კონსტიტუციური ღირებულების წყალობით ინარჩუნებს უმაღლეს რანგს სხვა უფლებათა შორის”. *Зарандиа Т., Джугели Т.*, Злоупотребление правом собственности и условия неотчуждаемости по грузинскому и французскому праву, ж. „Южнокавказский юридический журнал,” №1, 2010, 17.

<sup>431</sup> *ფრისერო ნ.*, ქონების პატივისცემის უფლება, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის №1 მუხლი. წიგნში: საკუთრების უფლება და სამართლიანი სასამართლოს უფლება, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, თბ., 2005, 33.

<sup>432</sup> *Гегель Г.В.*, Философия права, М., 1990, 101. მითითებულია: *ჭანტურია ლ.*, უძრავი ნივთების საკუთრება, თბ., 1994, 85.

<sup>433</sup> მოსაზრება მითითებულია: *პაიპი რ.*, საკუთრება და თავისუფლება, თბ., 2004, 60.

<sup>434</sup> მოსაზრება მითითებულია: *პაიპი რ.*, საკუთრება და თავისუფლება, თბ., 2004, 82.

მე-18 ს-ის 60-იან წლებში ინგლისში გამართულ დებატებში მკაფიოდ იკვეთება საკუთრების უფლების ფენომენი ინდივიდის მიღმა არსებულ ნებისმიერ საგანზე. ბლექსტონი საკუთრების უფლებაზე საუბრისას „გარე სამყაროს საგნებზე“ არსებულ ინდივიდის უფლებისა თუ ბატონობის აბსოლუტურ ხასიათზე მიუთითებს. *კერესელძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 220.

<sup>435</sup> *Книпер Р.*, Закон и история, Баден-баден, Алматы, 2005, 205.

<sup>436</sup> *Гегель Г.В.*, Философия права, М., 1990, 67. მითითებულია: *Скловский К.И.*, Собственность в гражданском праве, М., 1999, 45.

მის ბატონობას. სანივთო უფლება არის სამართლით უზრუნველყოფილი პირის ხელისუფლება ნივთზე და ნივთის თაობაზე სხვა პირებთან დაკავშირებით, საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად (გირკე).<sup>437</sup>

პირს აქვს საკუთრების უფლება ნიშნავს, რომ მას აქვს უფლება დაავადლებულს სხვები პატივს სცემდნენ მის ნებას, ისარგებლოს ისე, როგორც მას სურს კუთვნილი ნივთით.<sup>438</sup> საკუთრების უფლება ნივთობრივად გაშუალებული ურთიერთობაა პირებს შორის, რომლის არსებითი მახასიათებელია არამესაკუთრების გამორიცხვა ნივთზე უფლებისაგან. მესაკუთრის მიერ ნივთთან საკუთარი შეხედულებით მოპყრობა უფლება კი არ არის ობიექტებთან მიმართებით, არამედ პრიორიტეტული მდგომარეობაა არამესაკუთრებთან შედარებით.<sup>439</sup>

„საკუთრება პირის შეუზღუდავი და გამორჩეული ხელისუფლებაა ნივთზე“ (სავინი),<sup>440</sup> „მასზე ყოვლისმომცველი ბატონობის უფლებაა მართლწესრიგის ფარგლებში“,<sup>441</sup> „ნივთზე განხორციელებული ადამიანური თავისუფლებაა“,<sup>442</sup> „უფლებაა, რომელიც მოიცავს ნივთზე ხელისუფლების მთელ სისრულეს, რაც შეესაბამება კანონს, ბუნებასა და სამართალს,“<sup>443</sup> „ნების ძალაუფლებაა ნივთთან დაკავშირებით,“<sup>444</sup> „უფლებაა, რომლის ძალით ნივთი ექვემდებარება პირის მოქმედებასა და ნებისყოფას,“<sup>445</sup> „პირისთვის ქონებრივი სიკეთის სამართლებრივი მიკუთვნებაა.“<sup>446</sup>

<sup>437</sup> მოსაზრება მითითებულია: *Архипов С. И.*, Проблема собственности, ж. „Правоведение,“ №1, 2007.

<sup>438</sup> *Дюги Л.*, Общие преобразования гражданского права со времени кодекса Наполеона, пер. с французского *Сиверс М. М.*, под. ред. *Гойхбарга А. Г.*, М., 1919, 13.

<sup>439</sup> *Ваника Р. П.*, Защита права собственности в практике конституционного суда Румынии, роль конституционных судов в обеспечении права собственности (сборник докладов), М., 2001, 215. მითითებულია: *ზოდუ თ.*, საკუთრების უფლების ცნება და შინაარსი ქართული და გერმანული სამართლის მაგალითზე (სასემინარო ნაშრომი), თბ., 2010, 29. საკუთრება მესაკუთრეს აძლევს უფლებამოსილებას თანახმა იყოს (დაუშვას ან არ დაუშვას) გამორიცხოს მესამე პირების მიერ საკუთარი ნივთით მფლობელობა ან სარგებლობა (კოუენი). მოსაზრება მითითებულია: *ზარანდია თ.*, საკუთრების უფლების ექსკლუზიური ხასიათი და საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენება ქართულ და ფრანგულ სამართალში, პროფ. რ. შენგელიას 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები, თბ., 2012, 300.

<sup>440</sup> მოსაზრება მითითებულია: *Маттей У., Суханов Е. А.*, Основные положения права собственности, М., 1999, 43.

<sup>441</sup> *Baur F.*, Lehrbuch des Sachenrechts, Munchen, 1975, 1731. მითითებულია: *Лазар Ян.*, Собственность в буржуазной правовой теории, М., 1985, 48.

<sup>442</sup> *Жалинский А., Рёрихт А.*, Введение в немецкое право, М., 2001, 416.

<sup>443</sup> *Дернбург Г.*, Пандекты, Т. 2, пер. *Блоха А. Ю., Гальпера А. Я., Унтелова Д. И., Шнейдера К. А.*, под. ред. *Мейендорфа А. Ф.*, СПб., 1905, 59.

<sup>444</sup> *Скловский К. И.*, Собственность в гражданском праве, М., 1999, 150.

<sup>445</sup> *Planiol M.*, Traite elementaire de droit civil, t. I, 1920, 718. მითითებულია: *ვახეიშვილი ალ.*, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ნ. III, თბ., 1963, 32.

<sup>446</sup> *იზორია ლ.*, მიწაზე, წიაღისეულზე და ბუნებრივ რესურსებზე საკუთრების უფლების დაცვა, შედარებითი სამართლებრივი ანალიზი გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით, თბ., 2002, 19.

## 2.2. საკუთრების უფლების შინაარსი

### 2.2.1. ცნების მიზანშეწონილობა

სამოქალაქოსამართლებრივი დოქტრინა განსაზღვრავს საკუთრების ცნებას, ხოლო პოზიტიური სამოქალაქო სამართალი – საკუთრების შინაარსს. არსებობს მოსაზრება, რომ ყოველგვარი დეფინიცია სამოქალაქო სამართალში სახიფათოა, განსაზღვრების მოცემა ხშირად არამართებულია, რადგან რთულია, იპოვო საჭირო გამოთქმა.<sup>447</sup> განსაზღვრებანი უფრო დოქტრინის საქმედ უნდა იქნეს მიჩნეული. სწორედ, დოქტრინა და იურიდიული პრაქტიკა უნდა იქცეს სამართლებრივ სიკეთეთა განსაზღვრების ამოსავალ საფუძვლად, რაც სამართლებრივი ქაოსის მიზეზი კი არ გახდება, არამედ სასამართლოებს გაუადვილებს სწორი გადაწყვეტილების მიღებას. ხოლო კანონმდებელს სიფრთხილე მართებს განსაზღვრებათა მიმართ, ვინაიდან ის სახიფათოა, რადგან შეიძლება ვერ ასახავდეს საგანთა რეალურ მდგომარეობას.<sup>448</sup>

ზოგადად, სამართლებრივი განსაზღვრების მიმართ არსებული პოზიცია გაზიარებულია ასევე, საკუთრების უფლების შინაარსთან დაკავშირებით: საკუთრების შინაარსის განსაზღვრების მოცემა მიზანშეუწონელია, რადგან ყოველგვარი დეფინიცია არის შეზღუდვა, გარკვეულ ფარგლებში მოთავსება (definitio – ლათ.საზღვრის დადგენა, შეზღუდვა). მისი შინაარსის განსაზღვრა მესაკუთრის უფლებამოსილებათა ჩამონათვალით, არასოდეს იქნება სრულყოფილი, ყოველთვის იარსებებს ისეთი უფლებამოსილება, რომელიც ვერ მოხვდა ჩამონათვალში. ამ უკანასკნელის არსებობისას, უდიდესი ენერჯია დაიხარჯება ბრუნვის ინტერესებიდან გამომდინარე ცხოვრებისეული კონკრეტული მოთხოვნების მისადაგებისას უფლებამოსილებათა ჩამონათვალთან.<sup>449</sup>

### 2.2.2 საკუთრების უფლების შინაარსის ელემენტები

ზემოაღნიშნული მოსაზრების მიუხედავად, საკუთრების შინაარსის აბსტრაქტიზების მცდელობა არ არის უცხო სამოქალაქო სამართლის მეცნიერებისთვის. არსებობს შეხედულება, რომ „საკუთრების უფლების შინაარსის ზოგადი განმარტება კანონით განსაზღვრულ ფარგლებში მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილების სახით, სწორედ ის გონიერი აბსტრაქციაა, რომელიც სასარგებლო და აუცილებელია, თუკი მისგან არ მოითხოვება იმაზე მეტი, რაც მას შეუძლია გამოხატოს.“<sup>450</sup>

<sup>447</sup> *Савельев В. А.*, Гражданский кодекс Германии, М., 1994, 20.

<sup>448</sup> *ზოდუ ბ.*, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005, 156.

<sup>449</sup> *Скловский К. И.*, Собственность в гражданском праве, М., 1999, 133.

<sup>450</sup> *ჯორბენაძე ს.*, საკუთრება და საკუთრების უფლება, თსუ-ის შრომები, №89, 1960, 111. მითითებულია: *ჭანტურია ლ.*, უძრავი ნივთების საკუთრება, თბ., 1994, 47.



დოქტრინაში არსებული ერთ-ერთი პოზიციით, ტრიადის წარმოშობის წყაროდ მიიჩნევა შუა საუკუნეების იურისპრუდენცია,<sup>451</sup> თუმცა არსებობს შეხედულება, რომ საკუთრების შინაარსის განსაზღვრა მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის სახით, დამახასიათებელია ყველა ფორმაციისთვის.<sup>452</sup> მფლობელობის უფლებამოსილება – *Ius possidendi* პირისთვის კანონით მინიჭებული შესაძლებლობაა ნივთის ფაქტობრივი დაუფლებისა, სარგებლობის უფლებამოსილება – *Ius utendi* გულისხმობს ნივთით სარგებლობას თავისი შეხედულებით, მისგან ნაყოფისა და შემოსავლის მიღებას, ხოლო განკარგვის უფლებამოსილებაში – *Ius disponendi* საკუთარი შეხედულებით ნივთის სამართლებრივი ბედის განმსაზღვრელი მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობა მოიაზრება.<sup>453</sup>

### 2.2.3. ტრიადის შექმნის მიზეზები

შუა საუკუნეებში ტრიადის შექმნა განპირობებული იყო მთელი რიგი სოციალური, ფორმალური, კულტურული მიზეზებით. ეს არის ხანა რიტუალებისა და ფორმალიზმისა, რომელიც დაავადებულია ლტოლვით კლასიფიკაციისკენ. ამ ეპოქაში უარყოფილია თავისუფლებისა და თანასწორობის ერთმნიშვნელოვანი გაგება, არ არსებობს თავისუფლების ერთიანი, ნათლად განსაზღვრული შინაარსი, არ არის არც სრული თავისუფლება და არც სრული არათავისუფლება.<sup>454</sup>

ფეოდალურ ეპოქაში არსებობს დანაწევრებული, ფარდობითი საკუთრება. ბენეფიციური მფლობელობისგან განსხვავებით, სადაც ვასალს გააჩნდა მხოლოდ მიწით სარგებლობის უფლება, რაც მთავრდებოდა მისი ან სენიორის გარდაცვალებით, ლენური მფლობელობის დროს, ვასალის მხარეზე ჩნდება საკუთრების უფლების ნიშნები, თუმცა სხვაზე დამოკიდებული. როგორც სენიორს, ისე ვასალს გააჩნიათ მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილება მეტნაკლები სისრულით.<sup>455</sup> სენიორს ეკუთვნის საკუთრების იდეალური მხარე, ხოლო საკუთრების რეალური მხარე – ვასალს, დაქვემდებარებულ მფლობელს. ის ფლობს და სარგებლობს ქონებით სრულად, მაგრამ შეზღუდულია გასხვისების უფლებამოსილებაში.<sup>456</sup> ვასალისთვის სამფლობელოს გადაცემით სენიორი არ კარგავდა მასზე საკუთრების უფლებას, ის მხოლოდ უბოძებდა ვასალს კლასიკური ტრიადიდან უფლებამოსილების ნაწილს ამა თუ იმ მოცულობით, რომელიც უახლოვდებოდა საკუთრების უფლებას ან მოიცავდა თავის თავში ვასალის უფლებამოსილებას, გარკვეული სახით განეკარგა სამფლობელო.<sup>457</sup> დანაწევრებული საკუთრების სამართლებრივი კონსტრუქცია შეიქმნა მე-12 საუკუნეში იტალიელი გლოსატორების მიერ,

<sup>451</sup> *Рубанов А.А.*, Проблема совершенствования теоретической модели права собственности. Развитие советского гражданского права на современном этапе (отв. ред. *Мозолин В.П.*), М., 1986, 105.

<sup>452</sup> *Венедиктов А.В.*, Государственная социалистическая собственность, М., 1948, 17.

<sup>453</sup> *Скловский К. И.*, Собственность в гражданском праве, М., 1999, 118-119.

<sup>454</sup> *Скловский К. И.*, Собственность в гражданском праве, М., 1999, 124.

<sup>455</sup> *Planiol M.*, Traite element de droit civil, t. I, 1920, 716. მითითებულია: *ვახეიშვილი ალ.*, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, წ. III, თბ., 1963, 54.

<sup>456</sup> *Победоносцев К. П.*, Курс гражданского права, Т. 1, М., 2003.

<sup>457</sup> *Берман Г. Д.*, Западная традиция права: Эпоха формирования, М., 1998, 425.

შემდგომ გავრცელდა მთელს ევროპაში, რათა გამოიწველიყო ვასალისა და ლენური მებატონის მდგომარეობა. ამ უკანასკნელის უფლება გაფორმდა უმაღლესი მესაკუთრის, ხოლო ვასალის მოსარგებლე მესაკუთრის სახით.<sup>458</sup>

## 2.2.4. უარი ტრიადაზე პოზიტიური სამართლის არჩევანი

თანამედროვეობაში იურისტებს აღარ აკმაყოფილებთ მესაკუთრის უფლებამოსილების განსაზღვრა ტრიალის სახით და ცდილობენ ახლებურად გაიაზრონ საკუთრების შინაარსი. ერთნი მიისწრაფიან მოკლე განსაზღვრების მოცემისკენ, სადაც ხაზს უსვამენ არსებითს საკუთრებაში, სხვანი – ტრიადას უმატებენ სხვა ელემენტებსაც. აღნიშნული შეიმჩნევა როგორც კონტინენტური ევროპის, ისე საერთო სამართლის დოქტრინაში. კერძოდ, იტალიელი იურისტების მოსაზრებით, საკუთრება მოიცავს ორ უფლებამოსილებას: სარგებლობასა და განკარგვას, ამასთან განკარგვა სარგებლობის უფლებამოსილების უკიდურესი საზღვარია, ამდენად, შესაძლოა საკუთრების უფლების დაყვანა სარგებლობის უფლებამოსილებამდე.<sup>459</sup> ტრიალისადმი კრიტიკული მიდგომა აისახება პოზიტიურ სამართალშიც.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი (544-ე მუხლი) საკუთრების შინაარსის განსაზღვრისას მიუთითებს მხოლოდ ორ ელემენტზე, სარგებლობასა და განკარგვაზე; საკუთრების უფლება არის უფლება ნივთით სარგებლობისა და განკარგვისა ყველაზე აბსოლუტური სახით, ისე, რომ სარგებლობა არ იყოს იმგვარი, რაც აკრძალულია კანონებით ან რეგლამენტებით.<sup>460</sup>

გერმანიის სკ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კანონმდებლობისგან განსხვავებით, სადაც საკუთრება ტრიალის სახით იყო ჩამოყალიბებული)<sup>461</sup> არ მიუთითებს მესაკუთრის უფლებამოსილებათა ტრადიციულ ჩამონათვალზე, რადგან მიიჩნევა, რომ საკუთრება არ არის ცალკეულ უფლებამოსილებათა ერთობლიობა. კოდექსი მიუთითებს მხოლოდ განკარგვის უფლებამოსილებაზე, კერძოდ, 903-ე პარაგრაფის თანახმად, ნივთის მესაკუთრეს შეუძლია საკუთარი შეხედულებით ისარგებლოს ნივთით (ზემოქმედების უფლებამოსილება) და გამორიცხოს სხვათა ყოველგვარი ზემოქმედება მასზე (გამორიცხვის უფლებამოსილება), თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს ან მესამე პირის უფლებებს.<sup>462</sup>

<sup>458</sup> *Книпер Р.*, Закон и история, Баден-баден, Алматы, 2005, 208.

<sup>459</sup> *Кулагин М. И.*, Избранные труды, М., 1997, 252.

<sup>460</sup> *Пятин С. Ю.*, Гражданское и торговое право зарубежных стран, М., 2009, 84.

<sup>461</sup> *Дорнбергер Г., Клейне Г., Клингер Г.*, Гражданское право Германской демократической республики (Вещное право), пер. с немец. *Богуславского М.М., Нарышкиной Р.Л.*, под ред. *Генкина Д.М.*, М., 1957, 78. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ კერძო საკუთრების შინაარსის ელემენტები: მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა წარმოადგენენ ინდივიდთა მოქმედების თავისუფლების ელემენტარულ შემადგენელ ნაწილებს.

*Книпер Р.*, Закон и история, Баден-баден, Алматы, 2005, 215.

<sup>462</sup> *Шант Ян.*, Система германского гражданского права, М., 2006, 65. თუმცა გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განვითარებულ საკუთრების ცნებაში მითითებულია სარგებლობასა და განკარგვაზე. საკუთრება არის პირთათვის საგნების სამართლებრივი მიკუთვნება, რომელიც ხორციელდება კერძო სარგებლიანობითა და განსაკუთრებული განკარგვის უფლებამოსილებით. *Leisner, Walter*, Eigentum: Schriften zu Eigentumsgrundrecht und Wirtschaftsverfassung, 1979-1996, Hrsg. von Josef Isensee. Berlin: Dunker und

აღსანიშნავია, რომ გერმანელი კონსტიტუციონალისტებიც საკუთრების ელემენტებიდან განსაკუთრებულად გამოყოფენ განკარგვას. განკარგვა, საკუთრების თავისუფალი გამოყენებისა და თვით სამოქალაქო ბრუნვის სიცოცხლისუნარიანობის მნიშვნელოვანი გამოვლინებაა. საკუთარი ქონების განკარგვის უფლება წარმოადგენს საკუთრების ტრადიციულ და ფუძემდებლურ ასპექტს.<sup>463</sup> განკარგვაში ვლინდება საკუთრება, როგორც ადამიანის თავისუფალი ნება, განკარგვა საკუთრების მოძრაობის აუცილებელი პირობაა.<sup>464</sup>

რუსეთის სკ ერთგული დარჩა საკუთრების შინაარსის ტრადის სახით გააზრებისა. რუსულ დოქტრინაში არსებობს მოსაზრება, რომ ის მხოლოდ მათი სამართლისთვის არის დამახასიათებელი.<sup>465</sup> რუსეთის სკ-ის 209-ე მუხლის თანახმად, მესაკუთრეს ეკუთვნის მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილება. შესაბამისად, დოქტრინა საკუთრების უფლებას განსაზღვრავს, როგორც პირის სამართლებრივად უზრუნველყოფილ შესაძლებლობას ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს კუთვნილ ქონებას საკუთარი ხელისუფლებითა და შეხედულებით კანონით დადგენილ ფარგლებში.<sup>466</sup>

საქართველოს სკ-ის თანახმად, მფლობელობა არ მიიჩნევა მხოლოდ საკუთრების ელემენტად, ის როგორც დამოუკიდებელი ფასეულობა, გამოყოფილია საკუთრების უფლებიდან და ცალკე განიხილება.<sup>467</sup> მფლობელობა ფაქტია და მის უკან საკუთრების უფლების გარდა ხშირად, სხვა სანივთო და ვალდებულებითი უფლებებია. მფლობელობა ამ უფლებების გარეშე ქონებაზე მხოლოდ შიშველი ბატონობის მდგომარეობაა, სწორედ მის უკან მდგარი უფლებანი ანიჭებს ბატონობის ამ ფაქტს ახალ თვისობრიობას,<sup>468</sup> თუმცა უტიტულო მფლობელობაც სამართლებრივ შედეგებს უკავშირდება. მფლობელობის დამოუკიდებელ ინსტიტუტად გააზრების მიუხედავად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საკუთრების შინაარსის ცნების განსაზღვრისას (170-ე მუხლი) ტრადის ერთგული დარჩა.

---

Humbolt, 1996, 88. მითითებულია: *ხოიძე ბ.*, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბ., 2007, 100.

<sup>463</sup> *Микела де Салвиа*, Прецеденты Европейского суда по правам человека, Пер. с французского Жуковой А.А., Пашиковской Г.А., СПб., 2004, 963. მითითებულია: *ხოიძე ბ.*, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბ., 2007, 99.

<sup>464</sup> *ხოიძე ბ.*, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბ., 2007, 99.

<sup>465</sup> *Суханов Е.А.*, Гражданское право, ч.1, Учебник, 2-ое. изд., М., 1998, 486. ტრადის შექმნას რუსულ სამართალში უკავშირებენ სპერანსკის სახელს. *Бабаев А.Б.*, Система вещных прав, М., 2007, 51.

<sup>466</sup> *Пиляева В.В.*, Гражданское право, части общая и особенная, М., 2006, 115. რაც შეეხება საერთო სამართალს, არსებობს საკუთრების შინაარსის სხვადასხვა ცნება მესაკუთრის უფლებამოსილებათა 6,11 ან ჰელემენტზე მითითებით, მაგალითად, საკუთრების უფლება განისაზღვრება, როგორც ქონებრივი ღირებულების მქონე ნივთის ან უფლების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის განსაკუთრებული უფლება. *Ласк Г.*, Гражданское право США, М., 1961, 461. ინგლისელი იურისტი ონორე უითიებს 11 უფლებამოსილებაზე: მფლობელობის, პირადი მოხმარების, სარგებლის მიღების, გასხვისების, განადგურების და სხვა. მოსაზრება მითითებულია: *ნადარეიშვილი გ.*, საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო და სავაჭრო სამართლის მოკლე მიმოხილვა, თბ., 2007, 111.

<sup>467</sup> *ხოიძე ბ.*, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005, 46.

<sup>468</sup> *ხოიძე ბ.*, საკუთრების ცნება ქართულ სამოქალაქო კოდექსში, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა.“ II-III კვარტალი, 1998, 93.

მფლობელობა შეიძლება დარჩენილიყო საკუთრების შინაარსის ცნების მიღმა სხვა საფუძვლითაც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, სანივთო სამართალმა ქონებაში გააერთიანა როგორც სხეულებრივი, ისე არამატერიალური ქონებრივი სიკეთე (ქონებრივი უფლება), რომელსაც უსხეულო ქონებას, უსხეულო ნივთებს ან იდეალურ ქონებრივ ობიექტს უწოდებენ.<sup>469</sup> აღნიშნული მიუთითებდა იმაზე, რომ სამოქალაქო კოდექსი უარს ამბობდა მფლობელობაზე, როგორც საკუთრების საიდენტიფიკაციო ნიშანზე<sup>470</sup>, რადგან თუ სხეულებრივ ნივთს მატერიალური, ზუსტად განსაზღვრული ფიზიკური ფარგლები, ანუ სხეული აქვს, აღნიშნულს მოკლებულია არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. უფლების ფლობა ფიზიკურად ვერ ვლინდება, მას ხელით ვერ შევსებთ.<sup>471</sup> თუ ნივთი შესაძლოა დახურულ სივრცეში მოათავსო და ამით გამოირიცხო სხვათა მხრიდან მისით მფლობელობა და სარგებლობა, გაცილებით ძნელია, იგივე განახორციელო ქონებრივი უფლების მიმართ, ამიტომ, მასთან დაკავშირებით, სხვათა ძალაუფლების უკანონოდ გამოყენების აღბათობა გაცილებით დიდია.<sup>472</sup> ქონებრივ უფლებაზე მისი ბუნების გამო შეუძლებელია ფიზიკური ბატონობა, მაგრამ ის ექვემდებარება სარგებლობას და განკარგვას.<sup>473</sup> მართალია, მფლობელობის არსის განმსაზღვრელი კოდექსისეული ნორმა (155-ე მუხლის პირველი ნაწილი) მფლობელობის ობიექტად ნივთს ასახელებს, რომელშიც სხეულებრივი ნივთი მოიაზრება, მაგრამ ქონების ცნება აერთიანებს სხეულებრივ და უსხეულო ქონებრივ სიკეთეს, და იმ უფლებამოსილებათა ჩამონათვალში, რომელიც შესაძლოა ქონებაზე განხორციელდეს, მფლობელობაც არის მითითე-

<sup>469</sup> *ზამბახიძე თ.*, ფასიანი ქაღალდები, როგორც გირავნობის საგანი, ჟურნ. „სამართალი“, №12, 2001, 29. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 152-ე მუხლი განსაზღვრავს არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს, რომელიც შესაძლოა იყოს როგორც აბსოლუტური (უფლება), ისე რელატიური (მოთხოვნის უფლება) ხასიათის. აბსოლუტური უფლება პირის სამართლებრივი შესაძლებლობაა როგორც თავის აქტიურ მოქმედებაზე, ისე იურიდიული შესაძლებლობა მოთხოვნის სხვა პირებს მოქმედებისგან თავის შეკავება, რელატიური – უფლებამოსილი პირის სასარგებლოდ, მეორე მხარის მიერ, მოქმედების განხორციელების ან მოქმედებისგან თავის შეკავების, მოთხოვნის სამართლებრივად დადგენილი შესაძლებლობაა. ამდენად, მოთხოვნის ელემენტი როგორც აბსოლუტურ, ისე რელატიურ უფლებაშია, მაგრამ აბსოლუტურში ის უფლების შინაარსის ერთ-ერთი კომპონენტია, ხოლო რელატიური უფლების არსი თავად მოთხოვნის უფლებაა, ანუ ამ უფლების სუბიექტის ინტერესის დაკმაყოფილება სწორედ, ვალდებული პირის მხრიდან მოთხოვნის შესრულებით ხდება. ამგვარად, უფლების ცნებაში აბსოლუტური უფლება, ხოლო მოთხოვნის უფლებაში რელატიური უფლება მოიაზრება. აბსოლუტური ხასიათის არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს მიეკუთვნება, მაგალითად, ინტელექტუალური საკუთრება (საავტორო და მომიჯნავე უფლებები, გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელებსა და სამრეწველო ნიმუშზე პატენტით დადასტურებული უფლებანი და სხვა). ხოლო რელატიური ხასიათის ქონებრივ უფლებებს შეადგენენ, მაგალითად, მოთხოვნის უფლება გამომდინარე იმ ფასიანი ქაღალდებიდან, რომლებიც ადასტურებენ სასესხო დამოკიდებულებას ემიტენტსა და ფასიანი ქაღალდის მფლობელს შორის (თამასუქი, ობლიგაცია), ასევე ბინის ქირის, საიჯარო ქირის, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. *ქონაშვილი ქ.* ინტელექტუალური საკუთრება, როგორც აბსოლუტური ხასიათის არამატერიალური ქონებრივი სიკეთე და მისი დაცვის სამართლებრივი რეჟიმი, ჟურნ. „სამართალი“, №8-9, 2000, 37.

<sup>470</sup> *ენიპერი რ.*, კოდიფიკაციის მეთოდები და კონცეფციები გარდამავალი პერიოდის საზოგადოებაში, კრებული: სამართლის რეფორმა საქართველოში, თბ., 1994, 188.

<sup>471</sup> *ძამუკაშვილი დ.*, ინტელექტუალური უფლებები, თბ., 2006, 98.

<sup>472</sup> *ზოიძე ბ.*, ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, 47.

<sup>473</sup> *ძამუკაშვილი დ.*, ინტელექტუალური უფლებები, თბ., 2006, 103.

ბული (147-ე მუხლი), ამდენად, კოდექსი უშვებს უფლების ფლობის შესაძლებლობას, რომელშიც რეალურად, უფლებით სარგებლობა იგულისხმება და იცნობს უფლების მფლობელის ცნებას.

რაც შეეხება ტრადას, საკუთრების შინაარსის განმსაზღვრელი უფლებები შეიძლება ჰქონდეს არამესაკუთრესაც. მთავარი უფლებამოსილებათა რაოდენობა კი არ არის, არამედ მათი მოქმედების ფარგლები, ნივთის მიმართ რეალური, სამართლებრივი ძალაუფლების არსებობა, რითაც მესაკუთრე იმიჯნება არამესაკუთრისაგან.<sup>474</sup> საკუთრებას აფუძნებს არა თავისთავად მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა, არამედ მათი თავისუფლების გარკვეული ფარგლები.<sup>475</sup>

საკუთრების უფლების შინაარსის დეფინიციისადმი სხვადასხვა მიდგომის მიუხედავად, კონტინენტური ევროპის სამართალში მფლობელობა, როგორც ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის სამართლებრივად უზრუნველყოფილი შესაძლებლობა,<sup>476</sup> მიიჩნევა იმ ძირითად უფლებამოსილებად, რომლის გარეშე საკუთრების არსებობა წარმოუდგენელია.

მე-18 საუკუნის ფრანგი იურისტის, ბურჟონის განმარტებით, არ არსებობს ნივთის მფლობელობაზე უკეთესი მაჩვენებელი ნივთზე საკუთრების უფლების არსებობისა,<sup>477</sup> მფლობელობა საკუთრების სინამდვილე (იერიინგი),<sup>478</sup> მისი არსებობის მტკიცების იოლი ფორმაა (ტერე).<sup>479</sup> სწორედ, მფლობელობის გარეგნული აქტია საკუთრებისთვის აუცილებელი, ნივთის დაუფლებით თვალსაჩინო ხდება ნივთის მიმართ ნების გამოვლენა, სუბიექტურობა აღწევს ობიექტურობას.<sup>480</sup> მფლობელობით მიიღწევა უფლების გარეგნული ხედვა, მესამე პირთა მხრიდან ხდება ნდობის გამოცხადება გარეგნული ფაქტობრივი შემადგენლობისადმი, რაც ემსახურება ბრუნვის უსაფრთხოებას.<sup>481</sup>

### 3. მფლობელობის მნიშვნელობა საკუთრების პირველადი საშუალებებით წარმოშობისას (ოკუპაციო, ნაპოვარი, განძი, შეძენითი ხანდაზმულობა)

საკუთრების უფლება წარმოიშობა სამართლის ნორმათა საფუძველზე და განსაზღვრული იურიდიული ფაქტების არსებობისას, რომლებიც მიიჩნევა ამ უფლების მოპოვების საშუალებებად. ისინი შეიძლება იყოს

<sup>474</sup> *Суханов Е.*, Понятие права собственности в российском законодательстве и в модельном гражданском кодексе для стран СНГ, Роль конституционных судов в обеспечении права собственности (сборник докладов), М., 2001, 12. მითითებულია: *ზოიძე თ.*, საკუთრების უფლების ცნება და შინაარსი ქართული და გერმანული სამართლის მაგალითზე (სასემინარო ნაშრომი), თბ., 2010, 30.

<sup>475</sup> *ზოიძე ბ.*, მფლობელობის (possessio) ცნება საქართველოს მომავალ სამოქალაქო კოდექსში, კრებული: სამართლის რეფორმა საქართველოში, თბ., 1994, 281.

<sup>476</sup> *Белов В.А.*, Гражданское право, М., 2003, 462; *Чеговадзе Л.А.*, Структура и состояние гражданского правоотношения, М., 2004, 37.

<sup>477</sup> მოსაზრება მითითებულია: *Скловский К.И.*, Собственность в гражданском праве, М., 1999, 224.

<sup>478</sup> მოსაზრება მითითებულია: *Дернбург Г.*, Пандекты, Т.2, пер. *Блоха А.Ю., Гальпера А.Я., Унтелова Д.И., Шнейдера К.А.*, под. ред. *Мейендорфа А.Ф.*, СПб., 1905, 22.

<sup>479</sup> მოსაზრება მითითებულია: *გვიშაიანი ვ.*, მფლობელობის და საკუთრების ადგილი სანივთო სამართალში, ჟურნ. „სამართალი“, №1-2, 1998, 41.

<sup>480</sup> *Скловский К. И.*, Собственность в гражданском праве, М., 1999, 47.

<sup>481</sup> *Черепихин Б.Б.*, Юридическая природа и обоснование приобретения права собственности от неуправомоченного отчуждателя, Ученые записки свердловского юридического института, Т. I, 1947, 96.

პირველადი და ნაწარმოები. ამ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს უფლებამონაცვლეობის კრიტერიუმი.<sup>482</sup> პირველადი საშუალებების დროს ნივთზე საკუთრება წარმოიშობა პირველად, სრული მოცულობით ან წინა მესაკუთრის ნებისა და უფლებისგან დამოუკიდებლად.<sup>483</sup> თავდაპირველი საშუალებების დროს, ნივთზე საკუთრება ან საერთოდ არ არსებობდა, ან ეკუთვნოდა სხვა პირს, მაგრამ მასა და ახალ შემძენს შორის არ არსებობდა უშუალო კავშირი.<sup>484</sup> ამ შემთხვევაში, საკუთრების უფლების შექმნის წესი განისაზღვრება მხოლოდ კანონით და არა მხარეთა შეთანხმებით, ან წინა მესაკუთრის ცალმხრივი ნებით. ნაწარმოები საშუალების დროს საკუთრების უფლების შექმნა ხდება უფლებამონაცვლეობის გზით, ანუ უფლება წარმოიშობა წინა მესაკუთრის ნების საფუძველზე, რომელიც პირდაპირ გამოიხატება ან ივარაუდება ხელშეკრულებაში, ან ცალმხრივ გარიგებაში, ახალ მესაკუთრეს გადაეცემა უფლება იმ მოცულობით, რაც ეკუთვნოდა წინამორბედს.<sup>485</sup>

საკუთრების უფლების წარმოშობის თავდაპირველი საშუალებებიდან საინტერესოა, უპატრონო ნივთის დაუფლება, განძი, ნაპოვარი და შექმნითი ხანდაზმულობა, რადგან ამ შემთხვევაში სწორედ, მფლობელობის ფაქტია საკუთრების უფლების დაფუძნების წინამძღვარი.

### 3.1. ოკუპაციო (უპატრონო ნივთის დაუფლება)

მესაკუთრე დამოუკიდებელია საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვისას, ამდენად, მას აქვს უფლება უარი თქვას საკუთრებაზე და მიატოვოს ნივთი.<sup>486</sup>

უპატრონოა ნივთი, რომელსაც არ ჰყავს მესაკუთრე, ან რომელიც მესაკუთრემ მასზე საკუთრების უფლებაზე უარის თქმის მიზნით ნებაყოფლობით მიატოვა.<sup>487</sup> რუსეთის სკ-ის 225-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უპატრონოა ნივთი, რომელსაც არ ჰყავს მესაკუთრე, ან მისი მესაკუთრე უცნობია, ან მასზე საკუთრების უფლებაზე უარი განაცხადა მესაკუთრემ.<sup>488</sup> კონტინენტური ევროპის სამართალში უპატრონობის რეჟიმი ვრცელდება მხოლოდ მოძრავ ნივთზე, ხოლო უძრავი ქონება, რომელსაც არ ჰყავს მესაკუთრე, ითვლება სახელმწიფო საკუთრებად, რაც გამორიცხავს ამ ქონების აღიარებას უპატრონოდ.

<sup>482</sup> უფლებამონაცვლეობა არის ერთი პირის უფლებისა და მოვალეობის გადასვლა მეორე პირის ხელში, რომელიც ცვლის პირველს სამართლებრივ ურთიერთობაში. უფლებამონაცვლეობა შეიძლება იყოს ზოგადი (უნივერსალური) და ეკრძო (სინგულარული). პირველ შემთხვევაში ერთი სუბიექტი ცვლის მეორეს რამდენიმე სამართლებრივ ურთიერთობაში, ხოლო მეორე შემთხვევაში – ერთ რომელიმე სამართლებრივ ურთიერთობაში. *კობახიძე ა.*, სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 97.

<sup>483</sup> *ჩიტიშვილი თ.* უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2006, 6. *Васильев Г.С.*, Преемство в праве собственности как разновидность сингулярного правопреемства, ж. „Правоведение,” №6, 2006, 57.

<sup>484</sup> *Анненков К.*, Система русского гражданского права, 2-ое изд., Т. 2, СПб., 1900, 124.

<sup>485</sup> *Эннекцерус Л.Е.*, Курс германского гражданского права, Т. 1, М., 1949, 87.

<sup>486</sup> *ბაქრაძე ლ.*, საკუთრების შექმნის სამართლებრივი საფუძვლები, თბ., 2002, 10.

<sup>487</sup> *Васильев Е.А., Комаров А.С.*, (ред.), Гражданское и торговое право зарубежных государств, Т. 2, М., 2006, 363.

<sup>488</sup> *Садиков О.Н.*, (ред.), Комментарий к гражданскому кодексу Российской Федерации, ч.1, М., 1997, 273.

უპატრონო ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობის სამართლებრივი საფუძველია მისი დაუფლება და დაპატრონება, ნივთის მითვისების განზრახვით მასზე ბატონობის დადგენა, რომლის დროსაც მფლობელს აქვს უშუალო შესაძლებლობა იმოქმედოს ნივთზე თავისი შეხედულებით და მოსპოს სხვათა ზემოქმედების შესაძლებლობა.<sup>489</sup> რუსეთის სკ ამ შემთხვევაში უპირატესობას ანიჭებს იმ მიწის ნაკვეთის, ან სხვა ობიექტის მესაკუთრეს, ან კანონიერ მფლობელს, სადაც არის მიტოვებული ნივთი.<sup>490</sup> გერმანიის სკ-ის თანახმად, თუ დაუფლება ეწინააღმდეგება ვინმეს განსაკუთრებულ უფლებას ოკუპაციისას, მფლობელი ვერ გახდება მესაკუთრე.<sup>491</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლის თანახმად, თუ სასამართლო ცნობს, რომ ქონებას არა ჰყავს მესაკუთრე, ან ეს ქონება მიტოვებულია მესაკუთრის მიერ იმ განზრახვის გარეშე, რომ შეინარჩუნოს ამ ქონებაზე საკუთრების უფლება, მას გამოაქვს გადაწყვეტილება მოძრავი ქონების უპატრონოდ ცნობისა და მისი იმ პირის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, რომელიც დაეუფლა ამ ქონებას.<sup>492</sup>

### 3.2. განძი

განძად ითვლება ფასეული მოძრავი ნივთი, რომელიც იმდენ ხანს იყო დაფლული ან დამალული, რომ მისი მესაკუთრის დადგენა შეუძლებელია.<sup>493</sup> განძზე საკუთრება ეკუთვნის იმ მიწის ნაკვეთის ან მოძრავი ნივთის მესაკუთრეს, სადაც აღმოჩნდა განძი, თუ აღმოჩენი თავად ამ ნივთის მესაკუთრეა, ხოლო თუ აღმოჩენი სხვა პირია, განძზე წარმოეშობათ საერთო საკუთრება თანაბარი წილით აღმოჩენსა და ნივთის მესაკუთრეს<sup>494</sup> (საფრანგეთის სკ-ის 716-ე მუხლი). რუსეთის სკ ამ შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებით, საერთო საკუთრებაში წილის სხვაგვარად განსაზღვრის წესს ითვალისწინებს. მართლწესრიგისა და საკუთრების უფლების დაცვის მიზნით, არამართლზომიერია განძის ძებნა სხვის საკუთრებაში მესაკუთრის თანხმობის გარეშე, ამიტომ ასეთ დროს განძის აღმოჩენს არ ეკუთვნის მასზე საკუთრების უფლება, ის მთლიანად ეკუთვნის იმ ნივთის მესაკუთრეს, რომელშიც აღმოჩნდა განძი. ანალოგიური შედეგი დგება, როდესაც აღმოჩენი მოქმედებდა მესაკუთრის თანხმობით, მაგრამ სამსახურებრივი მოვალეობის ფარგლებში (რუსეთის სკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილი).<sup>495</sup>

<sup>489</sup> *Шершеневич Г.Ф.*, Учебник русского гражданского права, Т. 1, М., 1914, 325.

<sup>490</sup> *Масевич М. Г.*, Основания приобретения права собственности на бесхозные вещи, В книге: Проблемы современного гражданского права, под. ред. *Литовкина В.Н., Рахмиловича В.А.*, М., 2000, 177.

<sup>491</sup> *Бернгейт Ф., Колер И.*, Гражданское право Германии, СПб., 1910, 136.

<sup>492</sup> *იბნაძე დ.*, ქონების უპატრონოდ ცნობა, ჟურნ. „სამართალი“, №1-2, 2001, 35.

<sup>493</sup> *ზოდუ ბ.*, საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველები ძველ ქართულ სამართალში (ნაპოვარი და განძი), წიგნში: ქართული საწიგნო სამართალი, თბ., 2003, 404.

<sup>494</sup> *Васильев Е.А., Комаров А.С.*, (ред.), Гражданское и торговое право зарубежных государств, Т.2, М., 2006, 364.

<sup>495</sup> *Садиков О. Н.*, (ред.), Комментарий к гражданскому кодексу Российской Федерации, ч. 1, М., 1997, 279.

### 3.3. ნაპოვარი

ნაპოვარის შემთხვევაში სამართლებრივი შედეგი დგება არა ნივთის პოვნის ფაქტით, არამედ ნაპოვარის დაუფლებით. ნაპოვარი არის სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება, რომელიც დაკარგული ან დავიწყებულია, ე.ი. მესაკუთრემ დაკარგა მასზე მფლობელობა.<sup>496</sup> განძისგან განსხვავებით, რომელიც ისე დიდხანს იყო დამალულ მდგომარეობაში, რომ მისი მესაკუთრის არსებობის შესახებ ვარაუდი გამორიცხებულია, ნაპოვარი ქმნის ვარაუდს, რომ ნივთის მესაკუთრე არსებობს.<sup>497</sup>

იტალიის სკ-ის თანახმად, ნივთის მპოვნელი ვალდებულია გადასცეს ნივთი მესაკუთრეს ან თუ მისი ვინაობა უცნობია, აღმოჩენის ადგილის მიხედვით მერს, რომელიც ვალდებულია აღნიშნულის შესახებ გამოაქვეყნოს განცხადება. თუ გამოქვეყნებიდან ერთი წლის მანძილზე არ გამოჩნდება ნივთის მესაკუთრე, მპოვნელი იძენს ნივთზე საკუთრებას. მესაკუთრის გამოჩენისას, მპოვნელს უფლება აქვს მოითხოვოს ჯილდო და ნივთის შენახვაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება (927-929-ე მუხლები).<sup>498</sup> რუსეთის სკ-ის თანახმად, მპოვნელი ვალდებულია განახორციელოს კანონით დადგენილი მოქმედებები მესაკუთრის დასადგენად და მისთვის ნივთის დასაბრუნებლად, უზრუნველყოს ნივთის დაცვა, კერძოდ, მან უნდა აცნობოს ნაპოვარის შესახებ მას, ვინც დაკარგა ნივთი ან მისთვის ცნობილ კანონიერ მფლობელს, ან ჩააბაროს ნივთი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს. განცხადების გაკეთებიდან ექვსი თვის შემდეგ (შექვნი თი ხანდაზმულობის სპეციალური ვადა) და კანონიერი მფლობელის შესახებ ცნობის არ არსებობისას, მპოვნელი იძენს მასზე საკუთრებას. მპოვნელის მხრიდან საკუთრების უფლებაზე უარის თქმისას, წარმოიშობა მუნიციპალური საკუთრების უფლება. მპოვნელს უფლება აქვს მოითხოვოს ჯილდო და შენახვაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება ნივთის კანონიერი მფლობელისგან, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან, ამ უკანასკნელის მიერ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობისას.<sup>499</sup>

### 3.4. შექვნი თი ხანდაზმულობა

#### 3.4.1. მფლობელობითი ხანდაზმულობის მოქმედების ფარგლები

კონტინენტური ევროპის სამართალი იცნობს შექვნი თი (მფლობელობითი) ხანდაზმულობის ინსტიტუტს. დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმს რამდენიმე საუკუნე დასჭირდა რომაული *usucapio* რომ დაესესხებინა და ამ გზით შექვნი თი ხანდაზმულობის ცნება შეექმნა, რაც ხდებოდა რომის სამართლის რეცეპციის პროცესში.<sup>500</sup>

<sup>496</sup> *Анненков К.*, Система русского гражданского права, Т. 2, 2-ое изд., СПб., 1900, 152.

<sup>497</sup> *Шершеневич Г.Ф.*, Учебник русского гражданского права, Т. 1, М., 1914, 331.

<sup>498</sup> იტალიის სამოქალაქო კოდექსი, ნ. III, ქონება, ტიტული II, თავი III, საკუთრების უფლების შექვნი თის ხერხები, თარგმანი *ზ. ჭეჭელაშვილის*, ქართული კერძო სამართლის კრებული, წ. I, თბ., 2004, 300.

<sup>499</sup> *Гомола А. И.*, Гражданское право, М., 2003.

<sup>500</sup> *Бек А.*, Рецепция римского права в западной Европе, М., 1950, 196.



შეძენითი ხანდაზმულობის ინსტიტუტის არსი გულისხმობს, რომ კანონით დადგენილ პირობებში, ნივთზე განხორციელებული ფაქტობრივი ბატონობა განსაზღვრული დროის შემდეგ, მასზე საკუთრების უფლებას წარმოშობს<sup>501</sup>. დრო ამ შემთხვევაში ფაქტს აქცევს უფლებად, უფლება წარმოიშობა იმიტომ, რომ უფლების შესაბამისი ფაქტობრივი მდგომარეობა დიდი ხნის მანძილზე იყო დაცული.<sup>502</sup> საკუთრების ხანდაზმულობით შეძენისას ისეთი ვითარებაა, როდესაც სამართლებრივი ბურუსითაა მოცული ნივთზე უფლებრივი ურთიერთობა და მხოლოდ მისი მფლობელის მხრიდან იკვეთება სინამდვილე, რაც მფლობელობითი ხანდაზმულობის წყალობით უფლების წარმოშობის წყაროდ იქცევა.<sup>503</sup> ეს ინსტიტუტი მაშინ გამოიყენება, როცა შეძენას აკლია შეძენისთვის აუცილებელი სამართლებრივი ძალის მქონე ერთ-ერთი პირობა. ამ ნაკლის ასაცილებლად საჭიროა მომეტებული სიფრთხილე, რაც არ მოეთხოვება სამოქალაქო ბრუნვის კეთილსინდისიერ მონაწილეს გახშირებული ბრუნვის დროს.<sup>504</sup> ხარვეზი შესაძლოა მდგომარეობდეს, გამსხვივების არაუფლებამოსილებაში: მასზე საკუთრების უფლების არარსებობის გამო, მისი ქმედუნარობის გამო, ასევე გარიგების ფორმის დაუცველობაში. შესაძლოა, საერთოდ არ არსებობდეს მფლობელობის მოპოვების საფუძველი, მაგალითად, მფლობელი შეცდომით თვლის თავს კანონით ან ანდერძით მემკვიდრედ, მაშინ როდესაც არსებობს მასზე უპირატესი უფლების მქონე კანონით მემკვიდრე ან მის სასარგებლოდ დაწერილი ანდერძი შეიცვალა მისთვის უცნობი, გვიან შედგენილი ანდერძით და შესაბამისად, მას ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება.

საკუთრების ხანდაზმულობით შეძენის ინსტიტუტს იცნობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც. მოძრავი ნივთების მიმართ საჭიროა ნივთის ხუთწლიანი კეთილსინდისიერი ფლობა, ხოლო უძრავის მიმართ – თხუთმეწლიანი. ამავე დროს, უძრავ ნივთზე მფლობელობის ფაქტი საჯარო რეესტრში უნდა იყოს რეგისტრირებული. ამ ვითარებაში, მართალია, პირი შეტანილია რეესტრში უძრავი ნივთის მესაკუთრედ, მაგრამ შეძენას გააჩნია ნაკლი, მაგალითად, ქონების შეძენა მოხდა კანონიერი საფუძვლის გარეშე, მესაკუთრედ რეგისტრირებულმა პირმა ქონება შეიძინა გასხვივებაზე არაუფლებამოსილი პირისგან, გასხვივება მოხდა ყალბი დოკუმენტების საფუძველზე, ან დაირღვა უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირის ინტერესი და სხვა.<sup>505</sup> ამავე დროს, უძრავი ნივთი ხანდაზმულობით შეიძლება შეიძინოს არაკეთილსინდისიერმა მფლობელმაც, რადგან ამ შემთხვევაში არსებითია თვით საჯარო რეესტრის ცნობა და არა იმდენად პირის სუბიექტური დამოკიდებულება შეძენის ნამდვილობის მიმართ. რეგისტრაციის ფაქტი აბათილებს არაკეთილსინდისიერ ნებას.<sup>506</sup> აღსანიშნავია, რომ ქართველმა კანონმდებელმა ხანდაზმულობის ვადას მისცა უკუქცევითი ძალა, კოდექსის გარდამავალ დებულებებში განისაზღვრა ნორმა, რომლითაც

<sup>501</sup> *Гримм Д. Д.*, Лекции по догме римского права, 5-ое изд., Петроград, 1916, 191.

<sup>502</sup> *ზარანდია თ.*, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, თბ., 2005, 32.

<sup>503</sup> *ზოიძე ბ.*, ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, 172.

<sup>504</sup> *ჭეჭელაშვილი ზ.*, სანივთო სამართალი, თბ., 2006, 93.

<sup>505</sup> *ჩიტოშვილი თ.*, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2006, 43.

<sup>506</sup> *ზოიძე ბ.*, ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, 177.

აღნიშნული ვადა აითვლება 1993 წლიდან, რადგან ეს ინსტიტუტი პირველად, ქართულ რეალობაში 1993 წლის „საკუთრების უფლების შესახებ“ კანონში აისახა.<sup>507</sup>

### 3.4.2. შექენითი ხანდაზმულობის მნიშვნელობა სამოქალაქო ბრუნვისათვის

მართალია, არსებობს მოსაზრება, რომ შექენითი ხანდაზმულობის ინსტიტუტი უსამართლოა,<sup>508</sup> უკანონოა თავისი ბუნებით, რადგან იგი ყოველთვის უპირისპირდება საკუთრების უფლებას,<sup>509</sup> მაგრამ დომინირებული შეხედულებით, ის ემსახურება ქონებრივი ურთიერთობების სიმყარის, სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფას. სოციალური მშვიდობის ინტერესებში მიზანშეწონილია განგრძობადი ფაქტობრივი მდგომარეობის განმტკიცება.<sup>510</sup> კონკრეტულ სუბიექტთა და საზოგადოების ინტერესთა დაცვის მიზნით, ფაქტობრივი მფლობელობის თაობაზე სამართლებრივ ურთიერთობებში განსაზღვრულობა მიიღწევა, მფლობელობის საკუთრების უფლებად გარდაქმნა ხორციელდება.<sup>511</sup>

მართლწესრიგი მესაკუთრეს საკმარის დროს აძლევს თავისი უფლების აღდგენისთვის. მისი გამოუყენებლობა მიუთითებს იმაზე, რომ მას ნივთი არ სჭირდება. თუ პირი არ ზრუნავს თავისი უფლების განხორციელებაზე და სხვას უთმობს კუთვნილი ნივთის ნაყოფით სარგებლობას, ის იმსახურებს უფლების ჩამორთმევას,<sup>512</sup> მესაკუთრე, რომელიც არ იჩენს მზრუნველობას საკუთარი ქონების მიმართ, ნაკლებ დაცვას იმსახურებს კეთილსინდისიერ მფლობელთან შედარებით.<sup>513</sup> ამდენად, ამ ინსტიტუტის წყალობით სამეურნეო სიკეთე განმტკიცდება ჭეშმარიტ დესტინატურთან.<sup>514</sup> ასევე, დროთა განმავლობაში რთულდება მტკიცებულებათა წარდგენა ჭეშმარიტების დასადგენად. ამდენად, წინა მფლობელისათვის საკუთრების უფლების ჩამორთმევა ეფუძნება შექენის ნების ჩართვას, კეთილსინდისიერ შექენასა და ბრუნვის სტაბილურობის მოთხოვნებს.<sup>515</sup> ზოგიერთი რუსი ცივილისტი ვერ ხედავს შექენითი ხანდაზმულობის არსს ვინდიკაციის შეზღუდვის წესის არსებობის პირობებში, ისინი ვერ ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ შექენითი ხანდაზმულობა მოქმედებს სწორედ იქ, სადაც არ გამოიყენება ზემოხსენებული წესი, ე.ი. სადაც ვინდიკაცია დასაშვებია.<sup>516</sup>

<sup>507</sup> *ზოდუ ბ.*, ქართული საწივთო სამართალი, თბ., 2003, 18.

<sup>508</sup> *ჭეჭელაშვილი ზ.*, საწივთო სამართალი, თბ., 2006, 94.

<sup>509</sup> *Энгельман И.Е.*, О давности по русскому гражданскому праву, Историко-догматическое исследование, М., 2003, 127.

<sup>510</sup> *Морандьер Ж. Д.*, Гражданское право Франции, Т. 2, М., 1960, 72.

<sup>511</sup> Гражданское уложение. Проект высочайшей учрежденной редакционной комиссии по составлению гражданского уложения, Т.1, под ред. *Тютрюмова И.М.*, СПб., 1920, 764.

<sup>512</sup> *Мейер Д. И.*, Русское гражданское право, ч.1, СПб., 1861, 282.

<sup>513</sup> *Книпер Р.*, Владение в гражданском праве Туркменистана, В книге: Право, Экономика, Благополучие, Актуальные вопросы правовой реформы в Туркменистане (*Нурыев Я., Чантурия Л.*, изд.), Asgabat, 2010, 107.

<sup>514</sup> *Петражицкий Л.И.*, Право добросовестного владельца на доходы с точек зрения догмы и политики гражданского права, М., 2002, 212.

<sup>515</sup> *Скловский К. И.*, Собственность в гражданском праве, М., 1999, 242.

<sup>516</sup> იგივე, 496.

### 3.4.3. შექმნილი ხანდაზმულობის პირობები

შექმნილი ხანდაზმულობის პირობები განსხვავებულია კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის ქვეყნების კანონმდებლობით, თუმცა შესაძლოა, საერთო პირობების განსაზღვრა: სათანადო ნივთის, კანონით განსაზღვრულ ვადებში, უწყვეტად (ობიექტური ელემენტები), კეთილსინდისიერად და საკუთრად ფლობის განზრახვით (სუბიექტური ელემენტები) განხორციელებული ფლობა, მასზე საკუთრების უფლებას წარმოშობს.

#### 3.4.3.1. მფლობელობის ობიექტი – ბრუნვაუნარიანი ნივთი

მფლობელობის ობიექტი შესაძლოა იყოს როგორც მოძრავი, ისე უძრავი ნივთი. ფრანგული სამართლის თანახმად, უძრავ ნივთებს შეადგენს ის ნივთები, რომლებიც ასეთები არიან ან თავისი ბუნებით (მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე ყველა ნივთი), ან დანიშნულებით (ის ნივთები, რომლებიც აუცილებელია მიწის ნაკვეთის დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის: სასოფლო-სამეურნეო იარაღები, საწარმოო დანადგარები, პირუტყვი.<sup>517</sup> მოძრავ ნივთებს მიეკუთვნებიან ისეთი საგნები, რომელთაც შეუძლიათ შეიცვალონ ადგილმდებარეობა დამოუკიდებლად (ცხოველები), ან გარეშე ძალის ზემოქმედებით (უსულო საგნები).<sup>518</sup>

გერმანული სამოქალაქო სამართლით უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი, ის შენობა-ნაგებობანი და ნაყოფი, რაც მასზე მდებარეობს, ასევე, მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული სანივთო უფლებები.<sup>519</sup> ამასთან, გერმანიაში უძრავ ნივთებზე საკუთრების წარმოშობის თვალსაზრისით საადგილმამულო წიგნის სისტემის მოქმედების გამო, მარტოოდენ ხანდაზმული მფლობელობით საკუთრება არ წარმოიშობა მოძრავ ნივთებზე. უძრავი ნივთების მიმართ დამატებით საჭიროა მფლობელის რეგისტრაცია მესაკუთრედ საადგილმამულო წიგნში.<sup>520</sup>

#### 3.4.3.2. კეთილსინდისიერი მფლობელობა

კეთილსინდისიერება ნიშნავს, რომ მფლობელი დარწმუნებულია საკუთარი მფლობელობის მართლზომიერებაში, ე.ი. მიაჩნია, რომ მის მიერ ქონების მოპოვების საფუძველი საკმარისია, რომ გააჩნდეს საკუთრების უფლება.<sup>521</sup> მან არ იცის უფრო ძლიერი უფლების შესახებ, პატიოსნად სჯერა, რომ მოიპოვა მფლობელობა სხვისი წყენის გარეშე. სამოქალაქო ბრუნვის სარგებლიანობა და ეთიკა აქ ერთიმეორის თანხვედრია.<sup>522</sup> კეთილსინდისიერება შექმნის ატრიბუტია, შემძენი, როგორც გარიგების მხარე, ამოწმებს გამსხვისებლის ლეგიტიმაციას და

<sup>517</sup> Бушев А.О., Макарова О.А., Попондопуло В.Ф., Коммерческое право зарубежных стран, М., 2003, 85.

<sup>518</sup> Французский гражданский кодекс, приложение в книге: Кулагин М.И., Избранные труды, М., 1997, 293.

<sup>519</sup> ჰანტური ლ., უძრავი ნივთების საკუთრება, თბ., 1994, 140.

<sup>520</sup> Пятин С.Ю., Гражданское и торговое право зарубежных стран, М., 2009, 201.

<sup>521</sup> Хвостов В. М., Система римского права, М., 1996, 253.

<sup>522</sup> Петражицкий Л.И., Право добросовестного владельца на доходы с точек зрения догмы и политики гражданского права, М., 2002, 364.

მისი ქცევა ამ თვალსაზრისით ფასდება, როგორც წინდახედული ან არაკეთილსინდისიერი.<sup>523</sup> შექენითი ხანდაზმულობა არ ვრცელდება არამართლზომიერ არაკეთილსინდისიერ მფლობელზე, რომელიც განზრახ დაეუფლა სხვის ქონებას მისი მესაკუთრის ნების წინააღმდეგ.<sup>524</sup> შექენითი ხანდაზმულობით, მხოლოდ მფლობელის არამართლზომიერი პასიური ქცევა გარდაიქმნება უფლებად ვადის გასვლის შემდეგ.<sup>525</sup>

ფრანგული სამოქალაქო სამართლის თანახმად, მფლობელი ითვლება კეთილსინდისიერად, თუ ის ფლობს როგორც მესაკუთრე და არ იცის, რომ მისი მფლობელობის შექენის საფუძველი ნაკლის მქონეა.

რომაული სამართლის თანახმად, bona fides-ის არსებობა საკმარისი იყო მხოლოდ მფლობელობის მოპოვების მომენტში და შემდგომ, მფლობელობის განმავლობაში აღმოჩენილი ხარვეზი არ აბრკოლებდა კეთილსინდისიერად დაწყებულ ხანდაზმულობას.<sup>526</sup> რომაელ იურისტთა აზრის გათვალისწინებით, შუა საუკუნეების იურისტებმა ჩამოაყალიბეს დებულება: შემდგომი არაკეთილსინდისიერება ხელს არ უშლის სწორად დაწყებულ usucapios-ს.<sup>527</sup>

თანამედროვე სამოქალაქო სამართალმა შუა საუკუნეების კანონიკური სამართლის დანაწესი განამტკიცა, რომლის თანახმად, შემდგომში წარმოშობილი არაკეთილსინდისიერება აჩერებს ხანდაზმულობის დენას<sup>528</sup>, ე.ი. კეთილსინდისიერება მოითხოვება არა მხოლოდ მფლობელობის მოპოვების მომენტში, არამედ მთელი ხანდაზმული მფლობელობის მანძილზე. კეთილსინდისიერება წყდება, როცა პირი შეიტყობს მფლობელობის საფუძველის ნაკლის თაობაზე, მაგალითად, სავინდიკაციო სარჩელის წარდგენით. ზოგიერთი მოსაზრებით, ამ ვითარებაში მფლობელი არ კარგავს კეთილსინდისიერებას, თუმცა პასუხისმგებლობის თვალსაზრისით ის უახლოვდება არაკეთილსინდისიერი მფლობელის მდგომარეობას.<sup>529</sup>

კეთილსინდისიერების, როგორც შინაგანი ფაქტის მტკიცება, რომელიც დამალულია მფლობელის სინდისში, შეუძლებელია. მფლობელის ზეპირი ან წერილობითი განცხადება მისი არსებობის შესახებ, საეჭვოა, რადგან მას აქვს ცხადად არსებული ინტერესი გარკვეული ფაქტი ისე იქნეს მხედველობაში მიღებული, როგორც მას სურს. ამიტომ, bona fides-ის არსებობა ივარაუდება მფლობელის მხარეზე და მოსარჩელის ამოცანაა დაამტკიცოს მფლობელის mala fides.<sup>530</sup> შესაბამისად, ცივილისტიკაში მიჩნეულია, რომ განსაკუთრებული მტკიცებულება კეთილსინდისიერებას არ სჭირდება, ის ივარაუდება მფლობელის მხარეზე საპირისპიროს დამტკიცებამდე, განსხვავებით, სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული წესისა, რომ არაკეთილსინდისიერება არასდროს არ ივარაუდება.<sup>531</sup>

<sup>523</sup> *Скловский К. И.*, О виндикации права, ж. „Хозяйство и право,” №4, 2010, 48.

<sup>524</sup> *Суханов Е.А.*, Учебник гражданского права, Т. 1, 2-ое изд., М., 1999, 495.

<sup>525</sup> *Дернбург Г.*, Пандекты, Вещное право, СПб., 1902, 127.

<sup>526</sup> *Покровский И. А.*, История римского права, 3-е изд., Петроград, 1917, 344.

<sup>527</sup> *Дождев Д. В.*, Римское частное право, М., 1997, 369.

<sup>528</sup> *Бернгефт Ф., Колер И.*, Гражданское право Германии, СПб., 1910, 141.

<sup>529</sup> *Мейер Д. И.*, Русское гражданское право, ч. 1, СПб., 1861, 268.

<sup>530</sup> *Савиньи Ф. К.*, Обязательственное право, пер. с немец. *Фукс Ф., Мандро Н.М.*, М., 1876, 456.

<sup>531</sup> *Дернбург Г.*, Пандекты, Т. 2, пер. *Блоха А. Ю., Гальпера А. Я., Унтелова Д. И., Шнейдера К.А.*, под. ред. *Мейендорфа А.Ф.*, СПб., 1905, 135.

აღსანიშნავია, რომ ფრანგული სამოქალაქო სამართალი იცნობს მფლობელის კეთილსინდისიერების პრეზუმფციას: ის ვინც მიუთითებს მფლობელის არაკეთილსინდისიერებაზე, თავად უნდა ამტკიცოს აღნიშნული, ანუ მას აწევს მტკიცების ტვირთი.<sup>532</sup> რუსეთის სკ არ იცნობს ამ პრეზუმფციას, თუმცა ზოგადად, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მოქმედებათა მიმართ ადგენს გონივრულობისა და კეთილსინდისიერების ვარაუდს (მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი). შესაბამისად, ივარაუდება, რომ ნივთის ნებისმიერი შემძენი არის კეთილსინდისიერი.<sup>533</sup>

კეთილსინდისიერი მფლობელობა გულისხმობს მშვიდ და აშკარა მფლობელობას, თუმცა ფრანგული სამართალი მათ ცალკე პირობებად გამოყოფს. მშვიდი მფლობელობა ნიშნავს იმას, რომ ის არ უნდა იყოს დაფუძნებული ან შენარჩუნებული ძალადობით. მფლობელობის აშკარა, ღია ხასიათი გულისხმობს, რომ მფლობელობის ფაქტი ცნობილი უნდა იყოს პირთა განუსაზღვრელი წრისათვის, პირი არ უნდა მაღავედეს ქონების არსებობის ფაქტს თავის მფლობელობაში, არ უნდა უშლიდეს ხელს გარშემომყოფთ მის შესახებ ინფორმაციის მოპოვებაში.<sup>534</sup> ასევე, რუსეთის უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილებით, ხანდაზმული მფლობელობა ითვლება ღიად, თუ პირი არ მაღავს ქონების არსებობის ფაქტს თავის მფლობელობაში. ჩვეულებრივი ზომების მიღება ქონების შენარჩუნების მიზნით, არ გულისხმობს ქონების დამალვას.<sup>535</sup>

### 3.4.3.3. საკუთრად ფლობის განზრახვა

ნივთის მიმართ მფლობელის დამოკიდებულება საკუთრებითი ურთიერთობის ანალოგიური უნდა იყოს. ამ შემთხვევაში, არსებითი არ არის თავად ნორმატიული ნების დამოკიდებულების ხასიათი.<sup>536</sup> ხანდაზმულობით საკუთრების მოპოვებისას საკუთრად ფლობის განზრახვის არსი განსხვავებულია მისი, როგორც მფლობელობის დაფუძნებისას, აუცილებელი ელემენტის შინაარსისგან. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მასში ამოსავალია საკუთარი ინტერესებისთვის ფლობა და არ არის აუცილებელი ფლობა მხოლოდ მესაკუთრის რანგში. ეს შესაძლებლობას იძლევა, რომ მფლობელებად სხვა სანივთო და ვალდებულებითი უფლების მქონენიც წარმოჩნდნენ, ხოლო შეძენითი ხანდაზმულობისას, სწორედ მესაკუთრის სახით ფლობის განზრახვაა გადამწყვეტი, არამესაკუთრე მართლზომიერი მფლობელი ვერასდროს გახდება მხოლოდ ხანდაზმულობით ნივთის მესაკუთრე, თუ მესაკუთრესთან შეთანხმებით არ შეიცვლის ფაქტობრივი ბატონობის ტიტულს.

<sup>532</sup> *Морандьер Ж.*, Гражданское право Франции, Т. 2, М., 1960, 144.

<sup>533</sup> *Кузина С.*, Проблемы защиты интересов добросовестного приобретателя, ж. „Хозяйство и право,” № 8, 2006, 115.

<sup>534</sup> *ზოდუ ბ.*, ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, 173.

<sup>535</sup> №10/22,29.04.2010. მითითებულია: *Лоренц Д.В.*, Открытость и непрерывность давностного владения: проблемы толкования, ж. „Российское право в интернете”, №4, 2010. [http://www.rpi.msal.ru/prints/201004\\_21/orents.html](http://www.rpi.msal.ru/prints/201004_21/orents.html).

<sup>536</sup> *ზოდუ ბ.*, ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, 173.

### 3.4.3.4. უწყვეტი მფლობელობა კანონით დადგენილ ვადებში

#### 3.4.3.4.1. უწყვეტობის არსი

ვადა არის იურიდიული კატეგორია, ის დროის გარკვეული მომენტი ან მონაკვეთია, რომლის დადგომას ან გასვლას კანონმდებელი გარკვეული იურიდიული შედეგის დადგომას უკავშირებს.<sup>537</sup>

უწყვეტი მფლობელობა გულისხმობს იმ გარემოებას, რომ ერთხელ დაწყებული მფლობელობა არ უნდა იყოს შეწყვეტილი ან მიტოვებული. შეწყვეტა შესაძლოა გამოიწვიოს იურიდიულმა ან ფაქტობრივმა გარემოებებმა. მფლობელობა შეწყდება იურიდიულად, თუ მფლობელის მოქმედებით აღიარებულ იქნება ნივთზე სხვა პირის სანივთო უფლება, ასევე, მესაკუთრის სავინდიკაციო სარჩელის წარდგენით მფლობელისადმი. ხოლო მფლობელობა ფაქტობრივად წყდება, როდესაც მფლობელი ნებით მიატოვებს მფლობელობას ან მას ძალით წაართმევენ.<sup>538</sup> შექენითი ხანდაზმულობის ვადა აითვლება იმ მომენტიდან, როცა მთავრდება სხვა პირის მფლობელობა და იწყება ახალი მფლობელობა. ამ შემთხვევაში ვადა თავიდან იწყებს დენას და განვლილი დრო არ მიიღება მხედველობაში. გამონაკლისია სამემკვიდრეო ურთიერთობა, როდესაც მამკვიდრებლისა და მემკვიდრის მიერ გავლილი ხანდაზმულობის ვადები იკრიბება.<sup>539</sup>

კონტინენტური ევროპის სამართალი იცნობს მფლობელობის უწყვეტობის პრეზუმფციას, მაგალითად, გერმანიის სკ-ის 938-ე პარაგრაფის მიხედვით, თუ პირი ფლობდა ნივთს, როგორც საკუთარს მფლობელობის ვადის დასაწყისსა და დასასრულს, ივარაუდება, რომ ის ფლობდა როგორც მესაკუთრე შუა პერიოდშიც.<sup>540</sup> მფლობელობის უწყვეტობის პრეზუმფცია უცნობია რუსეთის სამოქალაქო კოდექსისთვის, რაც რუს ცივილისტთა აზრით, კოდექსის ნაკლია, რადგან უწყვეტობის მტკიცება სასამართლო განხილვის დროს წარმოებს და მფლობელის ინტერესების დაცვა არ არის სრულყოფილად გარანტირებული.<sup>541</sup>

#### 3.4.3.4.2. შექენითი ხანდაზმულობის ვადები და მათი გამოთვლის წესი

შექენითი ხანდაზმულობის ვადები განსხვავებულია არამართლზომიერი მფლობელობისა და ნივთთა სახეების მიხედვით. მაგალითად, ფრანგული სამოქალაქო სამართლით, მოძრავი და უძრავი ნივთების არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ მოქმედებს 30 წლიანი

<sup>537</sup> *სუხიტაშვილი დ.*, სამართალი და დრო, თბ., 2004, 31.

<sup>538</sup> *Победоносцев К. П.*, Курс гражданского права, Т. 1, М., 2003, 130.

<sup>539</sup> *ზოიძე ბ.*, ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, 175.

<sup>540</sup> *Гражданское уложение Германии*, кн.1, 3-е изд., пер.с немец. и под. ред. *Бергмана В.*, М., 2008, 350.

<sup>541</sup> *Толстой Ю.К.*, Соотношение исковой и приобретательной давности, ж. „Правоведение“, №6, 1993. რუსულ საბჭოთა ცივილისტიკაში არსებობდა მოსაზრება, რომ მფლობელობითი ხანდაზმულობისას მფლობელმა უნდა ამტკიცოს, რომ ხანდაზმულობის მთელ პერიოდში ყოველ დღე იყო ნივთის მფლობელი. *Рубанов А.А.*, მოსაზრება მითითებულია: *Шадрин Н.*, Течение приобретательной давности по гражданскому праву России, ж. „Хозяйство и право“, №9, 2003, 120.

ხანდაზმულობის ვადა, ხოლო მოძრავი ნივთის იმ კეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ, ვინც შეიძინა მესაკუთრის მფლობელობიდან ნების წინააღმდეგ გასული ნივთი, 3 წლიანი ვადა. რაც შეეხება უძრავი ნივთის კეთილსინდისიერ შემძენს, აქ ვადები განსხვავებულია იმის მიხედვით, მფლობელი და ნამდვილი მესაკუთრე ერთსა და იმავე (10 წელი), თუ სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში ცხოვრობენ (20 წელი).<sup>542</sup>

გერმანიის სკ-ით დადგენილია 10 წლიანი ვადა მოძრავი ნივთების მიმართ, ხოლო უძრავთან დაკავშირებით მოქმედებს საადგილმამულო წიგნის ჩანაწერის ხანდაზმულობა, რომლის თანახმად, თუ პირი შეტანილია საადგილმამულო წიგნში მესაკუთრედ ისე, რომ არ შეუძენია საკუთრება, მაგრამ ჩანაწერი არ გასაჩივრებულა რეგისტრაციის მომენტიდან 30 წლის მანძილზე, ამ ვადის გასვლის შემდეგ, თვით არაკეთილსინდისიერი შემძენიც ნივთის მესაკუთრე ხდება (§900).<sup>543</sup>

რუსეთის სკ შექენითი ხანდაზმულობის ვადის ათვლას უკავშირებს მფლობელობის დაფუძნების მომენტს. თუ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობისათვის აუცილებელია სახელმწიფო რეგისტრაცია, ვადის მიმდინარეობა იწყება მფლობელის რეგისტრაციის მომენტიდან. რუს ცივილისტთა ერთი ნაწილის მოსაზრებით, ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაიწყოს მხოლოდ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ.<sup>544</sup> სხვა შეხედულებით, ვადის მიმდინარეობა უნდა დაუკავშირდეს მფლობელის ქმედებაში ბრალის არსებობას. ამ შემთხვევაში შექენითი ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება მხოლოდ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლისას, ხოლო არაბრალეულობის დროს, მფლობელობის დაფუძნების მომენტიდან.<sup>545</sup>

კონტინენტური ევროპის სამართალი უშვებს ხანდაზმულობის ვადის გამოთვლისას უფლებამემკვიდრეობას, ანუ ძველი და ახალი მფლობელის ვადების შეჯამებას, როგორც უნივერსალური, ისე სინგულარული უფლებამემკვიდრეობის დროს. უფლებამემკვიდრეობა სახეზეა, როდესაც წინა და ახალ მფლობელს შორის არსებობს სამართლებრივი კავშირი, ახალი მფლობელობა ყველა იმ თვისების მატარებელია, რისიც ძველი მფლობელობა, ე.ი. შეესაბამება შექენითი ხანდაზმულობის პირობებს. უფლებამემკვიდრეობა დაიშვება, თუ უფლებამემკვიდრის მფლობელობა დაიწყო თავდაპირველი მფლობელის თანხმობით და არა თვითნებურად, ანუ აუცილებელია კეთილსინდისიერი ცესია.<sup>546</sup>

მფლობელობითი ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება მფლობელობის შეწყვეტით. ფრანგული სამოქალაქო სამართლით მფლობელობა წყდება მფლობელის ისეთი მოქმედებით, რომლითაც ის ნივთზე სხვა პირის საკუთრებას აღიარებს, მესაკუთრის მიერ სარჩელის წარდგენით, მფლობელის მიერ მფლობელობის მიტოვებით, მესაკუთრის მიერ მფლობელისთვის მფლობელობის წართმევით, თუ მფლობელმა ერთი წლის მანძილზე არ დაიბრუნა იგი. თუ მფლობელობის აღდგენის შესახებ სარჩელით აღდგება მფლობელობა, ვადის მიმდინარეობა გაგრძელ-

<sup>542</sup> *Пятин С.Ю.*, Гражданское и торговое право зарубежных стран, М., 2009, 47.

<sup>543</sup> *Залесский В. В.*, Основные институты гражданского права зарубежных стран, М., 2000, 241.

<sup>544</sup> *Шадрина Н.*, Течение приобретательной давности по гражданскому праву России,

ж. „Хозяйство и право,” №9, 2003, 118.

<sup>545</sup> *Коновалов А.В.*, Владение и владельческая защита в гражданском праве, М., 2002, 43.

<sup>546</sup> *Бутовский А.К.*, Давность владения, СПб., 1911, 42.

დება და ჩაითვლება, რომ მფლობელობის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.<sup>547</sup>

#### 4. Traditio-ნივთის გადაცემა, როგორც მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების შექმნის ნაწარმოები გზა

მოძრავ ნივთზე საკუთრების წარმოშობის სამართლებრივი სისტემების კლასიფიკაციის ერთ-ერთ კრიტერიუმია საკუთრების წარმოშობის მომენტი, ანუ საკუთრება ერთი პირიდან მეორეზე გადადის მხარეთა შორის შეთანხმების, თუ შემძენისთვის ნივთის გადაცემის მომენტიდან. შესაბამისად, განასხვავებენ კონსენსუალურ და ტრადიციის სისტემებს.

##### 4.1. მფლობელობის ელემენტი კონსენსუალურ სისტემაში

საფრანგეთში მოქმედი კონსენსუალური სისტემის, ე.წ. წმინდა ხელშეკრულების პრინციპის თანახმად, ნივთზე საკუთრების უფლება წარმოიშობა მხარეთა შეთანხმების, მათ შორის ვალდებულებით სამართლებრივი გარიგების დადების მომენტიდან. ნასყიდობის ხელშეკრულება ფრანგულ სამართალში არის ერთიანი სამართლებრივი აქტი, რომელიც ერთი მხრივ, გადასცემს საკუთრების უფლებას გაყიდულ ქონებაზე გამყიდველიდან მყიდველს და მეორე მხრივ, წარმოშობს თითოეული მხარის ვალდებულებებს: გადასცეს ნივთი შემძენს და მყიდველმა გადაიხადოს ფასი. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1583-ე მუხლის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულება ძალაშია და საკუთრება მყიდველზე გადადის იმ მომენტიდან, როცა მხარეები შეთანხმდნენ ნივთზე და მის ფასზე, მაშინაც როცა ნივთი ჯერ არ გადაცემულა და ფასი არ გადახდილა.<sup>548</sup> ამ სისტემით მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემა გამარტივებულია, რადგან შემძენი ნივთის გადაცემის გარეშე ხდება მესაკუთრე. ამასთან, ეს სიმარტივე მომეტებული რისკის წინაშე აყენებს შემძენს, რადგან ის შეთანხმების მომენტიდან ითვლება მესაკუთრედ და მასზე გადადის ნივთის შემთხვევით დაღუპვის რისკი ისე, რომ ნივთი რეალურად არ მიუღია. ასევე, ეს სისტემა ნაკლებ ყურადღებას უთმობს მფლობელობას, როგორც საკუთრების გარეგნულ ნიშანს.<sup>549</sup>

აღსანიშნავია, რომ კონსენსუალურ სისტემაში არსებობს გამონაკლისები მფლობელობის ელემენტზე ყურადღების გამახვილებით, რომლებიც კონსენსუალიზმის შეზღუდვად განიხილება.<sup>550</sup> ფრანგულ სამართალში კანონმდებლობით განმტკიცებული წმინდა სახელშეკრულებო პრინციპი გამოიყენება მხოლოდ ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთების მიმართ, ხოლო გვაროვნული ნიშნით განსაზღვრულ ნივთებზე საკუთრება წარმოიშობა მათი შემძენის მფლობელობაში

<sup>547</sup> *Васильев Е.А., Комаров А.С.*, (ред.), *Гражданское и торговое право зарубежных государств*, Т.2, М., 2006, 365.

<sup>548</sup> *Леже Р.*, *Великие правовые системы современности*, пер. с французского *Грядова А.В.*, М., 2009, 321.

<sup>549</sup> *ჭანტურია ლ.*, *უძრავი ნივთების საკუთრება*, თბ., 1994, 157.

<sup>550</sup> *დანელია ე.*, *გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე*, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეც. გამოცემა, 2008, 39.



გადაცემის მომენტიდან. ფრანგული სამოქალაქო სამართალი, ზოგადად, კონტინენტური ევროპის სამართლის მსგავსად, ეფუძნება განსაზღვრულობის პრინციპს, რომლის თანახმად, საკუთრება და სხვა სანივთო უფლებები შეიძლება არსებობდეს, შესაბამისად დადგინდეს ან გადაეცეს მხოლოდ განსაზღვრულ ნივთებზე და გადაცემა სწორედ, გვაროვნული ნივთების ინდივიდუალიზაციის საშუალებაა.<sup>551</sup> ფრანგულ სამართალში გამონაკლისი არსებობს მომავალ ნივთებთან დაკავშირებითაც. ამ დროს საკუთრება წარმოიშობა არა შეთანხმების, არამედ ნივთების შექმნის, წარმოშობისა და შემქმნის მფლობელობაში მათი გადაცემის, თუ მის მიერ მიღების მომენტიდან.<sup>552</sup> ასევე, ნივთის რამდენიმე პირისთვის მიყიდვისას, უპირატესობა ეძლევა შემქმნის, რომელსაც ნივთი აქვს მფლობელობაში, მიუხედავად იმისა, თუ ვისთან დაიდო ხელშეკრულება უფრო ადრე, რადგან ფრანგულ სამართალში მოქმედებს წესი: მოძრავ ნივთთან მიმართებით მფლობელობა უფლების დაფუძნების ტოლფასია.<sup>553</sup>

## 4.2. ტრადიციის სისტემის არსი

ტრადიციის სისტემის მიხედვით, მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობისთვის არ არის საკმარისი ვალდებულებითსამართლებრივი გარიგების დადება. საჭიროა, დამატებით ნივთის შემქმნის მფლობელობაში გადაცემა. ამდენად, შეთანხმების არსებობასთან ერთად, საჭიროა, რომ შეთანხმება რეალიზებულ იქნეს მფლობელობის გადაცემით.<sup>554</sup> ტრადიციის სისტემაშიც შესაძლოა, იყოს გადახვევა ამ ზოგადი წესიდან, ე.წ. პირობადებული საკუთრების დროს. შესაძლოა, გადაცემა მოხდეს, მაგრამ მან არ გამოიწვიოს საკუთრების უფლების გადასვლა, თუ მხარეთა შეთანხმებით საკუთრების გადასვლის პირობად მიყიდველის მიერ ნივთის ფასის გადახდა დასახელდება, ანუ შემქმნეზე გადაცემული ნივთის საფასურის სრულად გადახდამდე, ნივთი რჩება გამყიდველის საკუთრებად.<sup>555</sup>

ჯერ კიდევ, რომის სამართალი განამტკიცებდა ტრადიციის სისტემას: ნივთის შექმნა მხოლოდ შეთანხმების აქტით არ ხდებოდა, საჭირო იყო იმავედროულად, ნივთის მფლობელობის გადაცემა – *traditio*. დიგესტების თანახმად, შეთანხმება წარმოშობს მხოლოდ ნივთის

<sup>551</sup> *Хаскельберг Б.Л.*, Об основании и моменте перехода права собственности на движимые вещи по договору, ж. «Правоведение», №3, 2000, 122; *Скловский К.И.*, О праве на отчуждение имущества без передачи владения, ж. „Хозяйство и право“ №8, 2003, 117.

<sup>552</sup> *ჭეჭელაშვილი ზ.*, საკუთრების უფლების გადაცემა მოძრავ ნივთებზე, ქართული კერძო სამართლის კრებული, წ.1, თბ., 2004, 93.

<sup>553</sup> *ხოდუ ბ.*, ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, 145. ინგლისურ სამართალში კანონის „საქონლის ნასყიდობის შესახებ“ თანახმად, საკუთრების წარმოშობის მომენტად განსაზღვრულია მხარეთა ნება, თუმცა თუ ნასყიდობის საგანი გვაროვნულად განსაზღვრული ან მომავალი ნივთია, შემქმნი ხდება მესაკუთრე, როცა ნივთი გახდება ინდივიდუალიზირებული და შესაძლებელი იქნება მათი გადაცემა შემქმნისთვის. *ძლიერიშვილი ზ.*, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, თბ., 2010, 110.

<sup>554</sup> *Гуляев А.М.*, Законы гражданские с разъяснениями правительствующего сената и комментариями русских юристов, составитель *Тютрюмов И.М.*, М., 2004, 538. მითითებულია: *Ломидзе О.Г.*, *Ломидзе Э.О.*, Возврат полученного по недействительной сделке, вынудикация и кондикция, ж. „Вестник высшего арбитражного суда Российской Федерации“, №11, 2004, 150.

<sup>555</sup> *ძლიერიშვილი ზ.*, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, თბ., 2010, 35.

გადაცემის ვალდებულებას, ხოლო ნივთზე საკუთრება წარმოიშობა ნივთის გადაცემის მომენტიდან. რომაელები ამ პროცესში განასხვავებდნენ საფუძველს (titulus) და შეძენის გზას (modus). საფუძველად ითვლებოდა ნამდვილი სამართლებრივი ურთიერთობა, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულება, ხოლო modus ნიშნავდა ნივთის ფიზიკურ გადაცემას ან მის მსგავს ადმინისტრაციულ აქტს.<sup>556</sup> პავლუსის მოსაზრებით, მარტოოდენ გადაცემა არასოდეს არ გადაიტანს საკუთრებას, ეს ხდება მაშინ, როცა მას წინ უძღვის ნასყიდობა ან სხვა სამართლებრივი საფუძველი, საიდანაც გამომდინარეობს გადაცემა.<sup>557</sup> ამგვარად, ნასყიდობის ხელშეკრულება თავად არ ანიჭებდა შეძენის საკუთრების უფლებას, არამედ ქმნიდა მისთვის გამყიდველისაგან ნივთის გადაცემის მოთხოვნას. ეს ვალდებულებითსამართლებრივი გარიგება აკავშირებდა პირს პირთან და არა პირს ნივთთან. მათ შორის სანივთოსამართლებრივი კავშირის დასადგენად საჭირო იყო გადაცემის განსაკუთრებული აქტი (traditio).<sup>558</sup>

### 4.3. ტრადიციის სისტემა, ერთი მხრივ, აბსტრაქციისა და, მეორე მხრივ, კაუზალურ სისტემებთან თანაარსებობაში

ტრადიციის სისტემა გერმანიაში მოქმედებს საკუთრების წარმოშობის აბსტრაქციის სისტემასთან ერთად, ხოლო საქართველოსა და რუსეთში – კაუზალურ სისტემასთან ერთად.

#### 4.3.1. აბსტრაქციის სისტემის არსი

გერმანულ სამოქალაქო სამართალში მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობის პროცესში, ერთმანეთისგან იმიჯნება ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს საკუთრების უფლების განკარგვის ვალდებულებას (საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნის უფლებას) და სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულება, განკარგვის გარიგება, რომლის მეშვეობით რეალურად ხორციელდება საკუთრების უფლების გადაცემა, შეცვლა ან შეწყვეტა (გამიჯვნის პრინციპი).<sup>559</sup> ამასთან, სანივთო გარიგება არ არის დამოკიდებული ძირითადი, ვალდებულებითი გარიგების ნამდვილობაზე, ის მისგან აბსტრაქტირებულია (აბსტრაქციის პრინციპი).<sup>560</sup> აღნიშნული

<sup>556</sup> *Хвостов В.М.*, Система римского права, М., 1996, 140.

<sup>557</sup> *Krüger P.*, Corpus Juris Civilis, Volumen Primum, Paulus, Ohne Auflage, Berlin, 1849, D.41.1.31. მითითებულია: *Василевская Л.Ю.*, Учение о вещных сделках по германскому праву, М., 2004, 21.

<sup>558</sup> *Покровский И.А.*, История римского права, История римского права, 3-е изд., Петроград, 1917, 244.

<sup>559</sup> *დანელია ე.*, გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეც. გამოცემა, 2008, 32.

<sup>560</sup> *Schapp/Shur*, Sachenrecht, 3Auflage, 2002, 91. მითითებულია *ბაჩიაშვილი ე.*, დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეც.გამოცემა, 2008, 161. მოძღვრება აბსტრაქტული სანივთო ხელშეკრულების შესახებ მე-19 ს.-ის II ნახევრიდან განვითარდა და უკავშირდება სავინის სახელს. მისი აზრით, კაუზალური გარიგების სფეროდან უნდა გამოყოფილიყო მხარეთა ნება, მიმართული ნივთის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე და განხილულიყო ის გადაცემის აქტთან ერთად დამოუკიდებელ

განაპირობებს იმ გარემოებას, რომ ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების ბათილობა არ იწვევს სანივთო ხელშეკრულების ბათილობას. შესაბამისად, საკუთრების უფლება შემძენზე მაინც გადადის, თუმცა თავდაპირველი მესაკუთრე უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებზე დაყრდნობით ითხოვს ახალი მესაკუთრისაგან სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შექენილის უკან დაბრუნებას.<sup>561</sup>

ამგვარად, გერმანულ სამოქალაქო სამართალში მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობის პროცესი 3 საფეხურს მოიცავს:

**ა) ვალდებულებითსამართლებრივი (მაგალდებულებელი, კაუზალური) გარიგების დადება**

ეს გარიგება წარმოშობს მხოლოდ გამსხვისებლის ვალდებულებას გადასცეს შემძენს ვალდებულების საგანზე საკუთრება, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულება წარმოშობს გამყიდველის ვალდებულებას – ნივთზე საკუთრება და ნივთი გადასცეს მყიდველს, ხოლო მყიდველის ვალდებულებას – გადაიხადოს ნივთის საფასური.<sup>562</sup> ეს ხელშეკრულება თავად არ ქმნის საკუთრებას, ის მხოლოდ საფუძველია, არის causa იურიდიული მოქმედებისა, აქტი, რომელიც ლეგიტიმაციას ანიჭებს ნივთის გადაცემას.<sup>563</sup>

**ბ) სანივთო ხელშეკრულების (განკარგვითი, აბსტრაქტული გარიგება) არსებობა**

სანივთო გარიგება გულისხმობს მხარეთა შეთანხმებას საკუთრების უფლების გადაცემის, შეცვლის ან შეწყვეტის შესახებ.<sup>564</sup> ამ დროს, ერთი მხარე ავლენს ნებას მეორე მხარისთვის საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ, ხოლო მეორე მხარე საკუთრების უფლების მიღების ნებას, ანუ სახეზეა ორმხრივი ნების გამოვლენა. ამ გარიგებით, რომელიც მოძრავ ნივთთან დაკავშირებით არ საჭიროებს სავალდებულო ფორმას და გამოიყენება კონკლუდენტურად ძირითადი გარიგების დადების დროს, ხდება უშუალო ზემოქმედება უფლებაზე, დგება სანივთოსამართლებრივი შედეგი, რაც გულისხმობს ნივთზე უფლების მოძრაობას (წარმოშობას, შეცვლასა და შეწყვეტას).<sup>565</sup>

გერმანულ დოქტრინაში სანივთო გარიგებას მოიაზრებენ ვიწრო და ფართო გაგებით. ფართო გაგებით, ის განიხილება იურიდიულ შემადგენლობად, რომელიც დაკავშირებულია სანივთო უფლების მოძრაობასთან სანივთო ხელშეკრულებისა და ნივთის ფაქტობრივი

---

ხელშეკრულებად, რომლისთვისაც მანამდე არსებულ ვალდებულებით ხელშეკრულებას არ ექნებოდა მნიშვნელობა. *Buchholz S., Abstraktionsprinzip und Immobilienrecht, Frankfurt, 1978, 2.* მითითებულია: *Василевская Л.Ю., Учение о вещных сделках по германскому праву. М., 2004, 45.*

<sup>561</sup> *კერესელიძე დ., უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენება, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, №4, 2003, 600.*

<sup>562</sup> *Леже Р., Великие правовые системы современности, пер. с франц. Грядова А.В., М., 2009, 322.*

<sup>563</sup> *Шершеневич Г.Ф., Учебник русского гражданского права, Т. 1, 11-ое изд., М., 1914, 182.*

<sup>564</sup> *Шанп Ян., Система германского гражданского права, М., 2006, 87.*

<sup>565</sup> *კანტურია ლ., უძრავი ნივთების საკუთრება, თბ., 1994, 152.*

გადაცემის ერთობლიობით, ხოლო ვიწრო გაგებით, სანივთო გარიგება მხოლოდ სანივთო ხელშეკრულებას (შეთანხმებას) გულისხმობს.<sup>566</sup>

## გ) ნივთის გადაცემა

გერმანული სამართლის თანახმად, მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის საჭიროა, მესაკუთრემ გადასცეს ნივთი შემძენს და ორივე მხარე შეთანხმდეს საკუთრების უფლების გადასვლაზე (გერმანიის სკ-ის 929-ე პარაგრაფი, პირველი წინადადება)<sup>567</sup> ე.ი.სანივთო ხელშეკრულება ნივთის გადაცემის საფუძველია. ნივთის გადაცემაში<sup>568</sup> იგულისხმება ნივთზე ბატონობის გადაცემა, მფლობელობის გადაცემა საკუთრების უფლების გადაცემის განზრახვით.<sup>569</sup>

### 4.3.2. ტიტულუსისა და მოდუსის ერთიანობა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს კაუზალურ და ტრადიციის სისტემებს. მასში ტიტულუსის (კაუზა) და მოდუსის (გადაცემა) შეხამებას აქვს ადგილი. თუმცა არსებობს აზრთა სხვადასხვაობა 186-ე მუხლთან, კერძოდ, მის დანაწესთან – „მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი“, დაკავშირებით. „ნამდვილ უფლებაში“ ან ვალდებულებით, ან სანივთო გარიგებას და, ან საკუთრების უფლებას გულისხმობენ. მართებულია, მასში მოიაზრობდეს შემდეგი: გამსხვისებელმა, რომელიც უნდა იყოს მესაკუთრე ან მისგან გასხვისების უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი (რადგან, ცნობილი აქსიომის თანახმად, არავის აქვს უფლება სხვას გადასცეს იმაზე მეტი უფლება, ვიდრე თავად გააჩნია), ნამდვილ სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით უნდა განახორციელოს ნივთის გადაცემა შემძენისთვის. ამ შემთხვევაში კაუზა შესაძლოა, იყოს, როგორც ნამდვილი ვალდებულებითსამართლებრივი გარიგება, ასევე კანონი. საქართველოს სკ არ იცნობს დამატებით გარიგებას საკუთრების დათმობის შესახებ, ვალდებულებითი გარიგების დადებისას ბრუნვის მონაწილე იმას ფიქრობს, რომ მხოლოდ ამ შეთანხმებით მას უნდა

<sup>566</sup> ერთ-ერთი პირველი გერმანელი ცივილისტი, ვინც შეეხო სანივთო გარიგებისა და სანივთო ხელშეკრულების დაყოფის პრინციპს, იყო ფელიპ ჰეი, რომელმაც 1937 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში „აბსტრაქტული სანივთო გარიგება“, გადმოსცა მოძღვრება აღნიშნულის შესახებ. *Василевская Л.Ю.*, О специфике правовой конструкции вещного договора по германскому праву, ж. «Вестник высшего арбитражного суда Российской Федерации», №5, 2003, 130-132.

<sup>567</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB), 2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით, მთარგმნელი და რედაქტორი *ჭკუელაშვილი ზ.*, თბ., 2010, 190.

<sup>568</sup> ნივთის გადაცემა განსხვავდება ზოგადად, საკუთრების გადაცემისგან, რომელიც შეადგენს იურიდიულ შემადგენლობას, გულისხმობს განსაზღვრული იურიდიული ფაქტების არსებობისას ერთი პირის საკუთრების უფლების შეწყვეტას და მიზეზობრივ კავშირში სხვა პირის მხარეზე მის წარმოშობას. *Meiер Д.М.*, Русское гражданское право, СПб., 1861, 394-395.

<sup>569</sup> *Чеговадзе Л.А.*, Структура и состояние гражданского правоотношения, М., 2004, 40. ანგლო-ამერიკულ სამართალშიც გადაცემა (delivery) ნიშნავს მფლობელობის გადასვლას. მფლობელობის გადაცემისას წინამფლობელი უარს ამბობს მფლობელობაზე სხვა პირის სასარგებლოდ, რომელიც იძენს მფლობელობას. გადაცემას ადასტურებს შემძენის მიერ საქონლის მიღება ან ნივთის მიღების დამადასტურებელი მოქმედება. *Дженкс Э.*, Английское право, М., 1947, 308.

გადაეცეს ნივთი.<sup>570</sup> ამასთან, კაუზალური გარიგების ბათილობისას არ დადგება სანივთოსამართლებრივი შედეგი, შემძენი ვერ გახდება მესაკუთრე.

ასევე, რუსეთის სკ ხელშეკრულებით მოძრავ ნივთზე საკუთრების წარმოშობას უკავშირებს ნივთის გადაცემას, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კანონით ან ხელშეკრულებით.<sup>571</sup> რუსულ სამოქალაქო სამართალშიც არ ხდება ვალდებულებითი და სანივთო ხელშეკრულებათა დაყოფა. მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობისთვის საკმარისია, ვალდებულებითი ხელშეკრულება, რომელსაც იურიდიული ბუნების გამო შეუძლია საკუთრების უფლების გადატანა და ნივთის გადაცემა. ამ ხელშეკრულების ბათილობა თავიდანვე ან შემდგომ, იწვევს საკუთრების უფლების არ გადაცემას შემძენზე<sup>572</sup> (კაუზალობის პრინციპი).

### 4.3.3. აბსტრაქტულ და კაუზალურ გარიგებათა შორის არსობრივი სხვაობა

აბსტრაქტულ და კაუზალურ გარიგებას შორის ის სხვაობაა, რომ კაუზალური გარიგების დროს კაუზა შედის გარიგების შინაარსში, ხოლო აბსტრაქტულის დროს, არა. თუ გარიგების შინაარსიდან ჩანს მიზანი, ის კაუზალური გარიგებაა, ხოლო აბსტრაქტული გარიგების შინაარსში არ ჩანს მიზანი.<sup>573</sup> Causa-ს არსებობა პირობაა კაუზალური გარიგების, როგორც იურიდიული ფაქტის არსებობისა, ხოლო აბსტრაქტული გარიგების შინაარსში არ შედის ის საფუძველი, რომელზეც ის მდებარეობს. აბსტრაქტულ გარიგებას მართლწესრიგის ძალით და გარიგების შინაარსიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა.<sup>574</sup>

იმ ქვეყნებში, სადაც მოქმედებს კაუზალური სისტემა, მხოლოდ ვალდებულებითსამართლებრივი გარიგებაა ძალმოსილი საკუთრების უფლების გადაცემისათვის. მასში გამოხატული ნება ნივთის გასხვისებაზე საკმარისია, რომ მისი თანმხლები გადაცემა მიმართული იყოს ხელშეკრულების შესრულებაზე და მეორედ ნების გამოხატვა გასხვისების თაობაზე, არ არის საჭირო,<sup>575</sup> მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებით უკვე ვლინდება საკუთრების უფლების გადაცემის ნება.

<sup>570</sup> *ზოდუ ბ.*, ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, 145. *Шрамм Х.И.*, Собственность и пути которыми ее можно приобрести, В книге: Право, Экономика, Благополучие, Актуальные вопросы правовой реформы в Туркменистане, (*Нурыев Я., Чантурия Л.*, изд.), Asgabat, 2010, 147.

<sup>571</sup> *Гришаев С.П.*, (ред.), Гражданское право, ч. 2, В вопросах и ответах, М., 2002, 29.

<sup>572</sup> *ჭეჭელაშვილი ზ.*, საკუთრების უფლების გადაცემა მოძრავ ნივთებზე, ქართული კერძო სამართლის კრებული, წ. I, თბ., 2004, 90.

<sup>573</sup> პროფ. *დ.ჭანტურიას* ლექციის ჩანაწერი შედარებით სამოქალაქო სამართალში: მოძღვრება გარიგებების შესახებ, 24.06.2011.

<sup>574</sup> *Oertmann P.*, Die Geschäftsgrundlage: Ein neuer Rechtsbegriff, Leipzig, 1921, 4-12. მითითებულია: *Василевская Л. Ю.*, Учение о вещных сделках по германскому праву, М., 2004, 51.

<sup>575</sup> *Скловский К. И.*, Правомочие и полномочие в механизме возникновения гражданских прав, ж. «Хозяйство и право», №11, 2004, 19. სხვა მოსაზრებით, ტრადიციის სისტემაში ვალდებულებითი გარიგება არ მოიცავს მხარეთა ნებას საკუთრების უფლების გადაცემის თაობაზე, ის ქმნის მხოლოდ საკუთრების უფლების გადაცემის საფუძველს. *Westermann*, Erman Bürgerliches Gesetzbuch, 11, Auflage, Aschendorffrechtsverlag, Köln, 2004, 3335, Rn 2. მითითებულია: *კიკოშვილი ს.*, საკუთრების უფლების დაცვა სანივთო გარიგების საფუძველის ბათილობისას, სასემინარო ნაშრომი, თბ., 2010, 6.

გამსხვისებლის განზრახვაზე შეიძლება იფიქრო იმ გარიგების შინაარსითაც, რომელიც არსებობს საკუთრების უფლების გადაცემის საფუძველად. ნასყიდობას აქვს ორმაგი ფუნქცია, ის არის მავალდებულებელი აქტი და გადაცემის საფუძველი (causa traditionis). ეს უკანასკნელი იმ აზრით, რომ ნაგულისხმევად შეიცავს მხარეთა ნებას ნასყიდობის საფუძველზე საკუთრების გადაცემასთან დაკავშირებით. ეს საერთო მიზანი აყალიბებს ტრადიციის საფუძველს და ამართლებს საკუთრების გადაცემას.<sup>576</sup> საქართველოს სკ-ის 477-ე მუხლის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით, გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი, ხოლო მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. ეს ნორმა ეხმიანება 1980 წლის 11 აპრილის ვენის კონვენციას “საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ” (ძალაშია 1988 წლის პირველი იანვრიდან), რომელსაც საქართველო შეუერთდა 1994 წლის 3 თებერვალს. კონვენციის 30-ე მუხლის თანახმად, გამყიდველი ვალდებულია მყიდველს მიაწოდოს საქონელი, შესაბამისი დოკუმენტები და გადასცეს საქონელზე საკუთრების უფლება ხელშეკრულებისა და კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად, ხოლო კონვენციის 53-ე მუხლის თანახმად, მყიდველი ვალდებულია გადაიხადოს საქონელში ფასი და მიიღოს მიწოდებული საქონელი.<sup>577</sup>

#### 4.4 გადაცემის სამართლებრივი ბუნება

##### 4.4.1. უფლების გარეგნული შეცნობის უზრუნველყოფა

ტრადიციის სისტემის მიხედვით, ნივთის გადაცემით საკუთრების უფლების წარმოშობა ნაკარნახევაა მისწრაფებით, თავიდან იქნეს აცილებული საკუთრებისა და მფლობელობის გაყოფა, ამ დროს ვლინდება მფლობელობის, როგორც საკუთრების ნიშნის როლი ბრუნვაში.<sup>578</sup> ნივთის მიღება შემძენის მხრიდან გადაცემის გზით, საზოგადოებრივ შეგნებაში საკუთრების უფლების მოპოვებას გულისხმობს, რაც აიხსნება ისტორიულად მფლობელობისა და საკუთრების ურთიერთდამოკიდებულებით. განუვითარებელ იურიდიულ ყოფაშიც საკუთრება აღრეული იყო მფლობელობასთან და მის გარეშე არ გაიგებოდა.<sup>579</sup> თანამედროვეობაშიც, ტრადიციის სისტემით სამოქალაქო ბრუნვა ორიენტირებულია ნივთის ფაქტობრივ მიკუთვნებაზე და გამომდინარეობს კანონისმიერი გულგებლადან: მოძრავი ნივთის მფლობელი მისი მესაკუთრეა.<sup>580</sup>

<sup>576</sup> Zimmermann R., The Law of Obligations. Roman Foundations of the Civilian Tradition, 1992, Cape Town, 239. მოითხოვება: *Скловский К.И.*, О действительности продажи чужого имущества, ж. «Вестник высшего арбитражного суда Российской Федерации», №9, 2003, 87.

<sup>577</sup> *შენგელია ე., ყანდაშვილი ი.*, საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ ვენის კონვენციის მოქმედება საქართველოში, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, №3, 2008, 19.

<sup>578</sup> *Дернбург Г.*, Пандекты, Т.2. пер. *Блоха А.Ю., Гальпера А. Я., Унтелова Д. И., Шнейдера К.А.*, под. ред. *Мейендорфа А.Ф.*, СПб., 1905, 110.

<sup>579</sup> *Скловский К.И.*, Собственность в гражданском праве, М., 1999, 210.

<sup>580</sup> *Баринаева Е. А.*, Вещные права в системе субъективных гражданских прав, В книге: Актуальные проблемы гражданского права, выпуск шестой, под. ред. *Шилохвоста О.Ю.*, М., 2003, 157.

ნივთის მფლობელობაში გადაცემით მიიღწევა საჯაროობის პრინციპის რეალიზება, იმ უდავო ფაქტის სიციხადე, რომ ნივთის შემქმნე მფლობელობის გადასვლისას, ის იმავდროულად უნდა გახდეს ნივთის მესაკუთრე.<sup>581</sup> მფლობელობის გარეშე საკუთრება რეალობას მოკლებული და არამყარია. მფლობელობა საკუთრებისთვის არა მარტო გარეგნული ან შემთხვევითი ნიშანია, არამედ ისეთი ელემენტი, რომლის მეშვეობით საკუთრება, როგორც სოციალური მოვლენა დიდ მნიშვნელობას იძენს.<sup>582</sup> მფლობელობა საკუთრების სინამდვილე, ნივთის ნორმალური გარეგნული სამართლებრივი მდგომარეობაა, რადგან სწორედ ამ დროს ასრულებს იგი თავის სოციალურ დანიშნულებას, ემსახურებს ადამიანს.<sup>583</sup>

ეს მიდგომა აისახება პოზიტიურ სამართალშიც, როდესაც კანონმდებელი ადგენს შემქმნი მფლობელის უპირატესობას სხვა შემქმნთან შედარებით. მაგალითად, საქართველოს სკ-ის 485-ე მუხლის თანახმად, თუ გამყიდველმა ერთი და იგივე საქონელი რამდენიმე პირს მიჰყიდა, ანუ რამდენიმე პირთან დადო ნასყიდობის ხელშეკრულება, სულერთია რა მიზანი ამოძრავებდა გამყიდველს, მყიდველის მოტყუება და სხვა, გამყიდველის სურვილის მიუხედავად, უპირატესობა ენიჭება იმ მყიდველს, რომლის მფლობელობაშიც გადავიდა საქონელი.<sup>584</sup>

#### 4.4.2. traditio – გარიგება თუ ფაქტობრივი მოქმედება

ერთი მოსაზრებით, გადაცემა სანივთო გარიგებაა, მეორე მოსაზრებით, მხოლოდ იურიდიული მოქმედება. რომის სამართლის თანახმად, traditio იყო ხელშეკრულება სანივთოსამართლებრივი შედეგით, რადგან მოიცავდა შეთანხმებას ნივთის გადამცემსა და მიმღებს შორის.<sup>585</sup> ტრადიციის დროს გამსხვისებელს, რომელიც უნდა იყოს მესაკუთრე ან პირი, რომელიც მოქმედებს მესაკუთრის სახელით, შესაბამისი უფლებამოსილების საფუძველზე, მისი თანხმობით, უნდა გააჩნდეს განზრახვა, გადასცეს საკუთრება შემქმნს, ხოლო შემქმნს – განზრახვა, გახდეს მესაკუთრე.<sup>586</sup> გადაცემა არის გარიგება, მიმართული საკუთრების უფლების გადაცემისკენ, ორმხრივი ნების გამოვლენის აქტი, რაც ხორციელდება გამსხვისებლის ნების გამოვლენით ნივთზე ბატონობის გადაცემაზე და შემქმნის ნების გამოვლენით ნივთის მიღებაზე, ნივთზე ბატონობის მოპოვებაზე. რამდენადაც ტრადიციისთვის

<sup>581</sup> ჰანტური ალ., უძრავი ნივთების საკუთრება, თბ., 1994, 158.

<sup>582</sup> *Ihering R.*, Ueber den Grund des Besitzessschutzes Fine, Revision d.Lehre vom Besitz. 2. Verb.U verm Aufl. Jena: Maukejs Verlag, 1869, 143-145. მითითებულია: *Ланач В.А.*, Система объектов гражданских прав, М., 2002, 158.

<sup>583</sup> *Flume W.*, Allgemeiner Teil des Burgerlichen Rechtes. Zweiter, Band: Das Rechtsgeschäft, 4 Aufl, Berlin, Heidelberg, NewYork, SpringerVerlag, 1992, 153. მითითებულია: *Василевская Л.Ю.*,

О Специфике правовой конструкции вещного договора по германскому праву, ж. «Вестник высшего арбитражного суда Российской Федерации», №5, 2003, 126.

<sup>584</sup> *კახაძე მ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ.IV,ტ.I., რედ. ჰანტურია ალ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., 2001, 30.

<sup>585</sup> *Новицкий И.Б.*, Основы римского гражданского права, М., 2000, 93.

<sup>586</sup> *Гримм Д.Д.*, Лекции по догме римского права, 5-ое изд., Петроград, 1916, 183.

აუცილებელია მხარეთა შეთანხმებული ნება, ამიტომ ტრადიცია თავისი არსით არის ხელშეკრულება.<sup>587</sup>

სხვა მოსაზრებით, მხარეთა ნებათა შეთანხმება ხდება სწორედ, სანივთო ხელშეკრულების ფარგლებში და ტრადიცია ნებელობით შინაარსს იძენს ამ ხელშეკრულებით, ხოლო გადაცემა მხოლოდ რეალური, ფაქტობრივი მოქმედებაა და არა სამართლებრივი გარიგება.<sup>588</sup> ტრადიცია ნაირსახეობაა იურიდიული ქცევისა. ტრადიციის გარეშე სანივთო ხელშეკრულება არ არის იურიდიული ძალის მქონე, მან ვერ მოასწრო რეალიზება გადაცემაში. სწორედ, გადაცემით იძენს ის ფიზიკურ შინაარსს, ხორცშესხმას, სანივთო ხელშეკრულება არის ნივთის გადაცემის საფუძველი.<sup>589</sup> ქართულ სამოქალაქო სამართალში, სადაც ტიტულუსისა და მოდუსის ერთიანობაა, მართებულია, *traditio* მიხნეულ იქნეს რეალურ, ფაქტობრივ მოქმედებად, რომელიც ადასრულებს არა სანივთო, არამედ ვალდებულებითი გარიგების ფარგლებში ჩამოყალიბებულ მხარეთა შეთანხმებას საკუთრების უფლების გადაცემის თაობაზე.

#### 4.4.3. გადაცემის ძირითადი ფორმა და სუროგატები

გადაცემა ნივთის მფლობელობის გადაცემაა ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის მიზნით. გერმანული სამართლის თანახმად, მფლობელობა მოიპოვება ნივთზე უშუალო ხელისუფლების მიღწევით არა მხოლოდ შემძენის, არამედ იმ პირის მიერაც, ვინც ახორციელებს მფლობელობას მის ინტერესებში, ანუ მჭერის მეშვეობით. შესაძლოა, მესაკუთრემ მჭერს მიანიჭოს უშუალო (პირდაპირი) მფლობელობის სტატუსი მისი სურვილის გათვალისწინებით. ნივთის რეალური გადაცემა ამ დროს არ არის საჭირო, რადგან ნივთი უკვე იმყოფება შემძენის მფლობელობაში, რომელმაც შეიცვალა ფლობის საფუძველი. მჭერის მდგომარეობიდან გადავიდა მფლობელი – მესაკუთრის მდგომარეობაში.<sup>590</sup>

საქართველოს სკ ამომწურავად განსაზღვრავს ნივთის გადაცემის შემთხვევებს. უპირველესად, გადაცემა გულისხმობს შემძენისთვის ნივთის ჩაბარებას პირდაპირ მფლობელობაში. ეს ის შემთხვევაა, როცა მხარეთა შეთანხმებისა და ნივთის გადაცემის მომენტი ერთმანეთს ემთხვევა.<sup>591</sup>

გერმანული სამართალი იცნობს მფლობელობის გადაცემის სუროგატებს, თუმცა ტრადიციის უნივერსალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში საკუთრების უფლების გადასვლა ნივთის გადაცემის გარეშე, მხოლოდ სანივთო შეთანხმებით, სპეციალურად უნდა იყოს შეთანხმებული. გერმანიის სკ-ის 929-ე პარაგრაფის თანახმად, თუ

<sup>587</sup> *Хаскельберг Б.Л.*, Об основании и моменте перехода права собственности на движимые вещи по договору, ж. «Правоведение», №3, 2000, 125.

<sup>588</sup> *Gierke O.*, Deutsches Privatrecht, II Band, Sachenrecht. Leipzig, 1905, 496-498. მითითებულია: *Василевская Л.Ю.*, Учение о вещных сделках по германскому праву, М., 2004, 56.

<sup>589</sup> *Flume W.*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechtes. Zweiter. Band: Das Rechtsgeschäft. 4 Aufl. Berlin Heidelberg New York: Springer-Verlag, 1992, 153. მითითებულია: *Василевская Л.Ю.*,

О Специфике правовой конструкции вещного договора по германскому праву. ж. «Вестник высшего арбитражного суда российской федерации», №5, 2003, 129.

<sup>590</sup> *Жалинский А., Рерихт А.*, Введение в немецкое право, М., 2001, 422.

<sup>591</sup> *ზოიძე ბ.*, ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, 149.



შემძენი უკვე ფლობს ნივთს სხვა სამართლებრივი საფუძველით, საკმარისია სანივთო შეთანხმება. ამ წესს მოკლე ხელით გადაცემა ჰქვია.<sup>592</sup> მას იცნობს ასევე, რუსეთის სკ: თუ ხელშეკრულების დადების დროს ნივთი უკვე იმყოფება შემძენთან, ნივთი ითვლება გადაცემულად ხელშეკრულების დადების მომენტიდან (224-ე მუხლის მე-2 პუნქტი). მართალია, ამ წესს საქართველოს სკ ცალკე არ გამოყოფს, მაგრამ დოქტრინაში მიიჩნევა, რომ ნივთის გადაცემა პირდაპირ მფლობელობაში ამ შემთხვევასაც მოიცავს.<sup>593</sup>

ნივთის გადაცემის სუროგატია ასევე, ე.წ. მფლობელობითი კონსტიტუტის (*constituere* – ლათ. გადაწყვეტილება) დადგენა. ამ დროს ხდება გამსხვისებელსა და შემძენს შორის შეთანხმება, რომლის ძალითაც გამსხვისებელი რჩება ნივთის უშუალო (პირდაპირი) მფლობელად შემძენისთვის ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის შემდეგ, და ნივთის ფაქტობრივი გადაცემა იცვლება მესაკუთრესა და შემძენს შორის შეთანხმებით შემძენის შუალობითი (არაპირდაპირი) მფლობელობის დადგენის შესახებ (გერმანიის სკ-ის 930-ე პარაგრაფი). მფლობელობითი კონსტიტუტის შემთხვევაში გამსხვისებელი შესაძლოა ფლობდეს როგორც სანივთო, ისე ვალდებულებითი უფლების საფუძველზე. გადაცემის ეს ფორმა გამოიყენება გერმანულ სამართალში უზრუნველყოფითი საკუთრების დროსაც, როცა ხდება საკუთრების გადაცემა კრედიტორისთვის საკრედიტო უზრუნველყოფის მიზნით.<sup>594</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსით (186-ე მუხლის მე-2 ნაწილი, მე-2 წინადადება) არაპირდაპირ მფლობელობაში გადაცემულად ჩაითვლება ნივთი, როდესაც იგი გამსხვისებელსა და შემძენს შორის შეთანხმებით რჩება გამსხვისებლის უშუალო მფლობელობაში, უკვე სხვა ხელშეკრულების, მაგალითად, შენახვის, ქირავნობის, თხოვების, საფუძველზე.<sup>595</sup>

გადაცემის სუროგატია ასევე, შემძენისთვის ნივთის მფლობელობის მოთხოვნის გადაცემა (გერმანიის სკ-ის 931-ე პარაგრაფი, საქართველოს სკ-ის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილი, მე-3 წინადადება). ამ დროს ხდება იმ ნივთის გასხვისება, რომელიც იმყოფება მესამე პირთან და მას გამსხვისებელი ავალებს შემძენისთვის ნივთის გადაცემას. გამსხვისებელსა და შემძენს შორის სანივთო შეთანხმების ძალით, შემძენს ეთმობა მესამე პირისგან ნივთის მფლობელობის მოთხოვნა. საკუთრება წარმოეშობა შემძენს არა მესამე პირისგან ნივთის მიღების მომენტიდან, არამედ დათმობის, ანუ შეთანხმების მომენტიდან.<sup>596</sup> ეს კონსტრუქცია ამარტივებს ბრუნვას, რადგან მესაკუთრის განკარგვის უფლებამოსილების განხორციელებისთვის არ არის საჭირო მესამე პირის მიერ მისთვის ნივთის გადაცემა. დათმობის სანივთო შეთანხმებით შემძენი იძენს საკუთრებას და შესაბამისად, მესამე პირისგან ნივთის გამოთხოვის

<sup>592</sup> *Дернбург Г.*, Пандекты, Вещное право, Т.1, ч.2, СПб., 1902, 115.

<sup>593</sup> *ზოიძე ბ.*, ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, 149; ასევე, საერთო სამართალში, თუ გასაყიდი საქონელი ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე იმყოფება მყიდველის ფიზიკურ მფლობელობაში, ასეთ შემთხვევაში მყიდველის მიერ მასზე მფლობელობის გაგრძელება განიხილება, როგორც გამყიდველის მიერ მყიდველისთვის გაყიდული ნივთის გადაცემა. *ძლიერიშვილი ზ.*, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულება საამართლებრივი ბუნება, თბ., 2010, 103.

<sup>594</sup> *Жалинский А., Рерихт А.*, Введение в немецкое право, М., 2001, 423.

<sup>595</sup> *ხიტოშვილი თ.*, ქონებაზე საკუთრების წარმოშობის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2006, 23.

<sup>596</sup> *Василевская Л.Ю.*, Учение о вещных сделках по германскому праву, М., 2004, 184.

სანივთო მოთხოვნას. ამ შემთხვევაში, სავინდიკაციო სარჩელზე უფლება კი არ გადადის შემძენზე საკუთრების უფლებისაგან დამოუკიდებლად, არამედ ის საკუთრების გადაცემის შედეგია.<sup>597</sup> გადაცემის ეს ფორმა ხშირად სორციელდება ფასიანი ქაღალდების მეშვეობით, მაგალითად, სასაქონლო საწყობში მიბარებული ქონების გაყიდვა შესაძლებელია საწყობიდან მისი გამოტანის გარეშე. ამ დროს მიმბარებელი, მესაკუთრე სასაწყობო მოწმობას გადასცემს მესამე პირს, ანუ შემძენს ინდოსამენტის მეშვეობით, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ შემძენს მიენიჭა შემნახველისგან ქონების გამოთხოვისა და მის მფლობელობაში გადაცემის მოთხოვნის უფლება. ამ უფლების მინიჭების მომენტიდან, საწყობში მიბარებული ქონება ითვლება ახალი შემძენისთვის გადაცემულად.<sup>598</sup>

## 5. საკუთრებისა და მფლობელობის ურთიერთდამოკიდებულება საკუთრების დაცვის პროცესში

საკუთრების უფლების არსი გულისხმობს ხელისუფლებას, სურდეს და დაავალდებულოს სხვები პატივს სცემდნენ მესაკუთრის ნებას, ისარგებლოს თავისი სურვილისამებრ კუთვნილი ნივთით.<sup>599</sup> ამ უფლების ძალით, მესაკუთრე ექსკლუზიურ უფლებას აცხადებს ქონებაზე და ეს უფლება არა ფიზიკური ძალის ან საზოგადოებრივი ჩვეულების, არამედ კანონის მიერ დაცვას საჭიროებს. ამდენად, თითქმის შეუძლებელია ისეთი საზოგადოების წარმოდგენა, რომელშიც სცნობენ და დაუშვებენ კერძო საკუთრებას, მაგრამ არ უზრუნველყოფენ კანონით მის დაცვას (იერემია ბენტამი).<sup>600</sup>

<sup>597</sup> ჭეჭელაშვილი ზ., სანივთო სამართალი, თბ., 2006, 96.

<sup>598</sup> ჩიტოშვილი თ., ქონებაზე საკუთრების წარმოშობის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2006, 24.

<sup>599</sup> Дюги Л., Общие преобразования гражданского права со времени кодекса Наполеона (пер. с французского Сиверс М. М., под. ред. Гоихбарга А. Г.), М., 1919, 13.

<sup>600</sup> მოსაზრება მითითებულია: პაიპსი რ., საკუთრება და თავისუფლება, თბ., 2004. უფლება, რომელიც დარღვევისას არ არის უზრუნველყოფილი დაცვის საშუალებით, მხოლოდ დეკლარაციული უფლებაა. Грибанов В. П., Пределы осуществления и защиты гражданских прав, М., 1992, 96. ჯერ კიდევ, საფრანგეთის 1789 წლის 26 აგვისტოს ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციით, საკუთრება არის წმინდა და ხელშეუხებელი უფლება, არავის არ შეიძლება ის წაერთვას, გარდა კანონით დადგენილი აუცილებელი საზოგადოებრივი აუცილებლობისა და მხოლოდ სამართლიანი და წინასწარი გადახდის პირობით. Хрестоматия по всеобщей истории государства и права, Т. 2. под. ред. Батыра К. И., Поликарповой Е. В., М., 2003. თანამედროვეობაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ, ევროპული საჯარო წესრიგის კონსტიტუციურ აქტად აღიარებული, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან (1950 წ. 4 ნომერი) ერთად მიღებული დამატებითი ოქმის I მუხლის თანახმად, ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს გააჩნია თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს საკუთრება, კანონით და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში. კორკელია კ., ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება, თბ., 2007, 114. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, საკუთრების დაცვა გახდა დღესდღეობით საერთო ევროპული სტანდარტი, რომლითაც ევროპელებს შეუძლიათ იამაყონ, რადგან ის აძლევს ადამიანთა დიდ რაოდენობას ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ საიმედო და გამოცდილ ორიენტაციას, დაფუძნებულს ევროპულ კონსენსუსზე. Берндорфф Н., Охрана собственности по ЕКПЧ –

## 5.1. საკუთრების სანივთოსამართლებრივი დაცვის საშუალებების ზოგადი დახასიათება

საკუთრების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის ქვეშ მოიაზრება სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული საშუალებების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება მისი დარღვევისას და მიმართულია მესაკუთრის ქონებრივი მდგომარეობის აღდგენისა და მისი ინტერესების დაცვისკენ. სანივთოსამართლებრივი დაცვის საშუალებები ხასიათდება იმით, რომ მიმართულია საკუთრების, როგორც აბსოლუტური უფლების დაცვისკენ ნებისმიერი მესამე პირის წინააღმდეგ, რაც არ არის დაკავშირებული რაიმე კონკრეტულ ვალდებულებასთან და მიზნად ისახავს აღდგეს მესაკუთრის კუთვნილი უფლებამოსილებები, ან აღიკვეთოს მათი განხორციელების წინააღმდეგობები.<sup>601</sup> როცა საკუთრების დაცვაზე საუბარი, აქაც, ისევე როგორც ყველა ძირითადი უფლების შემთხვევაში, მისი ნეგატიური მხარე იგულისხმება – ყველას ვალდებულება, არ ხელყონ პირის საკუთრება, მისი პოზიტიური მდგომარეობის მშვიდად განხორციელების გარანტიაა<sup>602</sup>. სანივთოსამართლებრივი დაცვის საშუალებებს მიეკუთვნება სავინდიკაციო და ნეგატიური სარჩელები.

დიგესტების თანახმად, სარჩელი სხვა არაფერია, თუ არა პირის უფლება სასამართლო წესით განახორციელოს კუთვნილი მოთხოვნა. მსგავსი შინაარსი გააჩნდა სარჩელს რევილუციამდელ რუსულ დოქტრინაშიც, კერძოდ, სარჩელი განიმარტებოდა, როგორც ერთი პირის მოთხოვნა მეორის მიმართ, დაფუძნებული უფლებაზე და სისრულეში მოყვანილი სასამართლოს მიერ.<sup>603</sup> თანამედროვე საპროცესო სამართლებრივი დოქტრინა სარჩელს განსაზღვრავს, როგორც დაინტერესებული პირის მიმართვას სასამართლოსადმი დარღვეული ან სადავო უფლების დაცვის მოთხოვნით, უფლების შესახებ დავის გადაწყვეტის გზით.<sup>604</sup>

სანივთოსამართლებრივი სარჩელები იცავს მართლზომიერ მფლობელს. ასეთია მფლობელობა, რომელიც ეფუძნება სამართლებრივ საფუძველს. მართლზომიერია არა მხოლოდ მესაკუთრის, არამედ სხვა სანივთო და ვალდებულებითი უფლების მქონე სუბიექტების მიერ ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად და მესაკუთრის ნებაზე დაყრდნობით განხორციელებული ფაქტობრივი ბატონობა.<sup>605</sup>

---

между effect utile, с одной стороны, и margin of appreciation или judicial self-restraint с другой стороны, ж. „Южнокавказский юридический журнал“, №1, 2010, 34.

<sup>601</sup> *Гуев А.Н.*, Гражданское право, Т.1, М., 2003, 241.

<sup>602</sup> *ზოდუ ბ.*, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბ., 2007, 98.

<sup>603</sup> *Кавелин К.Д.*, Основные начала гражданского судопроизводства и гражданского судопроизводства в период времени от уложения до учреждения о губерниях, М., 1844. მოითხოვულია: *Трашкова Н.М.*, Иск как защита прав истца в гражданском процессе, к истории вопроса, ж. „Вестник Московского университета“, №5, 2008, 92.

<sup>604</sup> *Дехтерева Л.П., Пикульский В.В., Шугева О.А.*, Гражданский процесс, М., 2004, 53.

<sup>605</sup> *Шагова В.В.*, Договор как основание возникновения прав титульных владельцев по российскому гражданскому праву: В книге: Некоторые вопросы договорного права России и зарубежных стран, М., 2003, 20.

## 5.2. სავინდიკაციო სარჩელის განხორციელების წინაპირობები

### 5.2.1. მატერიალურსამართლებრივი გარემოებები

სავინდიკაციო სარჩელი არის არამფლობელი მესაკუთრის ან სხვა კანონიერი მფლობელის სარჩელი უკანონო მფლობელის წინააღმდეგ ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული და ნატურით არსებული ნივთის დაბრუნების თაობაზე,<sup>606</sup> მაგალითად, გერმანიის სკ-ის 985-ე პარაგრაფის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელისაგან ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა,<sup>607</sup> საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით მიუთითა, რომ სავინდიკაციო სარჩელის დაკმაყოფილება ხდება სამი წინაპირობის არსებობისას: 1) უნდა არსებობდეს ნივთის მესაკუთრე; 2) არსებობდეს მფლობელი, 3) მფლობელს არ უნდა ჰქონდეს ნივთის ფლობის უფლება.<sup>608</sup> ნივთის განადგურების, გადაშუშავების, მოხმარების ან ფაქტობრივი მფლობელის მსგავსი ნივთებიდან მისი გამოყოფის შეუძლებლობისას, ვინდიკაციის ნაცვლად ხდება ვალდებულებითსამართლებრივი სარჩელის (დელიქტური ან კონდიქციური) წარდგენა,<sup>609</sup> რადგან ნივთის სუბსტანციის მოსპობისას წყდება საკუთრება და შესაბამისად, პირის სანივთოსამართლებრივ სარჩელზე უფლება. სამოქალაქო უფლება და კანონით დაცული ინტერესი ხშირად თანმხვედრი სამართლებრივი კატეგორიებია, ყოველ უფლებას საფუძვლად გარკვეული ინტერესი უდევს, რომლის დასაკმაყოფილებლად უფლება ენიჭება პირს, ამდენად, დაცული ინტერესი ხშირად გაშუალებულია უფლებით და უფლების დაცვა იმავდროულად, კანონით დაცული ინტერესის დაცვაა. ზემოხსენებულ შემთხვევაში ხორციელდება მხოლოდ ნივთის ყოფილი მესაკუთრის კანონით უზრუნველყოფილი ინტერესის, აღიდგინოს თავისი ქონებრივი მდგომარეობა, დაცვა, რადგან საკუთრების უფლება აღარ არსებობს.<sup>610</sup>

სავინდიკაციო სარჩელის შინაარსს შეადგენს უკანონო მფლობელისგან ნივთის დაბრუნება მესაკუთრისთვის, ანუ მოქმედება, რომლის განხორციელებასაც ითხოვს მოსარჩელე, სარჩელის საგანია მოსარჩელის მიერ მითითებული უფლება, რომლის ძალითაც პირი ფლობდა ნივთს და რომელიც ექვემდებარება სასამართლო დაცვას.<sup>611</sup> ხოლო სარჩელის საფუძველია ის იურიდიული ფაქტები, რომელსაც მოსარჩელე უკავშირებს თავის მოთხოვნებს, კერძოდ, ნივთის კანონიერი მფლობელობიდან გამოსვლის გარემოებები, მისი მოპასუხესთან მოხვედრის პირობები, სადავო ნივთის არსებობა ნატურით, მოპასუხესა და მოსარჩელეს შორის ვალდებულებითი ურთიერთობის არ არსებობა სადავო ნივთის თაობაზე. ამ სარჩელის წარდგენისას მოსარჩელემ უნდა

<sup>606</sup> *Сергеев А.П., Толстой Ю.К.*, (ред.), *Гражданское право*, М., 1997, 444.

<sup>607</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB), (2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით),

მთარგმნელი და რედ. *ჭეჭელაშვილი ზ.*, თბ., 2010, 98.

<sup>608</sup> სუსგ, 27 ივნისი, 2003 წ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, №8, 2003, 2077.

<sup>609</sup> *Скварцов О.Ю.*, *Защита права собственности и судебно-арбитражная практика*, М., 1997, 10.

<sup>610</sup> *გალდავა გ.*, სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, *ჟურნ., „სამართლის ჟურნალი“*, №1, 2009, 119.

<sup>611</sup> *Дехтерева Л.П., Пивульский В.В., Шугева О.А.*, *Гражданский процесс*, М., 2004, 53.

ამტკიცოს თავისი უფლების არსებობა ნივთზე, ასევე, ის, რომ მოპასუხის მფლობელობა უკანონოა.<sup>612</sup>

## 5.2.2. საინდიკაციო მოთხოვნა ხანდაზმულობასთან კავშირში

ხანდაზმულობა არის დროის პერიოდი, რომლის გასვლის შემდეგ დგება გარკვეული იურიდიული შედეგი – წარმოიშობა ან წყდება სამართლებრივი ურთიერთობა.<sup>613</sup> ხანდაზმულობის ვადა უფლების სუბიექტს ატყობინებს, თუ რა ხნის განმავლობაშია მისი დარღვეული უფლება კომპეტენტური ორგანოს მხრიდან დაცვაუნარიანი.<sup>614</sup> ხანდაზმულობის ვადის არსებობა აიძულებს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს დროულად იზრუნონ თავისი უფლებების განხორციელებისა და დაცვისთვის.<sup>615</sup> უფლების განხორციელების შეზღუდვამ განსაზღვრული ვადებით, უნდა უზრუნველყოს სამართლებრივი სტაბილურობა და სამართლებრივი მშვიდობა.<sup>616</sup> პირი, რომელმაც არ წარადგინა დადგენილ დროში სარჩელი თავისი უფლების დასაცავად, კარგავს უფლების დაცვის შესაძლებლობას.<sup>617</sup> სასამართლოს უარი სარჩელზე ნიშნავს სარჩელზე უფლების გაქარწყლებას, ანუ სასამართლოს მეშვეობით უფლების დაცვის შესაძლებლობის დაკარგვას.<sup>618</sup> ვინდიკაციის დროს ეს გულისხმობს, სასამართლოს უარს დაკმაყოფილდეს პირის მოთხოვნა, გადაეცეს სადავო ნივთი.<sup>619</sup>

ამდენად, ხანდაზმულობის გასვლით წყდება სასამართლოს ან სხვა ორგანოს მეშვეობით, პირის მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ არა მათთვის მიმართვის უფლება, რაც დროით შეზღუდული არ არის.<sup>620</sup> ხანდაზმულობა სპობს მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობას მატერიალური და არა პროცესუალური თვალსაზრისით. ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად, მოთხოვნა განხილულ უნდა იქნეს, და თუ გამოირკვევა, რომ არ არსებობს ხანდაზმულობის ვადის შეჩერების ან შეწყვეტის საფუძვლები, მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება.<sup>621</sup>

## 5.3. ნეგატორული სარჩელის არსი

ნეგატორული სარჩელი (actio negotoria) მიმართულია უფლების ისეთი დარღვევის წინააღმდეგ, რაც არ არის დაკავშირებული ნივთის მფლობელობის დაკარგვასთან, მაგრამ ხელშემშლელია ნივთით სარგებლობისა

<sup>612</sup> Гомола А.М., Гражданское право, М., 2003, 201.

<sup>613</sup> Шершеневич Г.Ф., Учебник русского гражданского права, М., 1995, 133.

<sup>614</sup> ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005, 118.

<sup>615</sup> ახვლედიანი ზ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ.1, რედ. ჭანტურია ლ., ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., ჯორბენაძე ს., თბ., 1999, 316.

<sup>616</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 121.

<sup>617</sup> Бутовский А.К., Давность владения, СПб., 1911, 13.

<sup>618</sup> Фарматов И., Последствия истечения срока исковой давности, ж. „Хозяйство и право,“ №12, 2005, 72.

<sup>619</sup> Моргунов С.В., Исковая давность в правилах о виндикации. ж. „Вестник высшего арбитражного суда Российской Федерации,“ №4, 2005, 136.

<sup>620</sup> ძლიერიშვილი ზ., ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, თბ., 2011, 197.

<sup>621</sup> ახვლედიანი ზ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ.1, რედ. ჭანტურია ლ., ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., ჯორბენაძე ს., თბ., 1999, 317.

და განკარგვისთვის, ე.ი. პირი მოკლებულია ამ უფლებამოსილებათა განხორციელების შესაძლებლობას, რადგან სხვა პირი თავისი მოქმედებით ხელს უშლის მათ რეალიზებას.<sup>622</sup> უკანონო ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის წარდგენა შესაძლებელია, არა მხოლოდ არსებული, არამედ მოსალოდნელი დარღვევის აღსაკვეთად, თუ მოსარჩელე შეძლებს დაამტკიცოს, რომ არსებობს მისი უფლების ხელყოფის რეალური საფრთხე.<sup>623</sup> ამ სარჩელის საფუძველია გარემოებები, რომლებიც აფუძნებენ მოსარჩელის მიერ ნივთით სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილებას, ასევე ამტკიცებენ, რომ მესამე პირთა მოქმედება აბრკოლებს მათ განხორციელებას. მოსარჩელეს არ ევალება ამტკიცოს მოპასუხის მოქმედების ან უმოქმედობის არამართლზომიერება, ის ივარაუდება, სანამ მოპასუხე არ დაამტკიცებს მის მართლზომიერებას.

ნეგატორული სარჩელი მიზნად ისახავს მესაკუთრის თავისუფლების აღიარებას ხელყოფისაგან, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, ზიანის ანაზღაურებასა და დაცვის გარანტიების შექმნას შემდგომში შესაძლო ხელყოფისაგან.<sup>624</sup> ნეგატორული სარჩელით სარგებლობს როგორც მესაკუთრე, ისე ნებისმიერი მართლზომიერი მფლობელი, ხოლო სერვიტუტის უფლების მქონე პირს სანივთო სარჩელებიდან მხოლოდ ნეგატორულ სარჩელზე აქვს უფლება, მას შეუძლია მოითხოვოს როგორც სერვიტუტის მიზნების განხორციელებაში ხელშეშლელი გარემოებების აღკვეთა, ისე იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მიადგა მფლობელობის ხელყოფის გამო.<sup>625</sup>

#### 5.4. მოპასუხის უტიტულო მფლობელობა – ვინდიკაციის უცილობელი პირობა

##### 5.4.1. მფლობელობის არამართლზომიერება, როგორც ნორმატიული შეფასება

სავინდიკაციო სარჩელის განხორციელების შედეგები დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის არამართლზომიერი მფლობელია მოპასუხე. მფლობელობა უკანონოდ ჩაითვლება, თუ მის წარმოშობას საფუძველად იურიდიული ფაქტი არ უდევს. მაგალითად, თუ პირი თვითნებურად, ძალის გამოყენებით ან ნივთის მოპარვის გზით დაეუფლება მას, მფლობელობა იქნება უკანონო, რადგან ის საკუთრების ან მფლობელობის წარმოშობის კანონიერ საფუძველს არ ემყარება. უკანონოა ბათილი გარიგებით წარმოშობილი მფლობელობაც. არამართლზომიერი მფლობელია არა მხოლოდ ის, ვინც თვითნებურად მიითვისა სხვისი ქონება, არამედ ისიც, ვინც ნივთი მოიპოვა მის განკარგვაზე არაუფლებამოსილი პირისგან. ამიტომ, არ არის აუცილებელი, რომ მფლობელის მოქმედება

<sup>622</sup> *Пилева В. В.*, Гражданское право с образцами договоров, М., 2002, 86.

<sup>623</sup> *ბოლინგი პ., ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, II გამოცემა, თბ., 2004, 149.

<sup>624</sup> *Кочеткова Ю.А.*, Соотношение вещно правовых и обязательно правовых способов защиты права собственности—древнеримские истоки и современная Россия, Актуальные проблемы гражданского права, вып.2, Сб.Статей, под.ред. *Брагинского М.М.*, М., 2000. <http://lex-jure.ru/law/news.php>.

<sup>625</sup> *Чантурия Л.*, Ограниченные вещные права и их особенности в гражданском праве Туркменистана, В книге: *Право, Экономика, Благополучие, Актуальные вопросы правовой реформы в Туркменистане*, (Нурыев Я., Чантурия Л., изд.), Ashgabat, 2010, 161.

იყოს ბრალეული, საკმარისია მფლობელობა იყოს ობიექტურად უკანონო.<sup>626</sup>

კანონიერი და უკანონო მფლობელობა ნორმატიული შეფასების საფუძველზე დგინდება, იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება მფლობელობა კანონის ნებას, მის მოთხოვნას. კანონიერია მფლობელი, რომელიც სამართლებრივ საფუძველზე ახორციელებს ნივთის მიმართ ფაქტობრივ ბატონობას,<sup>627</sup> ასეთია მესაკუთრისა და ყველა სხვა ტიტულოვანი მფლობელის ფაქტობრივი ბატონობა,<sup>628</sup> ე.ი. ყველა იმ პირის, რომელთა მფლობელობაც მესაკუთრის მფლობელობიდან არის ნაწარმოები.<sup>629</sup>

#### 5.4.2. კეთილსინდისიერებისა და მართლზომიერების ცნებათა ურთიერთმიმართება

არამართლზომიერი მფლობელობა თავის მხრივ, იყოფა კეთილსინდისიერ და არაკეთილსინდისიერ მფლობელობად. დამკვიდრებული შეხედულებით, კეთილსინდისიერებას მნიშვნელობა აქვს უფლების არმქონე პირისათვის,<sup>630</sup> თუმცა არსებობს ასევე, კეთილსინდისიერების ფართო გაგება, რომელიც მოიცავს მართლზომიერ მფლობელობასაც. ამ თვალსაზრისით, მესაკუთრის ან სხვა კანონიერი მფლობელის მფლობელობაც კეთილსინდისიერია.

სწორედ, ამ მოსაზრებას განამტკიცებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლი (პირველი წინადადება), სადაც მოცემულია კეთილსინდისიერი მფლობელის განმარტება, რომელიც მოიცავს კეთილსინდისიერი მფლობელობის მხოლოდ ერთ შემთხვევას – კეთილსინდისიერია მფლობელი, რომელიც ნივთს მართლზომიერად ფლობს. შესაძლოა, ამგვარი მიდგომა განპირობებული იყოს იმ გარემოებით, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მფლობელობით (ფაქტზე დამყარებული) დაცვას, რაც თავისი არსით გამარტივებული დაცვაა, ავრცელებს მხოლოდ კეთილსინდისიერ მფლობელზე, რომელშიც უნდა იგულისხმებოდეს, როგორც მართლზომიერი, ისე არამართლზომიერი მფლობელი. მართალია, ტიტულოვან მფლობელს აქვს პეტიტორული (უფლებაზე დამყარებული) დაცვის შესაძლებლობაც, უტიტულო მფლობელისგან განსხვავებით, რომლისთვისაც მხოლოდ პოსესორული დაცვაა ხელმისაწვდომი, მაგრამ მფლობელობითი დაცვა მისთვისაც ხელსაყრელია პროცესუალური თვალსაზრისით.

ხოლო 159-მუხლის მეორე წინადადება, სწორედ არამართლზომიერ კეთილსინდისიერ მფლობელს გულისხმობს: კეთილსინდისიერია

<sup>626</sup> Шагова В.В., Договор, как основание возникновения прав титульных владельцев по российскому гражданскому праву, В книге: Некоторые вопросы договорного права России и зарубежных стран, М., 2003, 20.

<sup>627</sup> სუსგ №ას-1075-1323-05, 15 მაისი, 2006 წ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, №1, 2006, 25.

<sup>628</sup> სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., მფლობელობის პრობლემები ქართულ სამოქალაქო სამართალში, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, №1, 2010, 50.

<sup>629</sup> სუსგ №ას-87-531-06, 27 სექტემბერი, 2006 წ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, №1, 2006.

<sup>630</sup> Скловский К.И., К вопросу о применении понятий добросовестности и основы правопорядка и нравственности, ж. „Хозяйство и право“, №8, 2005, 140.

მფლობელი ... რომელიც უფლებამოსილ პირად შეიძლება იქნეს მიჩნეული საქმიან ურთიერთობებში საჭირო გულმოდგინე შემოწმების საფუძველზე.

ამ შემთხვევაში, მფლობელს არ გააჩნია ნივთის ფლობის სამართლებრივი საფუძველი, თუმცა მფლობელსა და სხვა უფლებამოსილს შორის არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც არ არის ნამდვილი, მაგრამ მისი ბათილობა შეუძლებელია, ამოცნობილ იქნეს გულმოდგინე შემოწმების შედეგად,<sup>631</sup> შესაბამისად, კეთილსინდისიერი არამართლზომიერი მფლობელი მიიჩნევა უფლებამოსილ პირად სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ინტერესების დაცვის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო ხშირად სწორად განმარტავს 159-ე მუხლის I წინადადებას და მიუთითებს: პირს არ გააჩნდა ქონების ფლობის რაიმე საფუძველი, ამდენად ის ვერ იქნებოდა ნივთის კეთილსინდისიერი მფლობელი;<sup>632</sup> კეთილსინდისიერად ითვლება მფლობელობის მართლზომიერი შემქმენი.<sup>633</sup>

### 5.4.3. კეთილსინდისიერება სინამდვილის სუბიექტური შეფასების სივრცეში

არამართლზომიერი მფლობელობის კეთილსინდისიერად და არაკეთილსინდისიერად დაყოფის კრიტერიუმია მფლობელის სუბიექტური დამოკიდებულება მფლობელობის შექმნის სამართლებრივი საფუძველისადმი. სანივთო სამართალში მოქმედებს კეთილსინდისიერების პრინციპი სუბიექტური გაგებით, კეთილსინდისიერება არსებობს სუბიექტური შეფასების სივრცეში, მასში ვლინდება მფლობელის დამოკიდებულება სინამდვილისადმი,<sup>634</sup> რაც პიროვნების მიერ მისგან დამოუკიდებელი ფაქტობრივი გარემოებების ცოდნა-არცოდნასთან, აღქმასთან არის დაკავშირებული. ხოლო ვალდებულებით სამართალში მოქმედებს კეთილსინდისიერების პრინციპის ობიექტური გააზრება, რაც პირის ქცევის შეფასებას გულისხმობს ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე.<sup>635</sup> კეთილსინდისიერების პრინციპი ეყრდნობა კონტრაქტის ქცევის სტანდარტს,<sup>636</sup> იცავს მხარეთა სამართლიან მოლოდინსა და მათ შორის

<sup>631</sup> *Книпер Р.*, Владение в гражданском праве Туркменистана, В книге: Право, Экономика, Благосостояние, Актуальные вопросы правовой реформы в Туркменистане, (Нурыев Я., Чантурия Л., изд.), Ashgabat, 2010, 101.

<sup>632</sup> სუსგ №ას400-648-08, 2 დეკემბერი, 2008წ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, №3, 2008, 40.

<sup>633</sup> სუსგ №3კ1474-02, 18 თებერვალი, 2003 წ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, №4, 2003, 965; სუსგ №ას1263-1503-05, 27 აპრილი, 2006 წ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, №1, 2006, 18.

<sup>634</sup> *ზოდუ ბ.*, ლექციის ჩანაწერი სანივთო სამართალში. 19.03.2010.

<sup>635</sup> *Zeller.* მოსაზრება მითითებულია: *ვაშაკიძე ვ.*, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით. აბსტრაქტია თუ მოქმედი სამართალი, *ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“* №1 (10), 2007, 48.

<sup>636</sup> *იოსელიანი ა.*, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა), *ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“*, სპეც. გამოცემა, 2007, 20.



ურთიერთდობაზე დამყარებულ თანამშრომლობას.<sup>637</sup>

კეთილსინდისიერია მფლობელი, რომელმაც არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა, თავისი ფაქტობრივი ბატონობის უკანონობის შესახებ,<sup>638</sup> ის, ვისაც არ ჰქონდა შესაძლებლობა გაეცნობიერებინა ურთიერთობაში არსებული დეფექტები, დაენახა მფლობელობის ხარვეზიანობა,<sup>639</sup> ვინც მიიჩნევს მის მიერ ნივთის შექენას მართლზომიერად. შექენის სამართლებრივი საფუძველი არის კეთილი რწმენის მტკიცებულება, ის ემსახურება bona fides-ის გამართლებას,<sup>640</sup> ამიტომ, მფლობელის შეცდომა საპატიებელია. ზედაპირული წარმოდგენა კი არ ანიჭებს მფლობელს კეთილსინდისიერების ხარისხს, არამედ საჭიროა, მისი მფლობელობა მოპოვებული იყოს წინდახედულად. ის, ვინც არასაპატიო შეცდომის შედეგად დარწმუნდება თავის სიმართლეში, ვერ ჩაითვლება კეთილსინდისიერად. მხოლოდ გონივრული მოლოდინის გაწვილება გამოიწვევს სამართლებრივ შედეგებს.<sup>641</sup> კეთილსინდისიერი მფლობელი არ უნდა იქნეს განხილული სხვისი უფლების ხელმყოფად, რადგან მის მოქმედებაში არ არის ბრალი.<sup>642</sup>

გერმანიის სამოქალაქო კოდექსში კეთილსინდისიერების ცნება მოცემულია ნეგატიური ფორმულირებით: შემძენი არ არის კეთილსინდისიერი, თუ მან იცის ან უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად არ იცის, რომ ნივთი გამსხვისებელს არ ეკუთვნის (932-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი).<sup>643</sup> უძრავ ნივთთან დაკავშირებით, შემძენის კეთილსინდისიერება არ არსებობს მხოლოდ მაშინ, თუ შემძენმა იცის, რომ ნივთი ეკუთვნის მესამე პირს და არა გამსხვისებელს. ის ვინც იძენს მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებას, მისთვის საადგილმამულო წიგნში ჩანაწერი განიხილება სწორად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს შესაგებელი ჩანაწერის ნამდვილობის შესახებ ან შემძენისთვის ცნობილია ჩანაწერის უზუსტობა.<sup>644</sup>

რუსეთის სკ-ის მიხედვით, მფლობელი ითვლება კეთილსინდისიერად, თუ ნივთის შექენისას მან არ იცოდა და, არც შეეძლო სცოდნოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო უფლებამოსილი მის გასხვისებაზე (302-ე მუხლი).<sup>645</sup> არაკეთილსინდისიერია მფლობელი, ვინც იცის ან გარემოების ძალით უნდა იცოდეს, რომ არა აქვს ნივთის ფლობის უფლება, რადგან განახორციელა მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, ან

<sup>637</sup> ვაშაკიძე გ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით. აბსტრაქტია თუ მოქმედი სამართალი, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“ №1 (10), 2007, 18.

<sup>638</sup> Белов В. А., Гражданское право, М., 2003, 465.

<sup>639</sup> სუსგ №ას-307-712-06,17 ნომბერი, 2006, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და ეკონომიკური საკმეებზე, №1, 2006, 106.

<sup>640</sup> Дернбург Г., Пандекты, Т. 2, пер. Блоха А.Ю., Гальпера А.Я., Унтелова Д. И., Шнейдера К.А., под. ред. Мейендорфа А.Ф., СПб., 1905, 66.

<sup>641</sup> ვაშაკიძე გ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით. აბსტრაქტია თუ მოქმედი სამართალი, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“ №1 (10), 2007, 48.

<sup>642</sup> Шершеневич Г.Ф., Учебник русского гражданского право, Т.1, М., 1914, 277.

<sup>643</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB), (2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით), მთარგმნელი და რედ. ჭეჭელაშვილი ზ., თბ., 2010, 191.

<sup>644</sup> Жалинский А., Рерихт А., Введение в немецкое право, М., 2001, 424.

<sup>645</sup> Борисов А.Б., (ред.), Комментарий к гражданскому кодексу Российской Федерации, Ч, 1, 2, 3, 2-ое изд., М., 2002, 316.

იცის, რომ ნივთი შეიძინა გასხვისებაზე არაუფლებამოსილი პირისგან.<sup>646</sup> ჰოლანდიის სკ-ის მიხედვით, პირი არ მიიჩნევა კეთილსინდისიერად, თუ ის ფლობდა ინფორმაციას ფაქტის ან უფლების შესახებ, რომელთა მიმართაც დადგა მისი კეთილსინდისიერების საკითხი.<sup>647</sup> არაკეთილსინდისიერად მიიჩნევა ის, ვისთვისაც ცნობილია გარემოებები, რომლებიც საღად მოაზროვნე პირს გარიგების მიმართ ეჭვს აღუძრავდა.<sup>648</sup> პირის არაკეთილსინდისიერ მფლობელად შეფასებისას ეჭვი უნდა იყოს გონივრული, ანუ უნდა არსებობდეს იმგვარი ფაქტები და ინფორმაცია, რაც ობიექტურად აკავშირებს არამართლზომიერ მფლობელს სამართალდარღვევასთან.<sup>649</sup> მფლობელის არაკეთილსინდისიერად ცნობისთვის არ არის საკმარისი მარტივი გაუფრთხილებლობა, ის არ ვნებს კეთილსინდისიერებას, საჭიროა, განზრახვა ან უხეში გაუფრთხილებლობა.<sup>650</sup> რუს ცივილისტთა ერთი ნაწილი მარტივ გაუფრთხილებლობასაც არაკეთილსინდისიერების ნიშნად მიიჩნევს (Петражицкий, Амфитеатров, Белов), ხოლო მეორე ნაწილი მხოლოდ განზრახვასა და უხეშ გაუფრთხილებლობას უკავშირებს არაკეთილსინდისიერებას (Толстой, Ровний, Черепяхин).<sup>651</sup>

## 5.5. მესაკუთრისა და არამართლზომიერ მფლობელთა ურთიერთმოთხოვნები ვინდიაკაციისას

### 5.5.1. ნივთისა და ნაყოფის დაბრუნების ვალდებულება

სავინდიაკაციო სარჩელით ნივთის დაბრუნება ყოველთვის ხორციელდება არაკეთილსინდისიერი მფლობელისაგან, მიუხედავად ნივთის კანონიერი მფლობელობიდან გამოსვლის გზისა (ნებით თუ ნების წინააღმდეგ) და შექმნის ხასიათისა (სასყიდლით თუ უსასყიდლოდ), ხოლო კეთილსინდისიერი მფლობელისგან ნივთის გამოთხოვა სწორედ აღნიშნულ გარემოებებზეა დამოკიდებული. მესაკუთრეს შეუძლია კეთილსინდისიერი მფლობელისგან ნივთის დაბრუნება, თუ ნივთი გავიდა მისი მფლობელობიდან ნების წინააღმდეგ (დაკარგა, მოპარეს ან სხვა გზით), მიუხედავად შექმნის ხასიათისა, ხოლო მისი ნებით გასვლისას, მხოლოდ მაშინ, თუ შექმნა მოხდა უსასყიდლოდ (ჩუქება, მემკვიდრეობა).<sup>652</sup>

ფრანგული სამართლის მიხედვით, თუ მესაკუთრემ ნივთი დაკარგა ან მოპარეს, მას შეუძლია ნივთის გამოთხოვა ნებისმიერი სახის უკანონო მფლობელისგან 3 წლის განმავლობაში ნივთის დაკარგვის ან მოპარვის დღიდან. თუ ნივთის შექმნა მოხდა აუქციონზე, ან იმ პირისგან, ვინც

<sup>646</sup> Богданова Е., Добросовестность участников договорных отношений как условие защиты их субъективных гражданских прав, ж. «Хозяйство и право», №2, 2010, 116.

<sup>647</sup> Костюк Н., Добросовестность в российском и зарубежном гражданском праве, ж. „Хозяйство и право“ №12, 2008, 88.

<sup>648</sup> ჯუღელი ვ., კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბ., 2010, 220.

<sup>649</sup> სსსგ საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №2/1/415. კბათუმი, 2009 წ., 6 აპრილი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებები, ბათუმი, 2009, 11.

<sup>650</sup> Пятин С.Ю., Гражданское и торговое право зарубежных стран, М., 2009, 203.

<sup>651</sup> Лоренц Д., О совершенствовании института ограничения виндикации, ж. „Хозяйство и право,“ №8, 2008, 70.

<sup>652</sup> ზოდუ ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, 97-98.

ყილის ანალოგიურ ნივთებს, მესაკუთრე დაიბრუნებს ნივთს, მხოლოდ შემძენისთვის მის მიერ გადახდილი საფასურის გადახდის შემთხვევაში.<sup>653</sup>

ვინდიკაციისას არაკეთილსინდისიერი მფლობელი ვალდებულია დააბრუნოს როგორც ნივთი, ისე მთელი მფლობელობის მანძილზე მიღებული, ასევე, მოხმარებული ან ბრალეულად მიუღებელი ნაყოფის ღირებულება. ხოლო კეთილსინდისიერი მფლობელი ვალდებულია ნაყოფის დაბრუნებაზე იმ მომენტიდან, როცა შეიტყო ან უნდა შეეტყო მფლობელობის უკანონობის თაობაზე, ან მიიღო უწყება მესაკუთრის სარჩელის შესახებ. ის უფლებამოსილია ისარგებლოს ნაყოფით, ვიდრე უფლებამოსილი პირი არ გამოიყენებს უფლებას ვინდიკაციაზე. კეთილსინდისიერ მფლობელს ეკუთვნის ის ნაყოფი, რაც მან მიიღო მანამდე, სანამ გაიგებდა თავისი მფლობელობის უკანონობის შესახებ, რადგან დარწმუნებულია ნივთზე საკუთრების უფლების არსებობაში. საკითხის ასეთი გადაწყვეტა განპირობებულია იმით, რომ ნაყოფი, სამეურნეო სიკეთე ნორმალური მეურნეობის თვალსაზრისით გათვლილია თავისუფალი მოხმარებისათვის. ნივთის კეთილსინდისიერი მფლობელისათვის ჩამორთმევა გამოიწვევს მისი მეურნეობის დარღვევას. ეს ნაყოფი მცდარი სამეურნეო გეგმის გზით უკვე შევიდა მფლობელის მეურნეობის შემადგენლობაში და მყისიერად მისი ამოღება, მისთვის საზიანო იქნება.<sup>654</sup>

არაკეთილსინდისიერი მფლობელი პასუხს აგებს მესაკუთრის წინაშე ნივთის დაკარგვის ან დაზიანებისთვის, როგორც ბრალის არსებობისას, ისე არარსებობისას, ხოლო კეთილსინდისიერი მფლობელი მისთვის სარჩელის წარდგენამდე არ აგებს პასუხს ნივთის დაკარგვის ან დაზიანებისათვის.<sup>655</sup>

## 5.5.2. გაწეული ხარჯების სამართლებრივი შეფასება

არამართლზომიერ მფლობელს თავის მხრივ, შეუძლია მოსთხოვოს მესაკუთრეს ან სხვა უფლებამოსილ პირს, ნივთის შენახვასა და გაუმჯობესებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება იმ დროდან, როცა მესაკუთრეს მიეთვლება ნივთიდან შემოსავალი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მესაკუთრე უსაფუძვლოდ გამდიდრდება. აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, კეთილსინდისიერი მფლობელის უფლებაა, თუ ხარჯები არ არის კომპენსირებული ნივთით სარგებლობით მიღებული ნაყოფით. ხოლო გაუმჯობესება, ისეთი ხარჯები, რაც არ არის დაკავშირებული ნივთის შენახვის აუცილებლობასთან, მაგრამ აქვს სასარგებლო ხასიათი, რადგან ნივთის ღირებულებას ზრდის, ანაზღაურდება იმ შემთხვევაში, როდესაც ნივთის მესაკუთრისთვის დაბრუნებისას ისევ არსებობს. ამასთან, ანაზღაურდება მხოლოდ ის გაუმჯობესება, რომლის გამოცალკევებაც ნივთისგან შეუძლებელია ან შესაძლოა, მაგრამ მას დამოუკიდებლად, მფლობელისთვის არა აქვს მნიშვნელობა. გამოყოფადი

<sup>653</sup> *Васильев Е.А., Комаров А.С.*, (ред.), Гражданское и торговое право зарубежных государств, Т. 2, М., 2006, 376.

<sup>654</sup> *Петражицкий Л.И.*, Право добросовестного владельца на доходы с точек зрения догмы и политики гражданского права, М., 2002, 215.

<sup>655</sup> *Сергеев А. П., Толстой Ю.К.*, (ред.), Гражданское право, 6-ое изд., М., 2004, 562.

გაუმჯობესება შეიძლება დაიტოვოს უკანონო მფლობელმა.<sup>656</sup>

გერმანული სანივთო სამართალი განასხვავებს ერთმანეთისგან სავალდებულო ხარჯებს (ჩვეულებრივი და განსაკუთრებული ხარჯები) და სხვა ხარჯებს, რომლებმაც გამოიწვიეს ნივთის ღირებულების გაზრდა მესაკუთრის სასარგებლოდ. არაკეთილსინდისიერი მფლობელი უფლებამოსილია მოითხოვოს მესაკუთრისაგან მხოლოდ სავალდებულო ხარჯების ანაზღაურება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესების მიხედვით, თუ ეს ხარჯები შეესაბამება მესაკუთრის ნამდვილ ან სავარაუდო ნებას, მის ინტერესებს ან მესაკუთრე გამდიდრდა მათ ხარჯზე. აუცილებელია ხარჯი, რომელიც გაწეულია ქონების ნორმალურ მდგომარეობაში შენარჩუნების მიზნით, მაგალითად, მიმდინარე რემონტი. ზემოხსენებულის გარდა არსებობს ე.წ. ფუფუნებაზე გაწეული ხარჯებიც, რაც გულისხმობს მფლობელის მიერ თვითნებურად გაწეულ ხარჯებს, რომლებიც უკანონო მფლობელს არ აუნაზღაურდება, თუ ამ გზით მიღებული ნივთი გამოუცალკევებადია, სხვა შემთხვევაში მფლობელს აქვს მისი დატოვების უფლება.<sup>657</sup>

სავინდიკაციო სარჩელის საფუძველზე კეთილსინდისიერი შემძენისთვის სასყიდლით შეძენილი ნივთის ჩამორთმევა, არის შედეგი გამყიდველის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისა – გადასცეს შემძენს მესამე პირთა უფლებებისგან თავისუფალი, ანუ უფლებრივად უნაკლო ნივთი და ამით უზრუნველყოს შემძენის მხრიდან ნივთის მშვიდი მფლობელობა.<sup>658</sup>

გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს ნივთზე საკუთრების უფლება სრული მოცულობით იმისათვის, რომ მყიდველმა ნივთის მიმართ განახორციელოს მესაკუთრის ყველა უფლებამოსილება რაიმე შეზღუდვის გარეშე. ნივთის უფლებრივი ნაკლი გულისხმობს, რომ მესამე პირს შეუძლია მყიდველს განუცხადოს პრეტენზია ნივთზე თავისი უფლების გამო, ანუ გაყიდული ნივთი ეკუთვნის არ გამყიდველს, არამედ მესამე პირს. ამიტომ, მას შეუძლია გამოითხოვოს ნივთი შემძენისგან.<sup>659</sup>

შემძენს ევალება, რომ ქონებაზე მესამე პირთა პრეტენზიების შესახებ აცნობოს გამყიდველს და მოითხოვოს მისი ჩართვა პროცესში, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამყიდველი შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან, თუ დაამტკიცებს, რომ მისი მონაწილეობა პროცესში, მის მიერ მტკიცებულებების წარდგენა ხელს შეუშლიდა ნივთის მფლობელობის ჩამორთმევას შემძენისათვის.<sup>660</sup> სხვა შემთხვევაში, მფლობელს, რომელიც ნივთს აბრუნებს, შეუძლია გამყიდველისგან ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს.<sup>661</sup>

<sup>656</sup> *Скловский К. И.*, О правах владельца на плоды и доходы, ж. „Хозяйство и право“, №1, 1999, 52.

<sup>657</sup> *Сергеев А.П., Толстой Ю.К.*, (ред.), Гражданское право, М., 2004, 563.

<sup>658</sup> *Дождев Д.В.*, Римское частное право, М., 1997, 514.

<sup>659</sup> *ქლიერიშვილი ზ.*, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, თბ., 2010, 117.

<sup>660</sup> *Хаскельберг Б.Л., Ровный В.В.*, Консенсуальные и реальные договоры в гражданском праве, М., 2004, 97.

<sup>661</sup> *Савиньи Ф. К.*, Обязательственное право, перевели с немец. *Фукс В., Мандро Н.*, М., 1876, 452.

## 5.6. ვინდიკაციის შეზღუდვის წესი – გერმანული ჩვეულებითი სამართლის მიღწევა

### 5.6.1. რომაული აქსიომის უარყოფა

სავინდიკაციო სარჩელის დაკმაყოფილება, ის რომ უკანონო მფლობელს ჩამოერთმევა ნივთი, განპირობებულია ჯერ კიდევ რომის სამართლიდან მომდინარე პრინციპით: არავის შეუძლია სხვას გადასცეს იმაზე მეტი უფლება, ვიდრე თავად გააჩნია,<sup>662</sup> ე.ი. გამსხვისებელს უნდა გააჩნდეს საკუთრების უფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში ის საკუთრებას ვერ გადასცემს შემძენს. შესაბამისად, შემძენი ხდება მესაკუთრე, თუ გამსხვისებელი იყო მესაკუთრე ან მის მიერ ნივთის გასხვისების უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი.<sup>663</sup> აღნიშნული, ე.წ. მკაცრი ვინდიკაციის პრინციპისაგან განსხვავებით, ძველ გერმანულ სამართალში დაპყვიდრდა პრინციპი, რომელიც დღემდე მოქმედებს კონტინენტური ევროპის სამოქალაქო სამართალში და იწოდება ვინდიკაციის შეზღუდვის წესად. ამ გერმანული ჩვეულებითი სამართლის მიღწევის<sup>664</sup> თანახმად, მესაკუთრის ვინდიკაციის უფლება იზღუდება და შემძენი ხდება ნივთის მესაკუთრე, თუ ნივთი ტიტულოვანი მფლობელის ხელიდან გადის ნებით (თხოვების, მიბარების, ქირავნობის, იჯარის, პირობადებული საკუთრების უფლებით და სხვა საფუძველით) და არაუფლებამოსილი პირის მიერ სასყიდლით ხდება გასხვისება კეთილსინდისიერ შემძენზე.<sup>665</sup> ნივთის კანონიერი მფლობელობიდან მისი ნების წინააღმდეგ გამოსვლის დროს ან უსასყიდლოდ შეძენისას, კანონი მესაკუთრის მხარეზეა და კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესთან შედარებით, მის ინტერესს ანიჭებს უპირატესობას, რადგან მესაკუთრის ნება არ მონაწილეობს მისი მფლობელობის დაკარგვაში, ხოლო უსასყიდლო შეძენისას შემძენისთვის ნივთის ჩამორთმევით, ის არ განიცდის ქონებრივ ზიანს. მესაკუთრეს, რომელიც კარგავს ნივთს, ადგება დადებითი ზიანი, ხოლო კეთილსინდისიერი შემძენი, რომელმაც ნივთი უსასყიდლოდ მიიღო, მისი ჩამორთმევით მხოლოდ სარგებელს კარგავს.<sup>666</sup> ხოლო ვინდიკაციის შეზღუდვის წესის დროს, კანონი უპირატესობას კეთილსინდისიერ შემძენს ანიჭებს.

### 5.6.2. ვინდიკაციის შეზღუდვის წესის მოქმედების სივრცე

ვინდიკაციის შეზღუდვის წესის მოქმედება დაკავშირებულია მთელი რიგი გარემოებების არსებობასთან: 1) შემძენი კეთილსინდისიერია: გულისხმობს კეთილსინდისიერებას გამსხვისებლის, როგორც მესაკუთრის მდგომარეობასთან მიმართებით.<sup>667</sup> აღნიშნული მოძრავ ნივთთან

<sup>662</sup> ძნელადე ნ., ქონების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვისა და საკუთრების უფლების დაცვის სამართლებრივი პრობლემები, ჟურნ. „მართლმსაჯულება“ №2, 2007, 82.

<sup>663</sup> *Хаскельберг Б.Л., Ровный В.В.*, Консенсуальные и реальные договоры в гражданском праве, М., 2004, 101.

<sup>664</sup> *Маттей У., Суханов Е.А.*, Основные положения права собственности, М., 1999, 153.

<sup>665</sup> *Бернхейм Ф., Колер И.*, Гражданское право Германии, СПб., 1910, 140.

<sup>666</sup> *Васковский Е.В.*, Приобретение движимости от несобственника, ж. „Министерства юстиции“, №3, 1895, 92. მოთითებულია: *Бабаев А.Б.*, Система вещных прав, М., 2007, 230.

<sup>667</sup> *Венкитерн М.*, Основы вещного права, В книге: Основные проблемы гражданского и предпринимательского права Германии, М., 2001, 170.

დაკავშირებით გულისხმობს, გამსხვისებლის მიერ ნივთის ფლობას, ხოლო უძრავთან – მისი, როგორც მესაკუთრის დაფიქსირებას მარეგისტრირებელ ორგანოში; 2) ნივთის გამსხვისებელსა და შემძენს შორის დადებულია გარიგება, რომელიც მიმართულია საკუთრების უფლების გადაცემისკენ; 3) გარიგება სასყიდლიანია; 4) შემძენს ფაქტობრივად გადაცემული აქვს ნივთი, რომელიც არ არის ბრუნვიდან ამოღებული ან ბრუნვაში შეზღუდული; 5) ნივთი გამოსულია მართლზომიერი მფლობელის ხელიდან მისი ნებით.<sup>668</sup>

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი, დოქტრინისგან განსხვავებით, რომელიც აღიარებს ვინდიკაციის შეზღუდვის წესს, მკაფიოდ და ნათლად ვერ ასახავს მას. კოდექსის ის ნორმები, რომლებიც ეხება საკუთრების უფლების წარმოშობას ან შეწყვეტას, არ მიუთითებენ კეთილსინდისიერი შემძენის მიერ საკუთრების უფლების მოპოვებაზე და მესაკუთრის უფლების შეწყვეტაზე, როდესაც მესაკუთრის მფლობელობიდან მისი ნებით გასული ნივთი არაუფლებამოსილი პირისგან სასყიდლით გასხვისდება კეთილსინდისიერ შემძენზე.<sup>669</sup> მეცნიერთა ერთი ნაწილი, ამ ვითარებაში, კეთილსინდისიერ შემძენს ადარებს რომაულ ბონიტარულ მესაკუთრეს, რადგან მას გააჩნია მფლობელობაზე მეტი, მაგრამ საკუთრებაზე ნაკლები უფლება.<sup>670</sup>

ვინდიკაციის შეზღუდვის წესს აღიარებს რუსეთის საარბიტრაჟო სასამართლო. მის პრაქტიკაში დამკვიდრდა წესი, რომლის თანახმად, მესაკუთრეს უარი უნდა ეთქვას სავინდიკაციო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ კეთილსინდისიერმა შემძენმა გასხვისებაზე არაუფლებამოსილი პირისგან სასყიდლით შეიძინა მესაკუთრის მფლობელობიდან ნებით გასული ნივთი.<sup>671</sup>

სადავოა საკითხიც, მოქმედებს თუ არა ვინდიკაციის შეზღუდვისას შეძენითი ხანდაზმულობა. დამკვიდრებული შეხედულებით, შეძენითი ხანდაზმულობა ვადის გასვლის გარეშე არ მოიაზრება.

### 5.6.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დანაწესი ვინდიკაციის შეზღუდვის წესის შესახებ

საქართველოს სკ-ის 187-ე მუხლის I ნაწილის I წინადადება: შემძენი ხდება ნივთის მესაკუთრე მაშინაც, როცა გამსხვისებელი არ იყო ნივთის მესაკუთრე, მაგრამ შემძენი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია, პირდაპირ კავშირშია კოდექსისეულ ნორმასთან, რომელიც მესაკუთრედ

<sup>668</sup> *Рахмилович В.А.*, О праве собственности на вещь отчужденную неуправомоченным лицом добросовестному приобретателю (к вопросу о приобретении права от неуправомоченного лица), В книге: Проблемы современного гражданского права, ред. *Литовкин В.Н., Рахмилович В.А.*, М., 2000, 132.

<sup>669</sup> *Моргунов С.*, Добросовестный приобретатель-собственник или давностный владелец? ж. „Хозяйство и право“, №5, 2008, 95.

<sup>670</sup> *Скловский К.И.*, Собственность в гражданском праве, М., 1999, 114. ზოგიერთი რუსი ცივილისტი მხარს უჭერს შეუზღუდავი ვინდიკაციის პრინციპს და დასაშვებად მიიჩნევს მესაკუთრის მიერ ნივთის გამოთხოვას ნებისმიერი შემძენისგან, რაც გაზრდის საკუთრების უფლების ავტორიტეტს და მისი განხორციელების გარანტიის ხარისხს. *Тархов В.А., Рыбаков В.А.*, Собственность и права собственности, Уфа, 2000, 194. მითითებულია: *Лоренц Д.*, О совершенствовании института ограничения виндикации, ж. „Хозяйство и право“, №8, 2008, 69.

<sup>671</sup> *Василевская Л.Ю.*, Учение о вещных сделках по германскому праву, М., 2004, 203.

ყოფნის პრეზუმფციას განამტკიცებს – ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე (158-ე მუხლის I ნაწილი). ორივე ზემოხსენებული ნორმა უზრუნველყოფს მოძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვასა და სამოქალაქო ბრუნვის გამარტივებასა და სიმტკიცეს.

ამასთან, თუ 187-ე მუხლის I ნაწილის I წინადადება ამ მუხლის მეორე ნაწილისგან დამოუკიდებლად იქნებოდა გააზრებული, მაშინ ნებისმიერი ბათილი განკარგვა გამსხვისებლის არაუფლებამოსილების გამო, ნამდვილი იქნებოდა და კეთილსინდისიერი შემძენი ყოველთვის შეიძენდა საკუთრებას. სწორედ, ამ მუხლის მეორე ნაწილის ფუნქციაა დააკონკრეტოს, თუ რა გარემოებების არსებობისას ხდება ნივთის კეთილსინდისიერი შემძენი მესაკუთრე და როდის არ დადგება ეს შედეგი. სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ცვლილების (28.12.2011.) შედეგად, 187-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადება ასე ჩამოყალიბდა: კეთილსინდისიერი შემძენი ვერ გახდება ნივთის მესაკუთრე, თუ ეს ნივთი მესაკუთრემ დაკარგა, მას მოჰპარეს, ან მისი ნების წინააღმდეგ სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან, ანდა შემძენმა ის უსასყიდლოდ მიიღო.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ წინამდებარე ნორმა სწორად განმარტა და მიუთითა, რომ თუ ნივთი მესაკუთრის ხელიდან მისი ნების გარეშე გამოვიდა, ახალი მფლობელი ვალდებულია ნივთი დაუბრუნოს მესაკუთრეს.<sup>672</sup>

ეს დანაწესი პირდაპირ არ მიუთითებს მოძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემძენის მიერ საკუთრების უფლების მოპოვების პირობებზე, თუმცა აღნიშნული განსაზღვრულია ცივილისტურ დოქტრინაში, კერძოდ მესაკუთრის მფლობელობიდან მისი ნებით ნივთის გამოსვლა, ნივთის შექენა კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ, სასყიდლით შექენა. აღნიშნული მუხლის II ნაწილის ფორმულირების მიღმა ლოგიკურად, სწორედ ეს გარემოებები მოიაზრება. მართებულია, ნორმის შემფარდებელმა აღნიშნული ნორმის გამოყენებისას გაითვალისწინოს როგორც არსებული მოცემულობა, ისე მის მიღმა მოაზრებული სინამდვილე.

## 5.7. თეორიები ვინდიკაციის შეზღუდვის წესის შესახებ

ვინდიკაციის შეზღუდვის წესი თავდაპირველად სავაჭრო სამართალში ჩამოყალიბდა, სადაც ბრუნვის ინტერესებმა ადრევე მოითხოვა კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვა. ცივილისტურ დოქტრინაში არსებობს რამდენიმე თეორია, რომელიც ასაბუთებს ამ წესის არსებობას.

### 5.7.1. „მესაკუთრის ბრალის“ თეორია

ამ თეორიის მიხედვით, ნივთის არამართლზომიერ გასხვისებაში ბრალეული თავად მესაკუთრეა, რადგან მას ეკისრებოდა ვალდებულება გულისხმიერად შეერჩია კონტრაჰენტი. მან თავისი ნებით მიანდო არასაიმედო პარტნიორს ნივთი, შესაბამისად, უარყოფით შედეგებზეც

<sup>672</sup> სუსგ №3კ-470-02, 8 ივლისი, 2002, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეებზე, №10, 2002, 1815.

უნდა იყოს პასუხისმგებელი.<sup>673</sup> საპირისპირო მოსაზრებით, მესაკუთრეს ყოველთვის ვერ დაედება ბრალი უყურადღებობაში, მესაკუთრე ნივთის დროებით მფლობელობაში გადაცემის ხელშეკრულების დადებისას შესაძლოა, უფრო წინდახედულად მოქმედებდეს, ვიდრე საკუთრივ ნივთის შეძენისას. ხოლო ვარაუდი მესაკუთრის ბრალის შესახებ, თავისი არსით ნიშნავს მესაკუთრის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას საკუთარი თავის მიმართ, რაც დაუშვებელია.<sup>674</sup>

### 5.7.2. „მოჩვენებითი უფლების“ თეორია

აღნიშნული თეორია ემყარება უფლების გარეგნულ ხედვას, ანუ თუ ნივთი იმყოფება არამესაკუთრის ფაქტობრივ მფლობელობაში, ეს ქმნის მფლობელის მესაკუთრედ ყოფნის მოჩვენებითობას. მესამე პირებისთვის ის მიიჩნევა მესაკუთრედ, რადგან მათთვის უფლების ხარვეზი ამოუცნობია. საქონელბრუნვის უსაფრთხოება მოითხოვს, რომ არსებობდეს ნდობა გარეგნული ფაქტობრივი მდგომარეობისადმი, გარეგნულ სიცხადეში გამსხვიისებელის მფლობელობა იგულისხმება. ამდენად, საკუთრება შეიძლება შეძენილ იქნეს ასევე იმ პირისგან, რომელიც ქმნის უფლების არსებობის მოჩვენებითობას. ამასთან, არსებობს მოსაზრება, რომელიც აფართოებს ვინდიკაციის შეზღუდვის წესის მოქმედების ფარგლებს და მიუთითებს, რომ კეთილსინდისიერი შემძენის მიერ საკუთრების უფლების შეძენა დასაშვებია უნდა იყოს ნებისმიერი სახის მფლობელისგან, რადგან უფლების მოჩვენებითობა შეიძლება არსებობდეს ნაქურდალი ნივთის გამყიდველის მხარეზეც.<sup>675</sup>

### 5.7.3. „ნაკლები ბოროტების“ თეორია

კეთილსინდისიერი შემძენისა და მესაკუთრის ინტერესთა კოლიზიის დროს, საკითხი წყდება იმ პირის სასარგებლოდ, რომელსაც აქვს ნაკლები შესაძლებლობა დაიცვას საკუთარი ინტერესები, თუ საკითხი ნივთის ჩამორთმევის თაობაზე მის საწინააღმდეგოდ გადაწყდება. კანონმდებელი მესაკუთრისთვის ვინდიკაციაზე უარის თქმისას, ითვალისწინებს, რომ მესაკუთრემ, როგორც წესი იცის ის პირი, რომელსაც გადასცა ქონება და აქვს შესაძლებლობა მოითხოვოს მისგან ზიანის ანაზღაურება. ამ ვითარებაში, კეთილსინდისიერი შემძენისთვის ნივთის ჩამორთმევისას, ეს უკანასკნელი გაცილებით რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. კერძოდ, მეტია ალბათობა, რომ მან არ იცოდეს, თუ ვისგან იყიდა ნივთი, შესაბამისად, ნაკლები შესაძლებლობა გააჩნია მოითხოვოს მისგან ზიანის ანაზღაურება. სხვა მდგომარეობაა მესაკუთრის მფლობელობიდან მისი ნების წინააღმდეგ ნივთის გასვლისას. აქ, ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის თვალსაზრისით, უკეთეს მდგომარეობაში კეთილსინდისიერი შემძენია. მესაკუთრისგან განსხვავებით, რომელსაც ამ სიტუაციაში საერთოდ არ ჰყავს კონტრაჰენტი, მას აქვს წარმოდგენა გამყიდველზე. ამიტომ, მესაკუთრეს

<sup>673</sup> *Скловский К.И.*, Собственность в гражданском праве, М., 1999, 91.

<sup>674</sup> *Лоренц Д.*, О совершенствовании института ограничения виндикации, ж. „Хозяйство и право“, №8, 2008, 70.

<sup>675</sup> *Кобан А.*, მოსაზრება მითითებულია: *Лоренц Д.*, О совершенствовании института ограничения виндикации, ж. „Хозяйство и право“, №8, 2008, 71.



უბრუნდება ნივთი, ხოლო კეთილსინდისიერ მფლობელს შეუძლია მოს-  
თხოვოს გამსხვისებელს ზიანის ანაზღაურება.

## 5.8. სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოება, როგორც სოციალური სიკეთე საკუთრების უფლების პირისპირ

### 5.8.1. ვინდიკაციის შეზღუდვით დამცრობილი საკუთრება

ვინდიკაციას შეზღუდვის წესმა ასახვა ჰპოვა გერმანიის სამოქალაქო კოდექსში სოციალ-დემოკრატი ანტონ მენგერის კრიტიკის მიუხედავად, რომელიც მასში ხედავდა საკუთრების მუდმივ, ფართო მასშტაბის ექსპროპრიაციას სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლების უზრუნველსაყოფად, აფასებდა მას, როგორც სავაჭრო სულის გამარჯვებას სანივთო სამართალზე.<sup>676</sup> ვინდიკაციის შეზღუდვის წესი მოიცავს ქონების ჩამორთმევის საშიშროებას მესაკუთრისთვის და საპირისპიროდ, იქმნება საფუძველი სხვა პირის შემთხვევით გამდიდრებისთვის. ერთი მხრივ, მარტივდება ფასეულობათა ბრუნვა, მაგრამ ხდება საკუთრების მნიშვნელობის დაკნინება სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოებისთვის.<sup>677</sup> ერთი მხრივ, საკუთრების უფლების და მეორე მხრივ, ბრუნვის უზრუნველყოფა ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენებია, რომელთაგან ხშირად თითოეული მიიღწევა მეორის ხარჯზე.

უფლების უზრუნველყოფა გულისხმობს, რომ პირის ნების გარეშე არ მოხდეს არსებული ქონებრივი სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლა, ხოლო ბრუნვის უზრუნველყოფა ნიშნავს, რომ არსებული ქონებრივი ურთიერთობების სასიკეთო ცვლილებები არ შეწყდეს პირისთვის უცნობი გარემოებების წყალობით (პეტრაჟიცკი).<sup>678</sup>

თუ სავაჭრო სამართალში კეთილსინდისიერი შემძენის უპირატესობა მესაკუთრესთან შედარებით დასაშვებია, რადგან მას საქმე აქვს ნივთებთან, რომლებიც ჯერ კიდევ არ იმყოფებოდნენ პირის სარგებლობაში, სამოქალაქო ბრუნვაში ნივთები არც თუ იშვიათად, წარმოადგენენ სუბიექტურად ფასეულს და მესაკუთრისთვის მათი გამოთხოვის უფლების შეზღუდვა უსამართლობაა. აღნიშნული ადამიანის გრძნობათა ხელყოფაა ფულადი ინტერესების სასარგებლოდ.<sup>679</sup> ვინდიკაციის შეზღუდვის წესის დროს, ხდება საკუთრების უფლების უსაფუძვლოდ შეძენის ლეგიტიმაცია სამართლებრივად ისეთ ხარვეზიან ფაქტებზე დაყრდნობით, როგორიცაა ბათილი გარიგება.<sup>680</sup> ვინდიკაციის შეზღუდვის წესი იყო გერმანელი კრიმინალისტი ბინდინგის კრიტიკის საგანიც, რადგან ის ეწინააღმდეგება სამართლიანობას კეთილსინდისიერი შემძე-

<sup>676</sup> მოსაზრება მითითებულია: *Книпер Р.*, Закон и история, Баден-баден, Алматы, 2005, 212.

<sup>677</sup> *Покровский И.А.*, Основные проблемы гражданского права, М., 1998, 170.

<sup>678</sup> მოსაზრება მითითებულია: *Скловский К. И.*, Собственность в гражданском праве, М., 1999, 9.

<sup>679</sup> *Черепяхин Б.Б.*, Юридическая природа и обоснование приобретения права собственности от неуправомоченного отчуждателя, Ученые записки свердловского юридического института, Т.1, 1947, 82.

<sup>680</sup> *Симолин А.А.*, Определение владения по нашему проекту и Германскому уложению, В книге: Возмездность, безвозмездность, смешанные договоры и иные теоретические проблемы гражданского права, М., 2005, 503.

ნისთვის უპირატესობის მინიჭებით მესაკუთრესთან შედარებით, რომელიც ასევე კეთილსინდისიერი შემქმენი იყო და უფრო ადრინდელი.<sup>681</sup>

კეთილსინდისიერი შემქმენის ინტერესების დაცვას საფუძვლად უდევს არა იმდენად სამართლიანობის პრინციპი, არამედ საქონელბრუნვის ინტერესი, მისი გამყარების აუცილებლობა.<sup>682</sup> გახშირებული სასაქონლო ურთიერთობისას, შემქმენს სათანადო გულისხმიერებისა და წინდახედულობის გამოჩენის დროსაც შესაძლოა, ვერ დაედგინა გამყიდველის უფლებამოსილება გასაყიდ ნივთზე. ამ წესის დაშვების გარეშე, შემქმენი ვერასდროს იქნებოდა დარწმუნებული იმაში, რომ გახდა მესაკუთრე და, რომ არ გამოჩნდებოდა სხვა პირი, რომელიც იმავე ნივთზე დაამტკიცებდა თავის საკუთრებას და ნივთს ჩამოართმევდა. მანამ, სანამ უკანონო მფლობელი არ მოიპოვებს საკუთრებას, მას არ შეუძლია ნივთის გასხვისება. ამით, ნივთი ხანგრძლივი დროით ბრუნვიდან ვარდება. სწორედ ბრუნვის ინტერესები მოითხოვს ნივთის დაბრუნებას ბრუნვაში, უკანონო მფლობელის მხარეზე საკუთრების უფლების წარმოშობის გზით.

### 5.8.2. მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია – კეთილსინდისიერი შემქმენის ინტერესების დაცვის ბერკეტი

მოძრავი ნივთების შემქმენის მხრიდან გამსხვისებლის მხარეზე საკუთრების ტიტულის არსებობისადმი მინდობილ დამოკიდებულებას აფუძნებს მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია: ივარაუდება, რომ მოძრავი ნივთის მფლობელი მისი მესაკუთრეა. სამოქალაქო ბრუნვაში წესისამებრ, მფლობელი წარმოადგენს ნივთის მესაკუთრეს. ამ სამართლებრივ გულებას ამაგრებს მოძრავ ნივთებზე საკუთრების წარმოშობის წესი, რაც გულისხმობს ნივთის შემქმენის მფლობელობაში გადაცემას. შესაბამისად, შემქმენს თუ არა კონტრაქტის კეთილსინდისიერებისადმი ნდობა, სხვა სამართლებრივი გზა მისი მესაკუთრეობის შემოწმებისა არ გააჩნია. ბრუნვის მონაწილეთა ასეთი ურთიერთდამოკიდებულება ხელს უწყობს ბრუნვის სიმყარესა და სიმარტივეს. ამ პრეზუმფციის არ არსებობისას გამყიდველი ვალდებული იქნებოდა ემტკიცებინა საკუთრების უფლების არსებობა ნივთზე, მიუხედავად მისი ღირებულებისა.<sup>683</sup>

შემქმენის მხრიდან შემქმენის სამართლებრივი ტიტულის მიმართ ურწმუნოების აღძრვა, არ არის სამართლის პოლიტიკის მიზანი.<sup>684</sup> მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფციის არსებობას ხსნის სამოქალაქო ბრუნვის გამარტივების ცდა, შემქმენი ნაკლებად უნდა იყოს დატვირთული გამსხვისებლის ტიტულის შემოწმებით, ხოლო მესაკუთრემ უნდა გამოავლინოს მაქსიმალური ყურადღება საკუთარი ქონებისა და კონტრა-

<sup>681</sup> მოსაზრება მითითებულია: *ძველადე ნ.*, ქონების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვისა და საკუთრების უფლების დაცვის სამართლებრივი პრობლემები, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, №2, 2007, 87.

<sup>682</sup> *Скворцов О.Ю.*, Вещные иски в судебно-арбитражной практике, М., 1998, 59.

<sup>683</sup> *ზოდუ ბ.*, ქართული საწილო სამართალი, თბ., 2003, 67.

<sup>684</sup> *Рахмилович А.В.*, О праве собственности на вещь отчужденную неуправомоченным лицом добросовестному приобретателю, В книге: Проблемы современного гражданского права, ред. *Литовкин В. Н., Рахмилович В.А.*, М., 2000, 131.

პენტების მიმართ.<sup>685</sup> სამართალს სჭირდება უფრო მოქნილი, კომპრომისული კონსტრუქცია, ვიდრე შეუზღუდავი ვინდიკაციაა. დოქტრინალური იდეალების დაცვა ყოველთვის არ შეესაბამება ცხოვრებისეულ მოთხოვნებს. თანამედროვე კანონმდებლობა აბალანსებს სამოქალაქო სამართლის სუბიექტების ინტერესებს ვინდიკაციის შეზღუდვის პრინციპის განმტკიცებით.<sup>686</sup>

### 5.8.3. განსაკუთრებული ბრუნვაუნარიანობის ნივთები ვინდიკაციის შეზღუდვის წესის მოქმედების არეალში

ვინდიკაციის შეზღუდვის წესი მოქმედებს ასევე ფულის, ფასიანი ქაღალდებისა<sup>687</sup> და საჯარო ვაჭრობის წესით შექმნილი ნივთების მიმართ, მიუხედავად კეთილსინდისიერი შემძენის მიერ მათი შეძენის ხასიათისა და მესაკუთრის მფლობელობიდან ნივთის გასვლის წესისა. ეს ნივთები განსაკუთრებული ბრუნვაუნარიანობით ხასიათდებიან და ამასთან, ძნელია მესაკუთრემ პრაქტიკულად მოახდინოს მათი ინდივიდუალიზაცია. ამიტომ ამ ნივთების მიმართ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მაღალი ნდობა ბრუნვის მონაწილეთა მხრიდან.<sup>688</sup> საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის დაკარგვისას, მის ყოფილ მფლობელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს დაკარგული ფასიანი ქაღალდის ბათილად ცნობისა და დაკარგულზე უფლების აღდგენის თაობაზე. აღნიშნული ხელს უშლის იმ მესამე პირების უფლებების განხორციელებას, რომლებიც ფასიანი ქაღალდების ფაქტობრივი მფლობელები არიან, რაც ეწინააღმდეგება სასაქონლო ბრუნვის პრინციპებს. ამიტომ, დასაშვებია ვინდიკაციის შეზღუდვა ფასიანი ქაღალდის მფლობელის მიმართ, თუ ცნობილია საბუთის ხელთ მქონე.<sup>689</sup> საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ფულისა და ფასიანი ქაღალდის დაკარგვისას, დაიშვება პუბლიკაციის გამოქვეყნება, რაც გამოორიცხავს შემძენის კეთილსინდისიერებას. ნივთის უკანონო მფლობელის დაუდგენლობისას, მესაკუთრეს მიეცემა ახალი ფასიანი ქაღალდი.<sup>690</sup>

<sup>685</sup> *Смирных А.Г.*, Защита интересов добросовестного приобретателя, ж. „Журнал российского права“, №11, 2001, 93.

<sup>686</sup> *Багиров А.*, Понятие и гражданско-правовое значение владения как элемента права собственности, ж. „Южно-Кавказский юридический журнал“, №1, 2010, 64.

<sup>687</sup> ფასიანი ქაღალდი დადგენილი ფორმის მქონე საბუთია (დოკუმენტი), რომლის წარმოდგენაც აუცილებელია მასშივე გამოხატული ქონებრივი უფლებით შესრულების მისაღებად. *ზარნაძე ე.*, საორდერო ფასიანი ქაღალდი და მისი სამართლებრივი მოწესრიგების ძირითადი ასპექტები, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, 2011, 51.

<sup>688</sup> *Симолин А.А.*, Определение владения по нашему проекту и Германскому уложению, В книге: Возмездность, безвозмездность, смешанные договоры и иные теоретические проблемы гражданского права, М., 2005, 503. ვინდიკაციის შეზღუდვის წესი იმ კეთილსინდისიერი შემძენის სასარგებლოდ, რომელმაც შეიძინა საბრუნავი დოკუმენტები, მიუხედავად მესაკუთრის მფლობელობიდან მათი გამოსვლის წესისა, დადგენილია საერთო სამართალშიც. *Раевич С.М.*, Гражданское право буржуазно-капиталистического мира в его историческом развитии, М., 1929, 50.

<sup>689</sup> *ქლიერიშვილი ზ.*, დაკარგულ საწარმდგენლო ფასიან ქაღალდსა და საორდერო ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენა (გამოწვევითი წარმოება), ჟურნ. „სამართალი“, №3, 2000, 28.

<sup>690</sup> *Ровный В.В.*, Эвикция, Проблема конкуренции исков и права собственности, ж. «Правоведение», №5, 2000, 10.

საქართველოს სკ-ის 187-ე მუხლის II ნაწილის II წინადადება შეეხება ვინდიკაციის შეზღუდვის წესს ამ ობიექტებზე. დანაწესი – ეს შეზღუდვები არ მოქმედებს ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და აუქციონზე გასხვისებული ნივთების მიმართ – ნიშნავს, რომ არაუფლებამოსილი პირის მიერ ამ ნივთების გასხვისებისას, კეთილსინდისიერი შემქენი შეიძენს მათზე საკუთრებას, მიუხედავად მათი მესაკუთრის მფლობელობიდან ნების წინააღმდეგ გამოსვლისა ან შეძენის უსასყიდლო ხასიათისა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღების დროისთვის, ქართული სააქციო სამართალი გერმანული სამართლის მსგავსად, ორი ძირითადი სახის აქციას იცნობდა: საწარმდგენლოს (ფასიანი ქაღალდი, რომელშიც მითითებული არ არის კრედიტორის ვინაობა და დოკუმენტის გამცემი ვალდებულია განახორციელოს შესრულება ფასიანი ქაღალდის წარმომდგენის მიმართ) და სახელობით (განსაზღვრული პირის სახელზე გამოწერილი დოკუმენტი, რომლითაც მხოლოდ ამ პირს აქვს მოთხოვნის უფლება),<sup>691</sup> რომელიც მატერიალიზებული ფორმით არსებობდა.

ამასთან, წარმომდგენის აქციების მიმართ გამოიყენებოდა მოძრავი ნივთების სამართლებრივი რეჟიმი, კერძოდ, მათზე საკუთრების შეძენის წესები, რაც გულისხმობს მხარეთა შეთანხმებას (კაუზა) და გადაცემას.<sup>692</sup> „მეწარმეთა შესახებ კანონში“ 1999 წელს განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, გაუქმებულ იქნა წარმომდგენის აქცია, როგორც აქციის დამოუკიდებელი სახე, რომელსაც თავისი დადებითი მხარე გააჩნდა: სწრაფი და მარტივი გასხვისების რეჟიმი და ინვესტირების სისწრაფე. აღნიშნული ნაბიჯი განპირობებული იყო სხვადასხვა გარემოებით, კერძოდ, მსოფლიოს ფასიანი ქაღალდების ბაზართან ნაციონალურ საწარმოთა ფასიანი ქაღალდების დაახლოების მცდელობით, საქართველოში იმ დროს არსებული რეალობის გათვალისწინებით, რომ სააქციო საზოგადოებათა უმრავლესობას ფასიანი ქაღალდები წარმომდგენის ფორმით არც ჰქონდა გაცემული, ასევე, სააქციო საზოგადოებათა ინტერესით – მეტად გაეკონტროლებინა საკუთარი აქციონერების წრე<sup>693</sup>.

დღეს მხოლოდ ერთი სახის, სახელობით აქციას იცნობს ქართული სააქციო სამართალი, რომელიც არამატერიალიზებული ფორმით გაიცემა,<sup>694</sup> შესაბამისად, აქცია აღარ მოიაზრება 187-ე მუხლში მითითებული ფასიანი ქაღალდების წრეში.

<sup>691</sup> ზარნაძე ე. ფასიანი ქაღალდების ცნება და მათი კლასიფიკაცია, პროფ. ხ. ახვლედიანის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2004, 96.

<sup>692</sup> ბურდული ი., ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში (ქართული და ავსტრიული სამართლის მაგალითზე), თბ., 2008, 179.

<sup>693</sup> ბურდული ი., თანამედროვე ქართული საკორპორაციო სამართალი (მოკლე მიმოხილვა), პროფ. რ. შენგელიას 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები, თბ., 2012, 238.

<sup>694</sup> ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები (გერმანული და ქართული სამართლის მაგალითზე), ტ. I, თბ., 2010, 250.

#### 5.8.4. რეგისტრაციის მონაცემთა სისწორისა და სანდოობის პრეზუმფცია შემქმნის ინტერესთა უზრუნველსაყოფად

ვინდობის შეზღუდვის წესი მოძრავ ნივთებთან დაკავშირებით მოქმედებს, მაგრამ დაცულია თუ არა უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემქმნი, რომელმაც ნივთი გასხვისებაზე არაუფლებამოსილი პირისგან შეიძინა.

იმ ქვეყნებში, სადაც უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება შესაბამისი სახელმწიფო რეგისტრაციით ხორციელდება (მაგალითად, გერმანია, შვედეთი, საქართველო, რუსეთი) კეთილსინდისიერი შემქმნის დაცვის ფუნქციას, მოძრავ ნივთებზე გამსხვისებლის მფლობელობის ფაქტის ნაცვლად, რეგისტრაციის მონაცემები ასრულებენ, რომლითაც ფიქსირდება გამსხვისებელი, როგორც მესაკუთრე. რეგისტრაციის მონაცემთა მიმართ მოქმედი საჯაროობის, უტყუარობისა და სისწორის პრეზუმფციაზე დაყრდნობით, ბრუნვის ნებისმიერ მონაწილეს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია განსაზღვრული უძრავი ნივთის თაობაზე მასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობამდე.<sup>695</sup> ამასთან, სახელმწიფო რეგისტრაციის ყოველგვარი ჩანაწერი, თუნდაც რეალობის არ ამსახველი ითვლება სწორედ, ვიდრე არ გასაჩივრებულა დადგენილი წესით და არ ყოფილა შეცვლილი,<sup>696</sup> ანუ უფლების გარეგნული სიცხადე (რეგისტრაციის მონაცემი) ივარაუდება, რომ შეესაბამება რეალურად არსებულ უფლებას.<sup>697</sup> პირი მხოლოდ მაშინ შეიძლება დაეყრდნოს სარეგისტრაციო ჩანაწერის სანდოობას, თუ არ იცოდა მისი უსწორობის შესახებ. კეთილსინდისიერება უნდა არსებობდეს რეგისტრაციის მომენტისათვის.

საქართველოშიც, საჯარო რეესტრი წარმოადგენს არა უბრალოდ უფლების ფიქსაციის, არამედ ამ უფლების შექმნის საფუძველს, უფლების წარმოშობის პროცესის დამაგვირგვინებელ სტადიას.<sup>698</sup> ის სანდო და მოწესრიგებული სამოქალაქო ბრუნვის სერიოზული გარანტიაა. საქართველოს სკ-ის 312-ე მუხლით გათვალისწინებული უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია საჯარო რეესტრის მონაცემთა მიმართ, სერიოზული გამოვლინებაა სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპისა, ესაა სახელმწიფოს სერიოზული პასუხისმგებლობა ბრუნვის მონაწილეთა მიმართ.<sup>699</sup> იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე

<sup>695</sup> საჯაროობის პრინციპის პრაქტიკული გამოხატულება ინფორმაციის ხელმისაწვდომობაში ვლინდება. სარეგისტრაციო პროგრამები უზრუნველყოფს ქონებაზე ბოლო სარეგისტრაციო მდგომარეობით არსებული ინფორმაციის საჯაროობას. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მარეგისტრირებელი ორგანოდან ყოველგვარი იურიდიული ინტერესის გარეშე შეამოწმოს და მიიღოს ინფორმაცია ქონებაზე არსებული უფლებების თაობაზე. *შოთაძე თ.*, იპოთეკა, როგორც საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, თბ., 2012, 153.

<sup>696</sup> *Чубаров В.В.*, Вопросы государственной регистрации прав на недвижимое имущество и сделок с ним, В книге: Проблемы современного гражданского права, ред. *Литовкин В.Н., Рахмилович В.А.*, М., 2000, 154.

<sup>697</sup> *Эрделевский А.*, Об истребовании имущества у добросовестного приобретателя, ж. „Хозяйство и право“, №5, 2005, 10.

<sup>698</sup> სუსგ №ბს 502-431-კ-04, 7 ოქტომბერი, 2004 წ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეებზე, №1, 2005, 180.

<sup>699</sup> *ზოდუ ბ.*, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005, 261.

იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვიებლის სახელზე იყო რეგისტრირებული რეესტრში, ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ჩანაწერის წინააღმდეგ შეტანილი იყო საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი იყო უზუსტო.<sup>700</sup> ზემოხსენებული პრინციპი გამორიცხავს მონაცემთა არცოდნას შემძენის მხრიდან. მის მიერ მათი გაუთვალისწინებლობა გაგებულ უნდა იქნეს, როგორც მიუტყვებელი გაუფრთხილებლობა, რაც უგულებელყოფს მის კეთილსინდისიერებას.<sup>701</sup> რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია შემძენს უადვილებს უფლების კანონიერების მტკიცების პროცესს. მონაცემთა უსწორობა და შემძენისთვის ამ ფაქტის ცოდნა მოდავე მხარემ უნდა ამტკიცოს. თუ მხარე სადავოდ ხდის შემძენის კეთილსინდისიერებას, სასამართლოს არ შეუძლია თავისი დასკვნა ნივთის შემძენის კანონიერებაზე დააყრდნოს მხოლოდ საჯარო რეესტრის ჩანაწერს. სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს ჩანაწერის სისწორე და გამოიკვლიოს რა იცოდა შემძენმა მისი ხარვეზიანობის შესახებ. ამ საკითხის გამორკვევისას, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს შემძენის შესაძლებლობანი რეესტრის ჩანაწერის ცოდნასთან დაკავშირებით, ანუ უნდა გაირკვეს, შემძენს გონივრული წინდახედულობის ფარგლებში შეეძლო და უნდა სცოდნოდა თუ არა სადავო ფაქტი, სწორედ ამ გარემოების გამოკვლევას უნდა ეფუძნებოდეს დასკვნა შემძენის ნამდვილობისა და შემძენის დაცვის მიზანშეწონილობის თაობაზე.<sup>702</sup>

უძრავი ნივთის კეთილსინდისიერ შემძენად ვერ იქნება მიჩნეული პირი, რომელმაც იცის, რომ ხელშეკრულებას დებს პირთან, ვისაც არა აქვს უძრავი ნივთის გასხვიების უფლება (მაგალითად, პირი, რომელმაც გააყალბა მინდობილობა, საჯარო რეესტრის მიერ გაცემული ცნობა ან უშუალოდ თვითონ შეადგინა ყალბი დოკუმენტი), ასევე ის, ვინც იცის, რომ რეესტრში რეგისტრირებულ კონკრეტულ ქონებაზე მესაკუთრის უფლების ან სხვა ჩანაწერის მიმართ არსებობს დავა; პირი, რომლისთვისაც ცნობილია რეესტრში არსებული ჩანაწერის უზუსტობის შესახებ.<sup>703</sup>

მიუხედავად იმისა, რომ უძრავ ნივთზე საკუთრების წარმოშობის სახელმწიფო რეგისტრაციის სისტემის არსებობისას, ნივთის არამართლზომიერი შეძენა მინიმუმამდეა დაყვანილი, არ არის გამორიცხული უძრავ ნივთზე შეცდომით განხორციელებული რეგისტრაცია. რუსულ დოქტრინაში არის მოსაზრება, რომ რუსეთში არ გამართლდა ის იმედები, რასაც ამყარებდნენ უძრავი ქონების ბრუნვის სარეგისტრაციო სისტემაზე, რასაც ადასტურებს სახელმწიფო რეგისტრაციასთან დაკავშირებული დავების გაზრდილი რაოდენობა.<sup>704</sup> ბრუნვის არასაიმედობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ უძრავი ნივთის შემძენი არ არის ხშირად

<sup>700</sup> ბოლინგი პ., ჭანტურია ლ., სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, II გამოცემა, თბ., 2004, 262.

<sup>701</sup> *Скловский К.И.*, Собственность в гражданском праве, М., 1999, 231.

<sup>702</sup> სუსგ №ას 274-604-07, 11 დეკემბერი, 2007წ, საქართველოს უზენაესი სასამართლო გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, №1, 2007, 105.

<sup>703</sup> *ჩიქოშვილი თ.*, ვინდიკაცია როგორც უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დაცვის საშუალება, პროფ. რ. შენგელიას 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები, თბ., 2012, 265.

<sup>704</sup> *Скловский К.И.*, Премениение норм о доброй совести в гражданском праве России, ж. „Хозяйство и право“, №9, 2002, 92.

დარწმუნებული, რომ მის მიერ დადებული ხელშეკრულება უზრუნველყოფს მის უფლებას შექმნილ ნივთზე. გამოსავალი მოიძებნა კანონმდებლის მიერ 2001 წელს მიღებული კანონპროექტით „უძრავ ქონებაზე უფლებისა და მასთან დაკავშირებული გარიგებების სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ“, რომელიც შემდეგ კანონად იქცა და იცავს იმ კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესებს, რომელმაც სასყიდლით შეიძინა მესაკუთრის მფლობელობიდან ნებით გასული ნივთი გასხვისებაზე არაუფლებამოსილი, მაგრამ მესაკუთრედ რეგისტრირებული პირისგან. კეთილსინდისიერი შემძენი შეძენისთანავე ხდება მესაკუთრე, ხოლო დაზარალებულ ყოფილ მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს კომპენსაცია სახელმწიფოს მიერ სპეციალურად შექმნილი ფონდიდან.<sup>705</sup> დოქტრინაში სამართლიანად მიიჩნევენ პრობლემის ამგვარ გადაწყვეტას: წინა მესაკუთრე მეტნაკლებად ბრალეულია, რომ დაუშვა ან შეინარჩუნა განსხვავება უფლების სიცხადესა და რეალურად არსებულ უფლებას შორის.

საქართველოს სკ იცავს უძრავი ნივთის კეთილსინდისიერ შემძენს, რომელიც ეყრდნობა საჯარო რეესტრის მონაცემებს. კერძოდ, 185-ე მუხლი კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესებით ხელმძღვანელობს და მის საკუთრებას მოუდევარს ხდის, თუნდაც გამსხვისებელი არ იყოს მესაკუთრე, მაგრამ შემძენი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია, რადგან ეყრდნობა საჯარო რეესტრის ჩანაწერს. შემძენის ასეთი უფლებრივი მდგომარეობა განპირობებულია საჯარო რეესტრის სპეციფიკური დანიშნულებით სამოქალაქო ბრუნვის მექანიზმში, ის დგას მესაკუთრესა და შემძენს შორის, და თუ მყიდველი კეთილსინდისიერად დაეყრდნო მის მონაცემს, ამ უკანასკნელის მცდარობის შემთხვევაშიც კეთილსინდისიერება იმარჯვებს საკუთრებაზე. ეს მიდგომა ამარტივებს შემძენის ტვირთს და ზღუდავს მისი წინდახედულობის ზომების დაცვის არეალს, რაც თავის მხრივ, სამოქალაქო ბრუნვის გამარტივებასა და სტაბილურობას ემსახურება. სისწორისა და უტყუარობის პრეზუმფცია მყიდველს უქმნის იმის გარანტიას, რომ მონაცემთა უსწორობისა და გამყიდველის არამართლზომიერ მდგომარეობაში ჩაყენების მიუხედავად, მყიდველის კეთილსინდისიერ ნდობას რეესტრის მიმართ, სადავოობის შემთხვევაში უპირატესი იურიდიული ძალა ენიჭება.<sup>706</sup>

<sup>705</sup> *Чубаров В.В.*, Вопросы государственной регистрации прав на недвижимое имущество и сделок с ним, В книге: Проблемы современного гражданского права, ред. *Литовкин В.Н., Рахмилович В.А.*, М., 2000, 154. აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობაც იცნობს ამ პრეზუმფციას. მაგალითად, აზერბაიჯანის სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს უძრავ ქონებაზე სახელმწიფო რეესტრის მონაცემთა ნამდვილობისა და სისრულის პრეზუმფციას. ამდენად, შემძენის ინტერესების დაცვის მიზნით, რეესტრის ჩანაწერს, რომელიც ეკუთვნის რეგისტრირებულ პირს, გამსხვისებელს გარიგების საფუძველზე, მიიჩნევენ ნამდვილად, თუკი რეესტრის ჩანაწერის თაობაზე არ არსებობს შესაგებელი ან შემძენმა არ იცოდა ჩანაწერის უზუსტობის შესახებ. *Султанов М.*, Собственность и владение – опыт в Азербайджане, ж. „ЮжноКавказский юридический журнал“, №1, 2010, 45.

<sup>706</sup> სუსე №ს203-622-06, 24 იანვარი, 2006 წ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, №1, 2007, 91-92.

## 6. მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისას

### 6.1. მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის არსი

განსაზღვრული სამართლებრივი მიზნის შესაძლო მიღწევისას ერთდროულად სხვადასხვა სამართლებრივი საშუალებით, როდესაც ერთი მოთხოვნა (მოთხოვნა არის სხვა პირისაგან რაიმე ქმედების, მოქმედება ან მოქმედებისგან თავის შეკავება, განხორციელების მოთხოვნის უფლება)<sup>707</sup> განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართალურიერთობის საფუძველზე მრავალგზის წარმოიშობა, ადგილი აქვს მოთხოვნის საფუძველთა (სარჩელთა) კონკურენციას.<sup>708</sup> აღნიშნული განსხვავდება მოთხოვნათა კონკურენციისაგან, რომლის დროსაც რამდენიმე დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება პარალელურად წარმოიშობა სხვადასხვა ან ერთი და იგივე სამართლებრივი საფუძველიდან და ერთმანეთს გამორიცხავს.<sup>709</sup> მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის დროს (მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი მოცემულია კანონის იმ ნორმებში, რომელთა თანახმად, ერთ პირს მეორისგან შეუძლია განსაზღვრული მოქმედების შესრულება ან ასეთი მოქმედებისგან თავის შეკავება)<sup>710</sup> ერთი და იგივე მოთხოვნის განხორციელება სხვადასხვა სამართლებრივი საშუალებით არის შესაძლებელი.<sup>711</sup> ამ დროს უფლებამოსილ პირს ეკუთვნის თეორიულად ერთმანეთის თანაბარი, ერთი და იგივე ინტერესის დაცვისთვის გამიზნული ალტერნატიული სამართლებრივი საშუალებების ერთობლიობა.<sup>712</sup>

მოთხოვნათა კონკურენციისგან განსხვავებით, სადაც მოსარჩელის უფლებამოსილებაა მოთხოვნათა შორის ხელსაყრელი მოთხოვნის არჩევა, მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის დროს, მოთხოვნის სამარ-

<sup>707</sup> *ვენშელი ს.*, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდთა, თბ., 2009, 75.

<sup>708</sup> *Windscheid, die Actio des romischen Civilrechts, vom Standpunkt des heutigen Rechts*, 1856, 32, 34. მითითებულია: *ჩაჩავა ს.*, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია, თბ., 2011, 22, 25.

<sup>709</sup> *ჩაჩავა ს.*, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2010, 21.

<sup>710</sup> *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 132. მოთხოვნის საფუძველია კანონის განაწესი, რომლის ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოთხოვნის მოვალეს მოქმედების შესრულება. *ბილინივი პ., ლუტრინგჰაუსი პ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009, 14. *მოთხოვნის საფუძველია* სამართლის ნორმა, რომელიც მოთხოვნის უფლების წარმოშობის და მისი გამოყენების წინაპირობებს აღგენს. *ვაშაქიძე ვ.*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბ., 2010, 27. მოთხოვნის საფუძველში იგულისხმება კანონის ნორმა, რომელიც განსაზღვრული შემადგენლობის ნიშნების არსებობისას, ერთ მხარეს ანიჭებს უფლებას მეორე მხარისგან მოითხოვოს შესრულება, მოქმედება ან მოქმედებისგან თავის შეკავება. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისგან შედგება: განსაზღვრული ფაქტობრივი გარემოებების, შემადგენლობის, აბსტრაქტული ფორმით აღწერისაგან და სამართლებრივი შედეგისგან, რომელსაც კანონი ამ შემადგენლობის შემთხვევაში აღგენს. *ბილინივი პ., ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდთა, II გამოცემა, თბ., 2004, 38.

<sup>711</sup> *Гамбаров Ю.С.*, Курс гражданского права, Т.1, СПб., 1911, 411.

<sup>712</sup> *Лоренц Д.В.*, Система гражданско-правовых притязаний и проблема их конкуренции, ж. «Гражданское право», №4, 2008, 8.



თლებრივ საფუძველთაგან ერთ-ერთის გამოყენება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაა.<sup>713</sup> მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები გარკვეული ლოგიკური რიგითობის მიხედვით უნდა შემოწმდეს. კანონი ამ რიგითობას არ აწესებს. ამდენად, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების შემოწმების რიგითობა უნდა განისაზღვროს მიზანშეწონილობის მიხედვით<sup>714</sup> და უნდა გამომდინარეობდეს კანონის სისტემიდან.<sup>715</sup>

სარჩელთა კონკურენცია, რომელიც მდგომარეობს მოთხოვნის რამდენიმე საფუძვლის ერთდროულად ფორმირებაში, მოიცავს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო, სახელშეკრულებო და სავინდიკაციო, სავინდიკაციო და დელიქტურ, დელიქტურ და კონდიქციურ, კონდიქციურ და სავინდიკაციო სარჩელთა კონკურენციას.<sup>716</sup>

მესაკუთრის მიერ ნივთზე მფლობელობის დაკარგვისას, მისი კანონით დაცული ინტერესების დაცვა შესაძლოა, როგორც სანივთო (სავინდიკაციო), ისე ვალდებულებითი-სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო (დელიქტური, კონდიქციური) სარჩელებით. თითოეული მათგანი მიმართულია უფლებამოსული პირისთვის ქონების დაბრუნებისკენ და უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენისკენ.<sup>717</sup>

## 6.2. სანივთო და ვალდებულებითი სარჩელების შინაარსი

სანივთოსამართლებრივი დაცვის საშუალებები იცავს სანივთო უფლებებს, რომლებიც მიჰყვება ნივთს და წყდება მისი განადგურებით, ხოლო ვალდებულებითი სარჩელები მიჰყვება მოვალეს, იცავს კრედიტორის რელატიურ უფლებებს, რომლებიც წყდება მოვალის გარდაცვალებით.<sup>718</sup>

ცივილისტიკაში არსებული ერთი პოზიციით, დაუშვებელია სარჩელთა კონკურენცია, მესაკუთრის მხრიდან ერთდროულად, სანივთო და ვალდებულებითი სარჩელების შესაძლო გამოყენებით, მესაკუთრე მიიღებს აშკარა უპირატესობას, ხოლო სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობები ისე დაიხლართება, რომ ნივთის ნებისმიერი გადაცემა შეუძლებელი გახდება და მთელი სამოქალაქო ბრუნვა შემოიფარგლება ნასყიდობის ხელშეკრულების დადებით.<sup>719</sup> სხვა მოსაზრებით, დაცვის საშუალების არჩევა მესაკუთრის ნებაზე უნდა იყოს მინდობილი.<sup>720</sup>

<sup>713</sup> ჩახავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2010, 13.

<sup>714</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 136.

<sup>715</sup> პენშელი ს., სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდოლოგია, თბ., 2009, 84.

<sup>716</sup> Зоидазе Б.М., Договорная и внедоговорная ответственность в механизме гражданско-правового регулирования, В книге: Актуальные проблемы советского права (авт. колл. отв. ред. Шавгулидзе Т.Г.), Тб., 1984, 194.

<sup>717</sup> Брагинский М. М., Витрянский В. В., Договорное право, Кн. 1, Общие положения, М., 2002, 624.

<sup>718</sup> Склоцкий К. И., Некоторые проблемы реституции, ж. «Вестник высшего арбитражного суда Российской Федерации», №8, 2002.

<sup>719</sup> Склоцкий К. И., Собственность в гражданском праве, М., 1999, 60.

<sup>720</sup> Чубаров В. А., Гражданское право России, М., 1996, 232; Скворцов О. Ю., Система вещно-правовых способов защиты права // Юридический бюллетень предпринимателя, №5, 1998, 5. მითითებულია: Братусь М. Б., О соотношении (конкуренции) вещно-правовых и обязательно-правовых способов защиты права собственности, ж. „Журнал российского права“, №6, 2005. <http://www.izak.ru/169>.

### 6.3.სავინდიკაციო და სახელშეკრულებო სარჩელი

სავინდიკაციო სარჩელი სანივთოსამართლებრივი სარჩელია და მისი ბუნება არ იცვლება მაშინაც, როცა ის მიმართულია განსაზღვრული პირის, უკანონო მფლობელის მიმართ, თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ ამ დროს ვინდიკაციის აბსოლუტური ხასიათი იცვლება ფარდობითი ბუნებით.<sup>721</sup> სავინდიკაციო სარჩელი მფლობელობადაკარგული მესაკუთრის სარჩელია უკანონო მფლობელის მიმართ ნივთის გამოთხოვის შესახებ.<sup>722</sup> მისი წარდგენის ერთ-ერთი პირობა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის ვალდებულებითი ურთიერთობის არარსებობაა, რომლის საფუძველზე ნივთი შეიძლება დაუბრუნდეს მოსარჩელეს, როგორც კრედიტორს ვალდებულებითი ურთიერთობაში. ცივილისტთა ერთი ნაწილი დაუშვებლად მიიჩნევს სახელშეკრულებო და სანივთო სარჩელთა კონკურენციას და მიუთითებს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობისას, მოსარჩელე უნდა დაეყრდნოს მხოლოდ სახელშეკრულებო მოთხოვნას<sup>723</sup>, მაგალითად, ქირავნობის ხელშეკრულების დროს გამქირავებლის მიერ ნივთის დროებით სარგებლობაში გადაცემისას დამქირავებლისთვის, ამ უკანასკნელის მიერ ნივთის დაბრუნების ვალდებულების შეუსრულებლობისას, გამქირავებელი ნივთს დაიბრუნებს არა სავინდიკაციო სარჩელით, არამედ დაეყრდნობა მხოლოდ ქირავნობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ნივთის გადაცემისა და დაბრუნების პირობებს.<sup>724</sup> მართალია, კონტრაქტის მფლობელობა უკანონოა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას და მესაკუთრეს შორის შეწყდა ვალდებულებითი ურთიერთობა სადავო ნივთის თაობაზე. რადგან საკუთრების უფლება დაირღვა ვალდებულებითი ურთიერთობის სფეროში, მისი დაცვა უნდა განხორციელდეს ამ ურთიერთობისთვის კანონით გათვალისწინებული საშუალებებით.<sup>725</sup>

ამგვარად, როდესაც ნივთის უკანონო მფლობელად იქცევა სახელშეკრულებო პარტნიორი, როგორც ნივთის გამოთხოვა, ისე ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს სახელშეკრულებო სარჩელის საფუძველზე, რადგან ხელშეკრულების მხარე სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტისას ვალდებული იყო ნივთი დაებრუნებინა მესაკუთრისთვის.<sup>726</sup>

<sup>721</sup> *Гузов Д.О.*, Реституция и виндикация: проблемы соотношения, ж. «Вестник высшего арбитражного суда Российской Федерации», №3, 2002, 123. მართალია, საკუთრების უფლება აბსოლუტური უფლებაა, მაგრამ სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მოთხოვნა ფარდობითი უფლებაა. *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 101.

<sup>722</sup> *Эрделевский А.О.*, Соотношение кондикционных и иных требований, ж. «Хозяйство и право», №7, 2004, 90.

<sup>723</sup> *Бабаев А. Б.*, Система вещных прав, М., 2007, 279.

<sup>724</sup> *თოდუა მ., ვიდეშვილი ჰ.*, ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006, 8. *Перкунов Е.*, Неосновательное обогащение, место в гражданском кодексе и практика высшего арбитражного суда Российской Федерации, ж. „Вестник высшего арбитражного суда Российской Федерации“, №2, 2004, 161.

<sup>725</sup> *Граве К.А.*, მოსაზრება მითითებულია: *Братусь М. Б.*, О соотношении (конкуренции) вещно-правовых и обязательно-правовых способов защиты права собственности, ж. „Журнал российского права“ №6, 2005. <http://www.izak.ru/169>.

<sup>726</sup> *ზოდუა ბ.*, ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, 101. სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების მხარე არ ასრულებს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას. *დუნდუა მ.*, დელიქტური

სხვა მოსაზრებით, დასაშვებია კონკურენცია, ე.ი. თუ ნივთი იმყოფება, მაგალითად, მოიჯარესთან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, მესაკუთრეს მისგან ნივთის გამოთხოვა შეუძლია როგორც სავინდიკაციო, ისე სახელშეკრულებო სარჩელის საფუძველზე.<sup>727</sup>

#### 6.4. სავინდიკაციო და დელიქტური სარჩელი

ვინდიკაციაზე უფლება მართლზომიერ მფლობელს მანამ აქვს, ვიდრე ნივთი არსებობს და არ განადგურებულა. სამართალდამრღვევის მიერ ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთის მითვისებისა და მისი ნატურით შენარჩუნებისას გამოიყენება სავინდიკაციო სარჩელი. ხოლო თუ უკანონო მფლობელობაში არსებული ნივთი განადგურდება, სარჩელის საფუძველი შეიცვლება და სავინდიკაციო სარჩელი გარდაიქმნება დელიქტურ სარჩელად, რომელიც დელიქტური ვალდებულებიდან წარმოდგება (დელიქტი ლათ. სიტყვაა და სამართალდარღვევას ნიშნავს).

დელიქტური ვალდებულება სამართლის დარღვევით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაა.<sup>728</sup> დელიქტური სარჩელი მიმართულია არასახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურებისკენ. ასეთია ის ზიანი, რომელიც მიყენებულია ისეთი დარღვევის შედეგად, როდესაც მხარეები არ იმყოფებიან სახელშეკრულებო ურთიერთობაში.<sup>729</sup> პირი კანონსაწინააღმდეგო მოქმედებით არღვევს მოქმედებისგან თავის შეკავების ვალდებულებას, რითაც ზიანს აყენებს დაზარალებულის აბსოლუტურ უფლებას.<sup>730</sup> დელიქტური სარჩელის მიზანია დაზარალებულის იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იარსებებდა, რომ არ ღამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

ვინდიკაციისგან განსხვავებით, რომლის საგანია მხოლოდ ნატურით არსებული ნივთი, დელიქტური სარჩელით შესაძლოა, ზიანის ანაზღაურება როგორც ნატურით, ისე ფულადი სახით, როცა ნატურით რესტიტუცია შეუძლებელია.<sup>731</sup> სავინდიკაციო სარჩელით დაზიანებული ნივთის გამოთხოვისას, როდესაც ხდება ზიანის ანაზღაურება, სახეზეა არა ორი სარჩელი – სავინდიკაციო და დელიქტური, არამედ ზიანის ანაზღაურება ამ შემთხვევაში სავინდიკაციო სარჩელის თანმდევ

---

პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულები პასუხისმგებლობის თანაფარდობა, ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“ №1, 2009, 54. რელატიური, სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევა აფუძნებს სახელშეკრულებო პასუხისმგებლობას. *ჩიტაშვილი ნ., ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“ №1, 2009, 145.*

<sup>727</sup> *Суханов Е.А., Толстой Ю.К.,* მოსაზრება მითითებულია: *Бабаев А.Б.,* Система вещных прав, М., 2007, 280.

<sup>728</sup> *ჩიტაშვილი თ., დელიქტი და დელიქტურ ვალდებულება*თა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, №1, 2008, 49.

<sup>729</sup> *ჩიკვაშვილი შ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, V, IV, ტ. II, რედ. *ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.,* თბ., 2001, 379.

<sup>730</sup> დელიქტური პასუხისმგებლობა არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის სახეა. ის წარმოიშობა არა რელატიური სამართლებრივი ურთიერთობის, არამედ აბსოლუტური სამართლებრივი ურთიერთობის დარღვევის შედეგად. *სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ.,* სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის სარჩელების კონკურენცია, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №3, 2011, 70.

<sup>731</sup> *ზოიძე ბ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, V, III, რედ. *ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.,* თბ., 2001, 452.

ვალდებულებაა.<sup>732</sup> რომაული სამართლის მსგავსად, გერმანული სამოქალაქო სამართალი უშვებს კონკურენციას სავინდიკაციო და დელიქტურ სარჩელებს შორის, როდესაც უკანონო მფლობელობა მოპოვებულია დელიქტის (ქურდობის) გზით. ქურდს შესაძლოა წარედგინოს ორივე სარჩელი.<sup>733</sup>

## 6.5. სავინდიკაციო და კონდიქციური სარჩელი

### 6.5.1. Actio condictio – სამართლიანობის პრინციპის განსხეულება

რომის სამართალში ქონებრივი გადაადგილების უკუქცევას, უსაფუძვლოდ მიღებულის ამოღების მიზნით condictio ერქვა. ხოლო იმ სარჩელებს, რომლებიც მიმართული იყო უსაფუძვლოდ მიღებული ქონების დაბრუნებისკენ ისე, რომ არ იყო მითითებული მოთხოვნის საფუძველი, კონდიქციური სარჩელები ეწოდებოდა.<sup>734</sup>

თანამედროვე ცივილისტური დოქტრინის, თუ კანონმდებლობის თანახმად, ამ სარჩელით ხდება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, სხვისი ქონებრივი სიკეთის ხარჯზე, პირის არამართლზომიერი თუ მართლზომიერი მოქმედების ან დაუძლეველი ძალის შედეგად მიღებულის<sup>735</sup> (შეძენილი ან დაზოგილი) უკან დაბრუნება, რითაც მიიღწევა ქონებრივი მიმოქცევის წონასწორობის აღდგენა დაზარალებულის ქონებრივი სფეროს აღდგენით.<sup>736</sup> კონტინენტური ევროპისა თუ საერთო სამართალში აღიარებულია, რომ პირი, ვინც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, სხვა პირის მიერ ვალდებულების შესრულების ან სხვაგვარად, ამ უკანასკნელის ხარჯზე რაიმეს იძენს, ვალდებულია მიღებული გადასცეს მას. აღნიშნული ვალდებულება არსებობს მაშინაც, როდესაც სამართლებრივი საფუძველი მოგვიანებით გაუქმდა ან გარიგების შინაარსის მიხედვით, ვალდებულების შესრულებით დასახული შედეგი არ დგება (გერმანიის სკ-ის 812ე პარაგრაფის I ნაწილი);<sup>737</sup> ქონება, რომელიც შეადგენს შემძენის უსაფუძვლო გამდიდრებას, უნდა დაუბრუნდეს დაზარალებულს ნატურით (რუსეთის სკ-ის 1104-ე მუხლის პირველი ნაწილი); ასევე, 1937 წელს ამერიკელი სამართალმცოდნეების მიერ სასამართლო პრაქტიკის განზოგადოების საფუძველზე შექმნილი „რესტიტუციის შესახებ უფლებათა“ კრებულში მოცემულია ზოგადი პრინციპი: უსაფუძვლო გამდიდრება ერთი პირისა მეორის ხარჯზე ექვემდებარება რესტიტუციას.<sup>738</sup> საქართველოს უზენაესმა სასამართლომ

<sup>732</sup> ზოიძე პ., ქართული სანიეტო სამართალი, თბ., 2003, 101.

<sup>733</sup> Васильев Е.А., Комаров А.С., (ред.), Гражданское и торговое право зарубежных государств, Т. II, М., 2006, 392.

<sup>734</sup> ცვაიგერტი კ., კოტცი პ., შედარებით სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, გამოცემის მეცნიერული რედაქცია და ბოლოთქმა თ. ნინიძის, თარგმანი ე. სუმბათაშვილის, თბ., 2001, 228.

<sup>735</sup> ჩიტოშვილი თ., ქონების უსასყიდლოდ განკარგვა, როგორც უსაფუძვლოდ გამდიდრების საფუძველი, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, №2, 2008, 93.

<sup>736</sup> შატბერაშვილი ლ., უსაფუძვლო გამდიდრება: სამართლიანი სამართალი? ჟურნ. „სამართალი“, №6-7, 2000, 35.

<sup>737</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB) 2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით, მთარგმნელი და რედ. ჭეჭელაშვილი ზ., თბ., 2010, 73.

<sup>738</sup> Васильев Е.А., Комаров А.С., (ред.), Гражданское и торговое право зарубежных государств, Т. II, М., 2006, 384.

ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის მიზანს წარმოადგენს უსამართლოდ შექმნილი ქონების (უფლების, გარკვეული შეღავათის, უპირატესობის) ამოღება, ანუ იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იარსებებდა არაუფლებამოსილი პირის მიერ დაზარალებულის ხარჯზე გამდიდრებამდე.<sup>739</sup>

## 6.5.2. პარალელები სავინდიკაციო და კონდიქციურ სარჩელთა შორის

როგორც სავინდიკაციო, ისე კონდიქციური სარჩელი არასახელშეკრულებო ხასიათისაა, ისინი შესაძლოა წარედგინოს ნივთის გამოთხოვის მოთხოვნით უკანონო (როგორც კეთილსინდისიერ, ისე არაკეთილსინდისიერ) მფლობელს.<sup>740</sup>

უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი ვალდებულების მხარეებს წარმოადგენენ ერთი მხრივ – შემძენი, ვითომ კრედიტორი, ვინც უსაფუძვლოდ შეიძინა ქონება (ქონების შექმნა ნიშნავს ერთი პირის მიერ მეორის ხარჯზე თავისი ქონების მოცულობის გაზრდას და იმავდროულად, მეორის ქონების მოცულობის შემცირებას) ან დაზოგა ის (პირს უნდა დაეხარჯა თავისი ფულადი სახსრები, ან სხვა ქონება, მაგრამ არ დახარჯა, რადგან ეს განახორციელა სხვამ, ან არ გადაუხადა სხვას განსაზღვრული ანაზღაურება)<sup>741</sup>, ან ხელყო სხვისი სიკეთე, რითაც გამდიდრდა, მეორე მხრივ – დაზარალებული, უფლებამოსილი, ვინც შეასრულა ბათილი ვალდებულება, ან სხვაგვარად გადასცა მიმღებს ქონებრივი შეღავათი, ან ვისი ქონებრივი სიკეთეც ხელყვეს.<sup>742</sup>

ვინდიკაციის დროს მხარეებს წარმოადგენენ არამფლობელი მესაკუთრე (ან სხვა ტიტულოვანი მფლობელი) და უკანონო მფლობელი.

სავინდიკაციო სარჩელის საგანს შეადგენს ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთი, ხოლო კონდიქციური სარჩელით ხდება გვაროვნული ნივთების, მათ შორის ფულის, ასევე ქონებრივი უფლებების გამოთხოვა. თუ კონდიქციის დროს ქონება ისევ არსებობს იმ სახით, რა სახითაც არსებობდა მიმღებისთვის გადაცემის მომენტში, მაშინ უფლებამოსილი პირისთვის მოხდება იგივე ქონების დაბრუნება. ხოლო თუ ქონება იმ სახით აღარ არსებობს, მისი დაბრუნება მოხდება იგივე სახის ქონებით ან შეთანხმების საფუძველზე, იგივე ღირებულების სხვა სახის ქონებით, ან ანაზღაურდება მისი ღირებულება.<sup>743</sup> ინდივიდუალური ნივთის დაკარგვის, განადგურების ან შემძენის მსგავსი ნივთებიდან მისი გამოცალკევების შეუძლებლობისას, როცა ნივთმა დაკარგა ინდივიდუალობა, შესაძლოა, ვინდიკაცია ჩაანაცვლოს კონდიქციამ მსგავსი ნივთის ან კომპენსაციის მოთხოვნის სახით. ვინდიკაციისას ნივთის ნაცვლად არ

<sup>739</sup> სუსგ №ას-24-379-07, 20 ივნისი, 2007 წ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, №3, 2008, 49.

<sup>740</sup> *Климович А. В.*, Новый аспект реализации кондикционных обязательств, <<http://legallib.ru/civillaw/novyi-aspekt-realizatsii-kondiktсионnyh-obyazatelst.html>>, [ 21.07.2011].

<sup>741</sup> *Суханов Е.А.*, Гражданское право, Т. IV, 3-е изд., М., 2008, 701.

<sup>742</sup> *ჯაფარიძე ჯ.* უსაფუძვლო გამდიდრებით წარმოშობილი ზიანის ცნება, მისი ანაზღაურების წესი და საფუძველები, *ჟურნ. „მართლმსაჯულება“*, №2, 2008, 150.

<sup>743</sup> *ხიტოშვილი თ.* უსაფუძვლო გამდიდრებისას დავალებისა და მოთხოვნის უფლების დათმობის საფუძველზე შესრულების შედეგები, *ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“*, №2, 2011, 82; *Соломина Н.*, Возврат неосновательного обогащения в натуре, *ж. «Хозяйство и право»*, №10, 2008, 118.

ხდება ანაზღაურება, რადგან ეს სავინდიკაციო სარჩელის არსს ეწინააღმდეგება.

ცივილისტურ დოქტრინაში არსებული მოსაზრებით, ინდივიდუალური ნივთები არ შეიძლება იყოს უსაფუძვლო გამდიდრების საგანი, რადგან კონდიქციურ ვალდებულებათა მიზანი სწორედ, სამოქალაქო ბრუნვის იმ სუბიექტთა ინტერესების დაცვაა, რომელთაც დაკარგეს ვინდიციურების შესაძლებლობა.<sup>744</sup> უსაფუძვლო გამდიდრებაზე საუბარი დაიშვება მხოლოდ იქ, სადაც გამდიდრებულს წარმოეშვა საკუთრება ან სხვა უფლება შექმნილ სიკეთეზე.<sup>745</sup>

ინდივიდუალური ნივთების მესაკუთრის მფლობელობიდან გამოსვლისას მესაკუთრე ინარჩუნებს მასზე ტიტულს, ხოლო მფლობელი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობს. კონდიქციური ვალდებულება ეფუძნება დაზარალებულის მხრიდან საკუთრების უფლების დაკარგვას და შექმნის მიერ მის შექმნას. ამგვარად, ვინდიკაციისას ნივთს ითხოვს მესაკუთრე პირისგან, ვისაც არ წარმოშობია ნივთზე საკუთრება, ხოლო კონდიქციის შემთხვევაში ნივთი ვითომ-კრედიტორის (მოპასუხე) საკუთრებაშია და ის აბრუნებს უსაფუძვლოდ მიღებულს.<sup>746</sup>

სავინდიკაციო და კონდიქციურ სარჩელთა შორის განმასხვავებელ ნიშნად მიიჩნევა ასევე, მოპასუხის მხარეზე ქონებრივი სარგებლის შექმნის ხასიათი (სასყიდლიანი თუ უსასყიდლო). კონდიქციური სარჩელით ხდება ამოღება ქონებრივი სარგებლის, რომელიც მოპოვებულია შექმნის მიერ უსასყიდლოდ – მან შეიძინა ისე, რომ არაფერი დახარჯა ან დაზოგა, რაც უნდა დაეხარჯა, ხოლო ვინდიკაციისას ბრუნდება ქონება, რომელიც მოპასუხემ მოიპოვა როგორც სასყიდლით, ისე უსასყიდლოდ.<sup>747</sup>

ვინდიკაციისგან განსხვავებით, კონდიქციურ ვალდებულებაში არავითარ როლს არ ასრულებს მოპასუხის კეთილსინდისიერება ან არაკეთილსინდისიერება. მოპასუხის მფლობელობის უკანონობა ამ მხრივ არ კვალიფიცირდება, რადგან კანონი არ უკავშირებს უსაფუძვლო გამდიდრების შედეგებს მხარეთა სუბიექტურ დამოკიდებულებას ნივთის შექმნის სამართლებრივი საფუძვლისადმი.<sup>748</sup> კეთილსინდისიერი შექმნის ფიგურა ვლინდება მხოლოდ ვინდიკაციის დროს.<sup>749</sup> ზემოაღნიშნული ფაქტორები უსაფუძვლო გამდიდრების დროს არ ცვლის ქონების მდგომარეობას, მის სამართლებრივ სტატუსს, ის არის იმ პირის ქონებრივ სფეროში, სადაც არსებობის სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია და ექვემდებარება დაბრუნებას.<sup>750</sup>

<sup>744</sup> Суханов Е.А., Гражданское право, Т. IV, 3-е изд., М., 2008, 722.

<sup>745</sup> შენგელია რ., ქონებრივი ზიანი და მისი ანაზღაურების ვალდებულება, თბ., 1991, 51. Флейшиц Е.А., Обязательство из причинения вреда и из неосновательного обогащения, М., 1951, 211.

<sup>746</sup> შენგელია რ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. IV, ტ. II, რედ. ჭანტურია ლ., ზოდუ ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., 2001, 368; Ломидзе О., Ломидзе Э., Возврат полученного по недействительной сделке, виндикация и кондикция. ж. «Хозяйство и право», №5, 2008, 76.

<sup>747</sup> Климович А.В., Новый аспект реализации кондикционных обязательств, <<http://legallib.ru/civillaw/novyi-aspekt-realizatsii-kondiktсионnyh-obyazatelstv.html>>, [ 21.07.2011].

<sup>748</sup> Брагинский М.М., Витрянский В.В., Договорное право, кн. 1, Общие положения, М., 2002, 654.

<sup>749</sup> Брагинский М.М., Витрянский В.В., Договорное право, кн. 1, Общие положения, М., 2002, 808.

<sup>750</sup> ჯანაშია ლ., კონდიქციური ვალდებულებანი, ჟურნ. „სამართალი“, №10-12, 2004, 35.

### 6.5.3. კონდიქციურ ვალდებულებათა სახეები

დოქტრინაში გამოყოფენ კონდიქციურ ვალდებულებათა ორ ჯგუფს: შესრულების და ხელყოფის კონდიქციას. შესრულების კონდიქციის დროს შესრულებაში იგულისხმება სხვისი ქონების გააზრებული, მიზანმიმართული გაზრდა. მიზანმიმართული ნიშნავს, რომ შესრულება ემსახურება ფაქტობრივად არსებული ან სავარაუდო ვალდებულებითი ურთიერთობის განხორციელებას.<sup>751</sup> გერმანიის სკ-ის თანახმად, ვალდებულების შესრულებისას არაუფლებამოსილი პირის მიმართ, ეს უკანასკნელი ვალდებულია დაუბრუნოს უფლებამოსილ პირს შესრულების შედეგად მიღებული (816-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი);<sup>752</sup> ყოველი გადახდა გულისხმობს ვალს, რაც იყო გადახდილი ვალის არსებობის გარეშე, ექვემდებარება უკან გამოთხოვას (საფრანგეთის სკ-ის 1235-ე მუხლი).<sup>753</sup>

ხელყოფის კონდიქციის დროს ხორციელდება სხვისი ნივთის ან უფლების გამოყენება, განკარგვა უფლებამოსილი პირის ნებართვის გარეშე. ამ დროს მოთხოვნის კრედიტორია ქონების განკარგვის უფლების მქონე პირი, ხოლო მოპასუხე – არაუფლებამოსილი პირი, რომელმაც ხელყო სხვისი საკუთრება მისი განკარგვის გზით, რითაც მიიღო ქონებრივი შეღავათი, ხოლო მესაკუთრის საკუთრება შეიზღუდა ან შეწყდა.<sup>754</sup>

ხელყოფის კონდიქციის დროს განსხვავებულია ქონების სასყიდლით ან უსასყიდლოდ განკარგვის სამართლებრივი შედეგი. მესაკუთრის მფლობელობიდან ნებით გასული ნივთის სასყიდლით გასხვისებისას, კონდიქცია მიმართულია განმკარგველის მიმართ, რადგან კეთილსინდისიერი შემძენი დაცულია სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით. ამიტომ, დაზარალებულს შეუძლია გამყიდველს მოსთხოვოს იმის გადაცემა, რაც მან მიიღო მყიდველისგან ნივთის ფასის სახით.<sup>755</sup> უსასყიდლო განკარგვისას კონდიქციური სარჩელი მიმართულია მიმღების მიმართ, უსასყიდლოდ მიღებული ქონებრივი სიკეთე ნაკლებად არის დაცული.

იმ შემთხვევაში, თუ სხვისი სიკეთის ხელყოფა განხორციელდა სამართალდამრღვევის მიერ, უფლებამოსილს შეუძლია მიმართოს დელიქტურ სარჩელს და მოითხოვოს ხელმყოფისგან ზიანის ანაზღაურება. თუ საკუთრების უფლების დარღვევას დელიქტის საფუძველზე მოჰყვა დაზარალებულის ქონების დაკარგვა, შემცირება, ხოლო სამართალდამრღვევმა შეიძინა ქონება, დელიქტური სარჩელის გვერდით

<sup>751</sup> ბოლინგი პ., ლუტრინგჰაუსი პ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009, 78.

<sup>752</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB), მთარგმნელი და რედაქტორი ჭეჭელაშვილი ზ., თბ., 2010, 173.

<sup>753</sup> *Savatie P.*, Теория обязательств, Пер.с франц. *Халфина Р.О.*, М., 1972, 364.

<sup>754</sup> *Ломидзе О., Ломидзе Э.*, Возврат полученного по недействительной сделке, виндикация и кондикция, ж. «Хозяйство и право», №5, 2008, 76.

<sup>755</sup> *Цвиогერტი კ., კოტცი პ.*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, გამოცემის მეცნიერული რედაქცია და ბოლოთქმა *თ. ნინიძის*, თარგმანი *ე. სუმბათაშვილის*, თბ., 2001, 235; *Суханов Е.А.*, (ред.), Гражданское право, Т. IV, 3-е изд., М., 2008, 724.

შესაძლოა, დამატებით გამოყენებულ იქნეს კონდიქციური სარჩელიც (რუსეთის სკ-ის 1103-ე მუხლი).<sup>756</sup>

## 6.6. ბათილი გარიგება – უსაფუძვლო გამდიდრების კერძო შემთხვევა

### 6.6.1. ბათილობის მიზეზები და შედეგები

შესრულების თუ ხელყოფის კონდიქციის დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს ბათილ გარიგებას (გარიგება მიიჩნევა ბათილად, თუკი მას შედეგად არ მოჰყვება დასახული მიზანი იმის გამო, რომ მოქმედი სამართალი განხორციელებულ ქმედობას სამართლებრივად უვარგისად მიიჩნევს),<sup>757</sup> როგორც უსაფუძვლო გამდიდრების კერძო შემთხვევას. შესაბამისად, პირის მოთხოვნა ნიუთის უკან დაბრუნებაზე შესაძლოა, არსებობდეს გარიგების ბათილობის შემთხვევაშიც.<sup>758</sup>

ცივილისტურ დოქტრინაში ნების გამოვლენის ნამდვილობაზე საუბრისას სამ კომპონენტს გამოყოფენ: ნებას, მის გამოვლენას და მათ ურთიერთშესაბამისობას. ამ სამი ელემენტიდან ერთ-ერთის ხარვეზი განაპირობებს ნების გამოვლენის არარსებობას ან არანამდვილობას, ნამდვილობის შემაფერხებელი გარემოებების გამო. ასეთია ის გარემოება, რომელიც ნების გამოვლენის გარეგნული გამოხატულების, მისი შემადგენლობის არსებითი ელემენტების არსებობის მიუხედავად, გავლენას ახდენს გარიგების ნამდვილობაზე. სამართლებრივი შედეგის გამოწვევა შეიძლება მიუღებელი იყოს გარიგების შინაარსის დაუშვებლობის, მისი დადების გარემოებების, ნების გამოვლენის ფორმის, ნების ნაკლის გამო.<sup>759</sup>

ხელშეკრულების ბათილობისას, რაც ნიშნავს მისი სამართლებრივი საფუძვლის მოშლას, დგება უკვე განხორციელებული შესრულების უკუქცევის საკითხი, ანუ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა-რესტიტუცია.<sup>760</sup> აღნიშნული გულისხმობს, რომ გარიგებას, როგორც მოცემულ აქტს ეცლება ის იურიდიული ზემოქმედება, რაც მან მოახდინა.<sup>761</sup> ტერმინი „რესტიტუცია“ სამართლიანობის უფლების სასამართლო წესით დაცვის გამომხატველია. ის საშუალებას აძლევს დაზარალებულ პირებსა

<sup>756</sup> *Перкунов Е.*, Неосновательное обогащение, место в гражданском кодексе и практика высшего арбитражного суда Российской федерации, ж. „Вестник высшего арбитражного суда Российской федерации“, №2, 2004, 152; *Чеговадзе Л.*, Проблемы приобретения и защиты права собственности (в том числе при совершении недействительных сделок), ж. „Хозяйство и право“, №4, 2004, 97. კონდიქციური და დელიქტური სარჩელების კონკურენციას უშვებს ანგლო-ამერიკული სამართალიც. კერძოდ, თუ პირმა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით ხელყო სხვა პირის ქონება, მისი დაუფლების ან უკანონოდ გამოყენების გზით, დაზარალებულს შეუძლია წარადგინოს ან დელიქტური სარჩელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, ან სარესტიტუციო სარჩელზე დაყრდნობით მოითხოვოს მოპასუხისგან იმ ეკონომიკური სარგებლის დაბრუნება, რაც მან მიიღო ხელყოფის შედეგად. *Васильев Е.А., Комаров А.С.*, (ред.), Гражданское и торговое право зарубежных государств, Т.2, М., 2006, 395.

<sup>757</sup> *ჭანტურია ღ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 385.

<sup>758</sup> *Englert in Prutting /Wegen/ Weinreich (Hrsg.)*, BGB Kommentar, 2006, 985, Rd Nr.21. მითითებულია: *ჩანავა ს.*, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, თბ., 2011, 167.

<sup>759</sup> *კერესელაძე ღ.*, სამოქალაქო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 261-262.

<sup>760</sup> *Суханов Е. А.*, Гражданское право, Т. IV, 3-е изд., М., 2008, 720.

<sup>761</sup> *Виндшайд Б.*, Учебник пандектного права, Т. 1, Общая часть, СПб., 1874, 287.



და პირთა ჯგუფს დაუბრუნდეს ზიანის მიყენებამდე არსებულ მდგომარეობას.<sup>762</sup>

Restitutio, როგორც დაცვის საშუალება, პირველად ფორმულირებულ იქნა რომის სამართალში და წარმოადგენდა პრეტორული დაცვის განსაკუთრებულ საშუალებას ფორმულარულ პროცესში. მისი გამოყენებისას პრეტორი კანონით კი არა, საკუთარი შეხედულებით ხელმძღვანელობდა და აუქმებდა გარიგების სამართლებრივ შედეგებს, აღადგენდა სამართლებრივ მდგომარეობას სამართლიანობაზე დაყრდნობით და არა ცივილური სამართლის დანაწესებით. პრეტორი კი არ ცვლიდა ან უარყოფდა ცივილური სამართლის ნორმებს და მათ საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობებს, არამედ ის არ აძლევდა მათ დაცვას. რომაელთა წარმოდგენა უფლებაზე დაკავშირებული იყო სასამართლო დაცვის შესაძლებლობასთან. ამდენად, გარიგების ნამდვილობა სხვა არაფერი იყო, თუ არა დაცვის შესაძლებლობა, ე.ი. Restitutio მიმართული იყო Ius civile-ის სფეროში დადებულ გარიგებათა სამართლებრივი შედეგების უარყოფისკენ.<sup>763</sup>

მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიღებულის დაბრუნებაზე, ესაა საშუალება რესტიტუციური უფლების განხორციელებაზე.<sup>764</sup> რესტიტუცია მოწოდებულია გააუქმოს ბათილი გარიგების შედეგები. ის გულისხმობს გარიგების მხარეთა მიერ მიღებულის დაბრუნებას გარიგების ბათილად ცნობისას. გამოყოფენ ორი სახის რესტიტუციას, კერძოდ, როდესაც გარიგების შედეგად მიღებულს აბრუნებს ორივე მხარე (ორმხრივი რესტიტუცია) ან არასათანადოდ მოქმედი მხარე<sup>765</sup> (ცალმხრივი რესტიტუცია).

## 6.6.2. სავინდიკაციო და კონდიქციურ (გარიგების ბათილობიდან გამომდინარე) სარჩელთა სუბიექტური შემადგენლობა და მტკიცების საგანი

ვინდიკაციის დროს სახეზეა მესაკუთრე და უკანონო მფლობელი, ხოლო რესტიტუციისას – გარიგების მხარეები და არ არის აუცილებელი, რომ მოსარჩელე იყოს მესაკუთრე ან სხვა კანონიერი მფლობელი. შესაძლოა, ამ დროს მოსარჩელე არც იყოს გარიგების მხარე, არამედ ის პირი, ვისაც კანონით აქვს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლება.<sup>766</sup> რესტიტუციის შემთხვევაში მოთხოვნა მიმართულია მხოლოდ გარიგების მეორე მხარისადმი და არ მიჰყვება გარიგების საგანს, ხოლო ვინდიკაციისას შემძენს შესაძლოა, ნივთი ჩამოერთვას გარიგებათა ჯაჭვში.<sup>767</sup> ამგვარად, მოთხოვნა ბათილი

<sup>762</sup> *ყანდაშვილი ი.*, ქონებრივი რესტიტუცია ქართულ კანონმდებლობასა და სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკის მაგალითზე, კრებულიში: ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, რედ. *კორკელია კ.*, თბ., 2010, 193.

<sup>763</sup> *Тузов Д.О.*, Ничтожность и оспоримость сделок. Классическая доктрина и проблемы российской цивилистики. Цивилистические записки: Межвузовский сборник научных трудов, М., 2002, 137.

<sup>764</sup> *Суханов Е.А.*, Гражданское право, Т. IV, 3-е изд., М., 2008, 720.

<sup>765</sup> *ყანდაშვილი ი.*, ქონებრივი რესტიტუცია ქართულ კანონმდებლობასა და სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკის მაგალითზე, კრებულიში: ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, რედ. *კორკელია კ.*, თბ., 2010, 193.

<sup>766</sup> *Ломидзе О., Ломидзе Э.*, Возврат полученного по недействительной сделке, виндикация и кондикция, ж. «Хозяйство и право», №5, 2008, 72.

<sup>767</sup> *Витрянский В.*, Некоторые проблемы защиты права собственности на недвижимость, ж. «Хозяйство и право», №5, 2008, 34.

გარიგებით მიღებული შესრულების დაბრუნების თაობაზე, შეიძლება წარედგინოს მხოლოდ უშუალოდ პირს, რომლის სასარგებლოდაც განხორციელდა და შესრულდა გარიგება და არა იმ პირს, ვინც გაშუალებულია მიიღო მოგება ამ შესრულებისგან. არსებობს პოზიცია, რომ მოსარჩელის დანაკარგსა და მოპასუხის მოგებას ადგილი უნდა ჰქონდეს ერთი გარიგების ჩარჩოებში, მოსარჩელეს სასარჩელო დაცვის შესაძლებლობა უნდა გააჩნდეს მხოლოდ იმ პირის მიმართ, რომელიც შესრულებას მიიღებს მათი მბოჭავი ხელშეკრულების საფუძველზე.<sup>768</sup>

რესტიტუციის დროს მტკიცების საგანია გარიგების ბათილობა, ხოლო ვინდიკაციისას – სანივთო უფლების არარსებობა და არა იმ გარიგების შეფასება, რომლის საფუძველზეც ნივთი მოხვდა უკანონო მფლობელთან, ე.ი. რესტიტუციის დროს საკითხი ეხება გარიგების მართლზომიერებას და არა საკუთრების უფლების არსებობას მოსარჩელის მხარეზე.<sup>769</sup> ამ დროს ნივთი იმიტომ კი არ ბრუნდება, რომ ერთ-ერთმა მხარემ შეინარჩუნა საკუთრების უფლება, არამედ იმიტომ, რომ გარიგება იყო ბათილი.

### 6.6.3. გარიგების ბათილობის შედეგები კაუზალური და აბსტრაქციის სისტემათა ფარგლებში

გარიგების ბათილობისას სავინდიკაციო და კონდიქციურ სარჩელთა კონკურენციის საკითხი განსხვავებულად წყდება იმის მიხედვით, თუ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობის რომელი სისტემა მოქმედებს, კაუზალური თუ აბსტრაქციის.

კაუზალური სისტემის მოქმედებისას, ნამდვილ ხელშეკრულებას თავისი იურიდიული ბუნებით შეუძლია საკუთრების უფლების გადატანა სხვა სამართლებრივი აქტისა თუ დადგენილი ფორმალობის გარეშე, ე.ი. ძირითადი გარიგების ნამდვილობა საკუთრების გადაცემის აუცილებელი პირობაა. შესაბამისად, ამ ხელშეკრულების საწყისი ან შემდგომი ბათილობა განაპირობებს იმ ფაქტს, რომ საკუთრების უფლება თავიდანვე ვერ გადადის შემძენზე. ითვლება, რომ შემძენი არასოდეს გამხდარა მესაკუთრე, რადგან თავად ხელშეკრულების ბათილობის სამართლებრივი შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ იგი მიიჩნევა თავიდანვე არარსებულად. ამდენად, გარიგების ბათილობისას თავდაპირველ მესაკუთრეს უფლება აქვს შემძენისგან ნივთი გამოითხოვოს ვინდიკაციით, რადგან მას საკუთრება არ დაუკარგავს.<sup>770</sup> ამგვარი შედეგი დგება არა მხოლოდ კაუზალური და კონსენსუალური სისტემების, არამედ ასევე, კაუზალური და ტრადიციის სისტემათა თანხვედრისას, რადგან სამართლებრივი საფუძვლის ნამდვილობაზეა დამოკიდებული გადაცემა. ამდენად, საფუძვლის არარსებობისას ან მისი შემდგომი ბათილობისას, გადაცემაც ბათილი იქნება<sup>771</sup>, რადგან მიუხედავად ნივთის

<sup>768</sup> *კვაიგერტი კ., კოტცი ჰ.,* შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, გამოცემის მეცნიერული რედაქცია და ბოლოთქმა *თ. ნობოდის, თარგმანი ე. სუმბათაშვილის,* თბ., 2001, 233.

<sup>769</sup> *Mameev M. B.,* Правовая природа недействительных сделок, М., 2004, 33.

<sup>770</sup> *Van Vliet,* Transfer of movables in German, French, English and Dutch law, 2000, 194. მითითებულია: *კიკოშვილი ს.,* საკუთრების უფლების დაცვა სანივთო გარიგების საფუძვლის ბათილობისას, სასემინარო ნაშრომი, თბ., 2010, 6.

<sup>771</sup> *კიკოშვილი ს.,* საკუთრების უფლების დაცვა სანივთო გარიგების საფუძვლის ბათილობისას, სასემინარო ნაშრომი, თბ., 2010, 11.

გადაცემისა შემქმნის მფლობელობაში, ნივთის მფლობელობა აძლევს მის მფლობელს მხოლოდ ფაქტობრივ და არა მისი განკარგვის სამართლებრივ ხელისუფლებას.

კაუზალური სისტემის დროს შემქმნი ვერ იძენს ნივთზე საკუთრებას, შესაბამისად, არც მის განკარგვაზეა უფლებამოსილი. თავდაპირველ მესაკუთრეს შეუძლია გამოითხოვოს შემქმნის მიერ გასხვისებული ნივთი მესამე პირისგანაც. აღნიშნულიდან გამონაკლისია კეთილსინდისიერი შემქმნი ვინდიკაციის შეზღუდვის წესის დროს.<sup>772</sup> მართალია, ვინდიკაციის უფლება გააჩნია მესაკუთრეს, მაგრამ ნივთის განადგურების, გადაშუშავების ან სხვა მიზეზით დაბრუნების შეუძლებლობისას, მას შეუძლია მიმართოს კონდიქციურ სარჩელს. ასევე, ვინდიკაციის შეზღუდვის წესის პირობებში, კონდიქციური მოთხოვნა მიმართულია გამსხვისებლის მიმართ სყიდვის ფასის დაბრუნების შინაარსით, ხოლო თუ განკარგვა უსასყიდლო იყო, უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე სარჩელი წარედგინება ნივთის შემქმნს.<sup>773</sup>

ამდენად, საკუთრების გადაცემის კაუზალური სისტემის ქვეყნებში კონდიქციური სარჩელი დამატებითი, სუბსიდიური მნიშვნელობისაა და მისი დამოუკიდებლად გამოყენება ხდება იქ, სადაც ნივთის ვინდიკაცია შეუძლებელია.

აბსტრაქციის სისტემის არსებობისას სანივთო გარიგების ნამდვილობა დამოუკიდებელია ვალდებულებითი გარიგების არსებობისგან, სანივთო გარიგების იურიდიული მოქმედება არ არის დამოკიდებული მის სამართლებრივ საფუძველზე.<sup>774</sup> ეს ნიშნავს, რომ ვალდებულებითი გარიგების ბათილობის დროსაც თავიდანვე ან შემდგომ, დგება სამართლებრივი შედეგი, შემქმნზე საკუთრება გადადის ნივთის გადაცემით და ეს გადაცემა ნამდვილია მიუხედავად იმისა, მის საფუძველად არსებული ვალდებულებითსამართლებრივი აქტი (causa) ნამდვილია თუ არა.<sup>775</sup>

აბსტრაქციის პრინციპის მოქმედებისას გამსხვისებელი კარგავს საკუთრების უფლებას, შესაბამისად, ვინდიკაციის შესაძლებლობას, მას არა აქვს სანივთო დაცვა ხელშეკრულების ბათილად ცნობისას,<sup>776</sup> თუმცა გარიგების ბათილობა იწვევს შემქმნის უსაფუძვლო გამდიდრებას და წარმოშობს მის ვალდებულებას დაუბრუნოს უსაფუძვლოდ მიღებული უფლებამოსილ პირს.<sup>777</sup> ამგვარად, ამ უკანასკნელისათვის ხელმისაწვდომია კონდიქცია, რომელიც აბათილებს აბსტრაქციის პრინციპის უსამართლო შედეგებს, ის აღადგენს ზნეობას ნაყიდობისგან დარღვეულს

<sup>772</sup> ცვაიგერტი კ., კოტცი პ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, გამოცემის მეცნიერული რედაქცია და ბოლოქმბა თ. ნინოდის, თარგმანი ე. სუმბათაშვილის, თბ., 2001, 233.

<sup>773</sup> Васильев Е. А., Комаров А. С., (ред.), Гражданское и торговое право зарубежных государств, Т. 2, М., 2006, 292; Скловский К. И., О действительности продажи чужого имущества, ж. „Вестник высшего арбитражного суда Российской Федерации” №9, 2003, 81.

<sup>774</sup> Смирнова М. А., Соотношение обязательственных требований в Российском гражданском праве, Вып. 7, под ред. Шиловосты О. Ю., М., 2003, 203.

<sup>775</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 310.

<sup>776</sup> Дювернуа Н. Л., Пособие к лекциям по гражданскому праву, М., Типография Стасюлевича М. М., 1899, 104.

<sup>777</sup> Van vliet, Transfer of movables in German, French, English and Dutch law, 2000, 25. მითითებულია: კიკოშვილი ს., საკუთრების უფლების დაცვა სანივთო გარიგების საფუძველის ბათილობისას, სასემინარო ნაშრომი, თბ., 2010, 9.

(გირკე),<sup>778</sup> კონდიქცია გამოიყენება იმდენად, რამდენადაც მყიდველი არ არის უფლებამოსილი დაიტოვოს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიღებული ნივთი.<sup>779</sup>

აბსტრაქციის სისტემის შემთხვევაში შემძენი ხდება მესაკუთრე და ის უფლებამოსილია ნივთის გასხვისებაზე. მომდევნო კეთილსინდისიერი შემძენი იძენს საკუთრებას და მისთვის არა აქვს მნიშვნელობა მის წინამორბედთა შორის დავას გარიგების ბათილობის თაობაზე, ის ეხება მხოლოდ ნივთის პირველ გამყიდველსა და პირველ შემძენს.<sup>780</sup> ახალი შემძენი ნივთს იძენს გასხვისებაზე უფლებამოსილისგან, ანუ ბათილი გარიგებით შექმნილი საკუთრების უფლების მქონე პირის მიერ განხორციელებული მომდევნო განკარგვა ნამდვილია მესამე პირთა მიმართ.<sup>781</sup> კაუზალური სისტემის მოქმედებისას ანალოგიური მოქმედება სამართლებრივი ძალის არმქონე იქნება, რადგან შემძენი თავიდანვე არ გამხდარა მესაკუთრე და შესაბამისად, არ იყო უფლებამოსილი მის გასხვისებაზე.<sup>782</sup>

აბსტრაქციის სისტემის დროს, გამსხვისებელს ყოფილი მესაკუთრის მიმართ გააჩნია არა ნივთის დაბრუნების, არამედ ნასყიდობის ფასის, როგორც უსაფუძვლოდ მიღებულის დაბრუნების ვალდებულება. ხოლო გაჩუქებისას, თავად დასაჩუქრებელია ვალდებული ნივთი დაუბრუნოს ყოფილ მესაკუთრეს.<sup>783</sup>

მიიჩნევა, რომ აბსტრაქციის პრინციპის მიზანი ბრუნვის საიმედოობა, სიმარტივე, კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვაა.

აღსანიშნავია, რომ აბსტრაქციის პრინციპის ფუნქციას ასრულებს ასევე, კეთილსინდისიერი შეძენის ინსტიტუტი. ცივილისტურ დოქტრინაში არის მოსაზრება, რომ ფუნქციის დუბლირება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შემქმნელებს შეუმჩნეველი დარჩათ. კაუზალური სისტემის პირობებში სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოებას სწორედ, კეთილსინდისიერი შეძენა უზრუნველყოფს.<sup>784</sup>

საინტერესოა, ის გარემოება, რომ საგინი აბსტრაქციის პრინციპის არსებობას არ ხსნიდა უპირატესად მესამე პირთა ინტერესების დაცვის არგუმენტით. ამ შემთხვევაში უმთავრეს მოსაზრებად რჩება პანდექტისტების მიდრეკილება კერძო სამართლის სისტემატიზაციისკენ, სიცხადის შეტანა იმ სამართლებრივ ურთიერთობებში, სადაც არსებობს

<sup>778</sup> მოსაზრება მოთითებულია: *Скловский К.И.*, О действительности продажи чужого имущества, ж. „Вестник высшего арбитражного суда Российской Федерации“, №9, 2003, 99.

<sup>779</sup> *ჭანტურია ლ.*, უძრავი ნივთების საკუთრება, თბ., 1994, 182.

<sup>780</sup> *Василевская Л.Ю.*, Учение о вещных сделках по германскому праву, ж. „Вестник высшего арбитражного суда Российской Федерации“ №5, 2003, 122.

<sup>781</sup> *Скловский К.И.*, О действительности продажи чужого имущества, ж. „Вестник высшего арбитражного суда Российской Федерации“, №9, 2003, 81.

<sup>782</sup> *ჭეჭელაშვილი ზ.*, ქართული კერძო სამართლის კრებული, წ.1, თბ., 2004, 91.

<sup>783</sup> *Шюнеман В.Б.*, Частное экономическое право. Правовые основы для экономистов, 5-ое перер. изд., Минск-Мисанта, 2007, 313.

<sup>784</sup> *Wiegand W.*, Die Entwicklung des Sachenrechts im Verhältnis zum Schuldrecht //Archiv für die civilistische Praxis.1990.Bd.190,S.112. მოთითებულია: *Курзински -Сингер Е., Зарандия Т.*, Рецепция немецкого вещного права в Грузии, ж. „Вестник гражданского права“, № 1, 2012 ,Т.12, 238.

სანივთო და ვალდებულებითი გარიგებების ერთობლიობა, მათ შორის მკაფიო გამიჯვნის მიღწევით.<sup>785</sup>

შესაძლოა, თავად სანივთო გარიგებაც იყოს ბათილი. ამ შემთხვევაში, აბსტრაქციის პრინციპი ვეღარ უზრუნველყოფს სანივთო გარიგების ნამდვილობას, რადგან ისიც ბათილდება იმავე საფუძველზე, რითაც კაუზალური გარიგება, მაგალითად, ხელშეკრულების დადებისას მუქარით, მოტყუებით, კანონით დადგენილ ნორმებთან შეუსაბამობისას, სუბიექტთა ქმედუნარიობისას. ამ დროს, სანივთო გარიგებაც ნების იმავე ნაკლის ზემოქმედებით დადებულად ითვლება, რაც მისი ბათილობის საფუძველს ქმნის.<sup>786</sup> ამდენად, აბსტრაქციის პრინციპის მიუხედავად, გამსხვისებელს აქვს შემქმნისაგან ნივთის ვინდიკაციის უფლება. აქ შესაძლოა, კონდიქციის გამოყენებაც, თუმცა ის მიმართული იქნება არა საკუთრების, არამედ მფლობელობის დაბრუნებისკენ.<sup>787</sup>

## 7. მფლობელობითი (პოსესორული) დაცვა

### 7.1. მფლობელობითი დაცვის მნიშვნელობა

მე-19 საუკუნის კონტინენტური ევროპის ცივილისტურ დოქტრინაში მფლობელობის ინსტიტუტი კვლევის ფავორიტად იქცა. მის შესახებ ათეულობით შექმნილ თხზულებაში იკვლევდნენ არა მხოლოდ მფლობელობის არსს, არამედ უმთავრესად, მისი დაცვის მიზეზებს. სამოქალაქო სამართალი იცავს ამა თუ იმ ინსტიტუტს, როცა შეიცნობს მის სარგებლობას სამოქალაქო ბრუნვისთვის ან მართლმსაჯულებისთვის. მფლობელობითი დაცვა სამართლებრივი წესრიგის ცოცხალი ელემენტია, ამიტომ მართლწესრიგი მას თანამედროვეობაშიც ხელუხლებლად ტოვებს ძალაში,<sup>788</sup> მიუხედავად მისი პარადოქსული შედეგისა (დაცვა ვრცელდება უკანონო მფლობელზეც), რაც გადაჭარბებული შეფასებით, მიუწვდომელია იურიდიული განათლების არმქონე ადამიანის გონებისთვის.<sup>789</sup>

რომის სამართლიდან მოყოლებული პირის მფლობელად აღიარება დამოუკიდებელი მფლობელობითი დაცვის შესაძლებლობას უკავშირდება. საინი მფლობელობის დაფუძნებისას animus domini-ს ანიჭებდა გადაამწყვეტ მნიშვნელობას, ამდენად, მფლობელად მიიჩნედა მხოლოდ მესაკუთრესა და უკანონო მფლობელს. ამ აზრს იზიარებდა პუხტაც, რომელიც თვლიდა, რომ მფლობელობა მხოლოდ საკუთრად ფლობის განზრახვასთან ერთად მოიაზრება და ასეთი მესაკუთრის გარდა, ქურდისა და ყაჩაღის მფლობელობაა.<sup>790</sup> ამდენად, ისინი რომის სამართალში ანალოგიით დაშვებულ, ინტერდიქტებით დაცულ არამესაკუთრეთა მართლზომიერ, ე.წ. წარმოებულ მფლობელობას, ანომალიად

<sup>785</sup> შოთაძე თ., იპოთეკა, როგორც საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, თბ., 2012, 109.

<sup>786</sup> Windsheid, Bernard, Lehrbuch des andektenrechts, Band 1. Dusseldorf, 1862, 440. მითითებულია: კიკოშვილი ს., საკუთრების უფლების დაცვა სანივთო გარიგების საფუძველის ბათილობისას, სასემინარო ნაშრომი, თბ., 2010, 14.

<sup>787</sup> Шанп Ян, Система германского гражданского права, М., 2006, 116.

<sup>788</sup> Муромцев С., Рецепция римского права на западе, М., 1886, 135.

<sup>789</sup> Шершеневич Г.ф., Учебник русского гражданского права, Т.1, М., 1914, 151.

<sup>790</sup> მოსაზრება მითითებულია: Гримм Д.Д., Лекции по догме римского права, 5-ое изд., Петроград, 1916, 15.

მიიჩნევენ: წარმოებული მფლობელობა ყოველთვის არ არსებობს, ის მხოლოდ მაშინ არის სახეზე, როდესაც ნებადართულია პოზიტიური სამართლის მიერ (სავინი).<sup>791</sup>

რომის სამართლის მიერ ინტერდიქტული დაცვის მინიჭება მჭერთა რამდენიმე კატეგორიისთვის, განპირობებული იყო მფლობელობის ინსტიტუტის ისტორიული განვითარებით. განუვითარებელი ბაზრის არსებობისას მჭერთა ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად საკმარისი იყო მხოლოდ მფლობელთა, იმ პირთა დაცვა, ვისი სახელითაც, ვის ინტერესებშიც ფლობდნენ მჭერები. სავაჭრო ბრუნვის ინტენსივობის პირობებში საჭირო გახდა მფლობელთა წრის გაფართოება. ეს პროცესი რომის სამართალშივე დაიწყო, თუმცა გერმანიის სამოქალაქო კოდექსით შემოდებულმა ორმაგი მფლობელობის ინსტიტუტმა ძირეული გარდატეხა მოახდინა მფლობელობის დაფუძნებისა და დაცვის საქმეში.<sup>792</sup>

მე-19 საუკუნის გერმანიაში მეწარმეობის განვითარებამ აუცილებელი გახდა მწარმოებელთა უფლებების დაცვა. გლეხები, მიწის ფაქტობრივი მფლობელები, მჭერთა კატეგორიას შეადგენდნენ. მათ არ ჰქონდათ არც მიწის საკუთარი შეხედულებებით განკარგვის და არც მებატონეთა, მიწის მესაკუთრეთა წინააღმდეგ სასარჩელო დაცვის უფლება.<sup>793</sup> მფლობელად უნდა ჩაითვალოს ნებისმიერი, ვისაც აქვს ფაქტობრივი ბატონობა ნივთზე და დაცულ უნდა იქნეს პოსესორული დაცვით, აცხადებდა იერინგი.<sup>794</sup> სავინისგან განსხვავებით, ის უსამართლობად თვლიდა მჭერთა სამართლებრივ დაცვაზე უარის თქმას, რაც გამოწვეული იყო საჯარო ხელისუფლების თვითნებობით.

## 7.2. ფაქტობრივ გარემოებებზე დამყარებული დაცვა.

მფლობელობითი დაცვა გულისხმობს პირის დაცვას საკუთრივ, მფლობელობის ფაქტზე დაყრდნობით, ნივთზე უფლების საკითხისგან დამოუკიდებლად, ანუ ამ პროცესში განიხილება მხოლოდ მფლობელობის ფაქტობრივი მხარე და არა მფლობელობის სამართლებრივი საფუძველი. პოსესორული მოთხოვნა ემყარება ნივთზე შიშველი ბატონობის ფაქტს, რითაც ის განსხვავდება პეტიტორული მოთხოვნისგან (petitio – ლათ. მოთხოვნის უფლება), რომელიც მხოლოდ განსაზღვრული უფლების საფუძველზე წარმოიშობა.<sup>795</sup> მფლობელობითი დაცვის მოთხოვნა არსებობს წართმეული მფლობელობის აღდგენის ან მფლობელობის განხორციელებაში ხელშემშლელი გარემოებების აღკვეთის შინაარსით.

მფლობელობითი დაცვა საკუთრების უფლების დაცვისგან დამოუკიდებლად წარიმართება, ე.ი. მფლობელობითი სარჩელის წარდგენისას საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა დაუშვებელია. მფლობელობით პროცესში არც ერთ მხარეს, არც მას, ვისაც სურს შეინარჩუნოს მფლობელობა და არც მას, ვისაც ნივთზე აქვს პრეტენზია, არ შეუძლია საკუთარი მოთხოვნის უფლებრივი დასაბუთება. ამ

<sup>791</sup> მოსაზრება მოთხოვნილია: *Васьковский Е.А.*, Учебник гражданского права, М., 2003, 212.

<sup>792</sup> *Покровский И. А.*, История римского права, СПб., 1998, 350.

<sup>793</sup> *Лукин- Антонов Н.*, Очерки по новейшей истории Германии, 1890-1914 гг., М., 1925, 35.

<sup>794</sup> *Иеринг Р.*, Теория владения, сокращ. пер. *Васьковского Е.В.*, типография *Меркушева М.*, СПб., 1895.

<sup>795</sup> *ბოლინგი ჰ., ლუტრინგჰაუსი ჰ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009, 73.

შემთხვევაში მტკიცებულებების შეგროვება, განხილვა და შემოწმება მიმართულია მხოლოდ მფლობელობის ფაქტის არსებობა-არარსებობის დასამტკიცებლად. შესაბამისად, სასამართლო წყვეტს ფაქტობრივი მდგომარეობის საკითხს, იღებს გადაწყვეტილებას მფლობელობის აღდგენის თაობაზე და მხარეები ვალდებული არიან აღადგინონ მფლობელობის status quo.<sup>796</sup>

პოსესორულ პროცესში მოსარჩელე ვალდებულია ამტკიცოს თავისი მფლობელობის ფაქტი მის დარღვევამდე, მფლობელობის დაკარგვა მისი ნების წინააღმდეგ და მოპასუხის მფლობელობის არსებობა სადავო ნივთზე. ხოლო მოპასუხე მიუთითებს მფლობელობითი სარჩელის დაკმაყოფილების ხელშემშლელ გარემოებებზე, კერძოდ, მის მიერ მოსარჩელის მფლობელობის დარღვევის მართხლომიერებაზე და მოსარჩელის მფლობელობის შეწყვეტის ფაქტზე, მისი მფლობელობის დარღვევამდე.<sup>797</sup>

### 7.3. მფლობელობითი დაცვის დროებითი ხასიათი

მფლობელობითი პროცესის თავისებურება, ის, რომ არ მოითხოვება სადავო ნივთზე უფლების არსებობის მტკიცება, შესაძლებელს ხდის ნებისმიერი, მათ შორის უკანონო მფლობელის დაცვას. აქ მიღებული გადაწყვეტილება დროებითი ხასიათისაა (იერიზი), (არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, რომ ეს არის არა წინასწარი გადაწყვეტილება მფლობელობის საკითხის შესახებ, არამედ საბოლოო – სავინი),<sup>798</sup> რაც გულისხმობს იმ გარემოებას, რომ თუ მფლობელობით პროცესში ნივთი მიეკუთვნება არაუფლებამოსილ პირს, უკანონო მფლობელს, ნივთზე უფლების მქონეს ეძლევა შესაძლებლობა, მიაღწიოს უფლების დაცვას პეტიტორულ პროცესში. ამ შემთხვევაში მფლობელობა დაცულია უკვე არა, როგორც შიშველი ბატონობის ფაქტი, არამედ ტიტულზე დაყრდნობით. აქ, სასამართლო იკვლევს არა მხოლოდ ფაქტობრივ გარემოებებს, არამედ უფლებრივ საკითხებსაც და გადაწყვეტილება გამოაქვს მფლობელობაზე უფლებამოსილის სასარგებლოდ.<sup>799</sup>

მფლობელობით პროცესში მიღებული გადაწყვეტილება განსაზღვრავს პეტიტორულ პროცესში მხარეთა მდგომარეობას. ამ პროცესში მხარე, მოსარჩელე, რომელმაც შეინარჩუნა მფლობელობა სადავო ნივთზე, დაიკავებს მოპასუხის ადგილს მომდევნო პროცესში. ამ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი აწევს მოსარჩელეს, ანუ მხარეს, რომელიც არ არის კმაყოფილი მფლობელობითი სარჩელის განხილვით. მტკიცების ტვირთი სამოქალაქო პროცესში გულისხმობს მხარის ვალდებულებას დაადგინოს გარემოებები, რომელთა დაუდგენლობა, განუხილველობა შესაძლოა, მისთვის არასასურველი შედეგების მომტანი იყოს.<sup>800</sup> პეტიტორულ პროცესში მოსარჩელეს ევალება ამტკიცოს, რომ მფლობელი არ არის მესაკუთრე და არც მასზე უკეთესი უფლების მქონე პირი, ასევე, ის, რომ მოსარჩელეს ეკუთვნის ნივთზე ის უფლება, რომელიც მოიცავს მფლობელობის განხორციელების უფლებამოსილებას.

<sup>796</sup> Яичков К.К., (ред.), Гражданское и торговое право капиталистических государств, М., 1966, 193.

<sup>797</sup> Коновалов А.В., Владение и владельческая защита в гражданском праве, М., 2002, 100.

<sup>798</sup> მოსაზრება მოითხოვს: Дернбург Г., Пандекты, Вещное право, Т.1, ч. 2, СПб., 1902, 43.

<sup>799</sup> Коновалов А.В., Владение и владельческая защита в гражданском праве, М., 2002, 552.

<sup>800</sup> Треушников М.К., (ред.), Хрестоматия по гражданскому процессу, М., 1996, 108.

შესაბამისად, საკუთრებით პროცესში შესაძლოა, მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება სადავო ნივთზე საკუთრების უფლების აღიარების თაობაზე არა იმ პირის მიმართ, ვისაც მიეკუთვნა მფლობელობა წინა პროცესში, არამედ საპირისპირო მხარის სასარგებლოდ.<sup>801</sup> ამგვარად, პეტიტორულ პროცესში მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აწევს, ხოლო მფლობელობით პროცესში გამარჯვებული მხარის პოზიციის დაცვა გამარტივებულია: მისი, როგორც მფლობელის სასარგებლოდ მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია მოქმედებს.<sup>802</sup>

წარმოადგენს თუ არა პოსესორული დაცვა პეტიტორული პროცესის წინარე, მოსამზადებელ ეტაპს, ამის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს: სავინი მიიხნევა, რომ რომის სამართალში ინტერდიქტულ და საკუთრების სასარჩელო დაცვას შორის კავშირი იყო შემთხვევითობა და, არა ინტერდიქტის სამართლებრივი ბუნების შედეგი. ხოლო იერიხის მოსაზრებით, მფლობელობა საკუთრების სიცხადე, მისი გარეგნული ნიშანია და ინტერდიქტის მიზანი იყო მფლობელობითი ურთიერთობის მოწესრიგება დროებით, საკუთრებითი პროცესისთვის. ამ აზრს იზიარებდა პუხტაც – ინტერდიქტი იყო მოსამზადებელი პროცესუალური საშუალება მომავალი დაცვისთვის უფლების შესახებ.<sup>803</sup>

#### 7.4. პრეზუმფციის არსი და ფუნქციები

ამგვარად, მფლობელის სასარგებლოდ პეტიტორულ პროცესში მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია მოქმედებს, რაც მას ათავისუფლებს ნივთზე უფლების არსებობის მტკიცებისგან. პრეზუმფცია ლათინური სიტყვაა და აღბათობაზე დაფუძნებულ ვარაუდს ნიშნავს. ვარაუდი ობიექტურად დაუდგენელი გარემოებაა, რომელიც ამა თუ იმ ფაქტის არსებობა ან არ არსებობის საჭკოდ შექმნისას გამოიყენება.<sup>804</sup> ფაქტის აღიარება არსებულად ვარაუდის საფუძველზე, შეადგენს პრეზუმფციის არსს.<sup>805</sup> სამართლებრივი პრეზუმფცია გულისხმობს წინასწარ დადგენილ, განსაზღვრულ სამართლებრივ ვარაუდს, რომელიც მოცემულია კანონში ან გამომდინარეობს კანონიდან და მოქმედებს მანამ, სანამ არ იქნება დადგენილი ან დამტკიცებული მისი საწინააღმდეგო. დაუდასტურებელი მოვლენა ან ფაქტი მიიხნევა არსებულად და მას სამართლებრივი შედეგები უკავშირდება.<sup>806</sup>

<sup>801</sup> *Шершеневич Г.Ф.*, Учебник русского гражданского права, Т. 1, 11-ое изд., М., 1914, 267.

<sup>802</sup> *Анненков К.*, Система русского гражданского права, Т. II, 2-ое изд., СПб., 1900, 600.

<sup>803</sup> მოსაზრება მითითებულია: *Коновалов А.В.*, Владение и владельческая защита в гражданском праве, М., 2002, 89.

<sup>804</sup> *ფუტკარაძე რ.*, სამოქალაქო სამართლებრივი პრეზუმფციები, ჟურნ. „სამართალი“, №8-9, 2000, 48.

<sup>805</sup> *Мейер Д.М.*, Избранные произведения по гражданскому праву, М., 2003, 98. პრეზუმფციული დასკვნით ერთი ფაქტი, ან მოვლენა დადგენილად ითვლება არაერთგზის მომხდარი ანალოგიური ფაქტებისა თუ მოვლენების საფუძველზე. *შუშანაშვილი აღ.*, უდანაშაულობის პრეზუმფცია, პროფ. გ. ინწკირველის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1996, 149. პრეზუმფცია ფაქტის დადგენის საფუძველია, მაგრამ არ ხდება ნავარაუდები ფაქტის მტკიცება, ის მას არ საჭიროებს. *Мейер Д.М.*, Избранные произведения по гражданскому праву, М., 2003, 115.

<sup>806</sup> *ჭანტურია ლ.*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997, 160.



კანონისმიერ პრეზუმფციას (ფაქტის ან უფლების პრეზუმფცია) ორი ფუნქცია გააჩნია: მატერიალურსამართლებრივი და საპროცესო-სამართლებრივი. ამ უკანასკნელს შეუძლია მტკიცების ტვირთის გადატანა. ზოგადად, ფაქტების მტკიცების ვალდებულება ეკისრება პროცესის იმ მხარეს, რომელიც ამტკიცებს ამ ფაქტების არსებობას და მათი მეშვეობით ასაბუთებს თავის მოთხოვნას. მტკიცების ტვირთის განაწილებისა და მტკიცებულებათა წარმოდგენის ზოგად წესს არსებითად ცვლის მტკიცებითი პრეზუმფციები. კერძოდ, ის აკისრებს მეორე მხარეს მტკიცების ტვირთს, რაც დაკავშირებულია რისკთან, მან წააგოს პროცესი, თუ მტკიცებულება არ იქნება მიღებული. მტკიცების ტვირთისგან გათავისუფლებულია ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც დადგინდა პრეზუმფცია,<sup>807</sup> ანუ მხარეს, რომელიც ემყარება რომელიმე პრეზუმირებულ ფაქტს, არ ევალდება ამტკიცოს იგი, ხოლო დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ ეს ფაქტი უარყონ.<sup>808</sup>

პრეზუმფციის მატერიალურსამართლებრივი ფუნქციის თანახმად, ნორმის აღწერილობითი ნაწილის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი კონკრეტულ პროცესთან დაკავშირებით და განსაზღვრულ მხარეთა შორის, მაშინაც მოცემულად ჩაითვლება, როდესაც ობიექტურად ვერ მოხერხდება ამ გარემოების დადგენა.<sup>809</sup> მატერიალურსამართლებრივ პრეზუმფციებს შეიცავენ მატერიალური სამართლის ნორმები პირდაპირ ან ირიბად და გამოიყენება მაშინ, როდესაც პრეზუმირებული ფაქტების არსებობა ნამდვილია და არსებული მტკიცებულებები არ არის საკმარისი გადაწყვეტილების მისაღებად.<sup>810</sup>

## 7.5. მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფციის დანიშნულება

მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფციის წარმოშობა დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ სწორედ, მფლობელობის ფაქტმა წარმოშვა საკუთრების უფლება და ცხოვრებაში ყველაზე ხშირი მფლობელისა და მესაკუთრის თანხვედრაა. ეს გულგება მიჩნეულია სამოქალაქო ბრუნვის მნიშვნელოვან კონსტრუქციულ ელემენტად, რადგან მის ნორმალურ არსებობას უზრუნველყოფს.<sup>811</sup> ამ პრეზუმფციის გარეშე ყველა სუბიექტის კეთილსინდისიერება, მისი კუთვნილობის მართებულობა ეჭვის ქვეშ დადგებოდა.<sup>812</sup> მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფციის არსებობა მხოლოდ მოძრავ ნივთზე, განპირობებულია მასზე საკუთრების წარმოშობის წესით. ამ ვარაუდის დამკვიდრებაში დიდი გავლენა იქონია სავაჭრო სამართალმა, ის წარმოშვა სამოქალაქო ბრუნვამ, ხოლო შემდგომ

<sup>807</sup> *გაგუა ი.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მტკიცების ტვირთის ინოვაციური განაწილების თავისებურებათა ანალიზი, *ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“*, №3, 2010, 79.

<sup>808</sup> *ჭურდაძე შ.*, სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, *თბ.*, 2005, 350-351.

<sup>809</sup> *ბილინივი პ., ლუტრიგაუხი პ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, *ბრემენი-თბილისი*, 2004-2009, 69.

<sup>810</sup> *ფუტკარაძე რ.*, სამოქალაქო სამართლებრივი პრეზუმფციები, *ჟურნ. „სამართალი“*, №8-9, 2000, 27.

<sup>811</sup> *Скловский К.И.*, О праве на отчуждение имущества без передачи владения, *ж. «Хозяйство и право»*, №8, 2003, 12.

<sup>812</sup> *ჭანტურია ლ.*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, *თბ.*, 1997, 160.

სასამართლო პრაქტიკამ და კანონმდებლობამ განამტკიცა:<sup>813</sup> მოძრავ ნივთთან მიმართებით მფლობელობა სამართლებრივი საფუძვლის არსებობის ტოლფასია (საფრანგეთის სკ-ის 2276-ე მუხლი); მოძრავი ნივთის მფლობელის სასარგებლოდ ივარაუდება, რომ იგი არის მისი მესაკუთრე (გერმანიის სკ-ის 1006-ე პარაგრაფი); ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე (საქართველოს სკ-ის 158-ე მუხლი).

ამგვარად, საკუთრების ვარაუდი დაშვებულია იმ პირთა მიმართ, რეალურად ვის ხელშიც არის მოძრავი ნივთი და ვინც ახორციელებს მასზე ფაქტობრივ ბატონობას. ეს მიდგომა განმტკიცებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაშიც.<sup>814</sup> შეუძლებელია, ერთდროულად საკუთრების ვარაუდის დაშვება, როგორც ნივთის ძველი, ისე ახალი მფლობელის მიმართ. ძველი მფლობელის მიმართ საკუთრების პრეზუმფცია მოქმედებს მხოლოდ მისი მფლობელობის პერიოდში. ამ ვითარებაში მფლობელობა წართმეული ნივთის ნამდვილი მესაკუთრე უფრო მძიმე მდგომარეობაშია, ვიდრე მფლობელი არამესაკუთრე, ვიდრე გაირკვევა მათი ნამდვილი უფლებრივი მდგომარეობა.<sup>815</sup>

პრეზუმფცია ჭეშმარიტებას არ გულისხმობს, ამიტომ ხშირად არსებობს სხვაობა ფაქტობრივ და იურიდიულ მდგომარეობას შორის, ზოგჯერ პირი ფლობს ნივთს მესაკუთრის ნების წინააღმდეგ.<sup>816</sup> ამ გულგებით მფლობელი თავისუფლდება მტკიცების ტვირთისგან, ანუ მფლობელობის მოპოვების საფუძვლის მტკიცებისგან, ხოლო მესაკუთრეს, მოსარჩელეს აწევს მტკიცების ტვირთი. მან უნდა დაამტკიცოს, როგორც მისი ნების წინააღმდეგ მფლობელობის დაკარგვის ფაქტი, ასევე მოპასუხის მფლობელობის უკანონობა. მტკიცების ტვირთის ამგვარი განაწილება პეტიტორულ პროცესში აიხსნება იმ გარემოებით, რომ მფლობელობით პროცესში მფლობელმა გარკვეული სახით დააფუძნა თავისი მფლობელობა, მოიხსნა სისხლისსამართლებრივი დელიქტის (ქურდობის) განხორციელების ბრალდება, ამიტომ მასზე მეორე პროცესში ხელახლა მტკიცების ტვირთის დაკისრება არ არის მიზანშეწონილი.<sup>817</sup>

## 7.6. მფლობელობითი სარჩელის წარმოშობა და სახეები

მე-12 ს.-ის ბოლომდე ევროპულ სამართალში ყველა სანივთო უფლება დაცული იყო სარჩელით „Gewere,“ რომლის ფარგლებში არ ხდებოდა გამიჯვნა პოსესორულ და პეტიტორულ დაცვას შორის. საფრანგეთში პირველად მე-13 საუკუნეში, ლუდოვიკო მე-9-ის ორდონანსში აისახა მფლობელობითი სარჩელი ძალადობით დარღვეული მფლობელობის აღსადგენად. შუა საუკუნეების გერმანული ჩვეულებითი სამართლის ძეგლებიც „საქსონიის სარკე“ და „შვაბეთის სარკე“

<sup>813</sup> Удинцев В.А., Избранные труды по торговому и гражданскому праву, М., 2003, 239.

<sup>814</sup> სუსგ №ას-1365-1491-04, 6 ივნისი, 2005წ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეებზე, №2, 2005, 66.

<sup>815</sup> ზოდუ ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, 70.

<sup>816</sup> Склоцкий К.И., Об идеологии защиты владения в современном гражданском праве, В книге: Проблемы современного гражданского права, под. ред. Литовкина В.Н., Рахмиловича В.А., М., 2000, 116.

<sup>817</sup> Склоцкий К. И., Собственность в гражданском праве, М., 1999, 306.

განამტკიცებდნენ მფლობელობით დაცვას.<sup>818</sup> პანდექტურ სამართალში რომის სამართლის რეცეპციის შემდეგ, მფლობელობით დაცვას განამტკიცებდნენ ეროვნული და კანონიერი სამართლის დანაწესები.

მფლობელობის ხელყოფაში მოიაზრება როგორც მფლობელობის ჩამორთმევა, ისე მფლობელობის განხორციელებაში ხელის შეშლა, ან მომავალში მისი დარღვევის საფრთხის შექმნა. თანამედროვეობაში მფლობელობითი სარჩელები იყოფა ორ დიდ ჯგუფად: 1) ორდინალური სარჩელები, მიმართული არსებული მფლობელობის დასაცავად სამართალდარღვევისგან; 2) რეკუპატორული სარჩელები, მიმართული თვითნებურად წართმეული მფლობელობის დასაბრუნებლად.<sup>819</sup>

### 7.6.1. პოსესორული დაცვა ფრანგულ სამართალში

ფრანგული სამართალი იცნობს სამი სახის მფლობელობით სარჩელს:

1) სარჩელი, იმ იურიდიული და ფაქტობრივი მოქმედებების შეწყვეტის წინააღმდეგ, რომლებიც მართალია, არ არის დაკავშირებული მფლობელობის დაკარგვასთან, მაგრამ ხელს უშლიან მის განხორციელებას, 2) სარჩელი მომავალში შესაძლო დარღვევის თავიდან აცილების თაობაზე, როგორც პრევენციული ზომა მფლობელობისთვის საფრთხის შექმნელ ქმედებათა წინააღმდეგ, მაგალითად, სარჩელი მეზობელ ნაკვეთში მფლობელობისთვის საფრთხის შექმნელი სამუშაოების განხორციელების წინააღმდეგ; 3) სარჩელი ძალადობით წართმეული მფლობელობის აღდგენის შესახებ.<sup>820</sup>

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი დაეფუძნა სავინის მფლობელობის თეორიას, შესამაბისად, მფლობელობითი დაცვის უფლება მიანიჭა მხოლოდ მესაკუთრესა და უკანონო მფლობელებს, ხოლო ვინც ფლობდა დროებით, სანივთო ან ვალდებულებითი უფლების საფუძველზე, ანუ მჭერებს, ეს უფლება არ გააჩნდათ. ფრანგულმა სამართალმა მხოლოდ 1975 წლიდან აღიარა მჭერთა დამოუკიდებელი დაცვის უფლება. ამასთან, მჭერს არა აქვს უფლება წარადგინოს მფლობელობითი სარჩელი იმ პირის მიმართ, ვისგანაც მიღებული აქვს ნივთი.<sup>821</sup>

### 7.6.2. მფლობელობითი დაცვა გერმანულ სამართალში

გერმანიის სამოქალაქო სამართალი აღიარებს ორი ტიპის მფლობელობით სარჩელს: 1) სარჩელი მფლობელობის დარღვევის

<sup>818</sup> Венедиктов А.В., Защита фактического владения в условиях мирного и военного времени, Ученые труды ВИЮН, Вып. IX, М., 1947, 55.

<sup>819</sup> Лоренц Д.В., Система гражданско-правовых притязаний и проблема их конкуренции. ж. «Гражданское право», №4, 2008, 7.

<sup>820</sup> Васильев Е.А., Комаров А.С., (ред.), Гражданское и торговое право зарубежных государств, Т.1, М., 2004, 414. იტალიის სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს ორი სახის მფლობელობით სარჩელს: 1) ძალადობით ან ფარულად წართმეული მფლობელობის აღდგენის შესახებ; 2) მფლობელობის განხორციელებაში ხელშემშლელი მოქმედებების აღკვეთის შესახებ. ორივე სარჩელი წარედგინება ხელყოფის მომენტიდან ერთი წლის განმავლობაში (მუხლი 1170), იტალიის სამოქალაქო კოდექსი, თარგმანი *ხეკველაშვილის*, ქართული კერძო სამართლის კრებული, წ.1, თბ., 2004, 349.

<sup>821</sup> Мозолин В.П., Кулагин М.И., (ред.), Гражданское и торговое право капиталистических стран, М., 1980, 144.

შეწყვეტის ან მომავალში შესაძლო დარღვევის თავიდან აცილების შესახებ; 2) სარჩელი თვითნებობით წართმეული მფლობელობის დაბრუნების შესახებ.<sup>822</sup>

ამ შემთხვევაში თვითნებობად მოიაზრება უკანონო ქმედება, მათ შორის ნივთის მესაკუთრის მიერ მფლობელისთვის მისი ნების წინააღმდეგ მფლობელობის ჩამორთმევა ან მფლობელობის ხელშემშლელი ქმედებების განხორციელება. მაგალითად, თუ საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელი ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, კვლავ აგრძელებს მასში ცხოვრებას, ხოლო მესაკუთრე ძალით ართმევს ხელშეკრულების საგანს ან ხელს უშლის მფლობელობის განხორციელებაში, დამქირავებელს უფლება აქვს მფლობელობით სარჩელზე მართალია, მესაკუთრეს გააჩნია უპირატესი უფლება, მაგრამ მართლწესრიგი დაუშვებლად თვლის თვითნებობას.

ამიტომ, დამქირავებლის მოთხოვნა მიმართულია იმ მდგომარეობის აღდგენისკენ, რომელიც იარსებებდა მფლობელობის დარღვევამდე.<sup>823</sup>

იერინგის კონცეფციამ მფლობელობის შესახებ ასახვა ჰპოვა გერმანიის სამოქალაქო კოდექსში და გააფართოვა მფლობელობითი დაცვის ფარგლები. ის განამტკიცებს ორმაგ მფლობელობას<sup>824</sup> და დაცვის უფლებას ანიჭებს როგორც შუალობით, ისე უშუალო მფლობელს. მფლობელობითი დაცვით სარგებლობს ხანდაზმული მფლობელიც, რომელსაც ჯერ არ შეუძენია საკუთრების უფლება. მართალია, ის ჯერ არ არის მართლზომიერი მფლობელი, თუმცა მისი მფლობელობა არ არის სამართლებრივად უგულვებელყოფილი ფაქტი და შესაძლოა, ის გახდეს მესაკუთრე გარკვეული პირობების არსებობისას. ხანდაზმულობით მფლობელს შეუძლია მოითხოვოს როგორც მფლობელობის აღდგენა, ისე ხელშეშლის აღკვეთა მესამე პირთა მხრიდან, რომლებიც თავად წარმოადგენენ უტიტულო მფლობელებს.<sup>825</sup>

### 7.6.3. რუსული სამართლის მიდგომა

რუსული სამოქალაქო სამართალი ერთგული დარჩა საბჭოური გამოცდილების და ის სრულყოფილად არ განამტკიცებს მფლობელობით დაცვას (ცივილისტთა ერთი ნაწილი, მესაკუთრის გარდა, სხვა ტიტულოვანი მფლობელის სარჩელს უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ, მფლობელობით სარჩელს უწოდებს, რაც არ არის მართებული). დოქტრინაში არსებობს მოსაზრება მფლობელობითი დაცვის აღდგენის თაობაზე: რუსეთის სასამართლო სისტემაში, სადაც

<sup>822</sup> *Васильев Е.А., Комаров А.С.*, (ред.), Гражданское и торговое право зарубежных государств, Т.1, М., 2004, 415.

<sup>823</sup> *Книпер Р.*, Владение в гражданском праве Туркменистана, В книге: Право, Экономика, Благополучие, Актуальные вопросы правовой реформы в Туркменистане, ( *Нурыев Я., Чантурия Л.*, изд.), Ashgabat, 2010, 102.

<sup>824</sup> ორმაგი მფლობელობის შემოღებას აკრიტიკებდნენ რევოლუციამდელი რუსი ცივილისტები, რადგან სადავო იყო, თუ რომელ მფლობელს უნდა მიანიჭებოდა დაცვის უფლება. ასევე, მათი აზრით, შესაძლო იყო მჭერს ჰქონოდა დაცვის უფლება, მისთვის მფლობელის ტიტულის მინიჭების გარეშე. *Симолин А.А.*, Определение владения по нашему проекту и Германскому уложению, В книге: Возмездность, безвозмездность, смешанные договоры и иные теоретические проблемы гражданского права, М., 2005, 508.

<sup>825</sup> *Сергеев А.П., Толстой Ю.К.*, (ред.), Гражданское право, Т.1, 6-ое изд., М., 2004, 427.

საქმეთა განხილვისთვის დადგენილია ხანგრძლივი ვადები, საჭიროა, სამოქალაქო უფლებათა დაცვის გამარტივება. უფლებათა დაცვა ეფექტურია მაშინ, როცა ის თანადროულია. ხოლო დაცვის თანადროულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ პროცესუალური საქმიანობა როგორ ასახავს სასამართლოში საქმეთა განხილვის სიმარტივესა და სინქარეს.<sup>826</sup> რუსეთის სკ იცნობს მფლობელობითი დაცვის მხოლოდ ერთ შემთხვევას, კერძოდ, კეთილსინდისიერი და საკუთრად ფლობის განზრახვის მქონე ხანდაზმული მფლობელი დაცულია უტიტულო მფლობელისგან, მაგრამ არა მესაკუთრის ან სხვა მართლზომიერ მფლობელთა მიერ განხორციელებული ხელყოფისგან (234-ე მუხლის მე-2 ნაწილი).<sup>827</sup>

მფლობელობითი დაცვის აღდგენის მოწინააღმდეგეთა პოზიციით, ამ დაცვას აქვს დროებითი ხასიათი, მას არ შეუძლია უგულებელყოს ძირითადი სარჩელი უფლების შესახებ. ამდენად, ისედაც დატვირთული სასამართლოს საქმიანობის დამძიმება ახალი სახის პროცესით, მიუღებელია. ამასთან, მფლობელობითი სარჩელი ყოველთვის იდგა კერძო და საჯარო სამართლის ზღვარზე, მის დაცვას უნდა ახორციელებდეს არა სასამართლო, არამედ სამართალდამცავი ორგანოები, რადგან მათი ფუნქციაა პიროვნებისა და მართლწესრიგის დაცვა, რასაც ემსახურება მფლობელობითი დაცვა. ასევე, დღეს, როცა უძრავ ნივთზე საკუთრების წარმოშობის პროცესი სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ორგანოებშია თავმოყრილი, მოდავე მხარის მიერ უფლების დამადასტურებელი საბუთის წარდგენისას, შეუძლებელია, ის სასამართლომ არ მიიღოს მხედველობაში და დააკმაყოფილოს პოსესორული სარჩელი. ეს ეწინააღმდეგება სასამართლოს საქმიანობის პრინციპებსა და რეგისტრაციის სისტემის სანდობას.<sup>828</sup>

#### 7.6.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები მფლობელობითი დაცვის შესახებ

საქართველოს სკ-ის 160-161-ე მუხლები განამტკიცებენ მფლობელობით დაცვას. ისინი იცავენ მფლობელობას ხელყოფისგან, ერთი მხრივ, ნივთის მფლობელობაში დაბრუნებისა, და მეორე მხრივ, მფლობელობის განხორციელებისას ხელშეშლის აღკვეთის გზით. ეს ნორმები მოქმედებს მხოლოდ კეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ,

<sup>826</sup> *Вершинин А.П.*, Способы защиты гражданских прав в суде, СПб., 1997, 87.

<sup>827</sup> *Коновалов А.В.*, Владельческая защита в российском праве, ж. «Правоведение», №9, 1998, 144.

<sup>828</sup> *Бабаев А.Б.*, Система вещных прав, М., 2007, 246. საერთო სამართალში არ განასხვავებენ მფლობელობის და საკუთრების დაცვას. ორივე ინსტიტუტი დაცულია ზიანის მიყენებიდან გამომდინარე, დელიქტური სარჩელებით, რადგან საერთო სამართალი მფლობელობისა და საკუთრების დარღვევას დელიქტად განიხილავს. *Маттей У., Суханов Е.А.*, Основные положения права собственности, М., 1999, 248. სარჩელით მფლობელობის დარღვევის წინააღმდეგ, დაცულია მოძრავ და უძრავ ნივთებზე მფლობელობა ხელყოფისაგან. ამ სარჩელის განხორციელების პროცესში არ მოწმდება მფლობელობის ტიტული, მისი დახმარებით ხორციელდება იმგვარი არამართლზომიერი ქმედებებისგან დაცვა, როგორცაა: სხვის მიწის ნაკვეთში ან ნაგებობაში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შესვლა ან ნივთების მოთავსება, მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობისთვის ხელშემშლელი ქმედებების განხორციელება. *Васильев Е.А., Комаров А.С.*, (ред.), Гражданское и торговое право зарубежных государств, Т.1, М., 2004, 416.

რომელშიც სამოქალაქო კოდექსი გულისხმობს როგორც მართლზომიერ, ისე არამართლზომიერ მფლობელს.

კეთილსინდისიერ (არამართლზომიერ) მფლობელს მფლობელობითი დაცვის განხორციელება შეუძლია როგორც სხვა უტიტულო მფლობელის, ისე ტიტულოვანი მფლობელის მიმართ. კეთილსინდისიერ მფლობელს უფლება აქვს 3 წლის განმავლობაში მოითხოვოს ნივთის დაბრუნება ახალი მფლობელისგან. სასამართლომ უნდა გამოარკვიოს ახალი მფლობელის უფლებრივი დამოკიდებულება და, თუ მას მეტი საფუძველი აქვს ნივთის ფლობისა, კეთილსინდისიერი მფლობელი დაკარგავს მფლობელობის აღდგენის შესაძლებლობას.<sup>829</sup> ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როდესაც უკეთესი უფლების მქონე პირი (მესაკუთრე, სხვა კანონიერი მფლობელი) ძალადობის ან მოტყუების გზით ჩამოართმევს ნივთს მფლობელს, როგორც, ნაკლები უფლების მქონეს.

თუ მფლობელობის ხელყოფა არ არის დაკავშირებული ნივთის მფლობელობის ჩამორთმევასთან, არამედ მფლობელობის განხორციელებაში ხელშეშლას სახეზე, კეთილსინდისიერ მფლობელს გააჩნია ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნა, ასევე, ხელყოფით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, თუ შეუძლებელია ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის განხორციელება (161-ე მუხლი). საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთი გადაწყვეტილებით, 159-ე მუხლის საფუძველზე, კეთილსინდისიერ მფლობელად აღიარა საქმიან ურთიერთობებში ასეთად მიჩნეული პირი, მესაკუთრე, რომელსაც კუთვნილი მიწის ნაკვეთის მიმდებარე ნაკვეთი არ ჰქონდა დარეგისტრირებული, და არც მიუმართავს საჯარო რეესტრისთვის მის მესაკუთრედ აღიარების თაობაზე და მას სკ-ის 161-ე მუხლზე დაყრდნობით მიანიჭა მფლობელობის უკანონო ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის უფლება.<sup>830</sup>

მფლობელობითი დაცვის მოთხოვნის ბუნება არ იცვლება იმით, თუ უფლების დაცვის რომელი უწყებისთვის არის მიმართული, სასამართლოსთვის თუ ადმინისტრაციული ორგანოსთვის. პირველ შემთხვევაში ის წარმოადგებს სარჩელს, ხოლო მეორე შემთხვევაში – განცხადებას.<sup>831</sup> ამ თვალსაზრისით საინტერესოა, საქართველოს სკ-ის 172-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც მესაკუთრის სასამართლომდე დაცვის უფლებას განამტკიცებს სამართალდამცავი ორგანოსთვის მიმართვის და მისთვის საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გზით. აღნიშნული, თავისი არსით პოსესორული დაცვაა, რადგან შესაბამისი ორგანო ძირითადად, ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით მოქმედებს. მართალია, მას წარედგინება საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, მაგრამ ეს მფლობელობის უფლებრივი საფუძვლის ზედაპირული შემოწმებაა. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ხელმყოფის მიერ ასევე, საკუთრების ან სხვა უფლებაზე დამყარებული მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი წერილობითი საბუთის წარდგენისას, დავის გადაწყვეტა სამართალდამცავი ორგანოს კომპეტენციას სცილდება და სასამართლოში გადადის.

<sup>829</sup> ზოდუ ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, 73.

<sup>830</sup> სუსგ №501-03, 10 ივნისი, 2003 წ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, №7, 2003, 1911.

<sup>831</sup> Коновалов А.В., Владение и владельческая защита в гражданском праве, М., 2002, 145.

კეთილსინდისიერი მფლობელობის დაცვის თვალსაზრისით, საინტერესოა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „საღინაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, რომელიც შეეხებოდა აფხაზეთიდან დევნილი ოჯახის მიერ სახელმწიფოს მიერ მათთვის საცხოვრებლად გადაცემული კოტეჯის მფლობელობის დაცვას. სასამართლო დაეყრდნო, როგორც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას, ასევე, გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებს ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილების შესახებ<sup>832</sup> და გადაწყვეტილებაში მიუთითა: მართალია, განმცხადებელს არ ჰქონდა კოტეჯზე საკუთრების უფლება (ეს გამოწვეული იყო არა მისი მოქმედებით, არამედ სახელმწიფო უწყების მიერ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის საჭირო წესის დაუცველობით),<sup>833</sup> მაგრამ ფორმალობის დაუცველობა არ არის განმცხადებლის კოტეჯში თვითნებურად შეჭრის ფაქტის აღიარების საფუძველი. სასამართლომ განმცხადებლის მიერ კოტეჯის გრძელვადიანი ფლობა მიიჩნია კეთილსინდისიერ ფლობად, რადგან მისი მხრიდან არსებობდა გონივრული და მართლზომიერი მოლოდინი საკუთრების უფლების საფუძველზე კოტეჯით სარგებლობისა. მართალია, მოლოდინის მართლზომიერად მიჩნევისთვის აუცილებელია მისი დამყარება კანონსა ან სხვა ნორმატიულ აქტზე, თუმცა განმცხადებლის ფლობის მართლზომიერება დასტურდებოდა მფლობელობის გამცემი უწყების მიერ გაცემული წერილით. იგივე უწყება მთელი მფლობელობის განმავლობაში მკაფიოდ გამოხატავდა ტოლერანტობას განმცხადებლის მიერ კოტეჯითა და მიმდებარე მიწის ნაკვეთით ექსკლუზიური, შეუფერხებელი და ღია სარგებლობის ფაქტის მიმართ.

ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლის მხრიდან შესაძლო არამართლზომიერი მფლობელობის მიუხედავად, უფლებამოსილ პირს არ ჰქონდა მისთვის

<sup>832</sup> 1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის საცხოვრებელს; 2. დაუშვებელია, ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისთვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად (მუხლი მე-8).

1. არაეის არ უნდა ჩამოერთვას თვითნებურად საკუთრება და მფლობელობა; 2. იძულებით გადაადგილებული პირების საკუთრება და მფლობელობა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა იყოს დაცული (პრინციპი 21, პუნქტი I და II); ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საქმე „საღინაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, განაცხადი №18768/05, განჩინება, სტრასბურგი 2010 წლის 27 მაისი.

[http://www.justice.gov.ge/files/Documents/adam/gadawyvetilebebi/saghinadze\\_da\\_sxvebi.pdf](http://www.justice.gov.ge/files/Documents/adam/gadawyvetilebebi/saghinadze_da_sxvebi.pdf)

<sup>833</sup> საქართველოში იმ პერიოდში (1993-1994 წწ.) ჰუმანიტარული კრიზისის გამო, როდესაც ცენტალურ ხელისუფლებას უნდა დაეხმებინა დაახლოებით 300000 იძულებით გადაადგილებული პირი აფხაზეთიდან, ნაკლებად რეალისტური იყო მთავრობის მიერ ყველა ფორმალობის დაცვა ბინების გამოყოფის საკითხთან დაკავშირებით. იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საქმე „საღინაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, განაცხადი №18768/05, განჩინება, სტრასბურგი 2010 წლის 27 მაისი.

[http://www.justice.gov.ge/files/Documents/adam/gadawyvetilebebi/saghinadze\\_da\\_sxvebi.pdf](http://www.justice.gov.ge/files/Documents/adam/gadawyvetilebebi/saghinadze_da_sxvebi.pdf).11.

მფლობელობის წართმევის უფლება თვითნებურად, სასამართლოს გარეშე და მიუთითა მისი მფლობელობის აღდგენის შესაძლებლობაზე თუნდაც ადგილობრივი კანონმდებლობის ფარგლებში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 160-ე მუხლზე დაყრდნობით.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით, კოდექსის 160-ე მუხლით გათვალისწინებული დაცვა მიიჩნია მხოლოდ კანონიერ მფლობელთა შესაძლებლობად. ამასთან, დაფიქსირდა განსხვავებული აზრიც: მიუხედავად უკანონო მფლობელობისა, განმცხადებელი კეთილსინდისიერად ფლობდა. მოპასუხეს არ ჰქონდა მისთვის ნივთის ჩამორთმევის უფლება სათანადო პროცესის გარეშე და ძალის გამოყენებით. მფლობელს აქვს ნივთის დაბრუნების უფლება სკ-ის 160-ე მუხლის საფუძველზე.<sup>834</sup>

## 7.7. თვითდაცვა

მფლობელობითი დაცვისაგან განსხვავდება თვითდაცვა. ამასთან, მფლობელობის დაცვა უზრუნველყოფილია ასევე, თვითდაცვის გზით. თვითდაცვის, თვითდახმარების უფლება სამოქალაქო სამართლის ნებისმიერ სუბიექტს გააჩნია. მფლობელობითი დაცვისაგან განსხვავებით, რომლითაც ვერ სარგებლობს მჭერი, თვითდაცვა რომის სამართლიდან მოყოლებული მისთვისაც ხელმისაწვდომია. თუ წინარე სახელმწიფოებრიობის ხანაში თვითნებობა დაზარალებულის ინტერესების დაცვის დამკვიდრებული წესია, სახელმწიფო თავისი არსებობის პირველივე საფეხურზე მიზნად ისახავს, შურისგების მისწრაფება გარკვეულ ფარგლებში მოაქციოს.<sup>835</sup> თანამედროვე მართლწესრიგი ინდივიდებს უკრძალავს სამართლებრივი დავების გადაწყვეტას თვითნებურად, თვითგასამართლების გზით, რადგან მართლმსაჯულების განხორციელების მონოპოლია სახელმწიფო ხელისუფლებას აქვს მინიჭებული. თუმცა არსებობს კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისი, როდესაც მკაცრად განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას ინდივიდს შეუძლია თავისი უფლების დაცვის ან მათი დროებით უზრუნველყოფის მიზნით ძალის გამოყენება, თუ შეუძლებელია სახელმწიფოს მხრიდან დროული დახმარება.<sup>836</sup> თვითდაცვა გულისხმობს პირის ფაქტობრივ მოქმედებას სამოქალაქო უფლებისა და კანონით დაცული ინტერესის დაცვისთვის, რომელსაც ის დამოუკიდებლად ახორციელებს, სახელმწიფო ორგანოებისთვის დახმარების მიმართვის გარეშე.<sup>837</sup>

მფლობელობითი დაცვის თვალსაზრისით, ეს ნიშნავს, პირის შესაძლებლობას დამოუკიდებლად მიიღოს ზომები დარღვეული

<sup>834</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საქმე „საღინაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, განაცხადი №18768/05, განჩინება, სტრასბურგი 2010 წლის 27 მაისი.

[http://www.justice.gov.ge/files/Documents/adam/gadawyvetelebebi/saghinadze\\_da\\_sxvebi.pdf](http://www.justice.gov.ge/files/Documents/adam/gadawyvetelebebi/saghinadze_da_sxvebi.pdf), 12.

<sup>835</sup> *ქონაშვილი ქ.*, ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, *ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“*, №1, 2009, 86.

<sup>836</sup> *პენშელი ს.*, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, თბ., 2009, 20.

<sup>837</sup> *გალდავა გ.*, სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, *ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“*, №1, 2009, 121.



მფლობელობის აღსადგენად. თვითდაცვას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც პირი მფლობელს უკანონოდ წაართმევს მფლობელობას ან ხელს შეუშლის მფლობელობის განხორციელებაში. თვითდაცვის უფლება უფლებამოსილ პირს გააჩნია, როგორც სამართალდამრღვევის, ისე მისი მემკვიდრის ან იმ პირის მიმართ, ვინც ნივთის შექენისას იცოდა მფლობელობის ხარვეზის შესახებ.<sup>838</sup> თვითდაცვა არ ხორციელდება ნივთის მესაკუთრის მიმართ.

გერმანიის სკ-ის 859-ე პარაგრაფის მიხედვით, მფლობელს შეუძლია წინ აღუდგეს აკრძალულ თვითნებობას, თუ მოძრავ ნივთს ძალით წაართმევენ. მას შეუძლია ძალის გამოყენებით წაართვას ის დამრღვევს ადგილზე ან დევნისას. თუ მიწის ნაკვეთის მფლობელს ჩამოერთმევა მფლობელობა თვითნებობით, მას შეუძლია დაუყოვნებლივ დაიბრუნოს მფლობელობა ხელმოყვის გაძევებით ნაკვეთიდან. თვითდაცვის მართლზომიერებისთვის საჭიროა, რომ მის ფარგლებში მოქმედ პირს გააჩნდეს ნივთის ფლობის უფლებამოსილება, მისთვის მფლობელობა ჩამოერთმეული უნდა იყოს უკანონოდ, დაკარგული მფლობელობის აღდგენა უნდა მოხდეს გონივრულ ვადაში და თვითდაცვის ფარგლების გადამეტების გარეშე.<sup>839</sup>

## 7.8. პოსესორული და პეტიტორული პროცესების დაახლოების ტენდენცია

დღეს, გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში არსებობს მფლობელობითი და საკუთრებითი პროცესების დაახლოების ტენდენცია. პოსესორულ პროცესში სასამართლოს უხდება მფლობელობის ტიტულის გამოძიება, მაგრამ მხოლოდ უდავო მტკიცებულებების არსებობისას, ისე, რომ ხელი არ შეეშალოს საქმის დროულად განხილვას და არ შეიცვალოს პროცესის სამართლებრივი ბუნება. მფლობელობითი სარჩელის განხილვისას სასამართლო ადგენს მფლობელობის დარღვევის ფაქტს და იკვლევს სამართლებრივი საფუძვლის შესახებ უდავო მტკიცებულებებს, რომელთა გათვალისწინებით, ის დამატებითი მტკიცებულებების განხილვის გარეშე მიიღებს გადაწყვეტილებას მფლობელობის აღდგენის ან მისი ხელყოფის აღკვეთის შესახებ. გერმანიის ფედერალური სასამართლოს პრაქტიკაში დაშვებულია, რომ მოპასუხეს მფლობელობით პროცესში შეუძლია დაეყრდნოს მოსარჩელის მფლობელობის უკანონობას, სადავო ნივთზე თავისი უფლების მტკიცების საფუძველზე. ამ შემთხვევაში სასამართლო საჭიროებს მფლობელობის სამართლებრივი საფუძვლის შესწავლას. მფლობელობითი სარჩელი არ დაკმაყოფილდება, თუ დადგინდება მოსარჩელის მიერ მფლობელობის უკანონოდ მოპოვების ფაქტი. ამ პროცესის დასრულებისას არ გამოირიცხება შესაძლებლობა, გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მხარემ ახალი პროცესი წამოიწიოს, სადაც სასამართლო სიდრმისეულად შეისწავლის ყველა მტკიცებულებას პეტიტორულ წარმოებაში.<sup>840</sup>

<sup>838</sup> Жалинский А., Рёрхт А., Введение в немецкое право, М., 2001, 413.

<sup>839</sup> Васильев Е.А., Комаров А.С., (ред.), Гражданское и торговое право зарубежных государств, Т.1, М., 2004, 417.

<sup>840</sup> Коновалов А.В., Владение и владельческая защита в гражданском праве, М., 2002, 106.

## 7.9. თეორიები მფლობელობითი დაცვის შესახებ

### 7.9.1. მფლობელობითი დაცვის განსხვავებული საწყისები

არსებობს მოსაზრება, რომ მფლობელობითი დაცვის მიზეზი მდგომარეობს ამა თუ იმ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის თავისებურებაში, ძველ რომსა და ფეოდალურ ეპოქაში ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის დაცვის საფუძველს საჯაროსამართლებრივი საწყისი, სამოქალაქო წესრიგის დაცვა შეადგენდა; კაპიტალისტურ საზოგადოებაში კერძოსამართლებრივი პოზიცია დომინირებდა, რაც საკუთრების გამარტივებული დაცვის უზრუნველყოფით, მესაკუთრის ინტერესების დაცვაში მდგომარეობდა; ხოლო თანამედროვეობაში – პიროვნების დაცვის ბუნებითსამართლებრივი საწყისია ამოსავალი.<sup>841</sup> ცივილისტურ დოქტრინაში მფლობელობითი დაცვის შესახებ არსებული თეორიები იყოფა აბსოლუტურ და რელატიურ თეორიებად, იმის მიხედვით, თუ რა არეალში ეძიებენ ჭეშმარიტებას მფლობელობის დაცვის თაობაზე, მფლობელობის ინსტიტუტის გარეთ (რელატიური), თუ თავად, მფლობელობის ბუნებაში (აბსოლუტური). კერძოდ, რელატიური თეორიები, მფლობელობის დაცვის მიზეზად მოიაზრებენ: საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, საზოგადოებაში სამოქალაქო მშვიდობის შენარჩუნებას, პირის ძალადობისგან დაცვასა და მესაკუთრის ინტერესების უზრუნველყოფას. ხოლო აბსოლუტური თეორიების თანახმად, მართლწესრიგი მფლობელობის დაცვით პიროვნებას იცავს, რომელიც სამართალდარღვევის მიუხედავად ღირსების მქონეა.

### 7.9.2. რელატიური თეორიები

#### 7.9.2.1. „სამოქალაქო მშვიდობის“ თეორია

ჯერ კიდევ კაცობრიობის განვითარების ადრეულ ეტაპზე, სახელმწიფომ ხელთ აიღო სამართალდამრღვევის მიმართ პიროვნული თუ ქონებრივი სანქციის გამოყენების ბერკეტი და უფლების დაცვა საკუთარ პრეროგატივად აქცია. ამით აილაგმა თვითნებობა, თვითგასწორება, როგორც სახელმწიფო წესრიგის არსის საწინააღმდეგო მოვლენა, შელახული ინტერესის დაცვის სფეროში.<sup>842</sup> განვითარებული მართლწესრიგის პირობებში დაუშვებელია უფლებამოსილი პირის მიერ უფლების აღდგენა, დაცვა ძალადობით, კომპეტენტური ორგანოსთვის მიმართვის გარეშე. საკუთრების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის ჭრილში თვითნებობა გამორიცხულია, ვიდრე არ გაირკვევა მფლობელობის საფუძველი, როგორც ცხადიც არ უნდა იყოს მფლობელობის ხარვეზულობა.<sup>843</sup> მფლობელობითი ურთიერთობის არამართლზომიერი და თვითნებური ხელყოფით გამოწვეული შედეგი და შელახული სამართლებრივი მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს, და აღდგეს თავდაპირველი მდგომარეობა. არავინ არის უფლებამოსილი თავისი შეხედულებით,

<sup>841</sup> *Компанеец Е.С.*, К вопросу о проблеме владения в советском праве , Сб. статей памяти академика *Гордона В.М.*, Харьков, 1927, 144.

<sup>842</sup> *Виндшайд Б.*, Учебник пандектного права, СПб., 1874, 312.

<sup>843</sup> *ზოდოე ბ.*, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005, 47.

სასამართლო ლეგიტიმაციის გარეშე და ძალადობის გზით განახორციელოს საკუთარი უფლება.<sup>844</sup>

მფლობელობის, როგორც ნივთთან დაკავშირებით ფაქტობრივად ჩამოყალიბებული წესრიგის, როგორც საზოგადოებრივ სიკეთეთა განაწილების ფაქტობრივი მდგომარეობის (დერნბურგი) ხელშეუხებლობა, ზოგადი პირობაა სამოქალაქო წესრიგის შენარჩუნების,<sup>845</sup> საზოგადოებრივი სიმშვიდის არსებობისა.<sup>846</sup> ამიტომ, სახელმწიფოს ამოცანაა უზრუნველყოს მშვიდობიანი წესრიგი თვითნებობისგან მაშინაც, როდესაც ეს უკანასკნელი უფლების განხორციელებისკენ არის მიმართული (ენდემანი, რუდორფი).<sup>847</sup>

მფლობელობაში არსებობს ორი მომენტი – ინდივიდუალური და სოციალური, პირველი–პირსა და ნივთს შორის კავშირია, საზოგადოების მხრიდან აღიარების გარეშე არსებული, ხოლო მეორე – პირსა და ნივთს შორის ურთიერთობაა, მესამე პირთა მხრიდან ხელშეუვალად შეცნობილი, ამდენად, მისი ხელყოფა განიხილება საერთო წესრიგის დარღვევად. ამ მოსაზრებით, ქურდიც, როგორც სამართლებრივად საშიში პიროვნება, როგორც მფლობელი, სახელმწიფო წესრიგს წარმოადგენს.<sup>848</sup> მფლობელობის დაცვა მართლწესრიგის სტაბილურობას უზრუნველყოფს ეკონომიკური თვალსაზრისითაც. ნივთის დაუფლებით ხორციელდება ადამიანური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვის მოქნილობა ითხოვს ქონებით ფლობასა და სარგებლობაში ხელშეშლის ოპერატიულ აღკვეთას, მშვიდი სარგებლობა აუცილებელია სამეურნეო ინტერესებში, ამიტომ სასურველია, დარღვეული მფლობელობა სწრაფად აღდგეს.

### 7.9.2. „ პირის ძალადობისგან დაცვის” თეორია

რელატიურია ასევე, სავინის მიერ განვითარებული თეორია, რომელიც მფლობელობის დაცვის მიზეზს ხედავდა პიროვნების ძალადობისგან დაცვაში. მისი მოსაზრებით, მფლობელობის დარღვევა სამოქალაქო დელიქტია, რაც გულისხმობს არსებულ ფაქტობრივ ურთიერთობაში შეჭრას, ამიტომ ჯერ კიდევ, რომის სამართალი იცავდა მფლობელობას ძალადობისგან ინტერდიქტებითა და პრეტორისმიერი სარჩევლებით, რომლებიც დელიქტურ სარჩევებს წარმოადგენდნენ.<sup>849</sup> სავინის ამ მოსაზრებას არ ეთანხმებოდა იერინგი, რომელიც მიუთითებდა, რომ რომის სამართალში ინტერდიქტების უმრავლესობას არ ჰქონდა დელიქტური ხასიათი, არ იყო მიმართული ძალადობით წართმეული მფლობელობის დაბრუნებისკენ. ამასთან, თუ მფლობელობის დაცვის მიზეზი იყო ძალადობისგან პირის დაცვა, რატომ არ სარგებლობდა დაცვით მჭერი ან

<sup>844</sup> ბოლინგი პ., ჯანტურია ლ., სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, II გამოცემა, თბ., 2004, 125.

<sup>845</sup> *Дернбург Г.*, Пандекты, Т.2, пер. *Блоха А.Ю., Гальпера А.Я., Унтелова Д.И., Шнейдера К.А.*, под. ред. *Мейендорфа А.Ф.*, СПб., 1905, 7.

<sup>846</sup> *Анненков К.*, Система русского гражданского права, СПб., 1900, 597.

<sup>847</sup> მოსაზრება მიითითებულია: *Покровский И.А.*, История римского права. <http://www.sud09ru/bibliot/Elib/1265.htm/>.

<sup>848</sup> *Бернгейт Ф., Колер И.*, Гражданское право Германии, СПб., 1910, 118.

<sup>849</sup> მოსაზრება მიითითებულია: *Гримм Д.Д.*, Лекции по догме римского права, 5-ое изд., Петроград, 1916, 166.

ბრუნვიდან ამოღებული ნივთის მფლობელი, ძალადობა ხომ არ იყო დამოკიდებული ნივთის თვისებაზე ან სუბიექტის მდგომარეობაზე.<sup>850</sup>

### 7.9.2.3. „საკუთრების, როგორც მფლობელობის უკან არსებული უფლების, დაცვის“ თეორია

იერინგი მფლობელობითი დაცვის მიზეზს ეძებდა საკუთრების უფლების უკეთესად დაცვის ინტერესში. ეს მფლობელობის დაცვის კერძოსამართლებრივი საწყისია. ცხოვრებაში ნივთის მფლობელი წესისამებრ, არის კიდევ მისი მესაკუთრე, აქედან პრეზუმფცია მფლობელში მესაკუთრის არსებობის თაობაზე. მფლობელობის დაცვით სამართალი იცავს მის უკან არსებულ უფლებას. მფლობელობითი დაცვა გამარტივებული დაცვაა, რადგან არ არის დაკავშირებული უფლების არსებობის მტკიცებასთან, რაც მესაკუთრისთვისაც ხელსაყრელია. მფლობელობითი დაცვა, სადაც იურიდიული ყოფიერების მტკიცება შეცვლილია ფაქტობრივი ყოფიერების მტკიცებით, მისთვისაც მისაღებია.<sup>851</sup>

ამგვარად, პოსესორულ პროცესში საკუთრების უფლების დაცვის ინტერესია გამოკვეთილი: იმ შემთხვევაში, თუ პირს მფლობელობა არ დაუკარგავს, ამ პროცესის არსის გათვალისწინებით, ის განთავისუფლებულია ნივთზე უფლების არსებობის მტკიცებისგან, ხოლო თუ დაკარგა მფლობელობა, მესაკუთრის ინტერესების დაცვა უზრუნველყოფილია ნივთზე ნებისმიერი პირის მფლობელობის დაცვის გზით, რაც მესაკუთრის მიერ ნივთის ნორმალურ მდგომარეობაში დაბრუნების გარანტიაა.<sup>852</sup> მართალია, მესაკუთრე და მფლობელი ხშირად ერთ პიროვნებაში იყრიან თავს, მაგრამ შესაძლოა, მფლობელობას არ ჰქონდეს ტიტული. ამდენად, მფლობელობითი დაცვა ვრცელდება უკანონო მფლობელზეც. იერინგის მოსაზრებით, ეს აუცდენელი ბოროტებაა, მთავარია, რომ წესისამებრ, მფლობელობითი დაცვით სარგებლობს მესაკუთრე, სამართალი რაიმე წესის დადგენისას ანგარიშს უწევს არა გამონაკლისებს, არამედ ზოგად ვითარებას. უკანონო მფლობელობის დაცვა არ არის მფლობელობითი დაცვის ინსტიტუტის მიზანი, არამედ მისი გარდუვალი შედეგია. როგორც მზე ანათებს მართალსაც და მტყუანსაც, ისე მფლობელობითი დაცვის სიკეთე ვრცელდება უფლებამოსილზეც და სამართალდამრღვევზეც. ამიტომ, მფლობელობის დაცვა უნდა მოხდეს იქ, სადაც შესაძლოა საკუთრების ვარაუდი და უარი უნდა ეთქვას მას იქ, სადაც ამ გულვებს ადგილი არა აქვს.<sup>853</sup> ამდენად, სახელმწიფოს სურს დაიცვას კანონიერი მფლობელობა, თუმცა იძულებულია დაიცვას უკანონოც, რადგან ზოგჯერ არ არსებობს

<sup>850</sup> *Иеринг Р.*, Теория владения, сокращ. пер. *Васъковскаго Е.В.*, типография *Меркушева М.*, СПб., 1895, 8.

<sup>851</sup> *Иеринг Р.*, Об основании защиты владения, М., 1883, 148.

<sup>852</sup> *ზოდუ ბ.*, ქართული საწიგნო სამართალი, თბ., 2003, 70.

<sup>853</sup> *ზოდუ ბ.*, მფლობელობა ძველი ქართული სამართლის მიხედვით, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2004, 106.

გარეგნული ნიშანი, რომლის მიხედვით შეიძლება გაიმიჯნოს ერთმანეთისგან მართლზომიერი და არამართლზომიერი მფლობელობა.<sup>854</sup>

მოსაზრებას, რომ მფლობელობითი დაცვის პროცესში ამოსავალია მესაკუთრის ინტერესი, საკუთრების უფლების ეფექტური დაცვა, საბჭოთა სამართალშიც ჰყვავდა მხარდამჭერები. კერძოდ, მიიჩნეოდა, რომ მფლობელობის დაცვის საფუძველი იყო არა საზოგადოებრივი მშვიდობის ინტერესი, რადგან ამ მიზანს ემსახურება დაცვის სხვა საშუალებებიც, არამედ საკუთრების ან სხვა უფლების დაცვის აუცილებლობა, რომელიც პრეზუმირებულია მფლობელობაში.<sup>855</sup>

### 7.9.3. აბსოლუტური თეორიები

აბსოლუტური თეორიები მფლობელობის დაცვის მიზებს პიროვნულობის იდეის დაცვაში ჰპოვებენ. თუ იერინგის მტკიცებით, უკანონო მფლობელობის დაცვა გარდუვალი ბოროტებაა, პოკროვსკის მოსაზრებით, ის ადამიანის პიროვნულობის პატივისცემის, როგორც ძირითადი იდეის განვითარების მწვერვალია. მფლობელი პიროვნებაა და სამართალდარღვევა არ აქცევს მას უუფლებო არსებად,<sup>856</sup> მფლობელობითი დაცვა განპირობებულია ადამიანური ღირსების მოტივით, ძალადობისგან დაცვას ნებისმიერი ინდივიდი იმსახურებს. დაბალგანვითარებულ საზოგადოებაში სამართალდამრღვევი გარეშე პირთა მხრიდან თვითნებობის ობიექტი ხდება, ხოლო კულტურულ ერებში ყველაზე მძიმე დანაშაულის ჩამდენი სუბიექტიც გარშემომყოფთათვის ადამიანური ღირსების მქონეა, უფლებაწართმეულიც ადამიანია და მის მიმართ კერძო პირთა მხრიდან თვითნებობა დაუშვებელია.<sup>857</sup>

სხვა აბსოლუტური თეორიით, მფლობელობის დაცვისას ამოსავალია, პირის შინაგანი, თავისუფალი ნება, რომელიც მიმართულია მითვისებაზე, ნივთის საკუთრად ქცევაზე<sup>858</sup> და განსხეულებულია მფლობელობაში, რითაც გარშემომყოფთ ემცნო ნება გარეგნული ფორმით. ნება, რომელიც მფლობელობაშია რეალიზებული, დაცულ უნდა იყოს ნების ზოგადი ბუნებიდან გამომდინარე, რადგან ნება თავისთავად თავისუფალია, მისი აღიარება და განხორციელება სამართლის ამოცანაა (ბრუნსი, პუხტა ჰანსი).<sup>859</sup>

<sup>854</sup> *Кавелин*, მოსაზრება მითითებულია: *Васьковский Е.В.*, Учебник гражданского права, М., 2003, 228.

<sup>855</sup> *Венедиктов А.В.*, Защита фактического владения в условиях мирного и военного времени, Ученные труды ВИЮН, вып IX, М., 1947, 68.

<sup>856</sup> *Бродык Б.*, მფლობელობის (possessio) ცნება საქართველოს მომავალ სამოქალაქო კოდექსში, დანართი წიგნში: ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, 433.

<sup>857</sup> *Покровский И.А.*, Основные проблемы гражданского права, М., 1998, 227.

<sup>858</sup> *Юшкевич В.А.*, Исследование из области учения о владении: О приобретении владения по римскому праву, М., 1908, 42. მითითებულია: *Конвалов А.В.*, Владение и владельческая защита в гражданском праве М., 2002, 74.

<sup>859</sup> *Муромцев С.А.*, Реценция римского права на западе, М., 1886, 137.

## დასკვნითი დებულებები

### I თავი

მფლობელობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობაა, რომელსაც მიუხედავად ფაქტობრივი თვისობრიობისა, უფლებრივი შედეგები უკავშირდება. მფლობელობაში ფაქტისა და უფლების კავშირის საუკეთესო გამოსატყულება მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფციაა, რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს და დღემდე არსებობს პოზიტიურ სამართალში. ამ ვარაუდის საფუძველი ნივთის დაუფლების ფაქტიდან მომდინარე საკუთრების უფლების წარმოშობის პროცესია. წინარე სამართლის პირობებში ადამიანის მიერ ნივთის მითვისებას განაპირობებდა ნივთის საკუთრად ფლობის განზრახვა, არსებობდა მისაკუთრების გრძნობა, თუმცა საკუთრების უფლებაზე საუბარი ნაადრევია ადამიანთა საზოგადოების განვითარების ამ ეტაპზე. მითვისების ნება ეფუძნება იმანენტურ უფლებას და არა პოზიტიური სამართლის მიერ აღიარებულ უფლებას. უფლების გარდა ამ პირობებში არსებობს მოვალეობის განცდაც, ლოგიკური აღიარების დონეზე, რომელიც ყალიბდება ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების მქონე ინდივიდთა თანაარსებობაში, მათ შორის მშვიდობის შენარჩუნების მიზნით. მფლობელობასთან მიმართებით ეს ასე გამოიხატება – არა მხოლოდ ჩემს მიერ ნივთის ფლობა იმსახურებს დაცვას სხვათა ხელყოფისაგან, არამედ, სხვის მფლობელობაში არსებულსაც ხელშეუვალია. სამართალმა, როგორც სოციალური წესრიგის დამყარების საშუალებამ, შეძლო იმანენტური უფლების სამართლებრივი აღიარება. ბუნებით თავისუფლებაში არსებული ქცევისთვის, ნივთის დაუფლებისთვის, როგორც გარკვეული ინტერესის მიღწევის საშუალებისათვის, სავალდებულო ძალის მინიჭებით, უფლება დაფუძნდა, ფაქტობრივმა ფლობამ საკუთრების უფლების თვისება შეიძინა.

### II თავი

მფლობელობის ისტორიული ფესვები რომის სამართალშია. ამასთან, აქ არ ჩამოყალიბებულა ვიწროდ ეროვნული მფლობელობის გაგება. ის კონცეპცია, რაც ჩაიდო სამოქალაქო სამართლის ამ ფუძემდებლურ ინსტიტუტში, დღესაც მოქმედებს კონტინენტური ევროპის სამართალში. მფლობელობის დამფუძნებელი ორი ელემენტი – *corpus possessionis* და *animus possessionis* რომაელებმა განსაზღვრეს, თუ არ იყო ამ

ორი ელემენტის ერთობლიობა, ადგილი ჰქონდა ჭერა-პყრობას. მფლობელად რომის სამართალში მიიჩნეოდა მესაკუთრე და არამართლზომიერი მფლობელი, ხოლო სხვა სანიუთო ან ვალდებულებითი უფლების მქონე პირი არ ითვლებოდა მფლობელად. მოგვიანებით, რომის სამართალმა რამდენიმე მათგანს მიანიჭა მფლობელის სტატუსი სამოქალაქო ბრუნვის მოთხოვნებიდან გამომდინარე და მათი ინტერესების დაცვის მიზნით.

პირის მფლობელად აღიარება მფლობელობის სამართლებრივ დაცვას უკავშირდებოდა. დაცვა ხორციელდებოდა როგორც თვითდაცვით, ისე ინტერდიქტებითა და სარჩელებით. განსხვავება ინტერდიქტულ და სასარჩელო დაცვას შორის იყო ის, რომ პირველი, მფლობელობას მხოლოდ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით (მფლობელობითი – პოსესორული დაცვა) იცავდა, ხოლო მეორე – უფლებაზე დაფუძნებით. მფლობელობითი დაცვის არსის გათვალისწინებით, ის შესაძლებელია გაგრძელებულიყო უკანონო მფლობელზეც. ამასთან, პოსესორულ პროცესში გამარჯვებული მხარე სახარბიელო პოზიციაში იყო, მის სასარგებლოდ მფლობელობის ფაქტი მეტყველებდა, ხოლო მტკიცების ტვირთი მეორე მხარეს ეკისრებოდა მომდევნო პროცესში.

რომის სამართალი განამტკიცებდა შეუზღუდავი ვინდიკაციის პრინციპს, რაც ნიშნავს იმას, რომ ნივთის მესაკუთრე ჩამოართმევდა ნივთს ნებისმიერ არამართლზომიერ მფლობელს, მიუხედავად მესაკუთრის მფლობელობიდან ნივთის გასვლის გზისა და შექმნის ხასიათისა.

მფლობელობა წარმოიშობოდა პირველადი ან ნაწარმოები გზით, რაც გახდა საკუთრების უფლების წარმოქმნის საშუალებაც ნივთის დაუფლებით თუ გადაცემით. პირველად საშუალებებს განეკუთვნება, მაგალითად, ოკუპაციო, განძი, ნაპოვარი, შექმნითი ხანდაზმულობა. უპატრონო ნივთის საკუთრად ფლობის განზრახვით დაუფლება მასზე აბსოლუტურ უფლებას წარმოშობდა, უპატრონობის თვისება ვრცელდება ნაპოვარსა და განძზეც.

შექმნითი ხანდაზმულობის მნიშვნელობა რომის სამართალშივე განისაზღვრა. საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საკუთრებით ურთიერთობებში ხანგრძლივად გაურკვეველობის აღმოსაფხვრელად და კეთილსინდისიერი შემქმნის ინტერესების დაცვის მიზნით, ნივთზე კანონით დადგენილ ვადასა და პირობებში განხორციელებული კეთილსინდისიერი მფლობელობა, მასზე საკუთრებას წარმოშობდა.

### III თავი

ფეოდალური სოციალური წყობის თავისებურებანი გავლენას ახდენდა მიწაზე არსებულ ურთიერთობაზე, რომელიც სამართლებრივად მფლობელობას და საკუთრებას ეფუძნებოდა. ეპოქალური ფორმულის, არ არის მიწა სენიორის გარეშე, მოქმედება გულისხმობდა ყოველი მიწის მფლობელის ფეოდალურ დამოკიდებულებაში ყოფნას განსაზღვრულ სენიორთან. თავდაპირველად, ვასალის უფლებრივი მდგომარეობა მიწაზე სამისდღეშიო მფლობელობით შემოიფარგლებოდა, რაც დროთა განმავლობაში სამემკვიდრეო ფეოდალ გადაიქცა.

სენიორისა და ვასალის საკუთრება არ იყო ერთიანი. ის დანაწევრებული, განსაზღვრულ პირობათა და ვალდებულებათა შესრულებასთან იყო დაკავშირებული. ასეთი საკუთრების არსებობა მათი

მერყევი ხასიათის პოლიტიკურ ხელისუფლებას განსაზღვრავდა, რადგან ეკონომიკური (მიწაზე საკუთრების) ხელისუფლება საზოგადოებაში ადამიანის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის საფუძველი იყო. გლოსატორების მიერ შეიქმნა დანაწევრებული საკუთრების იურიდიული კონსტრუქცია, რომელმაც აღიარა როგორც სენიორის, ისე ვასალის საკუთრება მიწაზე ზესაკუთრებისა და დაქვემდებარებული საკუთრების ფორმით. სენიორი და ვასალი ერთდროულად, ერთსა და იმავე ქონების მფლობელსა და მესაკუთრეს წარმოადგენდა, შედეგად წაიშალა ზღვარი საკუთრებასა და მფლობელობას შორის.

მფლობელობის როლის გაძლიერებამ აუცილებელი გახდა მისი დაცვა. ფეოდალური სამართალი იცნობდა პოსესორულ დაცვას, რასაც ადგილი ჰქონდა როგორც ქართულ, ისე ევროპულ და რუსულ სამართალში. ის მიზნად ისახავდა სამოქალაქო მშვიდობის, წესრიგის დაცვას.

შუა საუკუნეების ფეოდალური სამართლიდან სათავეს იღებს ვინდიკაციის შეზღუდვის წესი იმ კეთილსინდისიერი შემძენის სასარგებლოდ, რომელმაც მესაკუთრის მფლობელობიდან მისი ნებით გასული ნივთი სასყიდლით შეიძინა ნივთის განკარგვაზე არაუფლებამოსილი პირისგან.

არსებობას განაგრძობს შეძენითი ხანდაზმულობის ინსტიტუტი: რომელ იურისტთა აზრის გათვალისწინებით, შუა საუკუნეების იურისტებმა ჩამოაყალიბეს დებულება: შემდგომი არაკეთილსინდისიერება არ ვნებს სწორად დაწყებულ usucapio-ს, ანუ მფლობელის კეთილსინდისიერება მოითხოვებოდა მხოლოდ ნივთის გადაცემისას.

#### IV თავი

მფლობელობის კლასიკური გააზრებისგან გადახვევაა მისი საბჭოთასამართლისეული კონცეფცია. ის მფლობელობაში ხედავდა როგორც ფაქტს, ისე უფლებას და მის შემადგენელ ნაწილს. აღნიშნულის მიზეზი იყო მფლობელობის უკან არსებული სანივთო უფლებათა იგნორირება. საზოგადოებაში, სადაც არ არსებობდა კერძო სამართალი თავისი ინსტიტუტებითა და ღირებულებებით, მფლობელობას უნდა ეტვირთა საკუთრების ანალოგის ფუნქცია. საბჭოთა სამართალში სანივთო უფლებათაგან მხოლოდ საკუთრება დარჩა არსებამოცლილი, ხოლო მფლობელობამ „ორიგინალური“ სახე მიიღო. საბჭოთა სამართალი ცდილობდა ცნებათა დამახინჯებული ფორმულირებით სამართლის ცნებებში აესახა ხელისუფლების ნება, რასაც თან სდევდა ინსტიტუტის არსის შეცლა. აღნიშნულის გამოხატულება იყო მფლობელობის უფლების შექმნაც. მასში თავსდებოდა იმ უფლებამოსილების მაქსიმუმი, რაც გააჩნდა სახელმწიფო საკუთრების მოსარგებლე სამოქალაქო სამართლის სხვა სუბიექტებს.

საბჭოთა სამართალში დამკვიდრდა სახელმწიფო საწარმოების მიერ სახელმწიფო ქონების მართვის სპეციფიკური სამართლებრივი წესრიგი. ეს საწარმოები არ ითვლებოდნენ ამ ქონების მესაკუთრეებად, არამედ მათ გააჩნდათ საბჭოური წარმოშობის: ოპერატიული მართვისა და სრული სამეურნეო გამგებლობის უფლებები. პირველი – ეკონომიკურად და სამართლებრივად უფრო მეტად სუბორდინირებული



საწარმოების მდგომარეობას ასახავდა, მეორე – მცირე ეკონომიკური ლიბერალიზმის გამოხატულება იყო.

აღნიშნული მართლწესრიგის ფარგლებში სახელმწიფო საკუთრების დაცვას ის თავისებურება გააჩნდა, რომ სახელმწიფოს მიერ წარდგენილ საეინდიკაციო სარჩელზე ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდებოდა. ამასთან, სამოქალაქო სამართლის სხვა სუბიექტებს შორის დაიშვებოდა, როგორც სასარჩელო ხანდაზმულობის, ისე ვინდიკაციის შეზღუდვის წესის მოქმედება.

სოციალისტური სამართალი არ იცნობდა მფლობელობით დაცვას, რადგან მისთვის მიუღებელი იყო მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ნივთზე უფლების დადგენის გარეშე მისი მიკუთვნება პირისათვის, რადგან ამ გზით ნივთი შესაძლოა, უკანონო მფლობელთან მოხვედრილიყო.

## V თავი

კონტინენტური ევროპის სამოქალაქო სამართალშიც მფლობელობა ნივთზე ფაქტობრივი თვისობრიობის მქონე ძალაუფლებაა, რომელიც ორი ელემენტის ერთიანობაა – მატერიალურისა და ნებითის. მფლობელობის ობიექტური ელემენტი, ფაქტობრივი შესაძლებლობაა ნივთზე უშუალო ბატონობისა, ხოლო სუბიექტური ელემენტი – მფლობელობითი ნების, საკუთრად ფლობის განზრახვის, არსებობას გულისხმობს.

კონტინენტური ევროპის სამართალში მფლობელობის დაფუძნების შესახებ ორი ძირითადი თეორია არსებობს – სუბიექტური და ობიექტური. პირველი, მფლობელობის წარმოშობისთვის გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა *animus domini*-ს, რომელშიც მის რომაულ შინაარსს სდებდა. ამ თეორიით მფლობელთა წრე ერთობ დავიწროებული ჩანს, მასზე აიგო საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი. მეორე თეორიით, მფლობელობაში კონსტიტუტური ფაქტობრივი ბატონობაა, თუმცა არსობრივად, არც ნებითი ელემენტია უარყოფილი: ვინც ფაქტობრივად ფლობს, ივარაუდება, რომ კიდევ აქვს საკუთრად ფლობის განზრახვა. ეს თეორია გაიზიარა გერმანიის სამოქალაქო კოდექსმა, რომელმაც ორმაგი მფლობელობა განამტკიცა.

ორმაგი მფლობელობისგან განსხვავდება თანამფლობელობა. თანამფლობელობის დროსაც სახეზეა მფლობელობის სამართლებრივი დანაწევრება. ამასთან, ორმაგი მფლობელობის დროს, მფლობელობის ორსაფეხურიანი დაყოფა არსებობს, ხოლო თანამფლობელობისას თანამფლობელთა ფაქტობრივი ბატონობის მდგომარეობა ერთსაფეხურიანია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მფლობელობის დაფუძნებისთვის საჭიროა ორივე ელემენტის არსებობა, ამასთან სუბიექტური ელემენტის არსი განვრცობილია და გულისხმობს არა მხოლოდ მესაკუთრედ ფლობის სურვილს, არამედ საკუთარი ინტერესებისთვის ფლობას, რითაც ფართოვდება მფლობელთა წრე.

საკუთრების უფლების ცნებას განსაზღვრავს დოქტრინა, ხოლო საკუთრების უფლების შინაარსს – კანონმდებლობა. თანამედროვე პოზიტიური სამართალი უპირატესობას ანიჭებს არა კლასიკურ ტრიადას, არამედ განსაზღვრებას ორ (სარგებლობა, განკარგვა) ან ერთ ელემენტზე (განკარგვა) მითითებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ერთგული დარჩა ტრიალის, მიუხედავად იმისა, რომ მფლობელობა დამოუკიდებელ ინსტიტუტად აღიარა და ქონებად სხეულებრივ

ნივთებთან ერთად უსხეულო ნივთებიც მიიჩნია, რომელზეც მფლობელობის განხორციელება ძნელად წარმოსადგენია, რადგან მათ სხეულებრივი ნივთებისგან განსხვავებით, განსაზღვრული ფიზიკური ფარგლები, ანუ სხეული არ გააჩნიათ.

მფლობელობისა და საკუთრების ურთიერთდამოკიდებულება თვალსაჩინოა საკუთრების უფლების წარმოშობის საშუალებების განხილვისას. აღსანიშნავია, რომ შექენითი ხანდაზმულობის ისეთმა პირობამ, როგორცაა კეთილსინდისიერება, გარკვეული ცვლილება განიცადა. თანამედროვე სამოქალაქო სამართალმა განამტკიცა შუა საუკუნეების კანონიკური სამართლის დანაწესი, რომლის თანახმად, შემდგომში წარმოშობილი არაკეთილსინდისიერება აჩერებს მფლობელობითი ხანდაზმულობის დენას, ანუ კეთილსინდისიერება მოითხოვება არა მხოლოდ მფლობელობის მოპოვების მომენტში, არამედ მფლობელობის მთელ მანძილზე.

მოძრავ ნივთზე საკუთრების წარმოშობას ნივთის მფლობელობაში გადაცემას უკავშირებს როგორც კონსენსუალური სისტემა (გამონაკლისის სახით), ისე ტრადიციის სისტემა (წესისამებრ). ტრადიციის სისტემის მიხედვით, სამოქალაქო ბრუნვა ორიენტირებულია ნივთის ფაქტობრივ მიკუთვნებაზე და გამომდინარეობს კანონიერი გულგვბიდან: მოძრავი ნივთის მფლობელი მისი მესაკუთრეა.

კონსენსუალური და ტრადიციის სისტემები თანაარსებობენ კაუზალურ და აბსტრაქციის სისტემებთან. საფრანგეთში ადგილი აქვს კაუზალურ და კონსენსუალურ სისტემათა ერთიანობას, რაც იმას ნიშნავს, რომ მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლება წარმოიშობა მხარეთა შორის ნამდვილი კაუზალური გარიგების დადების მომენტიდან. გერმანიაში მოქმედებს აბსტრაქციისა და ტრადიციის სისტემები – საკუთრების წარმოშობისთვის არ არის საკმარისი ვალდებულებითსამართლებრივი გარიგების დადება, დამატებით საჭიროა, სანივთო გარიგება საკუთრების უფლების დათმობის შესახებ და ნივთის გადაცემა. ამასთან, სანივთო გარიგება ნამდვილია კაუზალური გარიგების ბათილობის მიუხედავად, თუმცა შემძენი მესაკუთრე ხდება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე და ყოფილ მესაკუთრეს ნივთის დაბრუნება შეუძლია არა სავინდიკაციო, არამედ კონდიქციური სარჩელის საფუძველზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ტიტულუსის (კაუზა) და მოღუსის (გადაცემა) შეხამებას აქვს ადგილი. მართებულია, სკ-ის დანაწესი: „მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი“, გაიაზრებოდეს ამგვარად: გამსხვისებელმა, რომელიც უნდა იყოს მესაკუთრე ან მისგან გასხვისების უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, ნამდვილ სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით უნდა განახორციელოს ნივთის გადაცემა შემძენისთვის. ამ შემთხვევაში კაუზა შესაძლოა, იყოს, როგორც ნამდვილი ვალდებულებითსამართლებრივი გარიგება, ასევე კანონი.

რაც შეეხება გადაცემის ფორმებსა და ბუნებას, მისი მარტივი ფორმის გარდა–პირდაპირი მფლობელობის გადაცემა, არსებობს გადაცემის სუროგატები; გადაცემას თავისი ბუნებით ერთნი – სანივთო გარიგებად მიიჩნევენ, მეორენი თვლიან, რომ მხარეთა ნებათა შეთანხმება საკუთრების უფლების დათმობის თაობაზე ხდება სანივთო (აბსტრაქციის სისტემა), ან ვალდებულებითი გარიგების (კაუზალური სისტემა) ფარგლებში და გადაცემა მხოლოდ რეალური, ფაქტობრივი მოქმედებაა.

სწორედ ეს უკანასკნელი მიდგომაა ქართული სამართლისთვის შესატყვისი.

საკუთრების სანივთოსამართლებრივი დაცვის საშუალება – სავინდიკაციო სარჩელი გულისხმობს არამფლობელი მესაკუთრის მოთხოვნას უკანონო მფლობელისგან ინდივიდუალური ნივთის დაბრუნების შესახებ. ვინდიკაციის განხორციელების შედეგები დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ არის მოპასუხე – კეთილსინდისიერი თუ არაკეთილსინდისიერი მფლობელი. ორივე არამართლზომიერი მფლობელობის კატეგორიაა.

ამასთან, არსებობს კეთილსინდისიერების ფართო გაგება, რომელიც მოიცავს მართლზომიერ მფლობელობასაც. ამ თვალსაზრისით, მესაკუთრის ან სხვა კანონიერი მფლობელის მფლობელობაც კეთილსინდისიერია. ამ მოსაზრებას განამტკიცებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლი (პირველი წინადადება) – კეთილსინდისიერია მფლობელი, რომელიც ნივთს მართლზომიერად ფლობს. შესაძლოა, ამგვარი მიდგომა განპირობებული იყოს იმ გარემოებით, რომ სკ მფლობელობით დაცვას ავრცელებს მხოლოდ კეთილსინდისიერ მფლობელზე, რომელშიც უნდა იგულისხმებოდეს, როგორც მართლზომიერი, ისე არამართლზომიერი მფლობელი. მართალია, ტიტულოვან მფლობელს აქვს პეტიტორული დაცვის შესაძლებლობაც, მაგრამ მფლობელობითი დაცვა, როგორც გამარტივებული დაცვა მისთვისაც ხელსაყრელია.

ხოლო დებულება: კეთილსინდისიერია მფლობელი ... რომელიც უფლებამოსილ პირად შეიძლება იქნეს მიჩნეული საქმიან ურთიერთობებში საჭირო გულმოდგინე შემოწმების საფუძველზე (159-ე მუხლი II წინადადება), სწორედ, არამართლზომიერ კეთილსინდისიერ მფლობელს გულისხმობს. ამ შემთხვევაში, მართალია, მფლობელს არ გააჩნია ნივთის ფლობის სამართლებრივი საფუძველი, თუმცა მფლობელსა და სხვა უფლებამოსილს შორის არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც არ არის ნამდვილი, თუმცა მისი ბათილობა შეუძლებელია, ამოცნობილ იქნეს გულმოდგინე შემოწმების შედეგად. ამდენად, მფლობელი მიიჩნევა უფლებამოსილ პირად სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ინტერესების დაცვის მიზნით.

სავინდიკაციო სარჩელით ნივთის დაბრუნება ყოველთვის ხორციელდება არაკეთილსინდისიერი მფლობელისგან, მიუხედავად ნივთის კანონიერი მფლობელობიდან გამოსვლის გზისა და შექენის ხასიათისა. ხოლო კეთილსინდისიერი მფლობელისგან მესაკუთრეს შეუძლია ნივთის დაბრუნება, თუ ნივთი გავიდა მისი მფლობელობიდან ნების წინააღმდეგ, მიუხედავად შექენის ხასიათისა, ხოლო მისი ნებით გასვლისას, მხოლოდ მაშინ, თუ შექენა მოხდა უსასყიდლოდ.

შუა საუკუნეების გერმანულ სამართალში დამკვიდრდა ვინდიკაციის შეზღუდვის წესი, რომლის თანახმად, ნივთის კეთილსინდისიერი შექენი ხდება იმ ნივთის მესაკუთრე, რომელიც მესაკუთრის მფლობელობიდან გავიდა მისი ნებით და სასყიდლით გასხვისდა არაუფლებამოსილი პირის მიერ. ამ წესის არსებობას ყველაზე უკეთ „ნაკლები ბოროტების“ თეორია განმარტავს. ამ შემთხვევაში საკითხი წყდება იმ პირის სასარგებლოდ, რომელსაც აქვს ნაკლები შესაძლებლობა დაიცვას საკუთარი ინტერესები, თუ საკითხი ნივთის ჩამორთმევის თაობაზე გადაწყდება მის წინააღმდეგ.

საქართველოს სკ-ის დებულება: შემძენი ხდება ნივთის მესაკუთრე მაშინაც, როცა გამსხვისებელი არ იყო ნივთის მესაკუთრე, მაგრამ შემძენი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია (187-ე მუხლის I ნაწილის I წინადადება) პირდაპირ კავშირშია კოდექსისეულ ნორმასთან, რომელიც მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფციას განამტკიცებს (158-ე მუხლის I ნაწილი). მოძრავი ნივთების შემძენის მხრიდან გამსხვისებლის მხარეზე საკუთრების ტიტულის არსებობისადმი მინდობილ დამოკიდებულებას სწორედ, ეს პრეზუმფცია აფუძნებს. შემძენს, თუ არა კონტრაქტის კეთილსინდისიერებისადმი ნდობა, სხვა სამართლებრივი გზა მისი მესაკუთრეობის შემოწმებისა არ გააჩნია. ბრუნვის მონაწილეთა ასეთი ურთიერთდამოკიდებულება ხელს უწყობს ბრუნვის სიმყარესა და სიმარტივეს.

სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ცვლილებით (28.12.2011) 187-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადება ასე ჩამოყალიბდა: კეთილსინდისიერი შემძენი ვერ გახდება ნივთის მესაკუთრე, თუ ეს ნივთი მესაკუთრემ დაკარგა, მას მოჰპარეს, ან მისი ნების წინააღმდეგ სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან, ანდა შემძენმა ის უსასყიდლოდ მიიღო. ეს დანაწესი პირდაპირ არ მიუთითებს კეთილსინდისიერი შემძენის მიერ საკუთრების უფლების მოპოვების პირობებზე, თუმცა აღნიშნული განსაზღვრულია ცივილისტურ დოქტრინაში, კერძოდ მესაკუთრის მფლობელობიდან მისი ნებით ნივთის გამოსვლა, ნივთის შექენა კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ, სასყიდლით შექენა. აღნიშნული მუხლის II ნაწილის ფორმულირების მიღმა ლოგიკურად, სწორედ ეს გარემოებები მოიაზრება.

ვინდიკაციის შეზღუდვის წესი მოქმედებს ასევე კეთილსინდისიერი შემძენის მიერ ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და საჯარო ვაჭრობის წესით შექენილი ნივთების მიმართ, მიუხედავად მათი მესაკუთრის მფლობელობიდან მისი ნების წინააღმდეგ გამოსვლისა ან შემძენის უსასყიდლო ხასიათისა.

იმ ქვეყნებში, სადაც უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება შესაბამისი სახელმწიფო რეგისტრაციით წარმოიშობა, კეთილსინდისიერი შემძენის დაცვის ფუნქციას რეგისტრაციის მონაცემები ასრულებენ, რომლითაც ფიქსირდება გამსხვისებელი, როგორც მესაკუთრე. საქართველოს სკ იცავს უძრავი ნივთის კეთილსინდისიერ შემძენს, რომელიც ეყრდნობა საჯარო რეგისტრის მონაცემებს და მის საკუთრებას მოუდევარს ხდის.

მესაკუთრის მიერ ნივთზე მფლობელობის დაკარგვისას, მისი კანონით დაცული ინტერესების დაცვა შესაძლოა, როგორც სანივთო (სავინდიკაციო), ისე ვალდებულებითი – სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო (დელიქტური, კონდიქციური) სარჩელებით. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციას, რადგან განსაზღვრული სამართლებრივი მიზნის მიღწევა შესაძლოა, ერთდროულად სხვადასხვა სამართლებრივი საშუალებით.

სავინდიკაციო სარჩელის წარდგენის ერთ-ერთი პირობა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის ვალდებულებითი ურთიერთობის არარსებობაა. სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობისას, როდესაც ნივთის უკანონო მფლობელად იქცევა სახელშეკრულებო პარტნიორი, როგორც ნივთის გამოთხოვა, ისე ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს სახელშეკრულებო სარჩელის საფუძველზე.

ვინდიკაციაზე უფლება მართლზომიერ მფლობელს მანამ აქვს, ვიდრე ნივთი არსებობს და არ განადგურებულა. ნივთის განადგურებისას სარჩელის საფუძველი იცვლება და სავინდიკაციო სარჩელი გარდაიქმნება დელიქტურ სარჩელად.

კონდიქციური სარჩელით ხდება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, მიღებულის (შექენილი ან დაზოგილი) უკან დაბრუნება. სავინდიკაციო სარჩელის საგანია ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთი, ხოლო კონდიქციური სარჩელის – გვაროვნული ნივთები, ასევე ქონებრივი უფლებები.

მესაკუთრის მფლობელობიდან ნებით გასული ნივთის სასყიდლით გასხვისებისას, კონდიქცია მიმართულია განმკარგველის მიმართ, რადგან კეთილსინდისიერი შემძენი დაცულია სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით. უსასყიდლო განკარგვისას კონდიქციური სარჩელი მიმართულია მიმღების მიმართ, უსასყიდლოდ მიღებული ქონებრივი სიკეთე ნაკლებად არის დაცული.

ბათილი გარიგება უსაფუძვლო გამდიდრების კერძო შემთხვევაა. გარიგების ბათილობისას სავინდიკაციო და კონდიქციურ სარჩელთა კონკურენციის საკითხი განსხვავებულად წყდება კაუზალურ და აბსტრაქციის სისტემებში. კაუზალური სისტემის მოქმედებისას, ნამდვილ ხელშეკრულებას თავისი იურიდიული ბუნებით შეუძლია საკუთრების უფლების გადატანა. შესაბამისად, ხელშეკრულების საწყისი ან შემდგომი ბათილობისას საკუთრების უფლება ვერ გადადის შემძენზე. ამდენად, თავდაპირველი მესაკუთრე არ კარგავს საკუთრებას, ე.ი. უფლებას ვინდიკაციაზე. ამ ვითარებაში კონდიქციური სარჩელი სუბსიდიური მნიშვნელობისაა და მისი დამოუკიდებლად გამოყენება ხდება იქ, სადაც ნივთის ვინდიკაცია შეუძლებელია.

აბსტრაქციის სისტემაში სანივთო გარიგების ნამდვილობა დამოუკიდებელია ვალდებულებითი გარიგების არსებობისგან, ანუ ვალდებულებითი გარიგების ბათილობისას შემძენზე საკუთრება მაინც გადადის. გამსხვისებელი კარგავს საკუთრების უფლებას, ე.ი. ვინდიკაციის შესაძლებლობას, თუმცა მას შეუძლია შემძენისგან უსაფუძვლოდ მიღებულის დაბრუნება მოითხოვოს.

რომის სამართლიდან მოყოლებული პირის მფლობელად აღიარება დამოუკიდებელი მფლობელობითი დაცვის შესაძლებლობას უკავშირდება. მფლობელობითი დაცვა გულისხმობს პირის დაცვას საკუთრივ, მფლობელობის ფაქტზე დაყრდნობით, ნივთზე უფლების საკითხისგან დამოუკიდებლად. მფლობელობითი დაცვის მოთხოვნა არსებობს წართმეული მფლობელობის აღდგენის ან მფლობელობის განხორციელებაში ხელშემშლელი გარემოებების აღკვეთის შინაარსით. მფლობელობითი პროცესის თავისებურება ის, რომ არ მოითხოვება სადავო ნივთზე უფლების არსებობის მტკიცება, შესაძლებელს ხდის ნებისმიერი, მათ შორის უკანონო მფლობელის დაცვას. აქ მიღებული გადაწყვეტილება დროებითი ხასიათისაა, ანუ გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მხარეს შესაძლებლობა აქვს მიადწიოს უფლების დაცვას პეტიტორულ პროცესში.

მფლობელობით პროცესში მიღებული გადაწყვეტილება განსაზღვრავს მომდევნო პროცესში მხარეთა მდგომარეობას. მოსარჩელე, რომელმაც შეინარჩუნა მფლობელობა სადავო ნივთზე, მოპასუხეა მომდევნო პროცესში. მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აწევს, ხოლო

მოპასუხის პოზიციის დაცვა გამარტივებულია: მისი, როგორც მფლობელის სასარგებლოდ მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია მოქმედებს.

საქართველოს სკ-ის 160-161-ე მუხლები განამტკიცებენ მფლობელობით დაცვას. ისინი იცავენ კეთილსინდისიერ მფლობელობას ხელყოფისაგან, ერთი მხრივ, ნივთის მფლობელობაში დაბრუნებისა, და მეორე მხრივ, მფლობელობის განხორციელებისას ხელშეშლის აღკვეთის გზით. კეთილსინდისიერ მფლობელს უფლება აქვს 3 წლის განმავლობაში მოითხოვოს ნივთის დაბრუნება ახალი მფლობელისგან. სასამართლომ უნდა გამოარკვიოს ახალი მფლობელის უფლებრივი დამოკიდებულება და, თუ მას მეტი საფუძველი აქვს ნივთის ფლობისა, კეთილსინდისიერი მფლობელი დაკარგავს მფლობელობის აღდგენის შესაძლებლობას. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როდესაც უკეთესი უფლების მქონე პირი (მესაკუთრე, სხვა კანონიერი მფლობელი) ძალადობის ან მოტყუების გზით ჩამოართმევს ნივთს მფლობელს, როგორც, ნაკლები უფლების მქონეს.

თუ კეთილსინდისიერი მფლობელობის ხელყოფა არ არის დაკავშირებული ნივთის მფლობელობის ჩამორთმევასთან, არამედ მფლობელობის განხორციელებაში ხელშეშლაა სახეზე, კეთილსინდისიერ მფლობელს გააჩნია ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნა. მფლობელობითი დაცვის მოთხოვნის ბუნება არ იცვლება იმით, თუ უფლების დაცვის რომელი უწყებისთვის არის მიმართული, სასამართლოსთვის თუ ადმინისტრაციული ორგანოსთვის. პირველ შემთხვევაში ის წარმოადგენს სარჩელს, ხოლო მეორე შემთხვევაში – განცხადებას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, საქართველოს სკ-ის 172-ე მუხლის III ნაწილი. ის მესაკუთრის სასამართლომდე დაცვას განამტკიცებს, სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვის და საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გზით.

ცივილისტურ დოქტრინაში მფლობელობის დაცვის შესახებ არსებული თეორიები იყოფა აბსოლუტურ და რელატიურ თეორიებად. რელატიურია თეორიები, რომლებიც მფლობელობის დაცვის მიზეზს მფლობელობის მიღმა ეძებენ, კერძოდ, ასეთად მიიჩნევენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, საზოგადოებაში სამოქალაქო მშვიდობის შენარჩუნებას, პირის ძალადობისგან დაცვასა და მესაკუთრის ინტერესების უზრუნველყოფას. ხოლო აბსოლუტური თეორიების თანახმად, მართლწესრიგი მფლობელობის დაცვით ადამიანის პიროვნულობასა თუ მასში არსებულ თავისუფალ ნებას იცავს.

## ბამოყენებული ლიტერატურა

ახვლედიანი ზ., პირადი დამხმარე მეურნეობის სამართლებრივი რეჟიმი, თბ., 1987;

ახვლედიანი ზ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ.1, რედ. ჭანტურია ლ., ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., ჯორბენაძე ს., თბ., 1999,

ადეიშვილი ლ., ნიკო ხიზანიშვილის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები, თბ., 2002;

ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 1994;

ბოელინგი პ., ჭანტურია ლ., სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, II გამოცემა, თბ., 2004;

ბოელინგი პ., ლუტრინგჰაუსი პ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009;

ბურდული ი., ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში (ქართული და ავსტრიული სამართლის მაგალითზე), თბ., 2008;

ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები (გერმანული და ქართული სამართლის მაგალითზე), ტ.1, თბ., 2010;

ბურდული ი., თანამედროვე ქართული საკორპორაციო სამართალი (მოკლე მიმოხილვა), პროფ. რ.შენგელიას 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები, თბ., 2012;

ბოსტოლანაშვილი დ., მიწათმფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოში (ქიზიყის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით XIX ს. II ნახევარი), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 2001;

ბიჭია მ., სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების ცნება და შინაარსი (მეთოდოლოგიური პრობლემები), სასემინარო ნაშრომი, თბ., 2009;

ბაჩიაშვილი ვ., დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეც. გამოცემა, 2008;

გოკიელი ფ., უფლება, ჟურნ. „სამართალი“, №8-9, 1992;

გამყრელიძე ო., დასკვნა დოც. გ.ნაჭყეაძის სადოქტორო დისერტაციაზე: სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი, ჟურნ. „აღმანახი“, №13, 2000;

გვიშიანი გ., მფლობელობის და საკუთრების ადგილი სანივთო სამართალში, ჟურნ. „სამართალი“, №1-2, 1998;

გოგიაშვილი გ., სამართლის განსაზღვრულობის პრობლემა ინგლისურ და კონტინენტურ სამართლებრივ სისტემებში, პროფ. ზ.ახვლედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2004;

გალდავა გ., სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009;

გაგუა ი., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მტკიცების ტვირთის ინოვაციური განაწილების თავისებურებათა ანალიზი, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №3, 2010;

დავიდი რ., თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, რუსული გამოცემიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო თ. ნინიძემ, თბ., 1993;

დოლიძე ი., ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953;

დრაიერი რ., სამართლის ცნება (გერმანულიდან თარგმნა ლ.ჭანტურიაძე), პროფ. გ.ინწკირველის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1996;

დანელია ე., გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეც. გამოც. 2008;

დუნდუა მ., დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულები პასუხისმგებლობის თანაფარდობა, ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009;

გაჩეიშვილი ალ., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, წ. III, თბ., 1963;

გაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბ., 2010;



ვაშაკიძე გ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, №1, 2007;

ზოიძე ბ., ფეოდალური საქართველოს მემკვიდრეობითი სამართალი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1991;

ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, თბ., 2000;

ზოიძე ბ., სანივთო სამართალი, თბ., 1999;

ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბ., 2003;

ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005;

ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბ., 2007;

ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ.2, რედ. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., 1999;

ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. III, რედ. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., 2001;

ზოიძე ბ., მფლობელობის (possessio) ცნება საქართველოს მომავალ სამოქალაქო კოდექსში, კრებული: სამართლის რეფორმა საქართველოში, თბ., 1994;

ზოიძე ბ., საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლები ძველ ქართულ სამართალში (ნაპოვარი და განძი), პროფ ს. ჯორბენაძის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1996;

ზოიძე ბ., საკუთრების ცნება ქართულ სამოქალაქო კოდექსში, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, II-III კვარტალი, 1998;

ზოიძე ბ., მფლობელობა ძველი ქართული სამართლის მიხედვით, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2004;

ზოიძე ბ., ქართული სამოქალაქო კოდექსის შექმნის ისტორიიდან, წიგნში: ქართული სანივთო სამართალი, დანართი №1, თბ., 2003;

ზოიძე ბ., საუცხოო გამოკვლევა სანივთო სამართალში, (ბ.ზოიძის რეცენზია ლ. ჭანტურიას წიგნზე „უძრავი ნივთების საკუთრება“), წიგნში: ქართული სანივთო სამართალი, დანართი №1, თბ., 2003;

*ზოიძე ბ.*, მეწარმის ცნება და მისი თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა, საკუთრების უფლების თავისებურებანი კორპორაციულ საზოგადოებებში (საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით), კრებული: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბ., 2009;

*ზოიძე ბ.*, ქართული სამართალი, როგორც ევროპული სამართლის ნაწილი ( ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტი), პროფ. გ.ნადარეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წ.I, თბ., 2010;

*ზოიძე თ.*, საკუთრების უფლების ცნება და შინაარსი ქართული და გერმანული სამართლის მაგალითზე (სასემინარო ნაშრომი), თბ., 2010;

*ზარანდია თ.*, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, თბ., 2005;

*ზარანდია თ.*, საკუთრების უფლების ექსკლუზიური ხასიათი და საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენება ქართულ და ფრანგულ სამართალში, პროფ. რ.შენგელიას 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები, თბ., 2012,

*ზამბახიძე თ.*, ფასიანი ქაღალდები, როგორც გირავნობის საგანი, ჟურნ. „სამართალი“, №12, 2001;

*ზარნაძე ე.*, ფასიანი ქაღალდების ცნება და მათი კლასიფიკაცია, პროფ.ზ.ახვლედიანის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2004;

*ზარნაძე ე.*, საორდერო ფასიანი ქაღალდი და მისი სამართლებრივი მოწესრიგების ძირითადი ასპექტები, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, 2011;

*თოდუა მ., ვილემსი პ.*, ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006;

*ინწკირველი გ.*, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 1993;

*ინწკირველი გ.*, სახელმწიფოს და სამართლის თეორია, თბ., 2000;

*იზორია ლ.*, მიწაზე, წიაღისეულზე და ბუნებრივ რესურსებზე საკუთრების უფლების დაცვა, შედარებითსამართლებრივი ანალიზი გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით, თბ., 2002;

*ივრინგი რ.*, ბრძოლა უფლებისათვის, წინათქმა და რუსული გამოცემიდან თარგმანი *ზ. ნანობაშვილის*, რედ. *ბ.ზოიძე*, თბ., 2000;

*იოფე თ.ს.*, *ნადარეიშვილი გ.*, რომის სამოქალაქო სამართლის საფუძვლები, რუსული გამოცემიდან თარგმანი *გ.ნადარეიშვილმა*, თბ., 1994;

იოსელიანი ა., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა), ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეც. გამოცემა, 2007;

იმნაძე დ., ქონების უპატრონოდ ცნობა, ჟურნ. „სამართალი“, №1-2, 2001;

კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009;

კერესელიძე დ., უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენება, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, №4, 2003;

კეკელია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, თბ., 1970;

კნიპერი რ., საკუთრების პრობლემები გარდამავალ საზოგადოებაში, პროფ. გინწკირველის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1996;

კნიპერი რ., კოდიფიკაციის მეთოდები და კონცეფციები გარდამავალი პერიოდის საზოგადოებაში, კრებული: სამართლის რეფორმა საქართველოში, თბ., 1994;

კახაძე მ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. IV, ტ. I., რედ. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., 2001;

კიკოშვილი ს., საკუთრების უფლების დაცვა სანივთო გარიგების საფუძვლის ბათილობისას, სასემინარო ნაშრომი, თბ., 2010;

კობახიძე ა., სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001;

კობახიძე ა., პირადი საკუთრების უფლების სამოქალაქო სამართლებრივი დაცვა, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №8, 1973;

კორკელია კ., ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება, თბ., 2007;

ლაბარტკაგა ა., ეკოლოგიური სამართალი, თბ., 2003;

ლობჯანიძე გ., ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2001;

ლომიძე ვ., შექმნილი ხანდაზმულობის ინსტიტუტი ძველ ქართულ სამართალში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2003;

ლომიძე ვ., ხანდაზმულობა (ტერმინის საკითხისათვის), პროფ. გ.ნადარეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, სამართლის და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, ნ.1, თბ., 2010;

მეტრეველი ვ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2003;

მეტრეველი ვ., რომის სამართალი, თბ., 1995;

მეტრეველი ვ., რომის სამართალი და იმპერატორ იუსტინიანეს კოდიფიკაცია, წიგნში: რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიკესტები, წ.1, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძემ, რედ. ვ.მეტრეველი, თბ., 2000;

მეტრეველი ვ., დავითაშვილი გ., პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, ლექციების კურსი, თბ., 1997;

მიქელაძე კ., მეზობლური ურთიერთობის მოწესრიგების საფუძვლები საბჭოთა სამართალში, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №17, 1928;

მიქელაძე კ., უფლება მიწის შრომითი სარგებლობისა, როგორც სანივთო უფლება, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №3, 1928;

მამარდაშვილი მ., საუბრები ფილოსოფიაზე, თბ., 1992;

ნანეიშვილი გ., სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა. სამართლის ფილოსოფიის საკითხები, თბ., 1992;

ნინიძე თ., მისაკო წერეთელი სახელმწიფოს შესახებ, პროფ. გ.ინწკირველის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1996;

ნინიძე თ., წინათქმა ან.შაიოს წიგნზე: ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბ., 2003;

ნინიძე თ., კონიგის „იურიდიული არქეოლოგია“, ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“, №1, 2011;

ნადარეიშვილი გ., ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2005;

ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, თბ., 2003;

ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2008;

ნადარეიშვილი გ., ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2002;

ნადარეიშვილი გ., საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო და სავაჭრო სამართლის მოკლე მიმოხილვა, თბ., 2007;

ნადარეიშვილი გ., „ხელისუფლება“ სიტყვის ეტიმოლოგიისთვის, ჟურნ. „სამართალი“, №1-2, 2003;

ნადარეიშვილი გ., ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო წყობილების თავისებურებანი, ჟურნ. „აღმანახი“, №14, 2000;

ნადარეიშვილი გ., საკუთრების ზოგადი ცნების გამომხატველი ტერმინის წარმოშობის ისტორიიდან საქართველოში („ჩემება“), ჟურნ. „სამართალი“, №2, 2002;

ნადარეიშვილი გ., სანივთო სამართლის ობიექტების შესახებ, ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, წ.I, თბ., 1973;

ნადიბაიძე ლ., საკუთრების შექმნის სამართლებრივი საფუძვლები, თბ., 2002;

პერეტერსკი ი.ს., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, ნ.1, თბ., 1994;

პაიპსი რ., საკუთრება და თავისუფლება, თბ., 2004;

ჟან-ჟაკ რუსო, საზოგადოებრივი ხელშეკრულება, ფრანგულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო დ. ლაბუზიძე-ხოფერიამ, თბ., 1997;

რცხილაძე ვ., მფლობელობის დაცვა, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №1, 1928;

რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიგესტები, წ.1, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძემ, რედ. ვ. მეტრეველი, თბ., 2000;

რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძემ, რედ. ვ. მეტრეველი, თბ., 2002;

სურგულაძე ირ., ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2003;

სურგულაძე ირ., ხელისუფლება და სამართალი, გერმანულიდან თარგმნა და შესავალი წერილი დაურთო ო. გამყრელიძემ, თბ., 2002;

სურგულაძე ივ., სულხან-საბა ორბელიანის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, თბ., 1959;

სურგულაძე ივ., ნარკვევები სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბ., 1965;

*სურგულაძე ი., სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, თბ., 1977;*

*სურგულაძე ივ., ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 2001;*

*სურგულაძე ივ., ქართული სამართლის ისტორიის წყაროები, თბ., 1984;*

*სურგულაძე ივ., საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, თსუ შრომები, XXXV, 1949;*

*სავანელი ბ., სამართლის თეორია, თბ., 1998;*

*სოხვაძე ბ., რუსეთი მე-17 ს-ის დასასრულსა და მე-18 ს-ში, თბ., 1996; სამართალი ბატონიშვილის დავითის, თბ., 1964;*

*საქართველოს ისტორია (ნ.ბერძენიშვილის რედ.), თბ., 1959;*

*საქართველოს სიძველენი, ტ.ვ. (ე.თაყაიშვილის რედ.), ტფ., 1910;*

*სამართალი ვახტანგ მეექვსის (ი. დოლიძის რედ.), თბ., 1982;*

*სუხიტაშვილი დ., სამართალი და დრო, თბ., 2004;*

*სუხიტაშვილი დ., უპატრონო ქონების სამართლებრივი რეჟიმი, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №2, 1976;*

*სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., მფლობელობის პრობლემები ქართულ სამოქალაქო სამართალში, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, №1, 2010;*

*სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის სარჩელების კონკურენცია, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №3, 2011;*

*ფუტკარაძე ი., ქართული ვალდებულებითი სამართლის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1976;*

*ფუტკარაძე ი., ქართული ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტები, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატი, თბ., 2001;*

*ფუტკარაძე ი., ქართული ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტები, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2001;*

*ფუტკარაძე ი., ფაქტობრივი მფლობელობის დაცვა ფეოდალურ საქართველოში, კრებული: ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, წ. III, თბ., 1979;*

*ფუტკარაძე ი.*, სანივთო სამართლის სუბიექტების შესახებ, კრებული: ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, წ.1, თბ., 1973;

*ფუტკარაძე ი.*, პაგიოგრაფიული ძეგლები, როგორც საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის წყაროები (სანივთო სამართალი), პროფ. გ.ნადარეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული: სამართლის და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, ნ.1, თბ., 2010;

*ფუტკარაძე რ.*, სამოქალაქო სამართლებრივი პრეზუმფციები, ჟურნ. „სამართალი“, №8-9, 2000;

*ფრისერო ნ.*, ქონების პატივისცემის უფლება, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის №1 მუხლი, კრებული: საკუთრების უფლება და სამართლიანი სასამართლოს უფლება, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, თბ., 2005;

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ.5, *არნ. ჩიქობავას* რედ. თბ., 1958;

ქართული სამართლის ძეგლები, ტ.1, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული (*ი. დოლიძის* რედ.), თბ., 1963;

*ჩიქოძე ვ.*, ერეკლე II, თბ., 1984;

*ჭურდაძე შ.*, სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, თბ., 2005;

*ქობაშვილი ქ.*, ინტელექტუალური საკუთრება, როგორც აბსოლუტური ხასიათის არამატერიალური ქონებრივი სიკეთე და მისი დაცვის სამართლებრივი რეჟიმი, ჟურნ. „სამართალი“, №8-9, 2000;

*ქობაშვილი ქ.*, ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009;

*ყანდაშვილი ი.*, ქონებრივი რესტიტუცია ქართული კანონმდებლობისა და სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკის მაგალითზე, კრებული: ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, რედ. *კ.კორკელია*, თბ., 2010;

*შენგელია რ.*, ქონებრივი ზიანი და მისი ანაზღაურების ვალდებულება, თბ., 1991;

*შენგელია რ.*, საბჭოთა სახელმწიფოს სამოქალაქო სამართალ-სუბიექტობის თავისებურებანი, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №6, 1976;

შენგელია რ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, V, IV, ტ. II, რედ. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., 2001;

შენგელია ე., ყანდაშვილი ი., საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ ვენის კონვენციის მოქმედება საქართველოში, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, №3, 2008;

შუა საუკუნეების სამართალი, ტ.2 (რედ. ი. დოლიძე), თბ., 1962;

შაიო ან, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, ინგლისურიდან თარგმანი გ. მაისურაძის, მეცნიერული რედაქცია და წინათქმა თ. ნინიძის, თბ., 2003;

შოთაძე თ., საერთო საკუთრების და საზიარო უფლებების მარგულებელი ნორმების შედარებითი ანალიზი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“, №2, 2009;

შოთაძე თ., იპოთეკა, როგორც საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, თბ., 2012;

შატერაშვილი ლ., უსაფუძვლო გამდიდრება: სამართლიანი სამართალი? ჟურნ. „სამართალი“, №6-7, 2000;

შტაერმანი ე.მ., რომის სამართალი, ჟურნ. „სამართალი“, №2, 1992;

შუშანაშვილი ალ., უდანაშაულობის პრეზუმფცია, პროფ. გ. ინწკირველის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1996;

ჩიტოშვილი თ., უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2006;

ჩიტოშვილი თ., ქონების უსასყიდლოდ განკარგვა, როგორც უსაფუძვლოდ გამდიდრების საფუძველი, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, №2, 2008;

ჩიტოშვილი თ., დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, №1, 2008;

ჩიტოშვილი თ., უსაფუძვლო გამდიდრებისას დავალებისა და მოთხოვნის უფლების დათმობის საფუძველზე შესრულების შედეგები, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, 2011;

ჩიტოშვილი თ., ვინდიკაცია როგორც უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დაცვის საშუალება, პროფ. რ. შენგელიას 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები, თბ., 2012;



ჩახავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2010;

ჩახავა ს., მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, თბ., 2011;

ჩიტაშვილი ნ., ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, ჟურნ. „სამართლის ჟურნალი, ” №1, 2009;

ჩერნილოვსკი ზ.მ., სახელმწიფოსა და სამართლის მსოფლიო ისტორია, (თარგმნა ვ.გლორიაძე), თბ., 1992;

ჩიკვაშვილი შ., საკუთრების უფლების საკითხები ახალ კანონმდებლობაში, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №5, 1962;

ჩიკვაშვილი შ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, V, IV, ტ. II, რედ. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., 2001;

ცაცანაშვილი მ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, V, I, თბ., 1995;

ცაცანაშვილი მ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, V, II, თბ., 2000;

ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მე-10 გამოცემა, მიუნხენი, 2006, თბ., 2009;

ცვაიგერტი კ., კოტცი კ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. I-II, გამოცემის მეცნიერული რედაქცია და ბოლოთქმა თ. ნინიძის, თარგმანი ვ.სუმბათაშვილის, თბ., 2000;

ძლიერიშვილი ზ., ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, თბ., 2010;

ძლიერიშვილი ზ., ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, თბ., 2011;

ძლიერიშვილი ზ., დაკარგულ საწარმდგენლო ფასიან ქაღალდსა და საორდერო ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენა (გამოწვევითი წარმოება), ჟურნ. „სამართალი“, №3, 2000;

ძამუკაშვილი დ., ინტელექტუალური უფლებები, თბ., 2006;

ძნელაძე ნ., ქონების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვისა და საკუთრების უფლების დაცვის სამართლებრივი პრობლემები, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, №2, 2007;

- ჭავჭავაძე ი.*, თხზულებები ტ.4, პუბლიცისტური წერილები, თბ., 1987;
- ჭავჭავაძე ი.*, თხზულებები, ტ.5, თბ., 1955;
- ჭავჭავაძე ი.*, თხზულებები, ტ.6, თბ., 1956;
- ჭანტურია ლ.*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997;
- ჭანტურია ლ.*, უძრავი ნივთების საკუთრება, თბ., 1994;
- ჭანტურია ლ.*, უძრავი ნივთების საკუთრება, მეორე გამოცემა, თბ., 2001;
- ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011;
- ჭანტურია ლ.*, ევროპული სამართლის რეცეპცია – ევროპული ინტეგრაციის წინა პირობა, გამოსხმაურება პროფ. ბ.ზოიძის წიგნზე „ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში“, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2005;
- ჭეჭელაშვილი ზ.*, სანივთო სამართალი, თბ., 2006;
- ჭეჭელაშვილი ზ.*, საკუთრების უფლების გადაცემა მოძრავ ნივთებზე, ქართული კერძო სამართლის კრებული, წ.1, თბ., 2004;
- ჭეჭელაშვილი ზ.*, მფლობელობის საკითხებზე სასამართლო დავების განხილვის თავისებურებანი, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №1, 2007.
- ხუბუა გ.*, ფედერალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი, თბ., 2000;
- ხუბუა გ.*, სამართლის ფილოსოფიისა და სამართლის თეორიის მიმართების საგნის საკითხისათვის, კრებულში: კონსტიტუცია და ქართული სამართლის პრობლემები, თბ., 2002;
- ხეცურიანი ჯ.*, სამოქალაქო სამართლის ფუნქციები, თბ., 1995;
- ხეცურიანი ჯ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ.IV, ტ.1, რედ. *ჭანტურია ლ.*, *ზოიძე ბ.*, *ნინიძე თ.*, *შენგელია რ.*, *ხეცურიანი ჯ.*, თბ., 2001;
- ჯავახიშვილი ივ.*, თხზულებანი 12 ტომად, ტ. VI-VII, თბ., 1984;
- ჯავახიშვილი ივ.*, ქართული სამართლის ისტორია, ნ. II, ნაკვეთი II, თბ., 1929;
- ჯორბენაძე ს.*, სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების წარმოშობა სსრ კავშირში, თბ., 1963;

ჯორბენაძე ს., ზოიძე ბ., არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეთა ადგილი სამოქალაქო და სამეწარმეო სამართალში. ჟურნ. „ცხოვრება და სამართალი“ №1, 1998;

ჯორბენაძე ს., ჩემი ცხოვრების გზა. კრებული: ს.ჯორბენაძე – 75, თბ., 2003;

ჯაფარიძე ს., პირადი საკუთრების უფლება საცხოვრებელ სახლზე, თბ., 1976;

ჯაფარიძე ქ., უსაფუძვლო გამდიდრებით წარმოშობილი ზიანის ცნება, მისი ანაზღაურების წესი და საფუძვლები, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, №2, 2008;

ჯანაშია ლ., კონდიქციური ვალდებულებანი, ჟურნ. „სამართალი“, №10-12, 2004;

ჯუღელი გ., კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბ., 2010;

ჭენჭელი ს., სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდოლოგია, თბ., 2009;  
საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997;

*Анненков К.*, Система русского гражданского права, 2-ое изд., Т. 2, СПб., 1900;

*Анненков К.*, Система русского гражданского права, Введение и общая часть, СПб., Типография Стасюлевича М.М., 1894;

*Алексеев С.С.*, Собственность–Право-Социализм, М., 1989;

*Аксененок Г.А.*, Право государственной социалистической собственности на землю в СССР, М., 1960;

*Амфитеатров Г.Н.*, Вопросы вынудикиции в советском праве, ж. «Советское государство и право», №2, 1941;

*Архипов С.И.*, Проблема собственности, ж. «Правоведение», №1, 2007;

*Бутовский А.К.*, Давность владения, СПб., 1911;

*Барон Ю.*, Система римского гражданского права, СПб., 1908;

*Бернгефт Ф., Колер И.*, Гражданское право Германии, СПб., 1910;

*Братусь С.Н.*, Субъекты гражданского права, М., 1950;

*Братусь С.Н.*, (ред.), Гражданское право, М., 1947;

- Бек А.*, Рецепция римского права в западной Европе, М., 1950;
- Барг М.А.*, Исследование по истории Английского феодализма (XI-XIII вв.), М., 1962;
- Батыгин К.С.*, (ред.), Советское трудовое право, Основы гражданского права, М., 1970;
- Брагинский М.М., Витрянский В.В.*, Договорное право, кн.1. Общие положения, М., 2002;
- Бушев А.О., Макарова О.А., Попондопуло В.Ф.*, Коммерческое право зарубежных стран, М., 2003;
- Бабаев А.Б.*, Система вещных прав, М., 2007;
- Берман Г.Д.*, Западная традиция права: Эпоха формирования, М., 1998;
- Бороданов Н.М.*, Основы гражданского и торгового права, М., 1963;
- Белов В.А.*, Гражданское право, М., 2003;
- Белов В.А.*, Гражданское право, Общая часть, Т. I, Введение в гражданское право, М., 2011;
- Борисов А.Б.*, (ред.), Комментарий к гражданскому кодексу Российской Федерации, Ч. 1, 2, 3, 2-ое изд., М., 2002;
- Баринова Е.А.*, Вещные права в системе субъективных гражданских прав, В книге: Актуальные проблемы гражданского права, выпуск шестой, под ред. *Шилохвоста О.Ю.*, М., 2003;
- Бернсдорфф Н.*, Охрана собственности по ЕКПЧ – между effect utile, с одной стороны, и margin of appreciation или judicial self--restraint с другой стороны, ж. « Южнокавказский юридический журнал» , №1, 2010;
- Багиров А.*, Понятие и гражданско-правовое значение владения как элемента права собственности, ж. « Южно-Кавказский юридический журнал» , №1, 2010;
- Богданова Е.*, Добросовестность участников договорных отношений как условие защиты их субъективных гражданских прав, ж. «Хозяйство и право», №2, 2010;
- Братусь М.Б.*, О соотношении (конкуренции) вещно-правовых и обязательственно-правовых способов защиты права собственности, ж. „Журнал российского права,“ №6, 2005;
- Виндшайд Б.*, Учебник пандектного права, Т.1, Общая часть, СПб., 1874;
- Владимирский-Буданов М.Ф.*, Обзор истории русского права, Киев, 1900;
- Виноградов П.Г.*, История средних веков, М., 1901;

- Венедиктов А.В.*, Государственная социалистическая собственность, М., 1948;
- Венедиктов А.В.*, Защита фактического владения в условиях мирного и военного времени, Ученые труды ВИЮН, Вып. IX, М., 1947;
- Василевская Л.Ю.*, Учение о вещных сделках по германскому праву, М., 2004;
- Василевская Л.Ю.*, О специфике правовой конструкции вещного договора по германскому праву, ж.«Вестник высшего арбитражного суда Российской Федерации», №5, 2003;
- Васьковский Е.В.*, Учебник гражданского права, М., 2003;
- Венкитерн М.*, Основы вещного права, в книге: Проблемы гражданского и предпринимательского права Германии, М., 2001;
- Вершинин А.П.*, Способы защиты гражданских прав в суде, СПб., 1997;
- Васильев Е.А., Комаров А.С.*, (ред.), Гражданское и торговое право зарубежных государств, Т.1, М., 2004;
- Васильев Е.А., Комаров А.С.*, (ред.), Гражданское и торговое право зарубежных государств, Т.2, М., 2006;
- Васильев Г.С.*, Преемство в праве собственности как разновидность сингулярного правопреемства, ж . «Правоведение» , №6, 2006;
- Витрянский В.*, Некоторые проблемы защиты права собственности на недвижимость, ж. «Хозяйство и право», №5, 2008;
- Гамбаров Ю.С.*, Курс гражданского права, Т.1, СПб., 1911;
- Гримм Д. Д.*, Лекции по догме римского права, 5-ое изд., Петроград, 1916;
- Гримм Д.Д.*, Конспект лекции по догме Римского права, СПГ., 1905;
- Гримм Д. Д.*, Лекции по догме римского права, под ред. *Томсинова В.А.*, М., 2003;
- Голанза П.Н.*, Феодальное государство и право Франции, М., 1963;
- Голанза П.Н.*, История государства и права зарубежных стран, М., 1980;
- Голанза П.Н.*, Конспект лекций по курсу: Общая история государства и права, М., 1980;
- Гуляев А.М.*, Русское гражданское право, СПб., 1907;
- Грибанов В.П., Корнеев С.М.*, ( ред.), Советское гражданское право, Т.1, М., 1979;

- Грибанов В.П.*, (ред.), Советское гражданское право, М., 1963;
- Грибанов В.П.*, Пределы осуществления и защиты гражданских прав, М., 1992;
- Гурвич М.А.*, Право на иск, М., 1949;
- Генкин Д.М.*, Право собственности в СССР, М., 1961;
- Гойхбарг А.Г.*, Основы частного имущественного права, М., 1924;
- Гомола А. И.*, Гражданское право, М., 2003;
- Гришаев С.П.*, (ред.), Гражданское право, ч. 2, В вопросах и ответах, М., 2002;
- Гуев А.Н.*, Гражданское право, Т.1, М., 2003;
- Дернбург Г.*, Пандекты, Т.2. пер. *Блоха А.Ю., Гальпера А. Я., Унтелова Д.И., Шнейдера К.А.*, под. ред. *Мейендорфа А. Ф.*, СПб., 1905;
- Дернбург Г.*, Пандекты, Вещное право, СПб., 1902;
- Дювернуа Н.*, Значение римского права для русских юристов, Ярославль, 1872;
- Дювернуа Н.*, Пособие к лекциям по гражданскому праву, М., Типография *Стасюлевича М. М.*, 1899;
- Дювернуа Н.*, Конспект лекции по русскому гражданскому праву, СПб., 1897;
- Дюги Л.*, Общие преобразования гражданского права со времени кодекса Наполеона, пер. с французского *Сиверс М.М.*, под. ред. *Гойхбарга А.Г.*, М., 1919;
- Дождёв Д.В.*, Римское частное право, М., 1997;
- Дождев Д.В.*, Римское частное право, М., 2002;
- Дембо Л.М.*, Земельные правоотношения в классово антагонистическом обществе, Л., 1954;
- Дженкс Э.*, Английское право, М., 1947;
- Дорнбергер Г., Клейне Г., Клиндер Г.*, Гражданское право Германской демократической республики (Вещное право), пер. с немец. *Богуславского М. М., Нарышкиной Р. Л.*, под. ред. *Генкина Д.М.*, М., 1957;
- Дехтерева Л.П., Пивульский В.В., Шугева О.А.*, Гражданский процесс, М., 2004;
- Егоров Д.Н.*, (ред.), Средневековье в его памятниках, М., 1913;

*Енгельман И.Е.*, Приобретение права собственности на землю по русскому праву, СПб., Типография *Тиблена Н.*, 1859;

*Енгельман И.Е.*, О давности по русскому гражданскому праву, СПб., 1901;

*Енгельман И.Е.*, О давности по русскому гражданскому праву, Историко-догматическое исследование, М., 2003;

*Емельянова Ш.А.*, Всеобщая история права в русском дореволюционном правоведении, Казань, 1981;

*Жидков О.А., Крашенников Н.А.*, (ред.), История государства и права зарубежных стран, М., 1988;

*Жалинский А., Рёрихт А.*, Введение в немецкое право, М., 2001;

*Залесский В.В.*, Основные институты гражданского права зарубежных стран, М., 2000;

*Зоидзе Б.М.*, Договорная и внедоговорная ответственность в механизме гражданско-правового регулирования, В книге: Актуальные проблемы советского права (авт. колл. отв. ред. *Шавгулидзе Т.Г.*), Тб., 1984;

*Зарандиа Т., Джугели Т.*, Злоупотребление правом собственности и условия неотчуждаемости по грузинскому и французскому праву, ж. «Южнокавказский юридический журнал», №1, 2010;

*Иеринг Р.*, Об основании защиты владения, М., 1883;

*Иеринг Р.*, Теория владения, пер. *Васьковского Е.В.*, СПб., 1895;

*Иоффе О.С.*, Гражданское право, Избранные труды, М., 2000;

*Конторович Я.И.*, Основные идеи гражданского права, Харьков, 1928;

*Коркунов Н.М.*, Лекции по общей теории права, СПб., 1898;

*Кассо Л.М.*, Русское гражданское право, М., 1906;

*Кавелин К.*, Права и обязанности по имуществам и обязательствам, СПб., Типография *Стасюлевича М.М.*, 1879;

*Компанеев Е.С.*, К вопросу о проблеме владения в советском праве, Сб. статей памяти академика *Гордона В.М.*, Харьков, 1927;

*Кулагин М.И.*, Избранные труды, М., 1997;

*Косвен М.О.*, Очерки истории первобытной культуры, М., 1953;

*Корецкий В.М.*, (ред.), Хрестоматия памятников феодального государства и права стран Европы, М., 1961;

*Колесницкий Н.Ф.*, Феодальное Государство, М., 1967;

*Карасс А.В.*, Право государственной социалистической собственности, М., 1954;

*Корнеев С.М.*, Основы советского гражданского права, М., 1962;

*Казанцев Н.Д.*, (ред.), Советское земельное и колхозное право, М., 1959;

*Куник Я. А.*, (ред.), Советское гражданское право, М., 1974;

*Красавчиков О.А.*, (ред.), Советское гражданское право, Т. I, М., 1968;

*Калмыков Ю.Н., Тархов В.А.*, (ред.), Советское гражданское право, Т. I, Саратов, 1991;

*Коновалов А.В.*, Владение и владельческая защита в гражданском праве, М., 2002;

*Коновалов А.В.*, Владельческая защита в российском праве, ж. «Правоведение», №9, 1998;

*Книпер Р.*, Закон и история, Баден-баден, Алматы, 2005;

*Книпер Р.*, Владение в гражданском праве Туркменистана, В книге: Право, Экономика, Благополучие, Актуальные вопросы правовой реформы в Туркменистане (*Нурьев Я., Чантурия Л.*, изд.), Asgabat, 2010;

*Книпер Р.*, Приобретение и утрата права собственности по ГК Туркменистана, В книге: Право, Экономика, Благополучие, Актуальные вопросы правовой реформы в Туркменистане (*Нурьев Я., Чантурия Л.*, изд.), Asgabat, 2010;

*Курзински -Сингер Е., Зарандия Т.*, Рецепция немецкого вещного права в Грузии, ж. “ ВЕСТНИК ГРАЖДАНСКОГО ПРАВА”, № 1, 2 0 1 2 ,Т. 12;

*Кузина С.*, Проблемы защиты интересов добросовестного приобретателя, ж. «Хозяйство и право », № 8, 2006;

*Костюк Н.*, Добросовестность в российском и зарубежном гражданском праве, ж. « Хозяйство и право» , №12, 2008;

*Летурно Ш.*, Эволюция собственности, СПб., 1889;

*Латкин В.Н.*, Учебник истории русского права периода империи (XVIII-XIX), СПб., 1899;

*Лукин- Антонов Н.*, Очерки по новейшей истории Германии, 1890-1914 гг., М., 1925;



- Лазар Ян.*, Собственность в буржуазной правовой теории, М., 1985;
- Ласк Г.*, Гражданское право США, М., 1961;
- Лапач В.А.*, Система объектов гражданских прав, М., 2002;
- Леже Р.*, Великие правовые системы современности, пер. с французского *Грядова А.В.*, М., 2009;
- Лоренц Д.В.*, Система гражданско-правовых притязаний и проблема их конкуренции. ж. «Гражданское право», №4, 2008;
- Лоренц Д.*, О совершенствовании института ограничения виндикации, ж. «Хозяйство и право», №8, 2008;
- Ломидзе О.Г., Ломидзе Э.О.*, Возврат полученного по недействительной сделке, виндикация и кондикция, ж. «Вестник высшего арбитражного суда Российской Федерации», №11, 2004;
- Мейер Д.И.*, Русское гражданское право, ч.1, СПб., 1861,
- Меиер Д.И.*, Русское гражданское право, М., 2000;
- Мейер Д. И.*, Избранные произведения по гражданскому праву, М., 2003;
- Муромцев С.*, Рецепция римского права на западе, М., 1886;
- Муромцев С.*, Гражданское право древнего Рима, Тип. *Мамонтова А.М.*, М., 1883;
- Морошкин Ф.Л.*, Рассуждение о владении по началам российского законодательства, М., 1837;
- Матузов Н.М.*, Личность, правда и демократия, теоретические проблемы субъективного права, Саратов, 1972;
- Машкин Н. А.*, История древнего рима, М., 1949;
- Морандьер Ж. Д.*, Гражданское право франции, Т.2, М., 1960;
- Моровская Т.А., Яменфельд Г.М.*, Основы гражданского и торгового права, М., 1970;
- Мозолин В.П., Кулагин М.И.*, (ред.), Гражданское и торговое право капиталистических стран, М., 1980;
- Маслов В.Ф., Пушкин А.А.*, (ред.), Советское гражданское право, ч. I, Киев, 1983;
- Марченко М. Н.*, (ред.), Теория Государства и права, М., 1996;
- Маттей У., Суханов Е.А.*, Основные положения права собственности, М., 1999;

- Макеев В.В., Головкин А.Г.,* Частное право древнего рима, Ростов На Дону, 2002;
- Матвеев М. В.,* Правовая природа недействительных сделок, М., 2004;
- Миколенко Ф.Ф.,* Государственные юридические лица в советском гражданском праве, ж. „Советское государство и право,” №7, 1951.
- Масевич М. Г.,* Основания приобретения права собственности на бесхозяйные вещи, В книге: Проблемы современного гражданского права, под. ред. *Литовкина В. Н., Рахмиловича В. А.,* М., 2000;
- Моргунов С.В.,* Исковая давность в правилах о виндикации. ж. „Вестник высшего арбитражного суда Российской Федерации”, №4, 2005;
- Моргунов С.В.,* Добросовестный приобретатель-собственник или давностный владелец ? ж. „Хозяйство и право, ” №5, 2008;
- Новицкий И.Б.,* Римское право, М., 1998;
- Новицкий И.Б.,* Основы римского гражданского права, М., 2000;
- Новицкий И. Б.,* Римское право, М., 2001;
- Новицкий И. Б., Перетерский И. С.,* (ред.), Римское частное право, М., 1948;
- Новицкий И.Б., Перетерский И.С.,* (ред.), Римское частное право, М., 1984  
;
- Новицкий И.Б., Перетерский И.С.,* (ред.), Римское частное право, М., 1996;
- Никонов С.П.,* Развитие защиты владения в средневековой Европе, Харьков, 1905;
- Петражицкий Л.И.,* Права добросовестного владельца на доходы с точек зрения догмы и политики гражданского права, СПб., 1897;
- Петражицкий Л.И.,* Права добросовестного владельца на доходы с точек зрения догмы и политики гражданского права, СПб., 1902;
- Петражицкий Л.И.,* Права добросовестного владельца на доходы с точек зрения догмы и политики гражданского права, под. ред. *Рогова Е. С.,* М., 2002;
- Покровский И.А.,* История римского права, 3-е изд., Петроград, 1917;
- Покровский И.А.,* Основные проблемы гражданского права, М., 1998;
- Пухан И., Поленак-Акимовская М.,* Римское право, М., 1999;
- Победоносцев К.П.,* Курс гражданского права, Т.1, М., 2003;
- Подопригора А.А.,* Основы римского гражданского права, Киев, 1990;

*Полонский Э. Г.*, Право оперативного управления государственным имуществом, М., 1980;

*Петров Д.В.*, Право хозяйственного ведения и право оперативного управления, СПб., 2002;

*Пиляева В.В.*, Гражданское право с образцами договоров, М., 2002;

*Пиляева В.В.*, Гражданское право, части общая и особенная, М., 2006;

*Пятин С.Ю.*, Гражданское и торговое право зарубежных стран, М., 2009;

*Перкунов Е.*, Неосновательное обогащение, место в гражданском кодексе и практика высшего арбитражного суда Российской Федерации, ж. «Вестник высшего арбитражного суда Российской Федерации», №2, 2004;

*Раевич С.М.*, Гражданское право буржуазно-капиталистического мира в его историческом развитии, М., 1929;.

*Рясенцев В.А.*, (ред.), Советское гражданское право, М., 1960;

*Радбрух Г.*, Философия права, Пер. с немец. *Юмашева Ю.М.*, М., 2004;

*Рубанов А.А.*, Проблема совершенствования теоретической модели права собственности. Развитие советского гражданского права на современном этапе (отв. ред. *Мозолин В.П.*), М., 1986;

*Ровный В.В.*, Эвикция, Проблема конкуренции исков и права собственности, ж. «Правоведение», №5, 2000;

*Савиньи Ф. К.*, Обязательственное право, пер.с немец. *Фукс Ф., Мандро Н.М.*, М., 1876;

*Стучка П.И.*, Курс советского гражданского права, Т. I, М., 1931;

*Селезнев А.К.*, Исковая давность в хозяйственных взаимоотношениях советских организацией, М., 1977;

*Сергеев А.П., Толстой Ю.К.*, (ред.), Гражданское право, ч. 1, СПб., 1996;

*Сергеев А.П., Толстой Ю.К.*, (ред.), Гражданское право, М., 1997,

*Сергеев А. П., Толстой Ю.К.*, (ред.), Гражданское право, 6-ое изд., М., 2004;

*Сергеев А.П.*, Вопросы истребования имущества из чужого незаконного владения, В книге: Проблемы гражданского права, Л., 1987;

*Скварцов О.Ю.*, Защита права собственности и судебно-арбитражная практика, М., 1997;

- Суханов Е.А.*, Учебник гражданского права, Т.1, 2-ое изд., М., 1999;
- Суханов Е.А.*, Гражданское право, ч.1, Учебник, 2-ое изд., М., 1998;
- Суханов Е.А.*, Гражданское право, Т. IV, 3-е изд., М., 2008;
- Садиков О.Н.*, (ред.), Комментарий к гражданскому кодексу Российской Федерации, ч. 1, М., 1997;
- Саватье Р.*, Теория обязательств, Пер.с франц. *Халфина Р.О.*, М., 1972;
- Санфилиппо Ч.*, Курс римского частного права, М., 2001;
- Симолин А.А.*, Определение владения по нашему проекту и Германскому Уложению, В книге: Возмездность, безвозмездность, смешанные договоры и иные теоретические проблемы гражданского права, М., 2005;
- Скловский К.И.*, Собственность в гражданском праве, М., 1999;
- Скловский К. И.*, О правах владельца на плоды и доходы, ж. „Хозяйство и право“, №1, 1999;
- Скловский К.И.*, Об идеологии защиты владения в современном гражданском праве, В книге: Проблемы современного гражданского права, под. ред. *Литовкина В.Н., Рахмиловича В.А.*, М., 2000;
- Скловский К.И.*, Некоторые проблемы реституции, ж. «Вестник высшего арбитражного суда Российской Федерации», №8, 2002;
- Скловский К.И.*, Применение норм о доброй совести в гражданском праве России, ж. „Хозяйство и право“, №9, 2002;
- Скловский К.И.*, О праве на отчуждение имущества без передачи владения, ж. „Хозяйство и право“, №8, 2003;
- Скловский К.И.*, О действительности продажи чужого имущества, ж. «Вестник высшего арбитражного суда Российской Федерации», №9, 2003;
- Скловский К. И.*, Правомочие и полномочие в механизме возникновения гражданских прав, ж. «Хозяйство и право», №11, 2004;
- Скловский К.И.*, К вопросу о применении понятий добросовестности и основы правопорядка и нравственности, ж. „Хозяйство и право“, №8, 2005;
- Скловский К. И.*, О виндикации права, ж. „Хозяйство и право“, №4, 2010;
- Смирных А.Г.*, Защита интересов добросовестного приобретателя, „Журнал Российского права“, №11, 2001;

*Смирнова М.А.*, Соотношение обязательственных требований в Российском гражданском праве, Вып. 7, под. ред. *Шиловоста О.Ю.*, М., 2003;

*Соломина Н.*, Возврат неосновательного обогащения в натуре, ж. «Хозяйство и право», №10, 2008;

*Султанов М.*, Собственность и владение – опыт в Азербайджане, ж. „ЮжноКавказский юридический журнал,“ №1, 2010;

*Сиромятников Б.М.*, М.Сперанский, как государственный деятель и политический мыслитель, ж. «Советское государство и право» №3, 1940;

Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, ред. *Бакрадзе Д. З.*, Тифлис, 1887;

*Трепицын М.Н.*, Приобретение движимости в собственность от лиц не имеющих права на их отчуждения, Варшава, 1907;

*Треушников М.К.*, (ред.), Хрестоматия по гражданскому процессу, М., 1996;

*Томсинов В.А.*, Всеобщая история государства и права, Т.1, Древний мир, Средние века, М., 2002;

*Толстой Ю.К.*, Содержание и гражданско-правовая защита права собственности в СССР, Л., 1955;

*Толстой Ю.К.*, Содержание права социалистической и личной собственности в СССР, „Вестник Ленинградского университета,“ Серия общественных наук, №6, 1953;

*Толстой Ю.К.*, Соотношение исковой и проиобретательной давности, ж. „Правоведение“, №6, 1993;

*Трашкова Н.М.*, Иск как защита прав истца в гражданском процессе, к истории вопроса, ж. „Вестник Московского университета,“ №5, 2008;

*Тузов Д.О.*, Реституция и виндикация: проблемы соотношения, ж. «Вестник высшего арбитражного суда Российской Федерации», №3, 2002;

*Тузов Д.О.*, Ничтожность и оспоримость сделок. Классическая доктрина и проблемы российской цивилистики. Цивилистические записки: Межвузовский сборник научных трудов, М., 2002;

*Удинцев В.А.*, Избранные труды по торговому и гражданскому праву, М., 2003;

*Фюстель-де-Куланжъ*, Древняя гражданская община (исследование о культе, праве, учреждениях Греции и Рима), пер. *Спиридонова Н.Н.*, М., 1903;

*Фарматов И.*, Последствия истечения срока исковой давности, ж. « Хозяйство и право» , №12, 2005;

*Флейшиц Е.А.*, Обязательство из причинения вреда и из неосновательного обогащения, М., 1951;

*Халфина З.О.*, Право личной собственности граждан СССР, М., 1955;

*Хвостов В.М.*, Система римского права, М., 1996;

*Хаскельберг Б.Л., Ровный В.В.*, Консенсуальные и реальные договоры в гражданском праве, М., 2004;

*Хаскельберг Б.Л.*, Об основании и моменте перехода права собственности на движимые вещи по договору, ж. «Правоведение», №3, 2000;

Хрестоматия по истории средних веков, *под ред. Грацианского Н.П., Сказкина С. Д.*, Т.1, М., 1939;

Хрестоматия по всеобщей истории государства и права, Т.2. *под ред. Батыра К.И., Поликарповой Е.В.*, М., 2003;

*Черниловский З.М.*, История феодального государства и права, М., 1959;

*Черниловский З.М.*, Всеобщая история государства и права, М., 1996;

*Чибиряев С.А.*, (ред.), История государства и права зарубежных стран, М., 2002;

*Чеговадзе Л.А.*, Структура и состояние гражданского правоотношения, М., 2004;

*Чеговадзе Л.*, Проблемы приобретения и защиты права собственности (в том числе при совершении недействительных сделок), ж. «Хозяйство и право», №4, 2004;

*Черепяхин Б.Б.*, Виндикационные иски в советском праве, Ученые записки Свердловского юрид. ин-та, Т. 1, 1945;

*Черепяхин Б.Б.*, Приобретение права собственности по давности владения, ж. «Советское государство и право», №4, 1940;

*Черепяхин Б.Б.*, Юридическая природа и обоснование приобретения права собственности от неуправомоченного отчуждателя, Ученые записки свердловского юридического института, Т. I, 1947;

*Чантурия Л.*, Ограниченные вещные права и их особенности в гражданском праве Туркменистана, В книге: Право, Экономика, Благополучие, Актуальные вопросы правовой реформы в Туркменистане, (*Нурьев Я., Чантурия Л.*, изд.), Asgabat, 2010;

*Чубаров В.В.*, Вопросы государственной регистрации прав на недвижимое имущество и сделок с ним, В книге: Проблемы современного гражданского права, ред. *Литовкин В.Н., Рахмилович В.А.*, М., 2000;

- Шершеневич Г.Ф.*, Наука гражданского права в России, Казань, 1893;
- Шершеневич Г.Ф.*, Учебник русского гражданского права, Т.1, М., 1914;
- Шершеневич Г.Ф.*, Учебник русского гражданского права, М., 1995;
- Шенгелия Р.В.*, Гражданская правосубъектность советского государства в кредитных отношениях, Тб., 1984;
- Шапт Ян*, Система германского гражданского права, М., 2006;
- Шюнеман В.Б.*, Частное экономическое право. Правовые основы для экономистов, 5-ое перер. изд., Минск-Мисанта, 2007;
- Шадрина Н.*, Течение приобретательной давности по гражданскому праву России, ж. «Хозяйство и право», №9, 2003;
- Шагова В.В.*, Договор, как основание возникновения прав титульных владельцев по российскому гражданскому праву, В книге: Некоторые вопросы договорного права России и зарубежных стран, М., 2003;
- Шрамм Х.И.*, Применение гражданского кодекса по спорным вопросам гражданского права и хозяйственного права, В книге: Право, Экономика, Благополучие, Актуальные вопросы правовой реформы в Туркменистане (*Нурьев Я., Чантурия Л.*, изд.), Asgabat, 2010;
- Шрамм Х.Й.*, Собственность и пути которыми ее можно приобрести, В книге: Право, Экономика, Благополучие, Актуальные вопросы правовой реформы в Туркменистане, (*Нурьев Я., Чантурия Л.*, изд.), Asgabat, 2010;
- Эннекцерус Л.*, Курс германского гражданского права, Т.1., М., 1949;
- Эрделевский А.О.*, Соотношение кондикционных и иных требований, ж. «Хозяйство и право», №7, 2004;
- Эрделевский А.*, Об истребовании имущества у добросовестного приобретателя, ж. «Хозяйство и право», №5, 2005;
- Юшкевич В.А.*, Исследования из области учения о владении, О приобретении владения по римскому праву. М., 1908;
- Яичков К. К.*, (ред.), Гражданское и торговое право капиталистических государств, М., 1966;

## ნორმატიული მასალა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997;

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB), 2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით, მთარგმნელი და რედ. *ზ.ჭეჭელაშვილი*, თბ., 2010;

იტალიის სამოქალაქო კოდექსი. მთარგმნელი *ზ.ჭეჭელაშვილი*, ქართული კერძო სამართლის კრებული, ნ.I, თბ., 2004;

Гражданское уложение Германии, кн. 1, 3-е изд., пер. с немец. и под. ред. *Бергмана В.*, М., 2008;

Гражданский кодекс Германии, под. ред. *Савельева В.А.*, М., 1994;

Гражданское, торговое и семейное право капиталистических стран, Сборник нормативных актов: Гражданские и торговые кодексы, *Кулагин М.М.*, (ред.), М., 1986;

Французский гражданский кодекс, приложение в книге: *Кулагин М.И.*, Избранные труды, М., 1997;

Гражданское уложение. Проект высочайшей учрежденной редакционной комиссии по составлению гражданского уложения, Т.1, под. ред. *Тютрюмова И.М.*, СПб., 1920;

### ინტერნეტ მასალა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საქმე „სადირაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, განაცხადი №18768/05, განჩინება, სტრასბურგი 2010 წლის 27 მაისი.

[http://www.justice.gov.ge/files/Documents/adam/gadawyvetilebebi/saghinadze\\_da\\_sxvebi.pdf](http://www.justice.gov.ge/files/Documents/adam/gadawyvetilebebi/saghinadze_da_sxvebi.pdf)

*Братусь М.Б.*, О соотношении (конкуренции) вещно-правовых и обязательственно-правовых способов защиты права собственности, ж. “Журнал российского права,” №6, 2005. <http://www.izak.ru/169>.

*Омельченко О.*, Римское право, [http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Pravo/omelch/01.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Pravo/omelch/01.php). 7. 07. 2011.

*Кочеткова Ю.А.*, Соотношение вещно-правовых и обязательственно-правовых способов защиты права собственности—древнеримские истоки и современная Россия, Актуальные проблемы гражданского права, вып. 2, Сб. Статей, под. ред. *Брагинского М.М.*, М., 2000. <http://lex-jure.ru/law/news.php>

*Климович А.В.*, Новый аспект реализации кондикционных обязательств, <<http://legallib.ru/civillaw/novyi-aspekt-realizatsii-kondiktsionnyh-obyazatelst.html>>, 21.07.2011.



Лоренц Д.В., Открытость и непрерывность давностного владения: проблемы толкования, ж. „Российское право в интернете”, №4, 2010. [http://www.rpi.msal.ru/prints/201004\\_21/orents.html](http://www.rpi.msal.ru/prints/201004_21/orents.html).

Покровский И. А., Право и факт в римском праве. <http://evcppk.ru/pravo-i-fakt-v-rimskom-prave> 7. 27.2011.

Покровский И.А., История римского права. <http://www.sud09ru/bibliot/Elib/1265.htm/>.

Скрябин С.В., Вещное право, Алматы, 2009. <http://www/google.ge/search/hl=ka8source>.

Шершеневич Г.Ф., Задачи и методы гражданского правоведения, Казань, 1898. <http://www.allpravo.ru/library/doc99p/instrum1916/> 7. 27.2011.

### სასამართლო გადაწყვეტილებები

სუსგ №3კ-470-02, 8 ივლისი, 2002 წ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, №10, 2002;

სუსგ №501-03,10 ივნისი, 2003 წ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, №7, 2003;

სუსგ 27 ივნისი, 2003 წ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, №8, 2003;

სუსგ №3კ1474-02, 18 თებერვალი, 2003 წ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, №4, 2003;

სუსგ №ბს502-431-კ-04, 7 ოქტომბერი, 2004 წ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეებზე, №1, 2005;

განჩინება №ას-1365-1491-04, 6 ივნისი, 2005 წ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, №2, 2005;

სუსგ №ას203-622-06, 24 იანვარი, 2006 წ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, №1, 2007;

სუსგ №ას-307-712-06, 17 ნოემბერი, 2006 წ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეებზე, №1,2006;

სუსგ №ას1263-1503-05, 27 აპრილი, 2006 წ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეებზე, №1, 2006;

სუსგ №ას-87-531-06, 27 სექტემბერი, 2006 წ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეებზე, №1, 2006;

სუსგ №ას-24-379-07, 20 იენისი, 2007 წ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეებზე, №3, 2008;

სუსგ №ას274-604-07, 11 დეკემბერი, 2007 წ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეებზე, №1, 2007;

სუსგ №ას400--648-08, 2 დეკემბერი, 2008 წ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეებზე, №3, 2008;

სსსგ – საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №1/1/428, 447, 459. ბათუმი, 2009;

სსსგ №1/2/411, 2008, 19 დეკემბერი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ბათუმი, 2009;